

114
1977/2

ՀԱՅԿԵՆԻ
ՆՈՒՄԱՐՈՒՅՑ

ՁԵՆՈՒՆԵՐ

9

1977



მწერთა

საქართველოს მწერთა კავშირი

ქველთხოვარი ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შუარსაწი

წელიწადი 54-ე

№ 9

სექტემბერი, 1977 წ.

საბარტოველოს საზოგადოებრივი მხარელების კავშირის ორგანო

შ ი ნ ა ა რ ს ი

60 დიკდი რეკრეაციები 60

თემატიკა უანგულაშვილი — ლექსები	3
გრიგოლ ნინოშვილი — მხატვრობის ტინაქტური. ნარკვევი	6
რამაზ კობიაძე — ზვიგისის ფრთალები. რომანი. წიგნი მეორე	18
მარტინე ჯანაშიანი — ბალადა რეკრეაციის "ბარსელონაში. თარგმ. ვ. ლორთქიფანიძემ	40
ელგაჯა მარაბიშვილი — ბედის კანი. მოთხრობა	41
დავით ბაგრატიანი — ლექსები	48
ლია მარაბიშვილი — ლექსები	51
ნინო ჯანაშიანი — შუაღმის საბალეტოები. პოემა	55
გარბა ვიგორიანი — ლექსები	63
გორის ანდრონიკაშვილი — საღილი შუაღმისას. მოთხრობა	65
ბაბა მარაბიშვილი — ლექსები	70
გრიგოლ ნინოშვილი — ლექსები	73
ბაბა მარაბიშვილი — უანგულაშვილი. დანასტრული. თარგმ. თ. ნიჭიანი	75
მარტინე ჯანაშიანი — რეკრეა. (ერთი თავი წიგნიდან)	85

13466

60 დიკდი რეკრეაციები 60

ნინო მარაბიშვილი — რეკრეაციები და პარტიული მხარელობა	123
--	-----

პროტიკა და კრეატიულობა

ვიგორი მარაბიშვილი — ანტილ სულაგაშვილის მხატვრობი. დანასტრული	137
უანგულაშვილი — შტრახანი ლიტერატურულ კორექტივისათვის	144
ბაბა მარაბიშვილი — მცხეთის ტინაქტური. თარგმ. თ. ნიჭიანი	157
ნინო მარაბიშვილი — რამაზ კობიაძის "მეფისთავისთვის" პანის თარგმ.	164
ქველთხოვარი — ხატვაშვილი და ხატვაშვილი	171

შპტები, მოვრეხები



ლავროსი კალანდარი — იყო კაცი და...

გამოცემისთვის

ნოვარ რეზანის სომხანს (ს. კლდიაშვილის, რ. ჯაფარიძის, ა. გაწერელის და მ. ლენინის წერილები) 188

წიგნების მიმოხილვა

ბ. ლომიძე — მოწოდებათა კოლონიალიზმი 191

შთავარი რედაქტორი ბიორგი ნატროშვილი

სარედაქციო კოლეგია:

- ი. აბაშიანი, რ. აბაშიანი (პო. რედ. მოდიული), ხ. ბერუაშვილი, მ. ბიბიანიშვილი, ვ. ლეზინიძე, ლ. მელიქიანი, ა. ნუგაბაიანი, ბ. ქუთათიანი, ს. ზაფხიაშვილი, დ. ზინცაღანი, ნ. წულუკიანი, ე. წულუკიანი, ი. მთლქი, ბ. ბარანაული, რ. ჯაფარიძე, მ. ჯივლაძე.

რედაქტორი რ. ნაძობალი

რედაქციის მხამართი: თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.

ბეჭდვითი: რედაქტორის — 98-55-11. პ/მ, მდიანის — 98-55-13, განყოფილებების — 98-55-15, 98-55-17, 98-55-20.

გადეცა ასაწყობად 5/VIII-77 წ., ხელმოწერილია დისბეჭდად 26/IX-77 წ., ასაწყობის ზომა 7¹/₄ X 12, ტალღის ფორმატი 78 X 108¹/₁₆, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 13, საბარ.-საგამომცემლო თაბები 16,58.

უც 08801. ტირაჟი 13,900. შეკვ. 2467. საქ. გ. ც-ის გამომცემლობის ტაბაში, თბილისი, ლენინის ქ. 76 14.

60 დროული 60 დოქტორები



საინფორმაციო ჯანსაღი

ყველა სიკეთის დამაინფორმებელი

აქცენტებული თავისუფლების
ყველაზე უხვი შუქის მქონებელს,
კაცთა სიცოცხლის ყველა უფლების,
ყველა სიკეთის დამაინფორმებელს —
ჩვენი ქვეყნის და ხალხის ქარტიას,
მის სწორუპოვარ ავტორს — პარტიას —
მოკრძალებული მადლობაც ჩემი!

დღევანდელ დღეთა ქებათაქებას,
მომავალ წინსვლის უსაზღვროებას,
სიტყვებს, აღმართულთ სინათლის მთებად
და თითო სტრაიქოსს — თითო პოემას —
ძირითად კანონს — კონსტიტუციას
პარტიას ჩვენთვის რომ მოუცია,
მოკრძალებული სიმღერაც ჩემი.

გულს რომ დიდების შუქად მოელტვის,
მისით ჩვენს ყველა სიკეთეს ვჭედდეთ.
მისი ერთგულნი ვიყოთ ყოველთვის,
მის ყოველ სიტყვას ხორცშესხმულს
ვჭვრეტდეთ,
და მაშინ ქვეყნად ჩვენზე ძლიერი,
ჩვენზე სვიანი და ბედნიერი
არსად, არასდროს, არვინ იქნება.

ხელში მიჭირავს იგი პროექტი
უუმაღლესი კანონთ კანონის,
გულს უჭრობი მზის შუქი მოელტვის
და უკვდავების ჩქეფენ წყარონი.

• • •

მხარში მზე დამიდგა, წინ მარტი გამიძღვა
გახარებული
ხარხარით,
ნინოწმინდაში გზაზე გადამიდგა
აყვავებული
გარგარი.
შემანჯღრია და ძირს დამაგდებინა
წვერწაცვეთილი
ფანქარი,

თან ჭრელ პალიტრას მაწედიდა ნებვირად
ჩემი კეთილი
ამქარი.
მითხრა: ემაგ გულს სარქველი მოხადე,
არ დაიღლები
სამკალით,
შენი ფიქრი და სათქმელი მოხატე
ამ ყვავილებით
ამ ქარით.

ამინ! მამ შუთ, მწველ სხივთა შოლტები
 გულს ელვის დარად
 დამკარი.
 და თუ მამულის სუნთქვას დაეშორდები
 შესაწირ ხარად
 დამკალი.

...ეს სიყვარული რუსთაველის
 მესმა ძახილიც წამოიღებოდა
 ჩარგალის...
 ნინოწინდაში გზაზე გადამიდგა
 ყუაველდაყრილი
 გარგარი.

ახსანავ ნებოს — პოეტს და პრეზიდენტს

შენ იმ საღამოს
 ჩემს ოჯახში შემოხვეულ ტელეკრანით,
 შენს ლექსს ვთარგმნიდი როცა,
 მთვარის ნათელი
 მოეხურათ
 თბილისის თელეებს
 და ათრთოლებით უხმენდნენ მოცარტს,
 გადაჭრილ ლერწმზე
 უკვე ვაზის ცრემლი ფონაგდა
 ჭადრის ტოტებზე
 მარტი ჭყრდა კვირტების ქვირითხ...
 იქნებ მუ უნდა დანეწვრა
 მწვანე სონატა,
 აუღვენებოდი
 მტკვრის მშფოთვარე ტალღების ჯირითხ...
 ნაკრამ შენ ზოხველ,
 შენ მოხვედი —
 აგობტინით
 ნეტო —
 პოეტი,
 ჯარისკაცი
 და პრეზიდენტი;
 ვინა თქვა
 გული უგრძობელი არის ტინით
 და თვალი
 შუშა,
 რომელსაც ვერ ამღვრავს დენაი.
 შენ მოხვედი და
 შემოვიდა სულში ანგოლა,
 შენი ანგოლა
 მეკოლზეთა და მესამეორა,
 მისი ხანძრების
 ამღვრეული კვამლია გამბოლა
 და ძველ ჯარისკაცს
 ცეცხლი მკერდზე კვლავ მუამბორა,

ჩემს თვალწინ ჰქუნან
 ჩემთვის არც თუ შორი ფრონტები,
 სულშიც,
 სტრიქონშიც
 საგანგაშო რეკენ ხარები,
 ცეცხლში ჩამდგარი
 ცეცხლოვანი ქორიზონტების
 ქვეყნის ქარები მახანხარებენ.

შენი სამშობლო,
 ვარსკვლავების გზაზე შემდგარი,
 მჯერა,
 ჩაუსვლელ მზის ღიმილით დაისუფრება —
 დღეს შენი ხალხი,
 ასე მტყიცე,
 ასე მედგარი,
 სწფვრს დიდ პოემას
 სათაურით:

თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა.
 პოემა ესე იწერება მარტოდენ სისხლით,
 არ იზომება იგი სისხლი
 ორიოდ მისხლით.
 განოვილიათ ასე მწველი,
 ესოდენ ძნელი,
 თითხმეტი წელი,
 შიმში ბრძოლის თითხმეტი წელი.

ძნად პოეტო,
 ხალხს უბრუნებ ხალხის მოცემულს
 მის ბრძოლას უძღვინ
 შენი გული და შენი ნიჭი.
 (მე ჩვენს დიდ ომში
 მივუძღოდი მხოლოდ ოცეულს,
 ჩემი ოჯახის,
 ასე მცირის,

გაძლოლაც მიჭირს),
 დღეს შენ სალექსოდ არ გცალია,
 შენი ლექსებიც
 ბრძოლად გასულან,
 ხალხს უპყრია ხმალად და ფარად,
 მართალ გულებს რომ
 რწმენის ცეცხლად დაეკვებება,
 ლექსი სიცოცხლის მსახურია
 მარად და მარად,
 ლექსის საწყისი
 სიკეთეა და სიყვარული,
 სული ბოროტიც
 მისთვის ებრძვის გაკაპასებით,
 სიმღერა თვითონ სიმართლეა,
 სინათლე სრული,
 მაგრამ...
 ვაი რომ ლექსებს წერენ შაპ-აბასებიც,
 შაპ-აბასები
 ჩვენს დღეებსაც
 გამორვეიან,
 ვის უმიზნებენ
 დაგესლილი სტრიქონის ისარს?
 მაგრამ კეთილ გულს

ცეცხლი როდი გამოლევია.
 მართალი ლექსის ნადგერდალიც
 ამძლავრებს მის ალს.
 იმ ცეცხლის შუქზე
 შენც გხედავ და შენს ხალხსაც,
 ნეტო,
 და მე ჩამეხმის
 უმძლავრები
 ხმა ტამტამების.
 ...მე წუხელ თავი
 კვლავ შემართულ ჩახახზე იდო
 და გაემურა დენთის მღვრიე
 კვამლს წაშწამები.
 გულში ბრძოლის და
 გამარჯვების ლექსი მღეროდა,
 ფეხქვეშ ბორკილი იმსხვრეოდა,
 ვით მყიფე შუშა...
 პოეტ პრეზიდენტს
 ძმას გეძახი საქართველოდან
 მეზურგე,
 მემინდერგე,
 ჯარისკაცი
 და ლექსის მუშა.



გეგმობრობის ცინსარტყელა

რამდენიმე თვეა ტელევიზორის ეკრანზე უჩვენებენ ჩვენი განვლილი შემოქმედებითი შრომისა და ცხოვრების ბიოგრაფიას. იცვლება ფურცლები წიგნი, რათა მკითხველისათვის გაეჩვენებინა ზოგი რამ, რაც თავის დროზე შევნიშნე და აღვწერე. ალბათ, ჩემს ხალხს ამ ნარკვევიდან ზოგა რამ მოაგონდება და ზოგს კი ახალს გაიგებს.

მიცვალებული ენოში, ბებერი ქადრის ჩრდილში ცხოვრობდა. ცოლი მოთქმით დასტირდა თანამეცხედრებს.

— ამბავო, ჩემო უბედურო ამბავო, ეს რა გეჩქენი კაცო! ვისი რედიო დაგვტოვე! სად მიდისარ, თუ იცოი საკმედი იქ არ გექნება და სასმელი. გზა იქ არ არის და კვალი, ხინათღე და სიმართლე. იქაც გაქარვებაში და ხილატაყეში უნდა იცხოვრო, შე ხაცოდაყო..

გახვინებზე მოსულთა შორის შრომის კოლმეურნეობის თავმჯდომარე მახაკო ორაგველიძემ და მისი მოადგილე ბენია აბულაძეც იყვნენ. მათ შინათ გადახედეს ერთმანეთს.

— რაა ფიქრობ, მახაკო, ჩემს კოლმეურნეობაში ხომ არ მოახვენებენ ამ ცხოვრებულს?! — ჰკითხა ბენია აბულაძემ თავმჯდომარეს.

ეს ხუმრობა არ იყო. მიცვალებულთან არ ხუმრობენ. ასეთი ღარიბ-ღატაკი, უგზო-უძველი იყო მაშინ მახარაძის რაიონის სოფელ შრომის ორგანიზაციის სახელობის კოლმეურნეობა. აქ შეიდა წოდებულმა ათი თავმჯდომარე გადაირჩიეს. მახაკო ორაგველიძე შეთირთმებტ თავმჯდომარე იყო ასეთი კოლმეურნეობა დახვდა 1988 წელს ჭერ კიდევ ახალგაზრდა კაცს, მაგრამ უკვე საქმეში გამოცდილება და გამოცეკობა.

ეს კოლმეურნეობა და ეს სოფელი უცხო არ

იყო მისთვის. აქ დაიბადა და აქ გაიზარდა. მიხაკოს თაოსნობით ჩამოყალიბდა აქ კოლმეურნეობა 1981 წელს. კარგად იცნობდა თანასოფლელებს, შრომის ერთგულ, პატიოსან ვლებებს. ბევრი მათგანი მხარში ედგა კოლმეურნეობის დაარსებისას, ესმარებოდა დაერწმუნებია ისინი, ვისაც არ ჰქეროდა კოლმეურნეობის დიდი საქმის, მისი ხიყეთის, რომ მხოლოდ კოლმეურნეობა შრომის შედეგად შეეცავა გლეხის დუხნარი ცხოვრება არც ისე ადვილი იყო ამ წლებში გლეხის ძვალრბილში გამქდაჩი კერძომთხაკუთრული შეგნების შეცვლა. მაგრამ მიხაკო ორაგველიძემ და მანმა შეგობარმა კომუნისტებმა შესძლეს ეს. ახლა კი იმ წინა თავმჯდომარეებს იმ შეგობრებისათვისაც გატეხათ გული, ჩამოცეკლებინათ თავიხივე შექმნილი კოლმეურნეობისათვის.

„მათი იმედი მქონდა. გადავწყვიტე, მომენახა ისინი, მაგრამ მწელი აღმოჩნდა გატეხილი გულის გამოქელება, დაქარგული რწმენის აღდგენა“.

კოლმეურნეები მუშაობდნენ ერთგულად, ძალ-ღონის დაუშურებლად, წილებზე ფეხს იდგამდნენ. წლის ბოლოს კი ცარიელზე რჩებოდნენ. შრომადღებს კი უწერდნენ, მაგრამ შრომადღეზე იმდენს აქლევდნენ, სული ძლივს გაქონდათ.

რა უნდა ექნა ახალ თავმჯდომარეს, რითა დაერწმუნებია ისინი, რომ წინა თავმჯდომარეობით არ დაუქარგავდა საშრომს. მოსვენებას არ აძლევდა მიხაკოს გამრჩე გლეხის, კირილ მუდანაძის სიტყვები. კირილს მახარში ძროხა ეყიდა. საღამოს გამყიდველის ნაქები ძროხა რომ მოუწვევდა, თხაზე ნაკლებია რძე მოსცოდა.

— კირილ, გაევიე ძროხა გყივიდა, მაგრამ ამბობენ, ცოტას იწველისო, — უთქვამს კირილსათვის ბრიგადარს.

— შერე შენ რა, ნენა!

— რა და კარგად აქამუ, მოუარე, — გაუცინია ბრგვადირს, — და ბერს მოიწველებს.

— არა, ნენა, — გაუწევია თავი კირილებს, — ასე შატრუბდით შენ და შენი თავმჯდომარეები შეიდი წელიწადი, კარგად იმუშავე და შრომადღისას ბევრს მიიღებო. ახლა შრომას მაინც არ მიაგვარებინებ თავს.

ასე ფიქრობდნენ კოლმეურნეები. გვიერთა ამდენი დაპირება, მუქთად აღარ ვიშუშავებთო. თანდათან ჩამოშორდნენ კოლმეურნეობას. მოწყვი წესიერი ანაზღაურება და დავბრუნდები კოლმეურნიზაციაშიო, ეუბნებოდნენ ისინი მისაკოსს.

წინასწარ რა უნდა მიეცა ახალ თავმჯდომარეს კოლმეურნეობის ბედლებში თავივე ვერ გაიძღვდა კუჭს. მიცემას მაშინ შესძლებდა, თუ კოლმეურნეობას დაუბრუნდებოდნენ. იმუშავებდნენ: მაგრამ იმედგაცრუებულებს კოლმეურნეობის მტრები უფრო ადვილად იყოლიებდნენ. მიხაკო რამდელი ოქროს კოვზია. ისიც ისე მოურევს ქოსანს, როგორც სხვა თავმჯდომარეებიო. წლის ბოლოს ისიც ცარიელივ დაგვხვამო. — აქნებდნენ გლეხებს ისინი.

— მომეცი წესიერი ანაზღაურება და ვიშუშავებ, იშორებდნენ გლეხები.

— იმუშავე და მაიღებ, — ეუბნებოდა მიხაკო.

— მაგ ანესზე აღარ წამოვებებით. ჰეუ ვისწავლეთ, — გლეხები ზურგს აქცევდნენ მიხაკოს.

ღამაში სიტყვებით და დაპირებებით ვერ დააჭრებდა მათ თავმჯდომარე. რჩევის საკითხავად იმ კომუნისტებს მიმართა, კოლმეურნეობის დაარსებაში რომ ესმარებოდნენ.

გაუხარდათ მათ. კიდევ ვუყოფილვართ საქობროყო. ისიც რჩევა, დარბაჯი, დააბეძებს, დახმარება აღუთქვებს. კარგად იცნობდნენ მიხაკოს და დარწმუნებული იყვნენ გაარამებდა თავს საქმეს.

მიხაკომ მეორე დღეს ბრგვადების წახევარზე შეტო ვაანთავისუფლა, ისინი ღოსები, უფულონი იყვნენ, საზოგადო საქმე თავის საქმედ ახიანდათ. დაითხოვა სოფლის ფერწადი, ქანწორი და სწეულს ყველას ტრანსპორტ რომ აძლევდა უაღბ ცნობას.

კოლმეურნეობის საერთო კრებაზე გადაიჩინა ვამკეობა. ყველა დამკენილებას და ვადამწებებლებას კრებას უპარჩმებდა. „ავადმუცლები“, ფერწადის ცნობას თავს რომ აფარებდნენ და სამუშაოდ არ გამოდიოდნენ, ახალმა ვამკეობამ კოლმეურნეობიდან გააიციხა და საკარმიდამო საკეთიო შეუმცირა.

არავინ ელოდა, რომ ახალი თავმჯდომარე ასე სასტიკად მოქმედებდა თანასოფელიებს, ნათესავ-მეზობლებს. ასეთ სისასტიკეს საქმე მოითხოვდა, საზოგადო ინტერესი მოით-

ხოვდა და აქ მიხაკო ორაგველივ დგებდა. მისაკოსს სავ არ მოერიდებოდა.

ვინც დაუჭრა და ვამკეობა, მისთვის თავს არ ზოგავდა. თუ ასეთი კოლმეურნი ავად ვახდებოდა, პირველი დგომონ შიკოთხავდა, ექიმს მიუყვანდა, თუ ვინმე გაჩაღიყვებოდა, მისაკო იყო პირველი ტირისფუალი.

ქორწილში, ღმინში თავაცოცოთ ტრიალებდა. თამადად ყოველთვის მის ირტევდნენ. უარს არ ამბობდა, იმიტომ კი არა, რომ ღმინო უყვარდა, ან პატვიმუყვარე იყო. არა, თამადობასაც საქმისათვის იყენებდა: ვინც კარგად მუშაობდა, ჭერ იმის სადღეგრძელოს დაღვედა. ვინც ყალბამანდობდა, იმისას ყველაზე გეან იტყოდა. არ ვალანძვავდა, მაგრამ ქარავმულად ვადაპკრავდა, ვაკლავდა ცუდი მუშაობისათვის.

ხალში ხუმრობდნენ: თავმჯდომარეს ქორწილი და ღმინი საწარმოო თაობარად მიანწეაო. ყველას მოსწონდა, ყველა მადლიერი იყო მიხაკოსა.

ასეთი სადღეგრძელები თავის საქმეს აკეთებდა.

შეუშინებლად, დღით-ღამე მკვიდრდებოდა თავმჯდომარესა და კოლმეურნეებს შორის ურთიერთ წაღობა და პატვიმუცობა.

რამდენიმე თვეში მიიხზო ვულგატეალი, რწმენადაკრგული გლეხები. იწაშეს ეს შრომის მოყვარე, საზოგადო შრომისათვის თავგადადებული კაცი, ვულმარათალი და კეთილი, ოდნავ მოჭუტული თვალებით, რომლებშიც, როგორც სარკეში ისე ხედავდნენ მის ახალ სულსა და გულს.

* * *

კოლმეურნეობის დაარსებას პირველი წლებიდანვე დაიწყო საქართველოში ჩაბნა და ცოტრუსოვანთა პლანტაციების გაშენება. ამ საქმეს მაშინ ბევრი მეთრნიე მუყავდა.

მიხაკო ორაგველივს მთლად ნათლად არა, მაგრამ საქმად კარგად მქონდა წარმოღვენილი, რა პერსპექტივა ექნებოდა დასავლეთ საქართველოს სოფლის მეურნეობაში ჩაბნა და ცოტრუსოს მეურნეობას.

უნეს სოფელი შრომა (მახ წინათ მიქილ ვაბრიელი ტრქვა და შეშეღე შეუცვალეს ხანელი) ტუითა და ჰაობით იყო დაფარული. ციება მუსის ავლებდა ხალხს. არ ყოფინდით მიწა, ვლენი მხოლოდ მიწინდა და ღობინი იწვედა ამ მიეარე, შწირ სიწაზე. იმდენ სიმინდს იწვედა, რომ მეორე მოსავლის აღებამდე სული ხელით ეჭირა.

ჩაისა და ცოტრუსოვანთა მეურნეობა შესცვლიდა მის ღარიბ და უქულმართ ცხოვრებას.

ჩაის პლანტაციების რაც შეიძლება მეტი შექტარება — ეს იყო მიხაკო ორაგველივს ფქტი, რაოონს ჩაის სექციის თავმჯდომარედ

ყოფნისას და შემდეგ მტ-ის დარქვითრად მუშაობისას. ამიტომ იყო, რომ ახლმა თავმჯდომარემ შრომაში მახვილის პირველი დღეიდანვე, კომპიუტერების ჩაბნ, ღიშონის, ფორთოხლის, მანდარინისა და ტუნგოს პლანტაციების შესისა.

აქ ქირადა უკლებლად მუტად ჩაის ბუნებები და ციტრუსების ხეები ეკალებად მთებში, გვიმრა შედგომოდა. მხელი იყო წილობით გალაბრული პლანტაციების მოსულიერება, მაგრამ მუყაოში შრომაში, პლანტაციები ნელა, თანდათან მოახდდა, ფერ-ხორცი შეუცვალა, ნაყოფი გაუწარდა.

ჩაის ბუნებშია იმდენი დუფი დაიუარა, კრფას ვერ აუფიოდენ. შერჩეობები დიდი და პატარა, ქალი და კაცი დღედაღამე კრფდნენ ზღვასათვის მოსულ ფოთოლს. მოსვენება რა იყო, არ იცოდნენ. იცოდნენ, რაც მტე ფოთოლს მოკრულდნენ, მით უფრო ხვავიანი ვახდებოდა მათი შრომადლის საფასური. ხედავდნენ, ეს თავმჯდომარე არ ჰგავდა წინა თავმჯდომარეებს. იგი არტელის ინტერესებით, ხალხის ინტერესებით, სახელმწიფოს ინტერესებით მუშაობდა და ცხოვრობდა.

თავმჯდომარეობაც დაინახა, რომ კომპიუტერითა უმარავლებსოა იმ ველით დაიწყო მუშაობა, წახალისდნენ, ფრთები შედნათ, უკეთ იწყეს ცხოვრება, თავიში სინათლე ჩაუღვათ, გულში სიხარული.

მიხაკომ გადაწყვიტა ხალხში გამოეტანა იმ მტრითა და მეციტრუსითა თავდადებული შრომის ამაღლა, ვინც თავისი საქმით სხვებს მავალითი უტყენებდა. პრესაში უნდა გამოეტანა მათი პაპუისხეველობის წმინდა კაჩნობის ამბავი, მაგრამ მამინ შრომის კომპიუტერებისა, ჩამორჩენილს, სახელგატყბილს, კორესონდენტებმა და ეურნალისტებმა სათიფრებ არ ეყარებოდნენ. ჩამორჩენილ კომპიუტერებზე იმ დროს არ წერდნენ.

თავმჯდომარემ თვითონ დაიწყო ამ მოწინავე ადამიანებზე კედლის გაწოთში წერა. აი, ისინი, დღეს საქვეყნოდ ცნობილი შერჩეობები — ტატანა ჩხაიძე, ელენე ხელაძე, ანა მუკავანაძე. წინა კვანძი და წინა პაბელია. შემდეგ ეს ქალები სოციალისტური შრომის გამოტანა გამოდნენ.

იმ წელიწადს კომპიუტერების იმდენი ფულადი შემოსავალი მიიღო ჩაის ფოთლიდან, მიხაკო რაკვეცილიც კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ ჩაის ფოთლი, როგორც ხალხმა მას უწოდა, მართლაც მწვენიე ოქრო იყო. იგი იყო კომპიუტერების ეკონომიკის, კომპიუტერითა შრომადლის მაღალი დირებულებების წყარო. რაც უფრო მეტ ბექტარებზე გაშენდებოდა ჩაის პლანტაციები, მით უფრო წინ წაწევიდა საქარველას სუბტროპიკული რაიონების საქმიე, კველას საზღვარგარეთიდან იმდენი ჩაის

შემოტანა აღარ დაჭირდებოდა, აღარ დაჭირდებოდა ვაფუტის — ოქროს გადახდა.

„გადაწყვიტე, რაიონის ხოლმის მეურნეობის განუყოფილებს ზეირ ზეინთვის დაგვემძილი სამი მეტროს ჩაის პლანტაციის ნაცვლად, თხუთმეტ ბექტარზე გამეშენებია მწვენიე ოქროს პლანტაცია, მაგრამ რომელი ფულით, რომელი მუშახელით? ამ საქმეს რომ სუტაქრ მეტი შრომა და სახსარი დაჭირდებოდა, რაც არა მქონდა, რა მიმეცა კომპიუტერისთვის. ჩაის ბუნები ხომ გაშენებიდან რამდენიმე წლის შემდეგ იმდენა მოხავალს. გადაწყვიტე, საბრძოლველსაგან კრედიტი ამოღო და ეს ფული მიმეცა კომპიუტერისთვის შრომადლენე, მაგრამ რაჩაიარად. ამის უფლებმა არ მქონდა, ეს დანაშაული იყო. არ შეუუშინდი ასეთ „დანაშაულს“. სუტაქრ მეტი კრედიტი ავიღე და შრომადლენე ცხრა მანეთი დავაარეგე ვახსავე.“

- რას სჩადისარ, მინაკო ეს ხომ დიდა რისკია?!
- დიდ საქმეს რისკის არ ემინდა!
- ეს ხომ დანაშაულს უდრის: არ გეშინია?!
- მე დავისკები, კომპიუტერითა და სახელმწიფო მოგვეულო დარჩება.
- კარგად დაუჭირდი, მიხაკო.
- ასქერ დაუჭირდი და აქწონ-დაქწონე.
- შენ იცი“.

მიხაკომ იცოდა, რასაც აკეთებდა. ამიტომ არ დაუჭირა მეგობრებს, ახმანებებს, გამგობრების წევრებს, რაიონის ხელმძღვანელების გაფრთხილებას.

„თხუთმეტ ბექტარზე გავაშენეთ პლანტაცია, ამ რისკმა კომპიუტერების სიმძლავრე ერთი ხუთად გაზარდა. უფრო მეტად წახალისდნენ კომპიუტერები. თუ ერთგულად იმუშავენ, საზოგადო საქმეს პარად ინტერესებზე მაღლა დააყენებ, „ჩვენ“ და „ჩემი“ ერთი და იგივე გახდება, არ შეიძლება საზოგადოებრივი მეურნეობა, პარად კეთილდღეობის წყაროდ არ იქცეს.“

ჩაფიქრდნენ ის ვლებებიც, აქამდე კვლავ განზე რომ იდგნენ. ისინიც დაუბრუნდნენ კომპიუტერებისა“.

ეს არ მოეწონათ კომპიუტერების მტრებს. ერთხელ, ალიონზე, მიხაკო რაკვეცილიც პლანტაციაში წახსველლად რომ გამოვიდა ოლიდან, ჭიშკარზე შემოღებულა წერაღი დაინახა. კონკრეტზე კუბო ენატა სწრაფად ვახხნა კონკრეტი და წაიკითხა: „მიხაკო, თუ ხამ დღეში არ წახლუბარ სოფლიდან, მერე შენ თავს დააბრალე“.

თავმჯდომარემ წერაღი ქაბეში ჩაიღო. წინ არ გაამხილა, ჭიშკარი ვახსურა და თითქოს არაფერი მომხდარაო, პლანტაციაში გაემუშრა. სადამის გამგობრის წევრები შეტრია.

— ეს დარწმუნარ — ჰიბითა მათ.



— დაინახე, მიწასთან გასწორებული კოლმეურნობა ფეხზე დავადგეთ. — დაიწყო პატრონგანაცხადის მდივანმა ვახო ხაშირიაძემ.

— მე ვიცი, ვინ დაწერილი იქნება, — არ აცალა სიტყვის დამთავრება მდივანს, მოუხვეწარმა და ფიცსა ბენია აბულაძემ.

მიხაკო ორაგველიძემ არ დაუყოვნა, იმ დღეს შუალამისას მიადგა კარზე წერაილის დამწერს. ამ ოთახის კარზე დააკაკუნა, ხადიც სახლის პატრონს ეძინა. ფრთხილად დააკაკუნა, სხვები რომ არ გაეღვიძებია.

— რომელი ხარ?! — მოისმა ოთახიდან გატყრებული და ნაძინარევი ხმა.

— სტუმარი ვარ.

მასხინძელს ხმა ეცნაურა. კარის გაღება შეეფურცა. არ ჩქარობდა, მაგრამ გარეთ თამამად გამოვიდა. მთვარის შუქზე გაფითრებული ხანდა.

ერთ ხან ჩუმად იდგნენ პარისპირ.

— დაუპატარებელი სტუმარი არ მიყვარს, მიხაკო, — დაარღვია დუმილი მასხინძელმა და მუქარით შეხედა თავმჯდომარეს.

— დაუპატარებლად არ მოყვლვარ, — ჭიჭურ მასხად ორაგველიძემ და კონვერტი გაუწოდა.

— გულადი უფილხარ, — მწარედ მიღიმა მასხინძელს.

— კუბო ვის დახატე? ხკოლში ხატვა არ გებრახებოდა.

— მოკლედ მოსჭერი, მიხაკო!

— დეინო ვაქვს? — ჰკითხა მოულოდნელად თავმჯდომარემ.

— ჩემთვის არასოდეს შემოგთავაზებია ღვინო.

— ზღმომჭერილი კაცი რომ არ ვარ, კი იცო, — უახხა მიხაკომ.

— შენს ღვინოს მიანიც არ დავლავდი.

— მე კი დავლავ შენს ღვინოს, — მოუგო თავმჯდომარემ.

— მაგარი ხეში ღვინო, წაგაქცევს, — უთხრა ღვარძლიანად მასხინძელმა.

— ვნახოთ, — მშვილად მოუგო მიხაკომ.

მასხინძელი მარანში წარუძღვა. ღვინის დამთრობელი სუნით იყო დაზანული მარანის გრილი ჰაერი. მასხინძელმა ქრაკი აანთო. ნელ, მთროლოვარე შუქზე ნაირფრად აბრჭყვიალდა კედლის გასწვრივ ჩამწკრივებული წითელი ღვინისფერაღურული კოცები და ღოქები, საწინაბელი, კუთხეში მიდგმული გიდელები და კალათები.

კუბოს თავზე ჩამოსხდნენ კველაზე.

მასხინძელმა ტაბაქზე მდგარი ღვინის კიქები გაიწეა გაიწია. ორი დიდი კოპე ღვინით გაავსო და სტუმარს ერთი წინ დაუდგა.

„ღვინას ვისხვდი. არ მასოვს ჩამდენი დავლავო. ღვინო ორივეს მოგვკობდა. მარიალაც მაგარი იყო ის დავლავი. გულდაზღვდა, მო-

უტიდებლად ველაპარაკებოდი ერთმანეთს, მასხინძელმა ორი მისი თანამოწიარს გვახდენდა დასიმადა. იმიტომ კი არა, რომ შეშინდა. არა, ასეთი რკინიხაგან არ იყო ნაკლები. ჩემმა წრფელმა, მართლმა სიტყვამ გაუბნა გული. დაინახა შუალამისას უიარაღოდ, მარტოდმარტო იმიტომ მივედი, რომ კარგი მინდოდა მისთვის. იმვე, კუბოს თავზე სპივე სხვადასხვა ბრიგადაში გავანაწილე. იმ დღეზე უნდა დავწყოთ შეშობა... წინ ორი სავსე ხახვის გვედგა. მასხინძელმა ღია კარიდან ცას ახედა. თენდებოდა. აღარ დავალა კოპე. მე კი ძარამდე დავალე. არასოდეს არ მხამოვნებია ასე ღვინო. მოვხარე კაცო, ცუდ გზაზე რომ იყო დამდგარი. შეშობაში წარმატება ვუსურვე. ახედავდი ცალკის ჩვენი საერთო საქმის მტერი-მეტი, ვუთხარი და ცარიელი კოპე გადავბრუნე. მერე ტაბაქზე დავდგო. იმ დღეს ქვეყანა ჩემი მგონა, ისე მიფრინავდა გული“.

რამ მიყვანა იმ შუალამის მიხაკო ორაგველიძე კაცთან, სიკვდილით რომ ემუქრებოდა?! არა სახელის მოპოვების, თავის გამოჩენის სურვილმა. გზის ადგილი ადამიანის ბედმა, კაცობოყვარებობამ, საკოლმეურნეო წესილების ერთგულებამ — საზოგადოებრივი საქმისადმი თავდადება.

* * *

გაკვია ოვები.
წლის ბოლოს, შვიდი თვის წინათ დაშლულ-დაქცეული კოლმეურნეობა მილიონერი განდა. იმ დროს მილიონერი კოლმეურნეობა თითქმის ჩამოსთვლელი იყო საქართველოში. თვითონ თავმჯდომარეს არ სჭეროდა ასეთი სასწაულებს. არ იყო არავითარი სასწაული. იყო მტაცებელი დაარსებული ადამიანთა კოლექტივი-სჭეროდათ, თუ იმშუკებდნენ მონდომებით, რწმენით, საზოგადოებრივ და არა კერძობსა-კერძული ინტერესით, მათი საქმე წინ წავიდოდა.

ნუთუ ეს ის კოლმეურნეები არიან?! — უთხროდა და გაოცებას იყო მიხაკო ორაგველიძე. უველად უფროსი ახარება და აკოცება რომ იმ დღეებში დაუჭერეს, ქუთ ეძღვნა იმე განზე რომ იდგნენ დაიჭერეს იმიტომ, რომ თვეის თვალით დაინახეს; შრომაღლეუ II მანეთი განაწილდა, რომ ოჯახებმა რომლებსაც 1.000 შრომაღლე ქონდათ გამოუმეავებელი, ამდენი ფული მიიღეს, რამდენსაც წინათ მიიღეს ბრძოლა არ დებულობდა. დაინახეს, რომ კოლმეურნეობამ შრომაღლეუ მისზე მეტი გაანაწილა, რაც მათ საკარმიდამოზე მოიწიეს და ბაზარზე ივაჭრეს. დაინახეს და ბევრი ინანეს, აქამდე რომ არ დაუჭერეს თავმჯდომარეს ახლა თვე-თონ ეხვეწებოდნენ, კოლმეურნეობაში მივადეო.

კომლერტეობაში ორგანიზაციის მოხელე-მდე ძროხა წელიწადში 85 ლიტრ რძეს იწვე-ლიდა, ჰექტარ მიწიდან საშუალოდ 7 ცენტნერ ხიმიწეს იწვევდნენ და შრომადღეზე 1 მანეთსა და 85 კაპის ანაწილებდნენ. შვიდი თვის შემდეგ თერმობტი მანეთი გაანაწილებს.

მეორე წელიწადს შრომელთა კომლერტეობა სასოფლო-სამეურნეო გამოყენების მონაწილე გახდა. საქართველოს პავლიონის სტენდებთან ყოველთვის ბევრი ხალხი იყრიდა თავს. თავის სტაციებდა მოსკოვის ცის ქვეშ მოყოლილ ფართოხლით, ლიმონითა და მანდარინით დახუნძლული ხეები, ჩაის კორჩა ბუჩქები.

შრომელები დიდი ინტერესით ათვალიერებდნენ მომძებ რესპუბლიკების პავლიონებს, ეცნობოდნენ მათ აღწევდნენ.

აი, ისინი დიდი მანოს წინ შედგნენ. პანოზე გამოსახულია აზოვისპირეთის ველი ოქროსფერი პურის უნათ, ცხვრის ფართი, საქონლის ქოგოი.

— კარგად ცხოვრობენ. იტყობათ, აქ შრომა არ ეზარებათ, — უთხრა თავისი ჭკუფის წევრებს მიხაკო ორგანიზაციამ.

— ეიცვ დახარა, ვერ გაიხარა, ხომ გაგიგონიაო? — გამოელაპარაკა მიხაკოს პანოსთან მდგარი კომლერტი.

— ეს ანდაზა ქართველებსაც გვაქვს, — გულისმა უკრაინელ კომლერტებს ორგანიზაციამ.

— ეს ისეთი ანდაზაა, ძმობილო, უველა შრომისმოყვარე ხალხს ექნება. თქვენს სოფელს ხომ შრომა ჰქვია!

— თქვენ ხაიდან იცით? — შემოეხვივნენ კომლერტებს შრომელები.

— ჩვენ უკვე მოვასწარით თქვენი პავლიონის ნახვა. მდიდრულად ცხოვრობთ, ლამაზად ეს ურთოხლი, ეს ლიმონი, ეს მანდარინი, ჩაი, ექნება, ხილი, ფუტყარი. კარგი ხანაზე იქნება თქვენი სოფელი.

— უფრებს ვერ ნახვს კაცის თვალი, — მიუგო უკრაინელს ორგანიზაციამ, — ზამოლით, გვერდებში, — დაპატოვა უკრაინელი, ზელი ნამოსათვა, გაეცნო, — ერთი ნახვა ცნობა, ორი ნახვა — ძმობა...

უფრო ახლოს ნახვს, უფრო ახლო გაეცნენ ერთმანეთის სოფლებს, კომლერტეობებს და მუშაობას ბერსონის ოლქის გენინტესის რაიონისა და მხარაძის რაიონის ორგანიზაციის სახელობის კომლერტეობები. ორმა ნახვამ მართლა დაამოხილა ისინი.

გადაწყვეტეს თავიბი ცხოვრება უფრო მდიდარი, უფრო ლამაზი გაუნდათ, უფრო შინარისანი გაეხადათ. ამის საუფრესო საშუალება სოციალისტური შეგობრება იყო. მეგობრებმაც არ დაუოცნენ. ორ კომლერტეობას შორის, სწრაფად გაიშალა სოციალისტური შეგობრება.

სოფელ რაინოსა და შრომის მოყვარეებმა რაკოლებმა, ფერმებმა თავს იღვეს ვაზრდული სოციალისტური ვალდებულებები, როგონოელი და შრომელი კომლერტეობები ერთმანეთს უზიარებდნენ თავის გამოცდილებას, ცოდნას, მისწრაფებებსა და სურვილებს, უველაფერს, რაც ზელს უწყობდა მათი საქმის წინ წაწევას.

შრომელებს არ ანიებდათ რომ შეგობრებაში როგონელები აჯობებდნენ. ყოველნარად ზელს უწყობდნენ მეგობრებს. ასევე ეს მარბობდნენ შრომელებს გენინტესელები, ეს იყო შეგობრება, რომელიც ერთს კი არ აზარტებს, ორივეს აძლიერებს, აქეზებს და უფლიებს ათახებს, ქმნის, ბაღებს ახად აღამაინებს. ეს აღამაინები ადვილად ნახულობდნენ, ანაწილიდნენ, რჩევას აძლევდნენ, ესმარბობდნენ ერთმანეთს. დინჯად, დაწვრილებით, გულისყურით ამოწმებდნენ სოციალისტური შეგობრების ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შედეგებს და ხარისხს.

მაღე უკრაინელ და ქართველ კომლერტეობებს შავალითს სხვა კომლერტეობებმაც მიხაძეს, ერთმანეთი სოციალისტური შეგობრებაში გამოიწვიეს მოძმე რესპუბლიკების ბევრმა ხამეციერო დაწესებულებებმა, მეშახტებმა, მემადარელებმა, მშენებლებმა...

ნელა ირწევა შავი ზღვა ზურმუხტისფერ დილის ციხევეშ. წულის მოძრაობას მხოლოდ ნაპირზე შემოვლებული მისი თეთრი ქაფის არშია ამფდაეებს. ლურჯად კამაშებს ზღვის ზედაპირი.

ზღვას მხარაულად გადმოსცქერის სოფელი შრომა. კარგაა გვიანი შემოდგომა შრომაში. ამიტომ იწვევენ შრომელები წელიწადის ამ მშვენიერ და გულუხვ დროს სტუმრად უკრაინელ მეგობრებს.

სოფელში არ არის ხახლი, ხუფრა არ იუოს გაშლილი. დარეცვილია კარ-ფანტრები, იატაკები და კიბეები, დაველია ეზოები. ითვის სედებზე გამშულია ქანუხები და ქარაოსფერი ყურძნის აკიდოება. თავმობდილია ქვევრები, გზის ორივე მხარეს დობებებს შესახებ წამოცმულია ნარტერი უვადილები და ვარდების თაგულეობა ქეშპარითა მავიდაზე დოქიღვას, უანწები და ხილი ალავა.

სადგურ ნატანების ბაქანზე აღამაინის ტევა არ არის. უკან მოედანი მსუბუქი, სატვირთო მანქანებითა და ეტლებითაა გაკედილი. გაეშევაბი სახლებს სახურავზე და ხეებზე ასულან, რომ იქაღად დანახონ სტუმრები.

ნელა შემოარაილდა სადგურში ელშავალი, მოკლედ შიაკილა წვეთარი ხმით და შედგა. სტუმრებმა ბაქანზე ფეხის წამოღებმა ვერ მოახწრეს, რომ ვაკონის საფეხურებიდან მოიპ...



ცის მასხინდებში და ერთმანეთს აღარ ანებებდნენ, ერთმანეთს არ აცლიდნენ ღვაპარს.

სტუმრები თითქმის ყველა ნაცნობი იყო შრომელებისათვის. ზოგი იქ უკრანიაში გაიყვნენ, ზოგი აქ იყო რამდენჯერმე ჩამოსული. ერთმანეთთან პირად შეჭაბვრებაში იყვნენ ჩაბმულა. სტუმრებსა და მასხინდებს ერთი ხული ჰქონდათ, მალე გაგვით ერთმანეთთან შეჭაბვრებას შედეგები. გაგვით, რა ჰქონდათ ახალი და კარგი, ხალ უჭირდათ და ხალ უღიზნდათ, რაში ჰქონდათ მიღწევები, რაში ჩამორჩებოდნენ. რა დახმარება, ხელის შეწყობა კიდევობდათ.

ხადგურის ბაქანზე დაწვებულა საუბარი გზაში, სოფელში ჩახვამდე არ შეუწყვეტიათ და გვიან ღამეშივე გაგრძელდა. მერე ერთმანეთს ცდილობდნენ, არა ჩემთან გაათევენ ღამეს სტუმარი, არა წებთან.

შეორე ღღეს უკრანიაში პირველ რიგში „მეგობრობის პლანტაციის“ წარუყვანეს. ეს პლანტაცია გენიერსკელებისათვის გამოიყვანეს რამდენიმე წლის წინათ შრომელებმა. იქ მოკრფილი ღვინო, ფორთოხალი და მანდარინი ყოველ შემოდგომაზე ეგზავნებოდათ მეგობრებს.

სტუმრებს აღტაცებისა და გაკვირვების საზედარი არ ჰქონდა, პლანტაციაში რომ შევიდნენ.

— უფთხ სხვა ბებებსაც ასე ასხია? — ჰკითხა უკრანიაშია ქალიშვილიმა ალექსანდრა საროკამ სოციალისტური შრომის გმირს ტატიანა ჩხაიძეს.

— არა. — გაეღიმა ტატიანას და ამ დღიშია ათქვამს გახალგაზრდავია მისი მშენიშობილებული სახე. — შობილად მეგობრობის ბებებს აქეთ ასეთი მაღლი, ისინი ისხამენ ასე უბიად თქვენთვის.

— მესტუმრები, ტატიანა? — გაიყანა საროკამ.

— ახა, დაითვალე რამდენი ასხია თქვენი პლანტაციის ბებებს და აგერ, ამ ბებებს, — ტატიანამ ეშმაკური დღიშიათ შეანათა ბრდღვალიათ თვალემა შეგობარს და მოიჩქნე პლანტაციის ბებებს მითითათ.

— თომე! ამას რა დაითვლის?! — შეშინდა საროკა.

— ასევე ვარუშოშელია ჩვენი სიყვარულიც, მიუჯო ტატიანამ საროკას და ხელი მოჭია, — ამიტომ ყუველით ასე ერთგულად ამ პლანტაციის და აი, როგორ ვარუშებს ბებებმა მეგობრობისათვის ვარუშული შრომა.

„მეგობრობის პლანტაციის“ დათვლიერების შედეგად სტუმარ-მასხინდებებმა საქმიანი საუბარი გააბებ. როდენივეებმა სოციალისტური შეჭაბვრების ახალი ხელშეკრულების დახადებულ

იყვნენ ჩამოსულიები. შრომელებთან უკრანია ერთო კრებულაზე უნდა განხილათ ხელშეკრულება და ემსწეული იმაზე, რა იყო საჭირო მასხინდების, რომ კიდევ უფრო განმტკიცებულყო, ამაღლებულყო მათი მეურნეობა.

უკრანიალებმა იცოდნენ, რომ ყველაზე სუსტი და ჩამორჩენილი დარგი შრომელთა მეურნეობაში მეცხოველეობა იყო, რომ ისინი წლების განმავლობაში თავს ვერ არომევედნენ ამ დიდშინშენილოვან საქმეს, და ამიტომ პირველ რიგში მეცხოველეობაზე ჩამოვადეს სიტყვა მეგობრებს.

მეცხოველეობას შრომაში ჩეროვანი ყურადღებმა არ ექცეოდა. მეცხოველეობას თავის საქმედ არ სთვლიდნენ.

— ჩვენ სუბტროპიკული მეურნეობა გვაქვს. პარტია და მოავრობა ჩაის და ციტრუსს გვთხოვს, — ამბობდნენ ერთნი.

— ხალ ჩაის ბუნჭზე შრომაღღის ღირებულება და ხალ მეცხოველეობაზე! — კვერს უკრავდნენ მეორენი.

— ახლა მენიავს სახელი და დიდებმა აიღეს! — რა დისამალია, ადამიანი ქონებისათვისა და სახელმისთვის იღწევის. უსახელო და უქონებო შრომა ვერავინ მოხიბლავს.

მართლაც, მენიავს და მეცხოველესს საქმე უფრო დაჯანბნული იყო, ქალი და კაცია ის ეტანებოდა. ყველგან, ყველაფერში ისინი იყვნენ პატივისცემაში. მეჭოგე და მეღორე არავის ასხობდა. მათი საქმე ყოველთვის უკან იყო. ვის ენდობოდა ფერმაში მოშაობა? კოლმეურნეობის უმრავლესობა ფერმის მოშაობის მოთხოვდა, ტყვიად ვაცდნით მუშახელსო. სამართლის სასწრაო ერთი შეხედვით შესაქმნელების მოწინააღმდეგეების მხარეს იბრებოდა, მგერამ იმ კოლმეურნეებმა, რომლებიც საზოგადოებრივ თვალსაზრისით უფურცედნენ მეცხოველეობას, ფერმის მოშაობა მინც არ დაანებებს უმრავლესობას. მგერამ საქმის წინ წარუვას მინც არაფერი ეშველა: დიდი იყო კოლოგამ რძეზე დახარჯული შრომის მოცულობა და საკვების დიზრულებმა. კოლმეურნეობა ვერ ასრულებდა რძის დამზადების ვაგმას, ვერ ამზადებდნენ სახელმწიფოსათვის ჩასაბარებელი ხორცის გუგმასაც.

როდენივეებმა კარგად იცოდნენ, რა სამარცხვინო მდგომარეობაში იყო შრომაში მეცხოველეობის საქმე, და მის გულშემატკივრებმა არ იცოდნენ რა თვალით შეეხადათ უკრანიალებს-სათვის.

მარტოშობებულ მოწინააღმდეგეებს, მეცხოველეობა გულღდან ამორეცხილი რომ ჰქონდათ, ახლა ცაში მზე უბრწყინავდათ.

— ნახივენ უკრანიალები ჩვენს სამარცხვინო ფერმის და, როგორც მათ სწევით, მოუროდებლად ვერტყვიან თავის აზრს.

საქონელი
საქონელი

— თქვენ ამ საქმეში ხელს ვერ გაიმარ-
თავთ. თავი დაანებეთ, ჩიხსა და ცატრუსების
პლანტაციებს მოუარეთ. ისაა მთავარი და მთა-
ვარი თქვენი ღარგა.

— მწვანე ოქრო ვაჭირავთ ხელშე. მიღეკით
და კრავთ ის დალოცვილი.

— ისე ვუტყუიანო, ვარაუდობდნენ მოწინა-
აღმდეგეები, სტუმრებს ფერმისხაცენ რომ მი-
აცილებდნენ.

სტუმრები ჯერ მიხლულებული არ იყვნენ
ფერმისთან, რომ რაღაც შეგრული ფაცხების
მსგავსი ბინები რომ შენდებოდა. გარშემო თავის,
ჩაღისა და ნაკეთის ზეინები იდგა. — „ნუთუ
საქონლის ბინებია?!“ — თვალბით შეგვათხ-
ნენ ერთმანეთს გაკვირვებული უკრაინელები.
კომმუნისტების თავმჯდომარემ გრიგოლ ლი-
ტოვჩენკომ ვეღარ მოიძინა და მიხაკოს ჰკით-
ხა:

— სად მიგვევართ, მიხილ ფილიპოვიჩი?
— ფერმაში.

— ეს ფერმის ბინებია? — წარბი ატერია
ლიტოვჩენკოს.

მიხაკომ უბერხულად დაუქინა თავი.

— შეუძლებელია, — შორს დაუჭირა გრი-
გოლ ლიტოვჩენკომ. არ დაიჭრა ნაბიჯ აუტო-
ქარა ესწრაფებოდა ენახა, მართლა საქონლის
ბინები აუო ის ფაცხები, თუ ეხუმრებოდა ორა-
გვამიძე.

სანამ ფერმამდე მივიდოდნენ, იჭიდან ძრო-
ხების ბლავალი შედგებოდა. მაშინვე მიხვდა უკ-
რაინელი, ქმუბი, სქელულგაშაინი, შუახანს გა-
დაცობებული ნოკია ბელჩენკო. რას ათხოვ-
და პირუტყვი. შუბლი შეიკრა, საფეფურით შე-
ხვდა მის გვერდით მამავალ ფერმის გამგეს, წიფ
თოიძეს.

— საყვებს თხოვლობენ ძროხები, ფერმა-
ში არადინა?! —

— ფერმაში კი არიან, მაგრამ საქონლის
ხაზლოში საყვები არა გვაქვს. — უთხრა ბელ-
ჩენკოს თოიძემ. — საყვები არ გველწის. რომც
გველწოდეს, ჰყენი ძროხებისათვის მაინც არ-
აშაა საყვების ძღომაზე მიცემა.

— რატომ?! — გაოცდა ბელჩენკო.

— კამის ფახად არ ღირან და იმიტომ, —
მშვიდად უღარღელად მიუგო თოიძემ.

— წილიწადში რამდენს იწველის ძროხა? —
ჰკითხა ახლა ფერმის გამგეს უკრაინელმა მწვე-
ლამა ფერა ჩურხინამ.

— ან ოც ლიტრს.

— უკრაინელებს ეგონათ, უფრო მოგვატყუაო
და ზოგმა უფრზე ხელი მოიფარა.

— რამდენს?! — ჩაუკითხა ჩურხინა ფერ-
მის გამგეს, — თხაჯე კი არ გვეთხოვბი, ძროხა
რამდენს იწველის?

— თხებში ჩვენ არა გვავს, — ისევე მშვი-

დად და უღარღელად მიუგო თოიძემ. —
საზე მოგახსენებთ.

სახტად დარჩენილმა ბელჩენკომ ჩაახე-
ლა თვითონ შერცხვა შრომელების მაგორად.
— მშობერი ძროხა მტის ვერ მოიწველებს, —
უთხრა მან ფერმის გამგეს.

— რაც არა გვაქვს, რა ვაქამოთ?

— როგორ?! —

— საყვები ბაზა არა გვაქვს.

— აა?!

— ღიბ, არა გვაქვს საყვები ბაზა. ძრო-
ხებს მარტო ჩაღისა და თევას ვაქმევთ. თევაც
არა გვაქვს საჭმარისი ყუბანიდან ჩამოგვაქვს.
იქ ვეიდუღობთ მამასახლად.

— ეს როგორ გამოდის?! — ჰკითხა როტნოს
კომმუნისტების თავმჯდომარემ ლიტოვჩენკომ
ორაგველიძეს.

— ისე გამოდის, — ორაგველიძის ნაცვლად
უხანუბა თოიძემ, — რომ ფერმა წილიწადში
ნახევარ მილიონ წაგებას გვაძლევს.

უკრაინელებმა ერთმანეთს გადახედეს.

— მართლა ასეა, მიხილ ფილიპოვიჩი?! —
ჰკითხა ისევე ლიტოვჩენკომ ორაგველიძეს.

— სამწუხაროდ ასეა, — უთხრა მიხაკომ, —
სათობი მინდვრები არა გვაქვს. სიმიდის ჩაღა
ჩვენი ძროხების ძობითადი საყვები.

— მარტო ჩაღით საყვები ძროხები ას ოც
ლიტრს რძეს რომ იწველიან არ ვეკვირთ, — მი-
უბრუნდა ჩურხინა თავის თავმჯდომარეს. —
რას ერჩით ძროხებს?! — ჰკითხა მერე თოიძეს.
— საყვები ბაზა თუ არ გქონდათ, რატომ
მოაწვეთ ფერმა.

— დაგვაჯღეს, გვაიძულეს.

— ეინ გაიძულა?! —

— ზევლან გვაიძულეს.

— არ იცოდნენ, რომ საყვები ბაზა არ გქონ-
დათ?

— როგორ არ იცოდნენ, — თოიძეს ოფლმა
ღაახა, მიხაკოს შეხვდა, რას ვარუშებულხარ
რატომ შენ არ იძლეე პასუხსო.

მიხაკო ორაგველიძე კრჭამურული იდგა.
— თუ იცოდნენ, რატომ დაგვაჯღეს?! —
არ ეშვებოდა ჩურხინა წიფ თოიძეს.

— ხაღბს რძე და ხორცი უნდაო.

— ნახევარ მილიონ ზარაღს რომ იძლევა
ესა თქვენი რძე და ხორცი?! ეს თუ იცაან
ზევათ.

— ისეც იცაან.

— ცუდი ანგარიში ცოდნათ, — ვერ მო-
თმინა გრიგოლ ლიტოვჩენკომ.

— ჩვენც მაგს ვაშობობ.

— არ გვაქვრებენ.

— არ გვიწადა ფერმა.

აღსაპარკედნენ ფერმის მოწინააღმდეგენი.

— ფერმა როგორ არ ვინდათ. ხაღბს რძე
სა და ხორცს ვერ მოაქვებ ბინებში შევიდეთ,

ენახით მწიერი ძროხები ჩანარად იწველიან
ას ოც ლიტრს.

სტუმრები და მასპინძლები საქონლის ბი-
ნებში რომ შევიდნენ, ერთ ხანს უყვლა — ქა-
ლი და კაცი თვალს არ ფერებდა, ჩუმად იდ-
გა.

ძროხები ისე გამბდრები იყვნენ, წყნებს
დაითვლიდი. ქარა ოთხივე კელლიდან უბრაყ-
და პარუტყვი ისეთი თვალით შეჰყურებდა მო-
ხულებს, ქვის გული რომ ჭკონოდა, მანც ავი-
ჩვილდებოდა.

■ — პარუტყვსაც აქვს ხული, — დარღუა
დუმლით ბელჩენკომ. — ასე მოვლიდი ძროხები
ას ოც ლიტრს რომ იწველიან, მართლაც საკ-
ვირველია.

— ქორა ქორს ჩეხს, ძეგა — ძეგაყუს.
ამ ეშმაკის ნაშიერებს, რაც უნდა მოუარო, მე-
ტა არაა შენა მტერი, მაგათ მადლი დაგიუა-
სონს. — გააქილია ერთ-ერთმა მოწინააღმდეგემ.

— თქვენ ვინდით თქვენ, — მობრუნდა
ლიტოვჩენკო იმ ენაშაქვთ კომპიურისსაკენ, —
მინც ძეგას ხახლებს გამოგვეცნო, — ბელჩე-
ნკო დღეაღმდეგ, ხუთს ძლივს იბრუნებდა. უნ-
დოდა რამე უყმები ეთქვა, მაგრამ სტუმარი
იყო და მასპინძელს ავ სიტყვას ვერ ჰკადრებდა.
მანც ვერ მოითმინა: — მე ვთქვი, საქონელ-
საც აქვს ხული-მეჰაჰი... არიან ადამიანები, არც
ხული რომ არ აქვთ და არც გული. ეს რომ
ასე არ იყოს, თქვენ ქორისა და ძეგას ამბავს
აქ არ გახსენებდით... — გაჩუმდა, მიიღე მო-
გონებების მწუხარებამ მოიცვა მისი სახე, —
გახსოვთ 1944 წელი? — შეხედა მასპინძლებს,
ქვა ქვაზე არ იყო დარჩენილი უკრანის მიწა-
ზე. ძმური ხელი გამოგვიწოდეთ მაშინ. რითი
არ დაგებმარეთ: ძროხებით, ცხენებით, ღორ-
ებით, ფრინველებით ვან მოხთვალის კიდევ რა
გამოგვიჩვენეთ, საცდლები, ღოჯიანის თეთრეუ-
ლი და წინდებიც კი. ძმა ძმისთვისაო, შევა
დღისთვისაო. მართლაც შეგი დღე იდგა ჩვენ-
თან მანც, — გაიღიმა: — წარუქარ ცხენს კბი-
ლი არ გაუხინებთო, მაგრამ იმ თქვენ გამოგ-
ზინდელ ღორებს ისეთი წვილით დინგა ჭკონ-
დათ, ბოთლიდან მარცვალს ამოაღებდნენ. ფერ-
ლები მწევარს მიუგავდათ. ახლა ნახეთ თქვენი
ღორებისა და ძროხების ნაშიერები. საქონლის
უნახავს გაგზდით. წველაღობა იყოხეთ, ხორ-
ცო იყოხეთ. თავი და თავი საქონლისათვის
მოვდა, კვებაა რომ რძე და ხორცი მოგვცეს.
წელან ჩვენ „მეგობრობის პლანტაცია“ რომ ვნა-
ხეთ, მოყვლიდი რომ არ იყოს, ასეთი ფერაანი
იქნებოდა ასეთ უჭე ნაყოფს მოიხსნა? — გა-
ჩუმდა, მიმოიხედა. ბნელ ფაცხას მხოლოდ კა-
რინად შემოსული ხინათელ აშუქებდა. არსად
სარკმელი. ნებსისა და ნაკლებს სწინ იდგა, —
სიბინძურება და სიცვიც რომ თავი დავაწე-
ბოთ, მარტო ხახნელე მოყვავს საქონელს, ამა,

ერთი თვე გააჩერეთ ის თქვენი პლანტაცია
ბნელში... საქონელსაც აქვს ხული, — გაიმეო-
რა ლიტოვჩენკომ.

■ — მაგ ვაუბატონმა ძეგების ამბავი თავის
პლანტაციაში თქვას, — დაიწყო სოციალისტუ-
რმა შრომის გმირმა, ცნობილმა მეჩაიემ კარლო
გორგილაძემ, — წინათ ჩემს პლანტაციაში ხა-
მის კალთვარამ წაის ფოთოლს ძლივს კრეფდ-
ნენ, ახლა შეიღ ათას კალთვარამ ვიწვეთ. ჭკა-
თხეთ, წოგს, რომ მივაღწევთ ასეთი დიდი მო-
ხაულის მიღებას მაგისთვის თავის პლანტა-
ციაც ძეგა, — მხახკო ორაგველიძეს შეხედა: —
მივცემ წივს ჩემს პლანტაციას, მე ფერაში
გაღმავალ. ერთი წლის შემდეგ ნახოს ეს ძრო-
ხები... ოღონდ თქვენ ხელი გაავამართეთ, —
მიუბრუნდა ბელჩენკოს, — თქვენა გამოცდილე-
ბა გაგვინარეთ, გვირწიეთ, მოგვემარეთ და
ჩვენ ამ ძეგებისაგან არწივებს გამოვცნათ. ვა-
და მივიყვანე ფერაში, მხახკო!

არავინ დაიქერა გორგილაძის თხოვნა: რო-
გორ, სახელგანთქმული მეჩაიე თავის საუფარდელ
საქმეს ტკეპებდა, რომელმაც შრომისა დიდება
შეუქმნა, მოუტანა უმაღლესი ჭილღო და ზღელ
კიდებდა ნაძარა, ჩამორჩენილ საქმეს რომლი-
საგან კაცმა არ იცის რა გამოვა?!

— კარგი სიტყვაა, — მხახკო ორაგველი-
ძის მაგობრად წიკატა ბელჩენკომ გასცა პასუ-
ხი ნოე გორგილაძეს, — მონდომება ნახევარი
საქმეა...

— რამ ვადავაწუვებით იმ საქმე, ამხანა-
გო კარლო? — ჭიათხა როგნოს კოლმეურნე-
ების თავმჯდომარემ გრიგოლ ლიტოვჩენკომ.

— მოვალეობამ, — იყო გორგილაძის მოკლე
პასუხი.

■ — თუ ვინდით მესაქონლეობასაც ასეთი
სახელი და ფახი ჰქონდეს თქვენთან, როგორც
ჩანახა და ციტრუბს, მტკივე საყვები ბაზა უნდა
შექმნათ. სახალისე სიმინდი უნდა დათესოთ,
ქარბალი, კარტოფილი უნდა მოიწიოთ. ჩვენ
ყოველწლიურად შევიწვთო ხელს — მესაქონლე-
ობის ფერმას ჩამოგიტანო და დაგვადგამო, ის-
ე შენობებს, სახახელ ვეგონებთ.

ყოველ მეგობრულ შენიშვნას და რჩევას
ეუბრებოდათ ისმენდნენ შრომელები: მათი კო-
ლმეურნეობის ნაჯელ აკრიტიკებდნენ და ამაში
მართალი იყვნენ. კარგ წინადადებას აძლევდნენ.
მოსწინდელი და დეჟუდოობდნენ.

როგორც კოლმეობიც ასეთე ყურადღებით უბ-
მენდნენ შრომელებს 1952 წელს. მათ მეგობარ
კოლმეურნეობის თვალწინდელე სტუმრებზე, სა-
დაც პურის უჭე მოხსავალს იწვევდნენ. ერთი ზე-
ერთი ბუჩქი არ იდგა — რატოა ეს? — ფა-
ქრობდა მანც მხახკო ორაგველიძე. — თუ აქ-
ვე, თავისი სტუმრებზე, სივარის ახლი, მცესო-
ველეობის საყვამირო ინსტიტუტი ასკანია-ნოვა
ბადებშია ჩაღწეული, ტყით არის შემორტყმუ-

ლი, რა დაშავებს როგორცღა შიწებშია, რატომ მოიძულა ადამიანმა ისე, რომ ერთი ხარბილიობელი ხეც არა დვას? რატომ არა აქვთ სოფელში ბადები და ვენახები? — ეს ფაქტი მისაკო ორავედილქმ ჯერ ქრიაოლ ლიტოვე-კრებს გაუზიარა, შემდეგ როგორცღა სერათო ქრებაზე გამოთქვა. ზოგმა მაშინ ნერგა მოიბა-ზენა, ჭვირიაო, შორიდან მოტანაჲ ვკვირისო, ბაღ-ვენახებისათვის ვერ მოვიცაღეთ, თორემ იყოცხლე, მაგის მადლი კი ვიციოთ. უხილოდ და უფაოთ აქამდე თუ მოვატანეთ, ახლაც არა ვკვირის რაო.

არ მოიწონეს შრომელებმა ზოგა კლდე-ურნის ასეთა აზრი. ნერგებს ჩვენ ჩამოვიტანთ უფასოთ, ჩვენივე ხელით გაგიშენებოთ. როგ-ნოველებს მოეწონათ მეგობრების რჩევა. მათი წახელის შემდეგ გზისაკენ იქირათ თვალი, რო-ღის ჩამოგვიტანენ ნერგებსო.

ახლა როგნოს რქაწითელის ვენახებში ისეთ ურძემს იწვევენ, მართლა გააოცებს კაცს. ის-ეთი ატმის, ვაშლის და მსხლის ბადებია გა-დამჭრული ამ შიშველ სტაებზე, გორელ კო-ლეგურნესაც კი შემურდება და კახელ მგე-ნახებსაც.

როგნოველების ხელს შეწყობამ მესაქონლე-ობის საქმეში, ისეთი შედეგი გამოიღო, რომ თვათ უკრანელები განცვიფრდნენ: 1933 წლიდან 1935 წლამდე ექსპერტ იმატა წველა-რობამ. თუ მანამდე ძროხა ას ოც ლატრს იწველიდა, 1935 წელს ათახი ლიტრი მოიწვე-ლა. „მეგობრობის ფერმის“ ძროხამ „მდედე-კამ“ — ოთხი ათახი ლიტრი, „ტანვამ“ ორ წელიწადში ოთხი ბზო მოიგო.

მეგობრობა და სოციალური სხვა დიდ საქ-ნესაც აკეთებს. აგი უფრო მეტად გაჭირებო-ნის ვლინდება: ასე მოხდა ომის შიმში წლებში, ომმა კიდევ ერთხელ დაგვანახა ხალხთა მეგო-ბრობის ძალა.

როცა ვაშისტემა გენიჩესკის რაიონს შე-ესივნენ, შრომელებმა ეს ისე განიცადეს, თით-ქოს მათ რაიონში შეტრიალყენენ. შრომელებ-მა არაფერი დაიშურეს, რომ როგნოველები-სათვის ხელი გაეშართათ. წერილებს უგზავნი-დნენ ვეკუარებულ როგნოველებს, მის ენა-ტეხებოდნენ. შრომაში ჩამოდიოდნენ მისიპ-ტლებიდან გამოწერილი უკრანელო ქარისკა-ციები.

1933 წელს შრომაში მისიპტალიდან გაწე-რილ როგნოველი ლეიტენანტი ნიკოლოზ ლა-ტერნტევი ჩვიდა. ქარისკაცად აღარ ვარჯივა-რო, ჩამოველი თქვენივე ჩემს მეორე სამშო-ბლოში, აქნებ რამეში გამოგადგეთო, — უბრა-ლოდ შრომელებს. შრომაში ლავრენტემა ბევრი ვეკუარებული თანასოფლელები ნახა. დედ-მა-მის ამბავი აკითხა. არანც არაფერი იყოლა მის შრომლებზე. მისაკო ორავედილქმ უკრა-ინელთა ფოსტის მთელი ღასტა წერილებიხა

ურწენა. ლეიტენანტს. ამ წერ-ებებს შრომელებს აგზავნიდნენ ქვეყნის სხვადასხვა მხარის გა-ფანტული როგნოველები, რომ აქედან გავეგო თავისიანების ადგილსამყოფელი. ლავრენტე-მა აქ ბევრა ნაცნობ-მეგობრის პარათები ნა-ხა. მაშინვე წერილი გაუგზავნა მათ, ჩემი შრო-მლებს ამბავი ზომი არ იციოთ. პასუხი მალე მოვიდა, თურქე მისი დედ-მამა კლმეურნო-ბის ფერმას გაუყოლოდნენ და სტაქრობო-ლის ოლქში საქონლის ფერმას უფიდიდნენ სხვა როგნოველებთან ერთად. შრომელებმა მა-შინვე გააგზავნეს შრომლებთან შეილი, მაგრამ მეორე ღღებს ლავრენტეობს მოხუცი მამა იანეე თეთონ ჩამოვიდა შრომაში. შეილის აქ უოფ-ნის ამბავი შეეტყო და სახწარაოდ წამოსული-ყო. შამა-შვილი გზაში აცდნენ ერთსაწეთს.

ივანე ლავრენტემა იმ დღეებდ დააბირა უკან გაბრუნება. აგი ფერმის მარტკობის მდო-ვანია იყო. თურმე ფერმის ოცა ოჯახი თვეზე მეტხანს შიმშილობდა, მარტკალი ხორბალი არ ჰქონიათ. შეწუხდნენ შრომელები, ღატ-რიალდნენ და რამდენიმე დღეში ხამი ტო-ნა ხორბალი შეაგროვეს. ზოგმა თეთონი მოი-ტანა თავის ოჯახიდან, ზოგმა ბაზარზე იყიდა, სხვამ მეზობელ სოფელში იხესხა. თვითონ და-ეკუბს. თვითონ შუაქრები უნდა დარჩენილი-ყენენ და მეგობრებისათვის გახაზავანად გაა-მზადეს. მაგრამ როგრო, რთო გაეგზავნათ სტა-ტროპოლის ოლქში? ნათქვამია, გაჭირებულთა კაცო ზღვაში გავაო. მალე მონახტ გამოხავა-ლი. ხორბალი მახარბის რაიონის „ზავოტ-ურნოს“, ჩაბარეს, რომ ხამაგიერო სტატრო-პოლის ოლქის რომელიმე „ზავოტურნოს“ მიეცა როგნოველ მეტოველებებისათვის.

ჩვენში ამბობენ, თუ კაცო გონიერია, სო-ფელი ღონიერიაო. მასხენდება 1965 წელი. მა-შინ შრომელებს შეადწლიანი ვეგმა ჰქონდათ და დიდი მიღწევები, დიდი ხაზლენი. ყოველ-თვის როცა რამეთი კმყოფილი ზარ, მთო-გონებ ყველაზე ახლოხელ მეგობრებს და შრომელებს არ შეეძლოთ იმ გზაფხულზე არ გაეხსენებინათ როგნოველი მეგობრები.

— მოდი, წერილი მიწეროთ ჩვენს უკრა-ინელ ძმებს, — წინადადება შემოიტანა ერთ-ერთ კრებაზე ტატანა ჩხაიძემ. — მიწერათ ჩვენი წარმატებები და ეს კიდევ უფრო მეტს გააკეთებინებს მათ, ჩვენც მეტს გავაკეთებთ.

ტატანა ჩხაიძის წინადადება ყველას მოე-წონა. დახედნენ და ბარათს წერა დაიწყეს.

„ძვირფასო მეგობრებო! შრომაში, რომელ-საც თქვენ „ჩვენ სოფელს“ უძახით, ჩვენ კი როცნო მიგვანჩია საკუთარ სოფელად, ეს ძა-ლიან ბევრის მებუველია, მამა არ იტყვის მშის სახლზე. ჩემიოთ, ჩვენ კი ერთსაწეთის სოფე-ლზე ვამბობთ ასე, აი რა დიდი მეგობრობა გვაქვს, რა დიდი მშობა გვაქვს ორ სხვადა-სხვა ხალხს, — ბარათს ტატანა ჩხაიძე წერ-

და, — წლებადღელ გაზაფხულთან ისეთი წარმატებებით მივიდეთ, რომ კომუნისმის გაზაფხული შევარკვეთ. შეიძლება ამან თქვენ დიდი მოგვარაოთ, იფიქროთ, აჩქარებულან ჩვენი შრომული შეგობრებით, ქრ ნაადრევია კომუნისმის გაზაფხულზე ლაპარაკით, მაგრამ ვანა ამ გაზაფხულს ჩვენ ვუწოდებთ კომუნისმის გაზაფხული? არა, ეს სიტყვა წამოიძახა იმ კომლემურნემ, რომელმაც ამ გაზაფხულზე ილემტრონის შუქი უფასოდ მიიღო.

— ამ კომლემურნის მამას, — სიტყვა ჩამოართვა ტატანა ჩხაიძეს შუახნის ჩაფაცვნილმა მამაკაცმა, შალვა ხომერტიაძე, — ბრაჰიცი არ ქონდა, შუადეცხელი იყო მისი ხანთელი. — ამ გაზაფხულებად ჩვენი სოფელი გარდა ილემტრონის შუქისა, გაზაფხუფასოდ მიიღებს, კინოსაც უფასოდ უჩვენებს. წინქვილიში უფასოდ დაუფუჭავს ხომინდს, ექნება უფასო აბანო, საპარკმახერო. კომლემურნეები ყანებსა და პლანტაციებში ცხელ კერძს უფასოდ მიიღებენ, ბავშვებს თერთმეტ საბავშვო მაგაში უფასოდ მოხუციან და აქმევენ...

— ამანაგებო, ეს ხომ მართლაც ნაბიჯია კომუნისმისაკენ, — წამოიძახა ვიდაცამ.

— ჩვენ მომავალში უფრო გრძლად ვივლით ამ ნაბიჯით, — ხანი მისცა სტეპამ.

— ამანაგებო, როვნიველები ხომ თავის შევიწლიან გეგმას ორი წლით ადრე ამთავრებენ ისინი უფრო გრძელი ნაბიჯით მიდიან, ჩვენ არ უნდა ჩამოვრჩეთ შეგობრებს, — სიტყვა აიღო პარტიკანისწავლის მდივანმა კუკურონი ჩანაბაძემ. — როვნიველების შრომითი სასწავლებელი არა ერთხელ ყოფილა ჩვენთვის მისაბაძი. ჩვენც უნდა დავამთავროთ შევადრული ორი წლით ადრე, ნაბიჯი უნდა გავუსწროთ მათ.

— საქართველო საბჭოთა კავშირში ჩაისძირითადი შრომობები ქვეყანაა. — შეაწყვეტინა სიტყვა შეგობარს კარლეს გორგალაქემ, — საქართველოს კომლემურნეობები და საბჭოთა მურნეობები ჩვენს ქვეყანას ჩაისძირადუქციის მდ პროცენტს აძლევან. ეს არ ჩასწერო ტატანა წერტილი, — უთხრა ჩხაიძეს და ვანაგრძო: — მაინც ვიტყვით, ჩაის მურნეობა რომ არ გვქონოდა, ამ ნაბიჯს ჩვენ სხვებზე ადრე ვერ გადავდგამდით, ვერც როვნიველები გადავდგამდენ იმიტომ, რომ ჩვენთან შეკიბრება, ჭრთიერი დახმარებამ და ხელის შეწყობამ მოუტანა იმთავც ეს წარმატება...“

• • •

კობა წარსულის მოგონება. რა ქმონდა კომლემურნეობის შეცხრე ზოუწლებში და რა აქვს მეთვე ზოუწლებში ახალი? რას მოაღწევს შეცხრე ზოუწლებში და რას უნდა მიაღწიონ

მეთვე, დიდი ოქტომბრის სტყობატირეკვალუციის მდ წლის იუბილესთავის?

ხშირა სტუმარი ვარ ორივე კომლემურნეობის და ყოველ ჩაგვლისას მოცებს მათი საქმე. ყოველ ჩაგვლაზე რაღაც ახალი და მოულოდელი მიხედება მათ მუშაობაში.

თუ 1965 წელს შრომებმა 1500 ტონა ჩაის ფოთალი მოკრიფეს, მეცხრე ზოუწლებში — 15288 ტონა. ვანა ეს საწაულებრივი ნახტომი არ არის? ახეთივე წარმატებები ჰქონდათ ფორთოხლის, მანდარინის, ლიმონის, ტუნჯოს, ვენახის, ხეხილის, ხომინდის მოხაჯალში.

ახნას არ ნაქიროებს, თუ რა მისცა სახელმწიფოს ახეთმა ნახტომმა, რა მისცა თითოეულ კომლემურნეს და მის ოჯახს. ოჯახს იმიტომ ვუხვამ ხაზს, რომ აქ როვორც კომლემურნეობას, ბრიჯადას, რგოლს, თითოეულ ოჯახსაც აქვს კომლემურნეობაში თავისი ზოუწლები.

ოჯახს თავისი ზოუწლები

ვანა ეს ახალი არ არის საქომლემურნეო ცხოვრებაში, საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში? ვანა ეს ახალი არ არის საბჭოთა აღაშინის შეგნებაში? ოჯახს აქვს სახელმწიფო ზოუწლები და ის, სწორად საბჭოთაში ზოუწლები არა. მე ეს ვერ დავიქრებ, ვიღერ არ მომეცა წითელი, ლამაზად გაფორმებული, ოქროსფერი ასოებით ამოტვიფრული წიგნაკი: „მეთვე ზოუწლები შრომის კომლემურნეობაში“. ეწერა უდაღე „ზოუწლები ჩემს ოჯახში“. ეწერა ტატულზე. მეორე გვერდზე ეს ვკითხულობთ: „№ 10 ბრიჯადა, № 1 რგოლის წევრი, ოჯახის უფროსი ლეონიდა პლანტაციის მდ სერბამ, 1976—1980. ზოუწლები ჩემს ოჯახში. მისი შესრულება ჩემი ოჯახის ბედნიერება, ღირსება და სინდისია“.

შემდეგ გვერდზე: „მეორეჯახს ამანაგებო! თქვენი შრომობური, საყვარელი კომლემურნეობა უპიროვნებს თქვენს ოჯახს ზოუწ წლის ვადით მოხაჯვალად და მაღალი მოხაჯვის მისაღებად: 1. ჩაის სრულმოსავლადან პლანტაციას 0, 7 ჰექტარს, 2. ჩაის ახალგაზრდა პლანტაციას 0, 3 ჰექტარს. 3. ციტრუსების მოხაჯვიან პლანტაციას 500 ძირს, 4. ციტრუსების ახალგაზრდა პლანტაციას 200 ძირს, ტუნჯოს ნარგავებს 100 ძირს, ხომინდს 1 ჰექტარს. ვილოცავთ ამ მიღწეობას და თქვენი ოჯახის ბედნიერებას. კომლემურნეობის გამგეობა“.

შემდეგ გვერდზე ლეონიდა წერს: „მთელი ჩემი ოჯახი, შრომისუნარიანი, მოსწავლე, პენსიონერი ვიმუშავებთ ისე, რომ სასახლო დავალება ჩვენი ოჯახის ზოუწლები, ოთხ წელიწადში შევასრულოთ.

ჩემი ოჯახი იბრძობებს იმისათვის, რომ ჩვენმა კომლემურნეობამ მოუგოს სოციალის-

ტურ შეცვარებაში ჩვენს ძველ მეგობრებს, როგორცღებოდა.

ახეთ ხუთწლიანი ჰქონდათ მეტრე ხუთწლიანი კოლმეურნეობის 700 ოჯახს. მეთუ ხუთწლიანი 1000 ოჯახში შეივარ წიგნაკები წარწერათ: „მეთუ ხუთწლიანი შრომის კოლმეურნეობაში“. გარდა იმისა, რომ შრომელის როგორცღებთან აქუთ გამოსილი სოციალისტური შეცვარება, აქუთ შრომის კოლმეურნეთა შორის, შიგნით გაშლილია შეცვარება ბრიგადებს, რგოლებსა და ოჯახებს შორის.

შეითხველი ალბათ დანატერებება, რა შედეგად გამოიღო ოჯახების ხუთწლიანმა გეგმამ? მან ხუთწლიან გეგმის ზეითი კოლმეურნეობის მისცა რა — 4.465 ტონა, ციტრუსი — 5585 ტონა, ხოლო — 1.797 ტონა, ფულადი შემოსავალი — 4 მილიონ 800 ათასი ჰანეთი. შიგნით 1 მილიონ 800 ათასი ჰანეთი.

ახეთი ქრე უნახავი წარმატება განაპრობა სამა გარემოებაში: სოციალისტურმა შეცვარებაში უკრახილეთთან და შიგნით, ოჯახებს შორის, რგოლებსა და ბრიგადებს შორის, უკრახილეთთან შეცვარებაში და ბოლოს, თითოეული კოლმეურნეობის ოჯახის ხუთწლიანმა.

შრომელების ეს წამოწყება უნდა გადაიღონ საქართველოსა და უკრახის სხვა კოლმეურნეობებში და რასაკვირველია, არა მარტო საქართველოსა და უკრახისაში. თითქმის მილიონწახივერი მოგება მისცა ამ წამოწყებაში ერთ კოლმეურნეობას: ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რას მისცემს ქვეყანას, სხვა კოლმეურნეობებიც აუ აუე მოიქცევიან.

არანაკლებ დიდშინიშენილოვანი პრობები წერია ზემოთხსენებულ წიგნაკში და ეს ფრად საურადაღებია. წიგნაკის მეორე გვერდზე დაპარაკა ადამიანის შორალურ-ეთიკურ მხარეზე ეს გაყოფილება ასეა დახათურებული:

ჩემი ოჯახის ზეობრივი ფუნქცია

ჩემი ოჯახის განვითარებას ავიყვან დღევანდელი მოწინავე საზოგადოების განვითარების დონეზე.

ჩემს ოჯახში ადვილი არ ექნება მამაკაცის ბატონაკურ უფლებების გადმონათებას. არასოდეს არ ჩავთლი ბავშვების მოვლას, ჩიის ფოთის კრეფას, საქმლის მომზადებას და სხვა დანარჩენ საოჯახო საქმეებს მხოლოდ ქალის ვალდებულებად.

სახტყ ბრძოლას გამოუყვებადებ და არ დაუშვებ დრომოკმულ ზეჩვეულებებს, დოთობას, ქელებს, რელიკურ დრომოკმულ აღბაწებს და სხვა ამის მხავებს, რაც ყველაზე სამარცხვინოა დღევანდელი სოციალისტური ოჯახისათვის.

საზოგადოებრივი მერწეობის განვითარებისათვის შრომისა და ბრძოლას დავაკვიდრებ ჩემი ოჯახის ზეობრივ ტრადიციად. თვალისჩინ

ებით მოვუვლი საზოგადოებრივი შეცვარების დოვლათს, ტექნიკას.

მტაციად შევარულებ პარტიისა და მოავრობის მოწოდებას, გადწვევებულებას, რომელიც შეცვება საკოლმეურნეო ცხოვრებას, კოლმეურნის ოჯახს.

ჩემი ოჯახი სარგებლობს კონსტიტუციით მოიქცეული უფლებით, საყარმელაში ნაკვეთით. ამ მიწაზე გაუნებული მაქვს ჩიის პლანტაცია, ციტრუსის, დაუნის, ხუხულის პლანტაცია.

არასოდეს არ შევარცხვენ ოჯახის ღირსებას. საკეთობი წარმოების ყოველგვარ პროდუქტს მხოლოდ სახელმწიფოს მივიყვდი. ბაზარში სავაქროდ არ გავიტან.

მარწმუნებული ვარ იმით, რომ სოციალისტური ოჯახის ზეობრივი ფუნქცია დიდ როლს ასრულებს ჩვენს სოციალისტურ სამშობლოში და ერთად კოლმეურნეობაში, ხელს უწყობს არა მარტო ადამიანის ზეობრივ აღზრდას, არამედ კოლმეურნის ეკონომიკის შემდგომ განვითარებას და აუვაებას.

ჩემი ოჯახის ყოველი წევრი იქნება სინდის-ნამუხის, მაღალი, ნამდვილი კომუნისტური ზეობის მატარებელი.

მოცემულ პირობის ხელმოწერით ვადასტურებ:

„ხუთწლიანი ჩემს ოჯახში“, — ჩემი ოჯახისათვის ამ ძვირფასი წიგნაკის პატრონი, ოჯახის მეთაური დ. სირაძე.

ი, რა დიდი ცვალებები მოხდა ამ ხანოცი წლის მანძილზე ადამიანის, ამ შემოხვევაში ერთად კოლმეურნის არა მარტო შრომისა და ცხოვრებაში — მის შეცვებაშიც, მის ფსიქოლოგიაში, მის ზეობაში.

სოციალისტის გამარჯვებამ დაბადა კაცობრიობის ისტორიაში ქრე არნახული მხობრივი შრომითი გმარობა. იგი განსაკუთრებული სიძლიერით მეთუ ხუთწლიანში გამოვლინდა, უფრო კონკრეტულად-ოქტომბრის რევოლუციის 60 წლის საიუბილეო წელს. ამის ერთ-ერთ ნათელ მაგალითად იქცა უკრახილთა და ქართულითა-როგორცღებთა და შრომელითა საგმარო შრომითი მამაკობა და ძმური შეგობრობა.

მეგობრობის სიწკიცის და ერთგულების ყველაზე ზუსტა შემმოქმეებელი დროა. როგორცღებთა და შრომელთა მეგობრობა, მათ შორის სოციალისტური შეცვარება, თითქმის ორმოცი წელიწადია გრძელდება და ღრმავდება, მოაქვს ამ ორი ხალხის ხკეთე და ბედნიერება, ზრდის მათი ცხოვრებისა და კულტურის დონეს, ანდომებს და აკეთებისებს მტას.

თუ მეტრე ხუთწლიანი 15.288 ტონა ჩიის ხარისხოვანი ფოთოლი ჩააბარეს შრომელებმა სახელმწიფოს, მეთუ ხუთწლიანი მათ 10.260 ტონა ჩიის ფოთლს მოკრეფა იყავლს. მეთუ ხუთწლიანი პირველ 1076 წელს მოკრეფეს 3.856 ტონა, ხოლო 1977 წელს მოკრეფენ გაიცელებით მტას. ასეთივე დიდი მარწვენებელი ექვ-



მათ ციტრუსების მეურნეობაში, მესაქონლეობაში.

1977 წელს შრომაში დასაქმდნენ მეცხოველეობის კომპლექსის მშენებლობა რეგონოვლითა დასაქმებით და ღერძევი „მეცხოველეობა“. გაშენდნენ ციტრუსების პლანტაცია 6 ჰექტარზე, ჩაის პლანტაცია 16 ჰექტარზე.

დასახულია ორმოცამდე ღონისძიება, მაგრამ უფლებს აქ ვერ ჩამოვთვლი, მოვიყვან ზოგიერთ უფრო დამახასიათებელსა და მნიშვნელოვანს: უნდა ჩატარდეს რამდენიმე ასეული ჰექტარი დაქობებულ მიწის დაშრობა ორმოცში, შუატყეში და ჩირზე, ყოველი ოქახასათვის გამოწერილი უნდა იქნეს 4-5 დასახელების ფურხალ-გაზეთები, მათ შორის გენიტესის რაიონის „პრინციპალური პრადეა“. ხოცაღის-ტურ შეჭობებაში გამარჯვებული 70 კომ-მეურნისათვის უნდა შეიძინონ ტურისტული საგზური და უფასოდ გადასცენ.

შვედზე მოწინავე 20 კომმეურნე გააგზავნოს საქსეკურიად რეგონო.

ყოველწლიურად გამოწვეული იქნას რეგონს კომმეურნეობიდან პიონერთა ბანკში 10 პიონერა.

ყოველწლიურად დაენიშნოს შრომის პენსია 5 რეგონოდ კომმეურნებს.

ყოველწლიურად მიენიჭოს წოდება „დასახლებული კომმეურნის“ 6 რეგონოდ კომმეურნებს.

ყოველწლიურად გამოწვეული იქნეს შრომაში, კომმეურნეობის დასახელებულ სახლში 10 უკრაინელი კომმეურნე.

ასეთივე საქმეები დასახეს რეგონოვლებმაც აი, როგორ არა ჰგავს რეგონოვლითა და შრომითა ერთი წელიწადი შეორებს, როგორ იზრდება, მდიდრდება, წინ მიდის, ჩვენი ხალხის ცხოვრება ყოველწლიურად.

მე და მისაკო რეგონოვლითა და შრომითა მეგობრობის მუზეუმში ვარამ, აქ ფოტოსურათებით, წერალებით, ნარკვევებით, ტურნალებით, ექსპონატებით აღბეჭდილია ამ ორი კომ-მეურნეობის ისტორია, მათი მეგობრობის, მათი მიღწევების და გამარჯვებების ისტორია.

ვინ იცის მერამდენჯერ ავლებს თქვენს საქმეს კომარე მუზეუმის კედლებს, იქიდან დაგვიკარ-ჩან ორივე კომმეურნეობის შრომის ადამი-ნები, რომლებიც ერთად აკეთებენ დიდ საქმეს, რომლის შესახებ სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტში ნათქვამია — „სოციალიზმის დროს, საზოგადოებრივი წარ-მოების უზენაესი მიზანია ყველაზე სრულად დაკმაყოფილოს ადამიანთა მზარდი მატერია-ლური და სულიერი მოთხოვნილებანი“. სწო-რედ ამისათვის იღვწიან რეგონოვლი და შრომე-ლი ადამიანები.

— ხანამ წუალი იქნება შავა და აზოვის ზღვაში, ხანამ გაავრცელდნენ მძურ მეგობრო-ბას და სოციალისტურ შეჭობებს, უკრაინელ კომმეურნეებთან და უკრაინელ ხალხთან, კომუნისტური პარტიის მეთაურობითა და ზედმძღვანელობით, — მეტყვნება მუზეუმიდან გამოსვლისას მისაკო ორავეულიც და ოდნავ თვალმოკუტული გასცქერის გორაკებზე შედ-ნილ და დაბლობებზე გაშლილ ჩაისა და ციტრუ-სების მწვანელ მოლილივებ პლანტაციებს, მისი ბუღით ნაზარდს, ნალოლიავენს.

წელს საქართველოს კომმეურნეებს 300-305 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი უნდა მოეკრიფათ, მაგრამ დიდმა მოწინავემ მათ გაცილებით მეტი შეაძლებინათ — 405 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფეს.

საქართველოს კომმეურნეთა გმირულ შრო-მას მაღალი შეფასება მისცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავში-რის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდო-მარემ ლეონიდ ილიასძემ ბრძენებმა. „მოწო-ვებული წარმატება, — აღნიშნა ახანაგმა ბრე-ნებმა, — ხოლმის მეურნეობის ყველა მუშა-კის თავდადებული შრომის, რესპუბლიკის პარ-ტიული, საბჭოთა პროფკავშირული და კომპა-გნირული ორგანოების დადი ორგანიზატორული მუშაობის შედეგია“.

და, ო. ბრძენების წერილი რესპუბლიკის მშრომელებს რაზმავს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარებისათვის ახალი მიჯ-ნების მისაღწევად.

925466



ტ. შარქისის ს.ხ. ნაჭ. სსრ

რამაზ კობიძე

გვიმრის ფოთლაბი

რომანი

წიგნი მეორე

ნაწილი პირველი

თავი I

ტერენტი ჩაგუნავას სიკვდილივით ეზარებოდა იმ უკულმართი საქმის გამოკვლევა, მაგრამ რაღას იზამდა, კომისია შექმნა. შიგ ადგილკომის ახალი თავმჯდომარე, ორი გამოცდილი მეშახტე და შახტის კომკავშირის კომიტეტის მდივანი შეიყვანა, იმ დაწყევლილ ღამეს სანგრევში მომუშავე მეშახტეები დაპყრობა, სამედიცინო ექსპერტიზის ასლი გადაღებინა და დაწერილებითი ოქმი შეადგინა. იმ ოქმის სწორებას, შევსებას, გადაბეჭდვას ისევ სწორებასა და ისევ გადაბეჭდვას მერე მთელი დღე მონადრომეს. ბოლოს ტერენტიმ კომისიის წევრებს ოქმზე ხელი მოაწერინა, სათითაოდ გააფრთხილა, ჯერ არსად წახვიდეთ, იქნება, კიდევ დამპირდეთო, და შახტის უფროსის კაბინეტის კარზე დააკაუნა.

წვერგაუპარსავი, შესამჩნევად დაღლილი და მოტეხილი სარდიონი მავიდას უჭდა და რაღაც ქაღალდებს გულისგარეთ ათვალიერებდა.

— ერთი წუთით უნდა შეგაწუხო, ბატონო სარდიონ!

— მობრძანდი — სარდიონი მძიმედ წამოდგა, მარცხენა ხელი გაუპარსავ ნიკაზე მოისვა, მარჯვენა კი ტერენტის გამოუწოდა, — დაბრძანდი. და სკამზე უჩვენა.

ტერენტი დაჯდა და ის მრავალგვერდიანი ოქმი წინ, მაგიდაზე დაიდო.

— ოქმი გაახელოთ.

— რა ოქმი?!

— იმ საქმის.

— იმ საქმის ოქმი მე რატომ მაახელოთ? — სარდიონი ტერენტის მძიმედ მიაჩერდა თვალებში.

— აბა თქვენ არ გაჩვენოთ?!

— მე რატომ უნდა მაჩვენო? რაიკომის მდივანმა დაგაველა, საქმე შეისწავლეო. შეისწავლე და მოახსენე, ჩემგან რაღა გინდა.

— ბატონო სარდიონ!.. ახლა... არა, თქვენთან ძალიან დიდი ბოდიში მაგრაამ... რაიკომის მდივანს ის კი არ უთქვამს, მტყუანი და მართალი ერთმანე-

თში აურთი და საქმე ისე მომახსენეო. ამხელა კომისია ჩვენ სწორედ იმისათვის შევექმენით, რომ სრული სიპართლე გამოგვერეკვია. იორამ ნოსელიძე... ბოდიში! ძალიან დიდი ბოდიში, ბატონო სარდიონ! იორამ ნოსელიძე მე არავისზე ნაკლებად არ მყვარებია, ეს მთელმა ქვეყანამ იცის, მაგრამ იმ დამეს დამნაშავე მართო თვითონ ის საწყალი იყო და... ამ ქაღალდებშიც ეს სწერია, მეტი კი არაფერი.

— ტერენტი...

— ტერენტი აქ რა შუაშია, ბატონო სარდიონ! ამ ოქმს აგერ ხელს ხუთი კაცი აწერს, აგერ ბექელი და აგერ კიდეც ყველაფერი... აბა, საქმე ისე კი არაა, ზოგიერთები რომ... ამას უფრო მიუღვამელი კომისია მე ვერც კი წარმომიდგენია. სიმართლე...

— ტერენტი!

— ბატონო?

— ჩემთან მაგის სათქმელად შემოხედი?

— ბატონო სარდიონ, ამ ოქმის წაკითხვა სულ ხუთი წუთის საქმეა. იქნება, ჩვენ ვცდებით? იქნება, რაიკომის ბიუროს ჩვენ არასწორი სურათი წარუდგინოთ? თქვენი გამოცდილება...

— ტერენტი!

— ბატონო?

— მოვრჩეთ! მაგ ოქმთან მე არაფერი მესაქმება. წაიდე და რაიკომის მდივანს მიუტანე, გასაგებია?

— კი ბატონო... რა თქმა უნდა, გასაგებია... ბოდიში!

ჩაგუნავა წამოდგა, ოქმი აიღო და კაბინეტიდან ამკარად ნაწყენი და საქციელწამხდარი გავიდა.

* * *

რაიკომის ბიურო ნაშუადღევს სამ საათზე დაიწყო. ტერენტი ჩაგუნავასა და მისი კომისიის წევრების გარდა, გამოძახებულნი იყვნენ სარდიონ რაჭველიშვილი, კახაბერ გურასაშვილი, თეიმურაზ არჯვანიძე. ტრესტის მმარ-

თველი აკაცი ნიშნინაძე თვითნებურად უროს წევრი იყო და ამჯერად ერთი წუთითაც არ დაუგვიანია. ზუსტად სამ საათზე მოვიდა სამთო ზედამხედველი დამიანე ქუონიაძე. მან ლონგინოზ ფეიქრიშვილსა და აკაცი ნიშნინაძეს ხელი ჩამოართვა, დანარჩენებს საერთო სალამი მისცა და კუთხეში, განმარტოებით მდგარ სკამზე ჩამოჯდა.

პირქუშად მომზირალმა ფეიქრიშვილმა სხდომა გახსნა.

— დღეს ჩვენ რამდენი სხვა საკითხიცა გვაქვს. აგერ, სახერხი ქარხანა, თავის გასაქირს გვამცნობს, მერე საყოფაცხოვრებო კომბინატი... და ამისთინები. მაგრამ თუ არ მოეწონო, შემდგისათვის იყოს. ახლა კი... ყველას მოგვხსენებათ, განსაკუთრებით რა გვაწუხებს. მარცხი და თუნდაც ადამიანის დაღუპვა მაინცდამაინც არ უნდა გვაჯობებდეს, ჩვენი პროფესია ასეთია, მაგრამ ის, რაც მეორე შახტზე მოხდა, მეტად მძიმე ამბავია და საგანგებო ყურადღებას მოითხოვს. ბატონმა დამიანემ ეს საქმე, ალბათ, შეისწავლა და თავის ავტორიტეტულ აზრს, ვფიქრობ, გავგიზიარებს. რაიკომმა თავის მხრივ ამხანაგ ჩაგუნავას თხოვა, ეს საქმე შახტის პარტორგანიზაციის ძალეებითაც შეესწავლა. ასე რომ დღეს ჩვენ საშუალება გვაქვს, ასე ვთქვათ, ორივე მხარეს მოვესმინოთ. ამან კი სწორი გადაწყვეტილების მიღება უნდა გავიადვილოს, ბატონო დამიანე, თქვენ რაიმეს თქმა ხომ არ გნებავთ?

— არა, არაფრის — დამიანემ მხრები აიჩინა.

— კეთილი. აბა, ჯერ ამხანაგ ჩაგუნავას მოვესმინოთ.

ტერენტი წამოდგა. ამკარად ნერვიულობდა. ის მრავალგვერდიანი ოქმი ხელში რამდენჯერმე შეატრიალა, მერე მაგიდაზე დასდო. იმ მაგიდას თვითონაც ორივე ხელით, დაეყრდნო: მერე წელში გასწორდა და ხელემა უკან დაიწყო. ჩაახველა მერე მაგიდას ისევ ორივე ხელით დაეყრდნო:

— ეს ოქმი, ამხანაგებო... ცოტა გრძელი გამოგვივიდა და იქნებ... მე ზეპირად...

— არა! — შეიწყვეტინა ფეიქრიშვილი და მაგიდაზე ფიჭარი დააკაყუნა. — აქ არავის არსად ეჩქარება. წაიკითხე.

— თუ საკითხს ვსწავლობთ, ბარემ ძირფესვიანად შევისწავლოთ, — მხარი აუბა ფეიქრიშვილს ჭალაქის პროკურორმა, მუდამ მხიარულად მოძლიანარე ბეჭან გაჩეჩილაძემ: — აღამიანის დაღუბვას ჩვენ უყურადღებოდ ვერ დავტოვებთ. — გაჩეჩილაძემ გრაფინი აილო და ჭიქა წყლით ააფსო, მაგრამ თვითონ არ დაუღვია, სავსე ჭიქა ჩაგუნავს მიუწია. — მე მგონი, ამხანაგი ლონგინოზის პოზიცია ყველასათვის ნათელი და გასაგებია.

ლონგინოზის პოზიციისთან სადავო მართლაც არავის არაფერი ჰქონდა.

— დავიწყოთ.

— ოლონდ დაჯდეს. — დამიანე ქყონიამ დამცინავად ჩაიღიმა, — თორემ, სანამ მაგდენ ქაღალდებს ჩაიკითხავდეს, ფეხზე ჩამოწყდება.

— დაჯდეს. დაჯექი, ამხანაგო ჩაგუნავა. — ნება დართო ფეიქრიშვილი.

ტერენტი დაჯდა. საყელოში საჩვენებელი თითი ჩაიყო და გაისწორა. მიიხედა-მოიხედა და კითხვას შეუდგა.

ოქმი მართლაც ძალიან გრძელად იყო დაწერილი. თავისუფლად შეიძლებოდა ის ყველაფერი გაცილებით უფრო მოკლედ და გასაგებად თქმულიყო. ავტორები ხშირად იშველებდნენ ათასგვარი წესდებებისა და ინსტრუქციების მუხლებსა და პარაგრაფებს, რამდენჯერმე უბრაუნდებოდნენ უკვე ერთხელ თქმულსა და დადასტურებულს. ოქმის მთავარი აზრი კი ის იყო, რომ მეშახტე იორამ ნოსელიძემ თვითონვე უხეშად დაარღვია სანგრევეში მუშაობის ელემენტარული წესები და საკუთარი ვალფეროზილებლობის მსხვერპლი შეიქმნა. მის დაღუბვაში შახტის

ადმინისტრაციასა და უბნის ხელმძღვანელობას არავითარი ბრალი არ მიუძღოდა და ეს ისევ დასტურდებოდა ამა და ამ წესდებებისა და ინსტრუქციების ამა და ამ მუხლებითა და პარაგრაფებით. ის წესდებები და ინსტრუქციები კი ზემდგომი ორგანოების შედგენილი და დამტკიცებულია და მათ კანონის ძალა აქვთ, ეს თვითონ იორამ ნოსელიძემაც კარგად იცოდა. ის არც ისე გამოუცდელი მეშახტე იყო და, გარდა ამისა, ტექმინიმუმიც ჩაბარებული ჰქონდა. ამისი დამადასტურებელი საბუთი ოქმს თან ახლდა.

ოქმის კითხვას ტერენტი თითქოს მთელ საათს მოუწია. როგორც იქნა, ჩაათავა, უკვე ჩახრინწული ხმით ჩამოთვალა, ოქმს ხელს ვინა და ვინ აწერდა, წელან რომ პროკურორმა ჭიქით წყალი მიუწია, ის მოსვა და გაჩეჩილაძეს მაღლობის ნიშნად თავი რამდენჯერმე დაუქნია. სკამზე გასწორდა და ღრმად იმოხსუნა.

— გაათავე? — ოდნავ შესამჩნევი დიმილით ჰკითხა ფეიქრიშვილი.

— დიას! და შემიძლია დაეფუტო, რომ ამ საკითხში კომისიის წევრებს შორის არავითარ უთანხმოებას აღვილი არ ჰქონია, ყველანი ერთსულოვნად...

— ეპ უკვე ვიცით. — რაიკომის მდივანი სკამის ზურგს მიაწევა. — მაგრამ მაინც... კომისიის დანარჩენი წევრები ხომ არაფერს დაუმატებენ?

— არა, არაფერს.

— კარგი. ახლა, ჩემი აზრით, ჯერ შახტის წარმომადგენლებს მოვეუსმინოთ, მერე კი ბატონი დამიანე, ალბათ, თავის აზრს შემოგვაწევს. აბა, უბნის უფროსი, ამხანაგი არჩევანიძე რას გეტყვის? — ფეიქრიშვილი თვითმურაზს ყურადღებით შეხედა თვალებში.

თვითმურაზი წამოდგა.

იგი უკვე შერიგებული იყო იმ აზრს, რომ უბნის უფროსის თანამდებობიდან გაათავისუფლებდნენ და ამას ოდნავადაც არ დარდობდა. გაათავისუფლებდნენ, როგორც ახალგაზრდას და გამოუც-

დელს, მორჩა და გათავდა. რაიმე უბრალო თანამდებობაზე გადაიყვანდნენ და მერე, ერთი ხანი რომ გავა, ისევ დააწინაურებენ. ახალგაზრდა სპეციალისტებს ჩვენში საერთოდ ასე ექცევიან სწორია ეს, თუ არა, ალაჰმა იცის, მაგრამ ასე კია და... არა, თეიმურაზს სადარდებელი არაფერი აქვს. ახლა მთავარი ისაა, რომ ჩაგუნავს კომისიის დასკვნას მანაც მხარი აუბას და რაიკომის ბიურო სარდიონის უდანაშაულობაში დაარწმუნოს. სხვებისა არ იყოს, თეიმურაზიც კარგად გრძნობდა, რომ ყველაზე მეტად ბიუროზე სარდიონს მოხედებოდა. — არადა, ეს ბერიკაცი ამ საქმეში ცამდე მართალი იყო. რაც თეიმურაზი უბანზე მივიდა, ყველაფერი რასაც სარდიონი აკეთებდა, ყოველი მისი ბრძანება თუ განკარგულება უბნის საკეთილდღეოდ იყო გამიზნული. ამისათვის კი, ასეთი საქციელისათვის ადამიანი არ უნდა ისჯებოდეს.

ახალგაზრდა ინჟინერი ერთ ხანს ზმამოუღებლად იდგა, ფექრებს იკრეფდა და სათქმელს აწესრიგებდა. მერე ღრმად ამოისუნთქა:

— ... შემიძლია დარწმუნებით განაცხადო, რომ იორამ ნოსელიძის დაღუპვა არ გამოუწვევია... ესე იგი, მე მინდა ვთქვა, რომ სანგრევში მუშაობა იმ დამეს ყოველგვარი წესის დაცვით... ესე იგი, არავითარ დარღვევას აღვილი არ ქჭონია. იორამმა თვითონ... ის... მე უნდა მოგასვენოთ, რომ... იორამი იმ დამეს სანგრევში არც უნდა ყოფილიყო. ის პირველ ცვლაში მუშაობდა...

— რაო?! — ფეიქრიშვილს სახეზე გაკვირვება გამოეხატა. თეიმურაზმა იმის დანახვაც მოასწრო, რომ რაიკომის ბიუროს შეკრებმა ერთმანეთს სწრაფი მზერა შეაღწეა. ტერენტი ჩაგუნავა სახეზე წამოწითლდა და თეიმურაზს მზერა აარიდა.

— სანგრევში არ უნდა ყოფილიყო?!
 — გაისმა აქეთ-იქიდან.
 — აბა, რატომ იყო?!
 — ჩვენ ისეთი უბნებიც გვაქვს, —

პროკურორმა გაჩეჩილაძემ ხელში შეიკიშნა მილით გაშალა, — ისეთი უბნებიც გვაქვს. რომ მეშახტეები იქ საკუთარ ცვლებშიც, არ ჩერდებიან თქვენთან კი ორ-ორ ცვლას მუშაობენ?! საინტერესოა!

დამიანე ჭყონიამ თავი რამდენჯერმე ჩაიქნია, თან ფეიქრიშვილს პრაველმნიშვნელოვნად მისჩერებოდა. ტრესტის მმართველი აკაკი ნიშნიანიძე თეიმურაზს მზერას არიდებდა და ფანჯარაში იქიარებოდა.

— რალაც სისულელე წამოგროშე, — ახალგაზრდა ინჟინერს ციკვა ოფლმა დაასხა. თითქოს უეცრად მესხიერებაც კი წაერთვია, აღარ იცოდა, სად იდგა და რას ლაპარაკობდა.

— დაბრძანდით. — მოესმა ბურანში მყოფს ფეიქრიშვილის ხმა.

თეიმურაზი დაჯდა. წარბშეკრული ფეიქრიშვილი მაგიდაზე ფანჯარს აჯაკუნებდა.

ნოსელიძე იმ დროს შახტში არც უნდა ყოფილიყო?! — ფეიქრიშვილმა სარდიონს გაჰხედა. — აბა, სად უნდა ყოფილიყო!

— შინ, ბატონო ლონგინოზ! — თავისი კეთილდანი წამოძახა დამიანე ჭყონიამ. — საკუთარ ოჯახში და, რამდენადაც ვიცი, ცოლი სულ ახალი ნათხოვი ჰყავდა.

— კმა... ჩვენი პროკურორის არ იყოს, ზოგ უბანზე მეშახტეები საკუთარ ცვლებში ვერ გაგვიჩერებია, აქ კი ორ-ორ ცვლას მუშაობენ?!

— ასეა სარდიონის მეშახტეებს მიწისქვეშეთი ისე შეუყვარდათ, რომ სახლში ახალგაზრდა ცოლებიც ვეღარ აჩერებენ. — დამიანე ჭყონიამ ხელს გაგულისებით ჩაიქნია და სკამზე ვერდი იბრუნა, თითქოს ყველაფერ გამოდამნაშავენი რაიკომის ბიუროს წევრები ყოფილიყვნენ და ამიტომ დამიანეს მათი დანახვაც აღარ უნდოდა.

— კარგი. — ფეიქრიშვილმა ფანჯარი ისევ დააკუნა მაგიდაზე. — გავერ-

კვევით. შახტის მთავარი ინჟინერი რას გვეტყვის?

კახაბერი უხალისოდ წამოდგა, ოდნავ შესამჩნევად მხრები აიყარა და მოკლედ ძაროლა:

— იმ მომენტში მე აღნიშნულ ადგილზე არა ვყოფილვარ.

— რომელ ადგილზე?

— აღნიშნულზე... ესე იგი, სადაც აგარია მოხდა.

— მერე?

— არაფერი. კომისიის აზრს ვეთანხმები.

— ჰმ! შე კაცო, კომისიის აზრი, აგერ, თხუთმეტ გვერდზეა გაკომპული და შენ ერთი შენიშვნაც არ გაგინდა?

— დიახ!

— რა — დიახ?

— არაფერი შენიშვნაც არ გამჩენია.

— დაჯექი! — ფეიქრიშვილმა ხელი უიმედოდ ჩაიქნია. — იძულებული ვარ, გაგაფრთხილოთ, ამხანაგებო... დიახ... ბოდიშს ვიხდი, მაგრამ ჩვენ აქ იმისათვის კი არ შევკრებილვართ, რომ ერთმანეთს რაღაცნაირად მხარში ამოვუდღვეთ, სიმართლე მივჩქმალთ და ერთმანეთს პასუხისმგებლობა ავაცლით. შახტზე მოხდა უბედურება და ყველა მოვალეა, დავეხმაროს ამისი მიზეზების დიდგენაში. დიახ! და ამხანაგი გურასაშვილი ნუ შიძულვებს, მისი საკითხი აქ პერსონალურად დავაყენო. რასა ჰგავს ეს, ამხანაგებო! პირტიტველა ბიჭი სანგრევში ჩაჰკალით და ახლა, რაიკომის ბიუროზე ვიგებთ, ის ბიჭი იმ დამეს სანგრევში სულაც არ უნდა ყოფილიყოთ ის იმ დღეს პირველ ცვლაში მუშაობდაო... ეს რაღა ამბავია! გურასაშვილი კი გვეუბნები ოქმი მომწონსო. თურმე, გურასაშვილს თავის სიცოცხლეში ამ ოქმზე უკეთესი არაფერი წაუკითხავს. რის აკაკი, შენ ხარ ჩემი ბატონი, რის ვეფხისტყაოსანი და რის ვაჟა-ფშაველა! მთელი სიბრძნე, თურმე, აგერ ჩაგუნავს ოქმშია თავმოყრილი, მაგრამ პირველი ცვლის მეშახტეს მესამე ცვლაში

რა უნდოდა — ამის პასუხს ვინ მოგეტყვებს? თუ ჩაგუნავს ამაზე ახალი ოქმის შედგენა მოვთხოვოთ!

ფეიქრიშვილმა ფანქარი დააგდო და მაგიდას იდაყვებით დაეყრდნო, სახეზე აღამიანის ფერი აღარ ედო.

ოთახში ბუზის ვაფრენას გაიგონებდით.

ყველანი, რაიკომის ბიუროს წევრებიცა და მოწმენიც გრძნობდნენ, რომ ლონგინოზ ფეიქრიშვილი ყველა კითხვის პასუხს მაინც სარდიონისაგან ელოდა. მაგრამ, ამავე დროს, ყველანი იმასაც ხედავდნენ, რომ სარდიონი ამ ბიუროზე ხმის ამომღები და თავის გამმართლებელი არ იყო. შახტის უფროსი თავჩაქინდრული, ვულგარილი გამომეტყველებით იჭდა და ზედვე ეტყობოდა, რომ ბიუროს ყოველგვარ გადაწყვეტილებას წინდაწინვე შეგუებული იყო. ბიუროს წევრებიდან ზოგიერთს კიდევ ებრალებოდა ეს ხანდაზმული, მრავალჭირნახული კაცი, მაგრამ რა უნდა ექნათ? თვით აკაკი ნიშნაინძეც კი, ძველი მეშახტე და სარდიონის უგულითადესი მეგობარი, ამოდ ცდილობდა, სარდიონის სასარგებლოდ რაიმე არგუმენტი მოენახა და მეგობარს ამ მიმე წუთებში როგორმე შეეველებოდა. მაგრამ ისიც ვერაფერს ახერხებდა. სხვებს კი ახლა აკაკიზე ნაკლები შეეძლოთ.

— ბატონო ლონგინოზ, შეიძლება? — გაისმა უცბათ სიჩუმეში. ყველამ კუთხისკენ მიიხედა. დამიანე ჭყონიას ხელი მოწაფესავით აეწია და სიტყვის ნებათთვის თხოულობდა.

— ბრძანეთ!

დამიანე წამოდგა და ყველამ მაშინვე ივრძნო, რომ მთავარ სათქმელს სწორედ ეს კაცი იტყოდა. მასთან შემკამათებელი ამ ბიუროზე აღარაეინ იყო. აღარც თვითონ ლონგინოზ ფეიქრიშვილი.

— მამატიონ აქ დამსწრე ამხანაგებმა, — დაიწყო დამიანემ, — მაგრამ პირდაპირ უნდა განვაცხადო, რომ ჩაგუ-

ნავას კომისიის ოქმს, ჩვენ რომ ახლა მოვისმინეთ, მე ვერ ჩავთვლი პრინციპულობისა და ობიექტურობის ნიშნულად. ამ ოქმს მხოლოდ ერთი დანიშნულება აქვს: დააწმუნოს რაიკომის ბიუროს, რომ მეშახტე ნოსელიძე დაიღუპა მხოლოდ საკუთარი გაუფრთხილებლობის მიზეზით და, ამდენად, როგორც შახტის, ისე უბნის ხელმძღვანელობა ამ საქმეში სრულიად უდანაშაულოა.

ჩავუნავას და მისი კომისიის პოზიციას მე ვერავითარ შემთხვევაში ვერ გავიზიარებ; რა თქმა უნდა, მეშახტე ნოსელიძე წინდაუხედავად მოიქცა, და მისი დაღუპვის ერთი მიზეზთაგანი ესეც არის. მაგრამ აქ წერტილის დასმა სინამდვილეზე თვალის დახუჭვა იქნებოდა.

თქვენ ყველამ შეამჩნიეთ, თუ როგორი ვაკვირება და შეშფოთებაც კი გამოიწვია აქ უბნის ახალგაზრდა უფროსის, ამხანაგ არჩევანიძის განცხადებამ, ნოსელიძე იმ ცვლაში შახტში საერთოდ არც კი უნდა ყოფილიყო. შეიძლება, აქ ზოგმა ისიც კი იფიქრა, შახტის ხელმძღვანელობას გეგმების შესრულება გასკირვებია და მეშახტეებს ორ-ორ ცვლაში ამუშავენსო. მაგრამ ასე ნურავინ იფიქრებს. გეგმების შესრულება სარდიონ რაჰველიშვილს ჯერჯერობით არ უჭირს და ღმერთმა ნურც გაუჭირვოს. მაგრამ ამხანაგ არჩევანიძის განცხადებაში მაინც დიდი სიმართლე იმალება.

ვიკითხოთ, ამხანაგებო, რა უნდოდა ნოსელიძეს შახტში მაშინ, როცა იგი შინ უნდა ყოფილიყო? განა ეს საკვირველი არ არის? აქ ჩვენ საქმე შახტებთან გვაქვს და არა ჭობულეთის პლაჟთან, ან საირმის ავარაკებთან. მაგრამ თქვენ კიდევ უფრო ვაკვირდებით, როცა შეიტყობთ, რომ იმ დამეს, სანგრევში სხვა ცვლის მეშახტეებიდან მართა ნოსელიძე კი არ იყო ჩამოსული, არამედ სხვა მეშახტეებიც, იმ დამეს თითქმის მთელი უბნის ხალხი სანგრე-

ვში იყო, ამხანაგებო! მე ეს დამეხსენებოდა უბანზე საერთოდ იყო ნერვიული ვითარება, იყო შიში, რომ ჭერი ჩამონგრეოდა... მეშახტეებს გულმა ვეღარ გაუძლოთ, სახიფათო ადგილს მიაშურეს, ამხანაგები გასაჭირში არ მიატრევს, საერთო საქმისადმი ერთგულება გამოიჩინეს. ეს, საერთოდ, რა თქმა უნდა, კარგია, ასეთი საქციელისათვის მეშახტეებს ჩვენ უნდა ვაფასებდეთ და პატივსა ვცემდეთ და ჩვენ ასეც ვიქცევით, მაგრამ როცა ასეთი ამბავი უდანაშაულო მეშახტის დაღუპვით მთავრდება, მაშინ იმ საერთო თავდადებასაც და ვაჟკაცობასაც ფასი ეკარება, ამხანაგებო. არავის არ სჭირდება ისეთი თავდადება, რომელიც ასე ძვირი გვიჯდება. ახლა ბრძანონ შახტის წარმომადგენლებმა, ასე იყო, თუ არა? იყო თუ არა იმ დამეს სანგრევი პირდაპირ გამოტენილი სხვა ცვლების მეშახტეებით?

ხმა არავის ამოუღია.

— ასე იყო, — თვითონვე დამოწმა დამიანე ჭყონიამ. — ამის უარყოფას აზრი არა აქვს. მე კი ახლა მეტსაც გეტყვით: იმ დამეს სანგრევში იყო თვითონ შახტის უფროსიც, ჩვენი პატივცემული სარდიონ რაჰველიშვილი. ერთი შეხედვით, ესეც ვაჟკაციური, საქებარი საქციელია. ჰალარამორეული, დამსახურებული და ღვაწლმოსილი შახტის უფროსი შუალამისას — სანგრევში პირდაპირ დიდებული სურათია. მაგრამ ეს მხოლოდ ერთის შეხედვით. და თუ საქმეს კარგად ჩავუკვირდებით, მეტად უსიამოვნო ამბავი გამოიჩვენება.

რამდენიმე თვის წინათ რაჰველიშვილმა უბნის უფროსის თანამდებობიდან მოხსნა უდიდლომ ხელთუფლიშვილი. ეს სწორი და კანონიერი იყო. ხელთუფლიშვილის ადგილზე დაინიშნა ახალგაზრდა ინჟინერი არჩევანიძე. ესეც კანონიერია. ვიმეორებ, კანონიერი, მაგრამ დროთა განმავლობაში გამოიჩვენა, რომ რაჰველიშვილი არ ენდობო-

და თავის მიერვე დანიშნულ ახალგაზრდა ინჟინერს, ხშირად ერეოდა მის ფუნქციებში, ამოწმებდა ყოველ მის ნაბიჯს. მე არ ვიცი, რამდენად ჰქონდა ამხანაგ რაჭველიშვილს ამისი უფლება, და საერთოდ როგორ უძღვებდა უბანს ინჟინერი არჩევანიძე. ამის გარკვევა ჩემს ფუნქციებში არ შედიხა, მაგრამ ფაქტი ისაა, რომ ამგვარი ურთიერთობამ, ერთმანეთისადმი ასეთმა დამოკიდებულებამ შექმნა უბანზე ის ნერვიულობა, დაძაბულობა და არაჯანსაღი ვითარება, რამაც საბოლოო ჯამში მეშახტე ნოსელიძის დაღუბვა გამოიწვია. იმ, ყველაფერი, რისი თქმაც მე მინდოდა. ეს სამთო ზედამხედველობის ოფიციალური აზრია და რაიკომის ბიუროს წინაშე, გადაწყვეტილების გამოტანისას ამ აზრს ანგარიში ვაუწიოს.

დამიანე დაჭდა და შეოფლილი სახე ცხვირსაბოცით შეიწმინდა.

— დამთავრეთ, ბატონო დამიანე?

— დავამთავრე.

— ვის სურს გამოსვლა?

მსურველი არავინ იყო.

— ბატონო აკაკი, თქვენ? — ლონგინოზი ტრესტის მმართველს მიუბრუნდა.

აკაკი შეინძრა და თითქოს რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ მყისვე გადაიფიქრა, ხელი ჩაიქნია, ჩაილაპარაკა, ახლა რაღა დროს ლაპარაკია, ურემი რომ გადაბრუნდებოდა, გზა მერე გამოჩნდებოდა, და სკამის ზურგს მიაწვია.

ლონგინოზმა დამსწრეებს მზერა ერთხელაც მოავლო. გამოსვლას ადარავინ აპირებდა, ლონგინოზმა ცოტა ხანს იფიქრა და რეზოლუციის პროექტი წამოაყენა, რომელიც ბიურომ ერთხმად მიიღო: მუშაობაში დაშვებული შეცდომებისათვის სარდიონ რაჭველიშვილს მკაცრი საყვედური გამოეცხადოს (ოღონდ პირად საქმეში შეუტანლად — გაითვალისწინეს მისი უმწიკველი მუშაობა მრავალი წლის მანძილზე); მკაცრად მიეთითათ კახაბერ გურასაშვილს და ტერენტი ჩაგუნავას — ბი-

რველს შახტის უფროსის უფლებებისა და უნიციტატივობისათვის, მეორეს კი ავარიის გარემოებათა არაობიექტური გამოკვლევისათვის; სარდიონ რაჭველიშვილს, დაეცალა მესამე უბნის ხელმძღვანელობის დაუყოვნებლო გაძლიერებაც, ხოლო ამ მითითებას სარდიონი როგორ გაიგებდა და რას მოიპოქმედებდა, ეს უკვე მისი საქმე იყო.

თავი II

ბიუროს სხდომა კარგა შედეგებზე დამთავრდა. რაიკომის წინ უაპირავი მანქანა ირეოდა. შოფრებს მოტორები და ფარები ჩაერთოთ, კლავსონებს ვაუთავებლად აპიპინებდნენ და ერთმანეთის ლანძღვა-გინებით იკლებდნენ, — ყოველ მათგანს სახლში მიბრუნება და თბილად მოსვენება ენატრებოდა. თოვლ-წვიმა მოდიოდა და მოედანი ერთიანად ატლახებულობდა.

თეიმურაზ არჩევანიძე აღრევე ვაუშვეს — მეორე ცვლისათვის დაეილება ჰქონდა მისაცემი. წარბშეკრულ, მთელ ქვეყნიერებაზე განრისხებულ და გულაყრილ სარდიონს, აკაკი ნიშნაინძე, ტერენტი ჩაგუნავა და კახაბერ გურასაშვილი გამოჰყენა. — დამიანე კუონია რაიკომის მდივანთან დაჩვენილიყო და დაღლილ, უფუნებოდ შექმნილ ფიქრიშვილს რაღაცას გაცხარებით უმტკიცებდა. ფანჯრიდან მოჩანდა, თუ როგორ უხალისოდ, გულისგარეთ უკრავდა თავს ენაღქეველ დამიანეს დაღლილობისაგან ფერწასული რაიკომის მდივანი. და თან მალი-მალ კარებისაკენ იცქირებოდა.

ტრესტის მმართველს კრილა შავი „ვოლგა“ უცდიდა. აკაკიმ სარდიონს მხარზე ხელი მოუთათუნა, უთხრა, ამ დღეებში გამოგივლით, და მანქანის უკანა კარში შეძვრა. იგი შოფრის გვერდით არასოდეს ჯდებოდა და ხშირად იტყოდა ხოლმე, — ჩვენმა ხალხმა არც კი იცის, ეგ უფროსის გი არა, მისი პირადი მცველის ადგილიაო.

სარდიონმა თავისი „ვოლგის“ გასა-

ლები კახაბერს გაუწოდა, — მე მანქანის თავი ახლა არ მაქვს, და თუ დაგვაჯარიმებენ, ჯანდაბას, მაინც უკუღმართი დღე გვაქვსო. კახაბერმა მანქანა კიბეს მიაყენა და როცა სარდიონი და ტერენტი ჩასხდნენ, თავის მოუბრუნებლად იკითხა, სად წავიდეთ. სარდიონმა მინა აუჩქარებლად ჩამოსწია და მერე-ღა უპასუხა:

— ჩვენს ვასავეთებელ საქმეს სხვა მაინც არავინ ვააყეთებს. შახტზე შევი-ართ და მივიხეღ-მოვიხეღოთ, არაფერი ხდებოდეს... მერე, თუ მიკადრებთ, სადილად ჩემსას წავიდეთ. დილას თეო-ლინე ვაგაფრთხილე, ბიუროზე ნამდვი-ლად ტყავს გამაძრობენ და გემრიელი სადილი მაინც დამახვედრე-მეთქი.

კახაბერსა და ტერენტის ჩაეღიმათ.

— ასეა. — სარდიონმა სიგარეტს მო-უყიდა და ბოლი ღრმად ჩაისუნთქა. — ვბერდები. მართობა სულ უფრო და უფრო მიჭირს.

თავის კაბინეტში სარდიონი მაგიდას მიუჯდა და თავი ხელებში ჩარგო, კარ-გა ხანს გაუნძრევლად და სხამაშოდებ-ლად იჯდა. მერე თავი ასწია და კახა-ბერს გააჩხედა.

— რა მოგახსენოთ... მე იმისათვისაც მადლობელი ვარ, რომ საყვედური საქ-მეში არ ჩამიწერეს.

— შენ? — სარდიონი ახლა ტერენ-ტის მიჩერდა.

— მე იმას ვიტყვი, რომ დიდკაცობას მართლაც არაფერი სჯობნებია ამ ქვე-ყანაზე. დღეს ასე იტყვი — მართალი ხარ, ხვალ უკუღმა შეატრიალებ და მაინც მართალი ხარ. დამიანე ჭყონიაზე ბედნიერი კაცი მე ახლა მთელს რაიონ-ში არ შეგულება. ა, მე ამას ვიტყვი. და ამას ბიუროზეც ვიტყვოდი, მაგრამ... ეჰ! — და ტერენტიმ ხელი უიმედოდ ჩაიქნია.

სიჩუმე ჩამოვარდა.

სარდიონმა სამთო დისპეტჩერს დაუ-რეკა და ჰკითხა, საქმეები როგორ მიდი-სო. დისპეტჩერად იმ დღეს ვიღაც ახალი და გამოუცდელი უნდა ყოფილიყო, სა-რდიონს ისე აღუღებულნი და უთავბო-

ლო ლაპარაკი გაუბა, რომ შახტის სუფ-როსმა ბოლომდე აღარ მოუსმინა, ყურ-მილი მიავდო და წამოდგა.

— დამიანე ჭყონია, ჩემო ძვირფასე-ბო, მაშინაც მართალი იყო, როცა ხელ-თფლიშვილი მოგვახსენებინა და დღე-საც მართალია, როცა გვითხრა, არაფე-რანიძე არ უნდა დაგეწინათო. არა, ის კიდევ საკითხავია, მე მაშინ გულს ავეყე-ვი, თუ არა, მაგრამ... რაც იყო, იყო. წარსულს ვეღარ დავაბრუნებთ. არაფე-რანიძე კი ამ მძიმე დღეში ჩვენ ჩავაგე-დეთ, და ჩვენზე უნდა დაგეწმაროთ. უბ-ნის ხალხს ახლა გუნება გაუფუჭდება. შემონტაჟებმა ბარე ერთი თვის წინათ გამაგონეს, ეს პირობები ხელს არ გვაძ-ლევსო. ვრისა ოდიბაშევს თქვენც კარ-გად იცნობთ... მაგრამ ესეც არაფერი, თუ ოდიბაშევი გაიქცა, მაგის შემცე-ლელს როგორმე კი ვიშოვნო, დიდი არა-ფერი სპეციალისტი ეგ არა მყავს. მაგ-რამ აჯერ რაიკომის ბიურომ დაგვევალა, უბნის ხელმძღვანელობა ვააძლიერეთო. ამაზე რას იტყვი?

— მოგცენ ერთი კარგი ინჟინერი და ვააძლიერებთ.

— სწორედ რომ...

— მოცემით ჩვენ არავინ არაფერს მოგვეცემს, — სარდიონმა სიგარეტი სა-ფერფლეში ისე მაგრად ჩასრისა, რომ ტერენტისა და კახაბერს კიდევ გაუყვი-რდათ, თითები როგორ არ დაეწვათ, და ერთმანეთს გადახედეს. — ეჰ ერთი და მეორეც: იმათი მოცემული ინჟინრები მანამდე ვარგანან, სანამ ტრესტში სხე-დან და ვანკარგულუბებს იძლევიან. აქ კი რომელი რას მოიმოქმედებს, კაცმა არ იცის.

— ნამდვილად!

— სწორედ რომ!

სარდიონმა ახალი სიგარეტი ამოიღო. მაგრამ არ მოუკიდებია, პირშიც კი არ ჩაუღვია. სიგარეტს თავს უსრესდა და ხან კახაბერს მიანიჩერდებოდა, ხანაც ჩა-გუნავს.

— უკაცრავად... — კახაბერმა სიჩუ-მეს ვეღარ გაუძლო და სარდიონს კითხ-

ვით მიაჩერდა, — არჩევანიძეს ვხსნით თუ ვტოვებთ?

სარდიონს ჩაგუნდავ მიაჩერდა.

— არჩევანიძეს ვტოვებთ. მაგ ბიჭს არაფერი დაუშავებია, მეტი კი ვერაფერობით არც მოეთხოვება.

სარდიონმა ეს სიტყვები მოწყვეტით ისროლა და სახეზე წამოწითლდა. ამის შემხედვარე გურასაშვილმა და ჩაგუნდამ ერთდროულად გაიფიქრეს, ეს ბერიკაცი მოკვდება და იმ ბიჭს კი არ დათმობსა.

— აბა? — კახაბერმა და ტერენტიმ ერთმანეთს გადახედეს, — აქი უბნის ხელმძღვანელობა გააძლიერეთ!

— გაეაძლიეროთ... — სარდიონმა სიგარეტს შოკიდა და ასანთის ნაწიწკავი საფერფელში ჩაადგო. — არჩევანიძეს ერთი კარგი მოადგილე გამოუძებნოთ და გააძლიერებაც ეს იქნება.

— ჩახუნაშვილი?! ჩახუნაშვილს რაღა ვუყოთ?!

— აი, ეგ უკვე მე აღარ მეკითხება. შენ, ძმაო, პარტიბუროს მდივანი ხარ, შენა ხარ და — მთავარი ინჟინერი ბრძანდება. გაინძერით... არჩევანიძის მოადგილეს მე გამოვძებნი. შევარჩევ ვინმეს, კურსდამთავრებულს... ჩახუნაშვილი კი თქვენ მომამორეთ. ეს ორი ლომივით ვაყკაცი იმ ერთ სირაქლეშას ვეღარ მოერევათ? სუ! არ შემეკამათოთ! მოარჩა!

და სარდიონი წამოდგა.

თავი III

არც კახაბერ გურასაშვილსა და არც ტერენტი ჩაგუნდავს იოტისოდენა ეჭვიც კი არ ებარებოდათ იმაში, რომ სარდიონის ნაფიქრალი — ჩახუნაშვილი მოვხსნათ და მის ნაცვლად ვინმე მარჯვე ბიჭი დავნიშნოთ — ნამდვილად სწორი იყო. არჩევანიძის მოხსნა ახლა არასგზით არ შეიძლებოდა. ნოსელიძის დაღუპვაში ახალგაზრდა ინჟინერს არავითარი ბრალი არ მიუძღოდა და იგი რომ ახლა მოეხსნათ, ხალხი ამ ამბავს სწორედ ნოსელიძის დაღუპვას დაუკავშირებდა,

საქმეს ათასგვარი კული გამოუმეზობოდა, ვინ იცის, ყველაფერ ამას არჩევანიძეზე როგორი მძიმე გავლენა მოუხდინა. გარდა ამისა, ახალგაზრდა ინჟინერს უბნის შემხატეები უკვე ნამდვილად პარტივსა სცემდნენ და მისთვის ასე განუკითხავად ხელის წამოკვრას არავის შეეჩვენდნენ.

სულ სხვა იყო ჩახუნაშვილი. ამ უსაქმურმა თავი ყველას დიდი ხნის წინათ მოაბეზრა. უკვე დიდი ხანი იყო, რომ უბნის და მთელი შახტის ხორცმეტად თვლიდნენ და ძალდაც კი არ აგდებდნენ. მაგრამ ჩახუნაშვილის მოხსნა მაინც არ იქნა და არ მოხერხდა. ამის გაკეთება წინა წლებშიც ბევრჯერ სცადეს, ერთხელ თუ ორჯერ თვითონ ჯიბრაილიც კი დაეჭაფურა, მაგრამ ამაოდ. ვერაფერს ვერაფერს გახდა. იმ ქუსლმოქცეულმა მთელი კანონები ზეპირად იცოდა. საქმეს ისეთი ბილიკიდან შემოუვლიდა ხოლმე, რომ იმ ბილიკის არსებობა არავის ფიქრადაც კი არ მოუვიდოდა. ხან ადგილკომი აღადგენდა ხოლმე, — ასე განუკითხავად როგორ მოხსენით, ადამიანისათვის ბრძანებით ვერ ერთი საყვედურიც კი არ გამოგიცხადებიათ; ხან სასამართლო გაიუტდებოდა, — ადგილკომის თანხმობის გარეშე არავის მოხსნა არ შეიძლებოდა და — ასე. მოწინააღმდეგენი მუდამ პირში ჩალაგამოვლებულნი რჩებოდნენ. ანდა ვის ეცალა ანთიმოზა ჩახუნაშვილის საღვენელად და მისთვის ბრძანებით საყვედურების გამოსაცხადებლად? მობეზრდით და ხელი ჩაიჭინეს. სარდიონმა ისიცა თქვა, თუ თვითონვე შერცხვა მუქთა პურის ჭამა და თავი დაგვანება, ხომ კარგი, თუ არადა — ეგდოს, კისერიც უტეხიაო.

ანთიმოზასაც ეს უნდოდა. სანგრევეში აღმა-დაღმა დაეხეტებოდა, კაბიკის საღირაღს არაფერს აკეთებდა, ყოველგვარი პასუხისმგებლობიდან თავს მოხერხებულად იძვრენდა და თან კი თავს ნამდვილ შემხატობაზე სდებდა, მოადგილის უზარმაზარ ხელფასსაც იღებდა და სხვა შედავათებითა და სიკეთითაც

წარბშეუხრელად სარგებლობდა. რომ იტყვიან, ცა ქუდად არ მიაჩნდა და დედაშიწა ქალამნად.

მაგრამ ახლა მეტის მოთმენა აღარ შეიძლებოდა. ახლა ჩახუნაშვილის მოხსნა და მის ადგილზე ვინმე მარჯვე ბიჭის დანიშვნა უბანსაც წამლად წაადგებოდა და არჯევანიძესაც, მაგრამ... ეს როგორ უნდა მოეხერხებინათ?

მეორე დილას კახაბერ გურასაშვილი შახტზე უთენია მივიდა. თავის კაბინეტში მაგიდას მიუჯდა და ტერენტი ჩაგუნდავას დაურეკა. ტერენტიმ პირველსავე ზარზე უპასუხა, — შახტზე იგი კახაბერზე ადრეც კი მოსულაყო.

— რას აკეთებ?

— საწვერო ანარიცხებს ვანგარიშობ...

— დალოცვილო, მაგისტრის ვცალია?

— შენ არ იყავი მოსული და...

— აჰა, მეც მოვედი.

— შესმის... შე მოვიდე, თუ შენ მოხვალ?

— შენ მოდი.

კახაბერმა ყურმილი მიაგდო და უხალისოდ ჩაიღიმა: ის და ტერენტი ერთმანეთს ხუმრობით ეპაქტებოდნენ ხოლმე, — არა შენ უნდა გამოცხადდე ხოლმე ჩემს კაბინეტში და არა შენ ჩემსაშიო. მაგრამ ახლა ხუმრობის დრო აღარ იყო.

ტერენტი შემოვიდა და თან ჩახუნაშვილის „პირადი საქმე“ შემოიტანა. კახაბერმა კაბინეტი შიგნიდან ჩაკეტა და ორივენი იმ „საქმის“ ფურცელას, ფიჭრსა და ბჭობას შეუღდგნენ.

ჩახუნაშვილს „საქმეში“ საყვედური და გაფრთხილება ერთიკი კი არა ჰქონდა, მადლობებისა და ფულადი პრემიების ბრძანებები კი — თუარებელი: ეს უბანზე კვარტალური გეგმების ვადაკარბებით შესრულებისათვის, ეს — წლიური გეგმების, ეს თვითღირებულების შემცირებისათვის, ეს ხარისხის გაუმჯობესებისთვის, ეს შეშახტის დღის აღსანიშნავად, ეს ოქტომბრის რევოლუციის წლისთავთან დაკავშირებით, და ვინ მოთელის... მართალია, ყვე-

ლამ იცოდა, რომ ამ ბრძანებებს შახტობებისა და პრემიებს უკან სხვების შრომა და თავდადება იმალებოდა, მაგრამ რა? ჩახუნაშვილს „პირადი საქმე“ სულთა და სანიმუშო ჰქონდა და ამ „საქმეზე“ დაყრდნობით მისი თანამდებობიდან მოხსნა არასჯობით რ შეიძლებოდა.

კახაბერმა ამოიკენესა და „საქმე“ გვერდზე მიაგდო:

— ეს ჩვენ არაფერს მოგვცემს. — ნაღლიანად წაილაპარაკა მან.

— ნამდვილად, — მყისვე დაუდასტურა ჩაგუნდავამ. ორივე ფიჭრს მიეცა.

— ეს კატა ისე უნდა დავიპიროთ, — თქვა მერე გურასაშვილმა, — რომ კლანჭი არ ვაგვკრას.

— საქმეც ეგაა. აბა, კლანჭი თუ გამკრა, და სისხლიც მაღინა, მაგი რაღად მინდა!

— პარტიული ხაზით გვემოქმედა?

— ეგ როგორ?

— ავუხსნათ, ამას რატომაც ვაკეთებთ... ესე იგი...

— ნუ ვაღამრევე ერთი, კახაბერ ჩემო ჩახუნაშვილს შენ რამეს აუხსნი და გააგებინებ?

— აბა, რა ვქნათ?

— არ ვიცი, ჩემო ძმაო!

— სარდიონის ბრძანება არ შევასრულოთ?

— შეასრულე, ვინ გიშლის?!

— მართო მე შევასრულო?!

— ორივემ შევასრულოთ.

— შევასრულოთ... რამე მირჩიე და შევასრულებ.

— აწი შენ მირჩიე და მე შევასრულებ.

— ჰოოო!

— აბააა!

და ორივენი ისევ ფიჭრში ჩაიძირნენ. მერე გურასაშვილმა ჩაიბურტყუნა, ნარ-ეკლის გლეჯას ყველა სხვისი ხელითა რჩეობსო, და ყურმილი აიღო.

— სად რეკავ?

— სამორიგოში.

— რომელ სამორიგოში?! — ტერენტიმ თვალეზი გაოცებით დააახამაჰა.

— შესაშე უბნის! რომელში... გამო-

ვიძახებ და გეტყვი. ადამიანის სულ აღარაფერი სცხია? თუ გამოვიგონა და დამთანხმდა, ხომ კარგი, თუ არადა...

— არ ვიცი. მაშინ შენ იცოდე და... მე, ძმავ, შახტის მთავარი ინჟინერი ვარ. მთავარ ინჟინერს ხალხის გადაადგილება არც კი ეცითება, დიასხა და გურასაშვილმა ტელეფონის დისკო ისე გამეტებით დაატრიალა, თითქოს ნოვლეჯა სწაიდაო.

— გისმენთ!

— ჩახუნაშვილსა თხოვეთ.

— გამარჯობა, ანთიმოზ!

— იცოცხლე! რომელი ბრძანდები?

— გურასაშვილი ვარ.

— იცოცხლე, ბატონო კახაბერი! ხომ კარგად, ხომ ბედნიერად?

— არა მიშავს... გესმის?

— დიასხა!

— თუ გცალია, ორიოდე წუთით ჩემთან ამოდი.

— ბატონო?

— თუ გცალია, ორიოდე წუთით აქ ამოდი-მეთქი. არ გესმის?

— მესმის, როგორ არ მესმის, მაგრამ... თუ ძალიან საჩქარო არაფერია, კახაბერის ქირიმე, ახლა მანდ ნუ ამოიყვან. მთელი ღამე შახტში ვეგდდე და დაღლილობისაგან ფეხზე ძლივსღა ვდგევარ.

„იყნოსა“ — გაიფიქრა გურასაშვილმა და ჩაგუნავას პრაქტულმეტყველი მშენებელი შეაფლო.

— დაქანცულება, ჩემო ანთიმოზ, ყველანი ვართ, ან რომელი უსაქმურები ჩვენა გენახე?

— ბატონო?

— როგორმე გაიჭრე და ამოდი. გადაუღებელი საქმეა.

— ბატონო!

— გადაუღებელი, სერიოზული საქმეა-მეთქი. რამ დაგაყრუა, რა ვქნა?

— მესმის. გეახლები ახლავე გეახლები.

კახაბერმა გაიგონა, როგორ გამეტებით დაახუტა ყურმილი ჩახუნაშვილმა.

მთავარი ინჟინრისა და პარტბიუროს მდივნის კაბინეტი მესამე სართულზე

იყო — შახტის უფროსის, საგეგმო ნაწილისა და ბუღალტერიის გასწვრივ. იმ სართულის დერეფნებში ქვანახშირის მტერით სახეამურულ კუჭკუიან სპეცტანსაცმელში ჩაცმულ მეშახტეებს იშვიათად თუ ნახავდი: თუ რაიმე საგანგებო შემთხვევა არა, მეშახტეები აქ უკვე გასუფთავებულნი და საგარეო ტანისამოსში ჩაცმულნი ამოდიოდნენ. როგორღაც თავიდანვე ასე დაკანონდა.

კახაბერი და ტერენტი ფიქრობდნენ, იმ დარღვეულ კანონს ჩახუნაშვილიც ანგარიშს გაუწევსო, მაგრამ მოტყუვდნენ. მთავარი ინჟინრის კაბინეტში ანთიმოზი ბრეზენტის კუჭკუიან სპეცტანსაცმელში ჩაცმული, სახე და ხელებგამურული შეჩლახუნდა. მეშახტის ნათურაც კი არ მოეხსნა და ხელში ეჭირა. მისი რეზინის ჩექმები იატაკზე სველ, ტალახიან ნაკვალავს სტოვებდნენ. გამურულ სახეზე კი ოფლის წვეთების ნაკვალევები აჩნდა და კახაბერმა თავისდაუნებურად გაიფიქრა, ეს უკუღმართი მართლაც მთელკვირის ნაჯახს და ნაწვალებს არა ჰგავსო!

ჩახუნაშვილი კახაბერის მაგიდის მიუახლოვდა, დიმილით გაჩერდა და ტალახიან ჩექმებზე დაიხედა.

— არც კი ვიცი, ხელი გამოვიწოდო, თუ არა. მესამე დღეა, ხელ-პირი არ დამიბანია.

— რა საკადრისია... — კახაბერი მყინვე ფეხზე წამოღდა. — მობრძანდი, — და ჩახუნაშვილს ხელი პირველმა გამოუწოდა.

ჩახუნაშვილმა ხელი ორივეს უდიდესი სიფრთხილით ჩამოართვა და მაგიდის გასწვრივ მდგარ სკამზე ჩამოჯდა.

— შეიძლება ცოტათი სკამიც შეილანძლოს, მაგრამ... მეტი ნამდვილად აღარ შემიძლია. მესამე დღეა, მუხლი აღარ ჩამიყვავს. ხე-ხე-ხე!...

— დაბრძანდი, ანთიმოზ, დაბრძანდი!

— მოსვენე!

— სხვა, როგორ გეკითხოთ, ანთიმოზ?

— როგორ ვიქნები?

— ამ ჩვენი უბნის ხალხმა თუ ამდენი

ვიწრომეთ, სულიც ამოვკვერება და ეგ არის. დღე ჩემთვის აღარაა და ღამე, ძილი ჩვენ აღარ ვიციით და მოსვენება. არადა, საქმე თხოულობს, ძმამო ი ბიჭის დაღუპვამ ხომ ბევრს გაუფუჭა ხანიათი. გჯერა? გუშინ ნამუაღღვეს რომ ჩავეშვი, უკან აი, ახლა, ათი წუთის წინათ ძლივს ამოვკვერი. ხან ჯაჭვი გაწყდა, შენ ხარ ჩემი ბატონი, ხან ხე-ტყე მოგვიტანეს, ხან კახელი დანაბრძელბელი შეიქმნა, ხან ცარიელი ვაგონებება შემოგვაკლდა... ხე-ხე-ხე!... უბნის უფროსი, ეს ჩვენი თეიმურაზი, ნამეტანი კარგი ბიჭია, მაგის ცულს ვერ ვიტყვი. წყნარი, უწყინარი, ტყუილ-უბრალოდ აღამიანს ბუზს არ აუფრენს, მაგრამ... რა გინდა რომ ქნა, ჯერჯერობით მანც-დამიანც დიდი ავტორიტეტით ვერ სარგებლობსა და მისი მაგივრობა ყველგან მე მიხდება. არც კი არ ვამადლი, დემერთმა შეარგოს, საერთო საქმისათვისაც ასეა საქირო, მაგრამ... დავილაღე, ჩემო კახაბერ და ჩემო ტერენტე, უწლოვანი კი აღარა ვარ. თავს მალე დაგიკრავთ და პენსიაზე გადავბარგდები. მერე, ძმამო, თქვენ იცოდეთ და მაგ უბანმა ხე-ხე-ხე!.. ჰო, რაო, რაიკომმა გუშინ?

— შავი დღე გვაყარეს.

— აბა, რა იქნებოდა! თუმცა... რა ვიცი ეს ოხერი, რაო ჩვენი გაუკვირდათ? პირველ შახტზე ამ წინებზე უარესი არ მოხდა?

— ეჰ! იცოცხლე ის უარესი იყო, მაგრამ... ის, ჩემო ანთიმოზ, ჩვენ არ გვეხება. პასუხს ჩვენ ჩვენს შახტზე ვაგებთ.

— ეგეც მართალია, ჩემო კარგო, ეგეც მართალია... ისე, რაკი პირად საქმეებში არაფერი ჩავიწერეს, კიდევ დიდი პატივი უციათ. ხე-ხე-ხე!...

— არა, არ ჩავიწერეს.

— ჰოდა, მეტი რაღა გინდათ? ან იმ ბიუროს რაღას ერჩით? აღამიანი, ჩემო კარგო, მოგესხენება, უძვირფასესი კაპიტალია. აღამიანის დაღუპვისათვის ყველამ პასუხი უნდა ვაგოთ. რაღა დავგიმალო, ჩემო კახაბერ, ჩემო ტერენტე, და — მეც კარგი შიში გამოვიარე. მოადგილე ვარ, ყველაფერზე პასუხს მე

ვაგებ... ვფიქრობდი, გამომიძახებდნენ... სამპირ ტყავს ვამაძრობენ-მეთქი. მაგრამ — გადავრჩი, მომხელა ღმერთითა და არავის ვაფხსენებევარ. ა? არადა, ისეთი დამწვარი იღბლის კაცია ვარ, რომ გამოვიძახე, ნამდვილად პირად საქმეში ჩამიწერდნენ. აბა, ზეპირ საყვედურს მე ვინ მაქმარებდა. ამ ხანდაზმულობაში კი პირადი საქმის ვასერა ვის ესამოვნება, ჩემო ძმამო? სწორედ რომ ბევრზედა ვარ გადაჩენილი. ხე-ხე-ხე... კი... აბა, ჩემო კახაბერ და ჩემო ტერენტე, მითხარით, რა საქმეც ვაქვთ და გამისტუმრეთ, თორემ შიმშილსა და დაღლილობისაგან ძვალი ცალკე მაქვს და რბილი ცალკე. შემომხედე, რას ვგავარ აბა, რაიმეს თავი რომ მქონდეს, შენს კაბინეტში ამ ყოფით ამოვიდოდი? მე შენ მეტ პატივს არ გცემ? თუ დასერილი ჩექმებით ვაგავიკრებ? ა? ხა-ხე-ხე!...

ანთიმოზმა თავისი ვრძელი მონოლოგი ჩაათავა, ზედ ის მოკლე, დახეპარებული ჩახითხითებაც მიაყოლა და დამხედურებს მყისვე ისეთი გამსქვაღავი, ბოროტი მზერაც შეავლო, რომ კახაბერსაც და ტერენტისაც ტანში გააცივდა. მთავარმა ინჟინერმა და პარტიფროს მდივანმა ერთმანეთს გადახედეს. ორივემ უკვე მშვენივრად იცოდა, რომ ანთიმოზი მიხვედრილი იყო, რასაც უპირებდნენ. ამ გარემოებას მათთვის თითქოსდა ლაპარაკის დაწყება უნდა გაეადვილებინა. მაგრამ — მანც სათქმელზე ხმის ამოღებას კარგა ხანს ვერც კახაბერი ბედავდა და ვერც ტერენტე. ანთიმოზი გარეგნული მოთმინებით იცდიდა და თან შემურული ხელით უღვაშს აწვალებდა. ბოლოს კახაბერმა ტერენტის ბრაზიანი მზერა შეავლო, მაშინვე ანთიმოზს მიუზღუნდა და შეეცადა, სახეზე მყისვე თბილი ღამილი გამოესახა.

— რაღა დავგიმალოთ, ჩვენო, რასაკვირველია, ძმამო და ამხანაგო... ჩვენო. რა თქმა უნდა, ანთიმოზ... მე მგონი, შენ არ უნდა გუწყინოს, ასე უბრალოდ და, ვიტყვადი, ამხანაგურად რომ მოგმართავ,

არა? ჩვენ ხომ ყველანი ერთმანეთის ამხანაგები და ძმები ვართ... ხომ? ჰოდა... მე, ძმაო, კახელი კაცი ვარ, მივიბ-მოვიბვა და ამისთანები არა მიჩვევია, რასაც ვფიქრობ, იმას პირდაპირ კიდევაც ვიტყვი ხოლმე. ჰო!... ჰოდა, აი გეუბნები, რომ ახლა შენ ჩვენთან დამახებული ხარ — რაზე? შენ ჩვენთან დამახებული ხარ ძალიან, ძალიან საჭირო და, მაშასადამე, გადაუდებელ საქმეზე. ჰო! და ამის შესახებ დაწვრილებით მოგახსენებს ამხანაგი ჩაგუნავა, ჩვენი, მაშასადამე, პარტიულროს მდივანი, რომელსაც თქვენ ასევე იცნობთ და, რასაკვირველია, ენდობთ.

კახაბერმა სათქმელი ჩაათავა. ასპარეზი მოულოდნელობისაგან გაოგნებულ ტერენტის დაუთმო. ანთიმოზი ორივეს ბოროტად თვალს ადევნებდა.

— ესე იგი, ამხანაგს მე განუშარტო?

— ტერენტიმ მარჯვენა ხელის ცერათითი მკერდზე, ზედ გულთან მიიღო.

— ჰო! — უბრალოდ, თავდამბლურად დაუდასტურა კახაბერმა. — განუშარტე, მაშასადამე... დიასხ...

თეთონ კი წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა, გულის ჭიბიდან სიგარეტი ამოჰსრო და გააბოლა.

— აბა, თუ მასეა... — ტერენტიმ გაბრაზება ვედარ დამალა, — თუ მასეა მე ჩემი კაბინეტი მაქვს და ამ საქმესაც იქ გადავეთებ.

— გააკეთე. — მყისვე — ნება დართო კახაბერმა. წაიყვანე და განუშარტე. ვინ დაგიშალა?

— კი, მაგრამ... ჩვენ ასე მოვილაპარაკეთ, ერთი განუშარტავს და მეორე კი განზე გადგება და პაპიროსს გააბოლებსო?

— არა, ეგრე არ მოვეილაპარაკებო.

— აბა?

— ახლა დამიწყე აბა და არა!

— იიპ! ტერენტიმ ხელი ჩაიჭინა, — მოიხედე აქეთ, ანთიმოზ! პატარა, ბავშვი აღარც შენა ხარ და უკვე ჩვენზე უკეთ იცოდე იქნება, აქ რისთვისაც ამოვიყვანეთ... ვერ ხედები?

— ვხედები.

— აბა, რაღას მალაპარაკებ?

— მაინც მოთხარო!

— გეტყვი. მე, ძმაო, საერთო საქმის ინტერესები მალაპარაკებს, თორემ პირადად შენი ინტერესი არც მქონია და არც მექნება. ეს შენც კარგად იცი, ჰო! ახლა მოიხედე. უბანზე რა ვაიფეველებელიც დატრიალდა, შენ ჩვენზე კარგად მოგვხსენება. ახლა: საქტიროა უბნის ხელმძღვანელობის გაძლიერება. ეს მართო ჩვენი აზრი კი არა არის, არმედ ხელმძღვანელი ამხანაგების აზრიცაა. რაიკომის ბიურომ ეს პირდაპირ ჩაგვიწერა თავის დადგენილებაში. ახლა არჩევანიძეს ჩვენ ვერ მოვხსნივთ. ახალგაზრდა სპეციალისტების ბედ-იღბალს ჩვენ ბურთივით სათამაშოს ვერ გავხდით. და იმ ბიჭს არც არაფერი დაუშავებია. ავტორიტეტი აქვს, შენ ხარ ჩემი ბატონი...

— ესე იგი, მე დევაშავე, ხომ! — ანთიმოზმა თვალეზი ფეთიანივით დააბრაიალა. — რა, საწყალი ბიჭი ხელში მე შევიკალი, ხომ?

— დამაცადე, იდამიანო! ვინ საწყალ ბიჭზე ლაპარაკობ?

— ნოსელიძეზე. იორამ ნოსელიძე სანგრევეში მე ჩავმარბე, ხომ?

— დამაცადე-მეთქი, ქრისტიანო!

— ბრძანე, აბა, ბრძანე, — ანთიმოზი სკამზე გასწორდა და გულზელი გამომწვევად დაიკრიფა. ისეთი გამომეტყველება ჰქონდა: ვიცი. რასაც მეტყვი, და პასუხიც მზადა მაქვს, ოღონდ რაიკო პარაკი გინდა, ილაპარაკე, მე მოვითმენ და პასუხს მერე მოგახსენებო: — გისმენ!

— ჰოდა, ძალიანაც კარგი, რომ მისმენ. შენ ახლა არ იფიქრო, ჩემი მოხსნა და გაუბედურება უნდაო. არაფერი! ჩვენ, — აგერ ამხანაგი კახაბერი დამემოწმება, — ვენტილაციამო ხალხი გვესპიროვება. არღაზიანმა პირდაპირ სული ამოგვართვია, კაცი მიშოვეთ, კაცი მიშოვეთ და მიშოვეთო. მიცალე! მალაპარაკე! უბრალო ვინმეს კი არ გვეჯერდება, ვისაც ვიშოვით, ის აღამიანი მცოდნეც უნდა იყოს, გამოცდილიც, სანდოც, პა-

ტიოსანიც და რა ვიცი... ერთი სიტყვით, ფეხად ჩამოსული ანგელოზი თუ არ იქნება, ისე ახლოს არ იკარებს. ჰოდა, ასეთ ადამიანად ჩვენ შენ დავსახეთ და... ახლა მოიცა, მათქმევინე! ან შენ რას ჰკარგავ, ჩემო ძმაო? თანამდებობა — საპატიო. ხელფასი, მოგვსესენება, თუ მეტი არა, არანაყლები. ისე სხვა ყველაფერი.. მოიცა, მათქმევინე... ანთიმოზ!

— მე შენ ვათქმევინე! ახლა შენ მე მათქმევინე... — ჩახუნაშვილი ზეწამოიჭრა, სახეზე ადამიანის ფერი აღარ ედო და თვალებს შეშლილივით აბრიალებდა. — ესე იგი, სარდიონმა და არჯევანიძემ ის საწყალი ბიჭი მიასიკვდილეს და პასუხი ანთიმოზ ჩახუნაშვილო, შენ აგეო. ხომ? ჩახუნაშვილს თანამდებობას დაატოვებინებთ და მერე მთელი ქვეყნის სალაპარაკოს ვახდით, ყველაფერი მაგისი ზრალი იყოო, ხომ? არა, რისთვის? რისი ვლესთვის? სხვა აფრად იფარვა და მარტო ამიტომ?! ააარა ვერ მოგართვეს, ტერენტი ჩაგუნავა მაწინაურებ, ახალ თანამდებობაზე ვადაგყვარ, ხომ? ვენტილაკიაში ხალხი გქირდებათ? იპ, რა მზრუნველი გამომიჩინდი! ამ ვენტილაკიის საქმეს შენ ვილა გეკითხება, ძალიან მაინტერესებს. თუ შენც გაბრძვივებენ და შენი ხელით ნარეკალს ეპოტინებინ? ალბათ ასეა... მაგრამ შენ გაბრძვიდი, თუ ვინდა, ეგ მე არ მეკითხება, ჩემს საქმეში კი... ნურას უკაცრავად! რომელი თანამდებობაც მინდა, ის კიდევაც მიკავია. აბა სცადეთ „და ხელოდან გამომგლიჯეთ. მე თქვენს..“

ანთიმოზი ოთახიდან გავარდა და კარი ისე მოიჯახუნა, რომ კედლებიც კი შეინძრნენ.

თავი IV

ისედაც დანადგლიანებულ თეიმურაზს რაიკომის ბიურომ და ბიუროს დადგენილებამ ხელი მთლად მოუთავა. მას ეშვიც კი არ ეპარებოდა, რომ დადგენილების ერთი მუხლი — უბნის ხელმძღვანელობა გაძლიერდესო —

სწორედ მას შეეხებოდა. თეიმურაზი პატივმოყვარე არასოდეს ყოფილა; ისიც კარგად იცოდა, რომ მას, დიპლომათ ინჟინერს, — შესაფერისი თანამდებობის გარეშე ერთი წუთითაც არ დასტოვებდნენ. მაგრამ ახლა ამ უბნის უფროსის თანამდებობიდან მოხსნას პირდაპირ სიკვდილი ერჩია. ფიქრობდა, ნეტავი კი ცოტა ხანს დამაციდდნენ, სანამ ყველა გაიგებდეს და დარწმუნდებოდეს, რომ იორამის სიკვდილში უბრალო ვარ და მერე თუნდაც კისრის ტეხით გამაგდონ, — ღარ ვინაღვლებო, ამას ნატრობდა. მაგრამ ასეთი სასიკეთო დასასრულის იმედი მის გულს მაინც არ ეკარებოდა, და ტელეფონის ყოველ გაწყვირიალებას გული ეკუმშებოდა, ალბათ, კადრების განყოფილებაში მიბარებენ, რომ თანამდებობიდან მოხსნის ამბავი გამოვიცხადონო.

მთუხედავად ყოველივე ამისა, ცდილობდა, გარეგნულად არაფერი შემჩნეოდა, და თავის საქმეებს ჩვეული მუყაითობითა და სიმშვიდით ასრულებდა.

ასე იყო იმ დღესაც. თეიმურაზი საპროიგოში იქდა და მეორე ცვლის მებიგეებს დავალებას აძლევდა. მოულოდნელად ტელეფონმა გაიწყვირა. მარგალიტა ხეტორიანი რეკავდა, — არჯევანიძე ახლავე შახტის უფროსთან გამოცხადდესო.

თეიმურაზს ფერი ეცვალა. წამოდგა, აკანკალებული ხელით საყვლო გაისწორა. მეშახტეებს უნის ბორძიკით უთხრა, დამელოდეთ, ახლავე დავბრუნდებით, და გავიდა.

თავიდან ფეხებამდე შავებში გამოწყობილმა მარგალიტამ თეიმურაზს თავი საკუთარი ღირსების გრძნობით დაუკრა, — იგი იორამის საფლავზე ყოველდღე დადიოდა, — და სარდიონის კაზინეტის კარისკენ ხმაამოუღებელი მიუთითა.

სარდიონი თავის კაზინეტში მარტო არ იყო. მაგდის გასწვრივ მღვარ სკამზე ოცდათხუთმეტოდე წლის, საფეთქლებთან ოღნავ თამაშევერცხლი-

ლი, რატომღაც უხერხულად მომიღიმა-
რი და ყურებდაწითლებული ვეჯკაცი
იჭდა. ეს კაცი თეიმურაზს ხშირად უნა-
ხავს შახტის ეზოშიც, აკუმულიატორ-
ების რიგშიც, შეხვედრია შახტის მთა-
ვარ შტრეკზეც... უნახავს მეშახტის
ჭუჭყიან ტანსაცმელშიც, სახეგამურუ-
ლი და ხელუბრაშავებული, და სუფთაც
გამოწყობილიც. მაგრამ ეს იყო და ეს,
ამ კაცისა თეიმურაზმა არც სახელი
იცოდა, და არც გვარი, არც წოდება
და არც თანამდებობა. ამიტომაც იყო,
რომ მყისვე გაიფიქრა, ნამდვილად ჩემს
ადგილზე ნიშნავენო და გული აუბა-
გუნდა.

სარდიონი ისევე დაღლილი ჩანდა,
როგორც დღენიადგ ამ უქანასკნელი
კვირების მანძილზე. მაგრამ თეიმურა-
ზს მაინც გამამხნეებლად, ვულობი-
ლად გაუღიმა. ზეზე წამოდგა და ხელი
ისე გამოუწოდა.

— როგორ გიკითხოთ, თეიმურაზ
ბატონო?

— გმადლობთ.

— ყომაღად უნდა იყო. დაბრძანდი.
რაიკომის ბიუროზე რას იტყვი? არა-
ფერია. აბა, როგორ ვინდა? დავამა-
კეთა და დაგვსაჩქეს ზომი ნამდვილად
ცოტა-ცოტა, ჩემო თეიმურაზ ყველამ
დავაშავეთ. პირდა, რას იზამი როგორც
ზემდგომი ამხანაგები გვასწავლიან, წა-
რსულის მწარე გამოცდილება გავითვა-
ლისწინოთ, მოშავალს კი მაინც იმედი-
ანი თვალით შევხედოთ. ასე ახლა კი
გაიცანი: უშანგი მონასელიძე — კარგი
ვეჯკაცი — მეშახტე და კიდევ უფრო
დიდებული ადამიანი!

ფერდაკარგულ, დაბნეულ თეიმურა-
ზს სარდიონმა ღიმილით მხარზე ხე-
ლი მოჭებია და მონასელიძისაკენ მიაბ-
რუნა.

— აბა, ხელი ხელს შახტის უფრო-
ხის ბრძანებაა, — და სარდიონმა ისევ
გაიღიმა.

მონასელიძე წამოდგა. თავი რატომ-
ღაც სიცილით გადააქნია, სახეზე კიდევ
წამოწითლდა და თეიმურაზს ხელი გა-
მოუწოდა. დაბნეულმა ინჟინერმა ხელი

უნდილად ჩამოართვა. მონასელიძის
ხელისგულიც ოფლიანი ჰქონდა.

— ასე! კეთილი და პატიოსანი! —
სარდიონი თავის მაგიდას მიუჭდა და
თეიმურაზს ახლა იქიდან გაუღიმა. —
დაბრძანდი, თეიმურაზ. დაბრძანდი და..
მოვილაპარაკოთ.

სარდიონის ხელში ბევრ ახალგაზრ-
და ინჟინერს გაუვლია. ოდესღაც თვი-
თონვე იყო ახალგაზრდა ინჟინერიც,
დამწყები ხელმძღვანელიც და ახლა
თვალნათლივ ხედავდა, თუ როგორ
ეშინოდა თეიმურაზს თანამდებობის
დაკარგვისა. ვახაგები იყო... სარდიონ-
მა თავის თავს გულში უსაყვედურა,
უფრო წინდახედულად უნდა მემოქმე-
და და ეს ბიჭი ამ ზედმეტ ნერვიულო-
ბასა და ძრწოლას მაინც გადაიერჩი-
ნათ, მაგრამ ახლა გვიანდა იყო. თეიმურა-
ზი თავიქაინდრული იჭდა და იმ განა-
ჩენს, საკუთარ თავს თვითონვე რომ გა-
მოუტანა ხმაამოუღებლად ელოდებოდა,
სარდიონმა გულში გადაწყვეტა, ახლა
მაინც ტაქტიკიანად მოვექცევიო, დათხა-
რა, მაგიდის კარი გამოაღო და ბორჯო-
მის ბოთლი გამოიღო:

— ბორჯომს არ დალევ?

— არა, გმადლობთ!

— შენ, უშანგი?

— არც მე ვეახლები.

— აბა, მირტო მე დავლევ. — სარ-
დიონმა ბოთლი გახსნა, ჭიქა გაავსო და
ცოტა მოსვა. — დიდად არც მე მჭერა,
რასაც ამ წყალზე ექიმები ლაპარაკო-
ბენ, მაგრამ მიწვეული ვარ. ერთ ჭიქა
„ბორჯომს“ რომ დავლევ, რა დაღლი-
ლიც არ უნდა ვიყო, მაშინვე მოვეცო-
ხლდები ხოლმე. ასეა, ადამიანს რისაც
სჯერა, მისი წამალიც ისაა, — სარდი-
ონმა ბოთლი გასწია და მაგიდას ორი-
ვე ხელის იდაყვებით დაეყრდნო, თი-
თების წვერები ერთმანეთს რამდენ-
ჯერმე შეახო და თეიმურაზს ერთხე-
ლაც გაუღიმა. — მე თქვენ, ბატონო
თეიმურაზ, ერთი მეტად მნიშვნელო-
ვანი ამბავი უნდა გაუწყოთ. მნიშვნე-
ლოვანი ყველასათვის, ჩვენთვის,
თქვენი უბნისათვის, მთელი ჩვენი

შახტისთვის და, ალბათ, პირადად თქვენთვისაც. ძალიან გთხოვთ, გულდასმით მომისმინოთ, საქმე ეხება თქვენს მოადგილეს, პარტიკომულ ანტიმოზ ჩახუნაშვილს. მე არ შეეუღღებები ახლა მის დახასიათებას. ეს ძველი მეშახტეა, მთელი თავისი სიცოცხლე მიწისქვეშეთში მუშაობას შეაღია, ბევრი უნახავს ვაჭირებდაც, ხიფათიც, მაგრამ... ყოველთვის პატიოსანი მშრომელი იყო და ასე დარჩა ბოლომდის. მას ჩვენი შახტისთვის ბევრი სარგებლობის მოტანა შეუძლია, და ექვევარეშეა, მოგვიტანს კიდევ, მაგრამ... ჩვენ, შახტის ხელმძღვანელობამ, პირადად მეც, მიზანშეწონილად ვცანით ამხანაგი ანთიმოზის. გადაყვანა სხვა თანამდებობაზე, კერძოდ, ვენტილაციის უბანზე. ჩვენ ვგრძნობთ, რომ ეს პირადად თქვენთვის, ალბათ საგრძნობი დანაკლისი იქნება. განვლილი თვეების მანძილზე თქვენ და ანთიმოზმა, ალბათ, ერთმანეთს გაუგეთ, შეეთვისეთ, შეეწყვეთ, მაგრამ... ახლა ჩვენ სხვა გზა აღარა გვაქვს. ვენტილაციის უბანს ანთიმოზის გადასვლა, რა თქმა უნდა, გააძლიერებს. პირადად იგი სრულიად არაფერს არ დაჰკარგავს — ისეთავე ექნება ხელფასიც, პრემიებიც, შვებულებებიც, სხვა ყოველგვარი შეღავათებიც, ამაში დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, თქვენ კი, თქვენს უბანს ჩვენ ანთიმოზის ნაცვლად აი ამხანაგ უშანგის გაგზავნით... უკაცრავად! — სარდიონმა მაგიდას თითები დაუკაჟუნა და ამით წამოწყო მონასელიძეს გააუშვებო ანთიმო — უკაცრავად! ამ თემზე, ამხანაგო უშანგი, მე და თქვენ უკვე მოვისაუბრეთ. დიახ!.. აი, ასე. — სარდიონი ისევ თეიმურაზს მიუბრუნდა — ამ პატარა ოპერაციამ თქვენს უბანზე, როგორც იტყვიან, სისხლის მიმოქცევა უნდა დაიჩქაროს. ა? კარგად ვერ გამოვთქვი? არა უშავს... ერთი სიტყვით, თქვენ და ამხანაგი მონასელიძე საერთო ენას გამონახავთ და შეხმატკბილებული, შეწყობილი მუშაობით ყველას გაგვახარებთ. რას იტყვით? თანახმა ხართ?

სარდიონმა სათქმელი კარგად დახანს ვაგარძელა და ამ ხნის განმავლობაში თეიმურაზმა მოასწრო საბოლოოდ დარწმუნება, რომ მას თანამდებობაზე ტოვებდნენ და მხოლოდ მოადგილეს უცვლიდნენ. გაბედნიერებული ახალგაზრდა ინჟინერი მზად იყო სცემოდა და გადაეკონა სარდიონიც. მონასელიძეც და სხვა ყველა, ვინც კი ხელში მოხვდებოდა. წამით ჩახუნაშვილის სახემ გაუელვა. მაგრამ იმას რა უშავს? სულაც არ იჩაგრება, ჯამაგირიც ისეთივე ექნება და შეღავათებიც. თეიმურაზი კი სარდიონს ამ სიკეთეს სიკვდილამდე არ დაუვიწყებს და ისე იმუშავებს, რომ სხვა სამთო ინჟინრებს არც კი მოლანდებიათ.

- რა თქმა უნდა, თანახმა ვარ.
- კეთილი და პატიოსანი!



ნახევარი საათის შემდეგ მარგალიტა ხეცურიანმა განცხადებების დაფაზე სარდიონის ბრძანება გამოაკრა, ანთიმოზ ჩახუნაშვილი გადაყვანილი იქნეს შახტის ვენტილაციის უფროსის თანამშემწედ, არგვეანიძის მოადგილედ კი დაინიშნოს სამთო ოსტატი უშანგი მონასელიძე.

სანამ მარგალიტა დაფაზე ბრძანების ფურცელს აკრავდა, ანთიმოზ ჩახუნაშვილი იქვე წრიალებდა. მარგალიტას საქმის ჩათვება არც კი აცალა, სამორიგეთში ჩავარდა, საპროტესტო განცხადება გამოაცხო და გაიწმინტებულმა აღდილკომის თავმჯდომარეს შეურბენინა.

თავი V

ჯიბრიალ ხელთუფლიშვილის ოჯახში ისევ სიწყნარე, თანხმობა და მყუდროება სუფევდა. ყოველ შემთხვევაში, ასე იყო გარეგნულად. ირინე სამსახურში დადიოდა, ჯიბრიალი — თავის ახალ სამუშაოზე, გოგუტუნა — საბავშვო ბაღში. მერე ერთად სადილობდნენ. საღამოობით ტელევიზორს მიუხსნებო-

დნენ ხოლმე. ათი საათი რომ მოაღწევდა, ირინე გოგუტუნას ათასნაირი დაპირებებით მოთაფლავდა და დასაძინებლად გაიყვანდა. ჭიბრაილმა უკვე იცოდა, რომ მისი ცოლ: უკანვე შემობრუნდებოდა. მართლაც, ნახევარი საათის შემდეგ ირინე შემოვიდოდა, კარს ფრთხილად, მაგრამ საიმედოდ მიხურავდა, ჭიბრაილს უკანინდან რბილად მოეხვეოდა და თითებს თმებში შეუტურებდა. ამის შემდეგ ერთმანეთს გათენებამდე აღარ შორიდებოდნენ, თითქოს მოუწოდებდათ იმ უკუღმართი დღეებისა თუ თვეების დანაცლისი ახლა ათ მაგად ამოიღონო.

ასეთი ცხოვრება ჭიბრაილს ყველაფერს ერჩია. რამდენჯერმე გაუფიქრია, რა ბედნიერი ვიქნებოდი, ჭვეყანაზე რომ არც ის დაწყევლილი დიპლომ-ატესტატები იყოს და არც ის ოხერი თანამდებობებიო. მაგრამ დამე ისე არ გაივლიდა, რომ ირინეს ჭიბრაილის თვალეზში ნაზად და გამომცდელად არ ჩაეხედა:

— აბა, მითხარი, რას უდრის ა პლიუს ბე კვადრატში?

— ეგ ხომ იმ დღეს გითხარი! — ჭიბრაილს ერთი თვალის მიღუღვა მთელს ჭვეყანას ერჩივნა.

— კიდევ მითხარი!

— ესე იგი... ა პლიუს ბე კვადრატში უდრის ა კვადრატი პლიუს ორი ა-ზე პლიუს ბე კვადრატი.

— სწორია. მათემატიკაში ნამდვილად ნიჭიერი ხარ. ნიუტონის ბინომი ხომ გახსოვს?

— მახსოვს.

— პიპოტენუზის კვადრატი?

— ეგეც... მახსოვს...

— ძალიან კარგი — ირინე ქმარს დახუჭულ თვალეზს სულმოუთქმელად უკოცნიდა. — კარგი, ახლა მითხარი, რომელ წელს დაიბადა ილია ჭავჭავაძე?

— ილია? ოჰ, ეგ ვინ აღარ იცის!...

— მაინც? მითხარი.

— ესე იგი... ილია — არა? ილია დაიბადა ათას რვაას ორმოცში.

— არა! ეგ აკაკია. მე ილიას გეკითხები.

— ირინე, აკაკი და ილია ერთმანეთს სვან ვინ გაჰყო?

— არავინ, სწორია, ორივე ერთ იღესას ემსახურებოდა, მაგრამ... ილია მაინც ცოტათი უფროსი იყო.

— რამდენით?

— ეგ შენ უნდა მითხრა.

— მე აღარ მახსოვს.

— სამი წლით.

— მაგისტანა მოღვაწეებისათვის სამ წელიწადს რაღა მნიშვნელობა აქვს?

— მნიშვნელობა ცოდნასა აქვს უცოდინარს ატესტატს არავინ მოგცემს. ახლა ეს მითხარი...

— შეყოფა, ირინე!

— ჭიბრ...!

მაგრამ ახლა ჭიბრაილი იძალებდა ხოლმე. მაინც არ მაძინებდა და — წამოიწევდა და ცოლს თავის რკინის მკლავებს ისე ძალულად მოხვევდა ხოლმე, რომ ძნელი გასაგება იყო, ირინე ტკივილებისაგან კვნესოდა, თუ ნატარებისაგან. ახლა ჩაბნელებულ ოთახში „პიპოტენუზებისა“ და „ბინომების“ მაგიერ ძიძგილაობის, შეგუბებული სიცოლის, შეკივლებისა და მძიმე სუთქვის ხმები ისმოდა. მერე ყველაფერი მიწყნარდებოდა, ხოლო კიდევ ნახევარი საათის შემდეგ ირინე თავას ქმარს ისევე მკერდზე მიეკვრებოდა:

— სულხან-საბა რომელ საუკუნეში მოღვაწეობდა?

— ა?

— სულხან-საბა.

— რა სულხან-საბა?

— რომელ საუკუნეში იყო?

— რა ქვია... მეჩვიდმეტეში:

— რა დაწერა?

— ირინე ხვალ ადრე ასადგომი ვარ.

— ეს მითხარი და დაძინე.


— იგავ-არაკები დაწერა, ლექსიკონი დაწერა...

— კიდევ?

— კიდევ ევროპაში იმოგზაურა.

— კიდევ?

— კიდევ... რა ვიცი. ბევრი რამე გააკეთა, კარგი კაცი იყო, ისე, ირინე, გესმის? თუ არ გესმის?



— რა?

— დრო ძალიან კი შეიცვალა, ხომ იცი. ევროპაში ახლა ჩვენი ხალხი ყოველდღე დადის და არაფერი, ის კი ერთხელ წავიდა და ხალხს აქამდე ახსოვს.

— ევროპაში ის ვისთან იყო, შენ თუ გახსოვს?

— რომის იმასთან...

— მერე? ახლა რომ ყოველდღე დადიან, იმათ რომის პაბთან ვინ მიუშვებენ?!

— ეგ, ახლა, რა ვუყოთ... საზაგიეროდ ქვეყანას ნახულობენ.

— ქვეყანა იმანაც ნახა.

— კი, ნახვით, რა თქმა უნდა, ისიც ნახავდა. ისე... ხელი მომეცი.

— გუყოფა.

— მომეცი.

— მერე მოგვემ.

ირინე ამ დაპირებას ხან ასრულებდა, ხან კი არა, ისე კი, კაცმა რომ თქვას, ძნელი გასაგები იყო, რა უფრო ეხალოსებოდა, ქმრის ალერსი, თუ მეცადინეობა.

დრო ასე გადიოდა.

მაგრამ ცოლსაც და ქმარსაც — ორივეს საკუთარი საფიქრალიც ჰქონდათ, რომელსაც ერთმანეთს არ უმხელდნენ.

ირინე კარგად ხედავდა: ჯიბრაილს არ ჰქონდა საიმიზო ცოდნა, რომ გამოცდებზე გასულიყო და საგნები ჩვეულებრივი, პატიოსანი გზით ჩაებარებინა. იმ დამეული „მეცადინეობის“ მიზანი მართოს ის კი არ იყო, რომ ჯიბრაილს რაიმე ესწავლა, არამედ უფრო ისა, რომ ჯიბრაილი საბოლოოდ შეჩვეოდა ახრს, გაზაფხულზე უთუოდ გამოცდებზე უნდა გავიდო, არ დავიზნე და ატესტატიც ავიღო. ატესტატის ასაღებად კი ერთადერთი გზა რჩებოდა: სკოლის დირექტორთან, ან სხვა ვინმესთან მოლაპარაკება („მოლაპარაკებაში“ ირინე ბევრ რამეს გულისხმობდა, და, სხვათა შორის, ქრთამის მიცემასაც) და საგნების ისე „ჩაბარება“, მაგრამ დათანხმდებოდა კი ჯიბრაილი ამ უკუღმართობაზე? ირინე თავის ქმარს კარგად იცნობდა

და ისიც მშვენივრად ახსოვდა, ფუფუნად წარბეჭეტილი იქნა ჯიბრაილი ნემსიწვერიძის კაბინეტში, როცა პაერში სწორედ ქრთამის სუნი ტრიალებდა, ამიტომ იყო, რომ ირინეს სწორად გულზე ნაღველი შემოაწვეებოდა ხოლმე და ქმრის ნამალავად, თავისთვის აბუტბუტდებოდა, — მე არაფერი ვიცი, ატესტატი აიღოს, თორემ თავს არ ვაცოცლებო.

თავის საფიქრალი აწუხებდა ჯიბრაილსაც, ჯერ ერთი, ისიც კარგად ჰხედავდა, რომ ცოდნა არაერთი არ გააჩნდა და ატესტატის მისაღებად მხოლოდ უკუღმართი გზები რჩებოდა. ხედავდა იმასაც, რომ ირინე ამ უკუღმართ გზებზეც თანახმა იყო. ჯიბრაილს სწორედ ეს ფიქრი აწვალებდა, — მთელი ცხოვრება პატიოსნად გავატარე და ახლა რაღაც ფარატინა ქალაქის გულისთვის ისეთი რამ უნდა მაკადრებინოს, რაშიც მუდამ სხვებს ვამტყულებდიო. ასეთ წუთებში ირინესაღმა პირდაპირ მტრული გრძნობა უჩნდებოდა ხოლმე და თითქმის მთელი ძალ-ღონის დაძაბვა სჭირდებოდა, რომ ეს ირინესათვის არ ეგრძნობინებინა. აბატიებდა ხოლმე და კიდევ მიუალერსებდა, მაგრამ გულში მაინც ფიქრობდა, ჩემმა ცოლმა უნდა იცოდეს, რომ ცხოვრებაში როგორც არ უნდა მიჰქირდეს, ჩემს კაცობას მაინც არავის გავაფლავებ და ყალბადანდობასაც არავის წამოვიძახებინებო. ამის გარდა, ჯიბრაილს სხვა საფიქრალიც აწვალებდა: მიტუშა კაიმიამიშვილის უბანზე ვითარება დღითიდღე მწვევდებოდა. იმ შემატეტებმა, ვინც კაიმიამიშვილს ადრე დაჩაგრული ჰყავდა, საბოლოოდ გადაწყვიტეს, ახლა, როცა ჩვენს უბანზე ჯიბრაილისთან ვაქცავი მოვიდა, იმ უსამართლობას, თაღლითობას და უდანაშაულო ხალხის ჩავგვრას ბოლო უნდა მოეღოსო. ეს შემატეტები სულ უფრო აშკარად და თავგამოდებით ეურჩებოდნენ კაიმიამიშვილს, და რამდენჯერმე კიდევ გააგონეს, ის დრო მოკვდა, შენს ნებაზე რომ გვატრიალებდი, თაღლითობის უფლებას აღარ მოგ-

ცემთო. კაიმაშიშვილი მაშინვე მიხვდა, ეს ყველაფერი ჯიბრაილის იმედით ხდებოდა, და ერთი-ორჯერ მწარედ ინანა კიდევ, რა ღმერთი გამოიყურა, რომ ეგ ჩემს უბანზე გაეაჭა-წანო. ეხლა ყველაფერს ის აჯობებდა, რომ ჯიბრაილისთვის რაიმე შარი მოედო და თავიდან მოეშორებინა. მაგრამ საამისოდ ჯერჯერობით არც გაბედულება ჰყოფნიდა და არც ზიზუზი გააჩნდა: ჯიბრაილი მეზივის მოვალეობებს პირნათლად ასრულებდა, საერთო საქმეში კი არავითარ აქტივობას არ ამტკიცებდა და იმ შესახებებს, ვინც ახლა კაიმაშიშვილს აუმხედრდნენ, არც ერთხელ მხარში არ ამოდგომია. მაგრამ ასე როდემდე უნდა გაგრძელებულიყო?

ერთ პარასკევს, როცა პირველი ცვლა შახტიდან უკვე ამოვიდა და უბნის უფროსს ანგარიშს აბარებდა, მეორე ცვლა კი დაეალეებებს იღებდა, რამდენიმე შესახებ ჯიბრაილი დერეფანში დაიმართობელა და თხოვა, ჯერ სახლში ნუ წახვალთ.

— რატომ?!

— რატომ და მეტი აღარ შეგვიძლია, ძმაო! — წვერგაუპარსავმა ტარიელ გოგისვანიძემ თვალები დაქაჩა. — წლით-წლამდე თავაულებლივ ვმუშაობ, ძილი მე არა მაქვს და მოსვენება, ჩემი ნაოფლარი კი ვიღაც ოხერსა და მუდრეკს ეწერება, აქაოდა, ის რეკორდსმენი და სტახანოველიაო. ეს სამართალია?!

— ნამდვილად ეგრეა კი? — ჯიბრაილი, რაღა, თქმა უნდა, მიხვდა, ესენი კაიმაშიშვილის წინააღმდეგ აშკარა ბრძოლას იწყებენ და ჩემი მიმხრობა უნდათო.

— შე კაცო!... აგერ მე და აგერ ეს ჩემი ჩაქუჩი. ახლავე სანგრევში ჩავიდეთ და სულ მისხალ-მისხალ მოვიზომავ, საიდან სადამდე გამოგქერი. მერე კი შავის წიგნში ჩავიხედოთ, შე რამდენი მიწერია და შოთა წიფურიშვილის რამდენი.

წიფურიშვილი ის შესახებ იყო — ერთი ჩაფსკენილი, მუდამ მომღიძარე ახალგაზრდა, რომელსაც კაიმაშიშვილი

ყოველნაირად ხელს უწყობდა და აწინაურებდა.

— წამოგვეშველე, ჯიბრაილი! — გოგისვანიძე პირდაპირ საცოდავად დაიმაწვა, — ჭრისტე არა ვწამს?

— მე რა შემიძლია?!

— კარგი, ახლა, თავს ნუ ისაწყლებ... შენ ასე ადვილად ხელს ვერავინ წამოგერავს. ერთი სიტყვა შემაწიე. თორემ — მე ვიმუშაო და სხვას ჩინ-მედლები დაჰკიდონ, ეს სადაურია! ძმაო, ჩემსას ვთხოულობ, სხვისას ხომ არა!

— ამ შესხტს უფროსი არ ჰყავს!..

— ვინ? უფროსი? იიპ. კაციოვლ არჩაიძე ჩემი გულისთვის თავს გაიცხელებს? ეგ გზა ჩვენ ბევრჯერ ვცადეთ, მაგრამ... ნუ დამზარდები, ჯიბრაილი! ყმად დაგიდგები, ოღონდ ჩემს ნაოფლარს უნამუსოებს ნუ შეაქმევ.

— ასე დღისით-შხისით შენს ნამუშევარს როგორ წაგართმევს, კაცო, ქვეყანა ჩალით ხომ არაა დახურული!

— მაინც არ გჯერა, ხომ? ა, ბატონო, შევიდეთ. თვითონაც სამორიგეოში ბრძანდება და... ახლავე ყველაფერს თვალწინ გადავიშლი, სულ ორი წუთი არ დამჭირდება.

— ერასტი, დადლილი ვარ, სახლში მეჩქარება.

— არ გეკადრება შენ ვერე განზე გადგომა, ჯიბრაილი!

— ჩემთვის მაგ ადამიანს არაფერი დაუშავებია.

ჯიბრაილმა გოგისვანიძეს მზერა ააჩილა.

— ეგ ჩვენ ვიცით.

— უბანზე მიიძლო, გაჭირვებაში ჩავარდნილს დამეხმარა...

— ვიცით, როგორ და რატომაც დაგეხმარა. მაგრამ კარგი, რაკი შენ დაგეხმარა, ჩვენ უნდა შეგვეწამოს? და შენ ასე გულხელდაკრეფილი გაჩერდები? არ გეკადრება შენ ვერე ლაპარაკი, ჯიბრაილი!

— უფ! — ჯიბრაილმა ღრმად ამოისუნთქა.

— ე, კაცო, ერთი წუთით შემომყევი.

იქნება, გატყუებ და იმ ადამიანს ცილსა ვწამებ, არ გაინტერესებს!

— ბატონი ბრძანდები. — ჯიბრაილმა თავი გადააქნია და ერასტის უკან გააქცა.

სამორიგეოში შევიდნენ.

კაიმაშიშვილი ვიღაც ახალგაზრდა, ხელშეხვეულ მეშახტეს ელაპარაკებოდა და თან დაფალებების ქურნალში რაღაცას წერდა. ჯიბრაილისა და მისთან ერთად შესული მეშახტეების დანახვისას ოდნავ შესამჩნევად თავი გადააქნია. მაგრამ არაფერი შეიმჩნია და თავისი საქმე განაგრძო.

შესულეში კედელთან გაჩერდნენ, — უბნის უფროსს გადაუდებელ საქმიანობაში ხელი არ შეუშალეს. ეს კი იყო, რომ ტარიელი მოუთმენლობას ვერ მალავდა და ფეხს მალი-მალ ინაცვლებდა. კაიმაშიშვილმა წერა ჩაათავა, ხელშეხვეულ მეშახტეს თავი დაუქნია, — თავისუფალი ხარო და შესულეებს მიუბრუნდა:

— რას გვიბრძანებთ?

— რაღაცების გამოკვლევა გვინდა, — ტარიელმა ჩაფხუტი მოიხადა და სკამზე დადო. მაგრამ იმ წამსვე აიღო, და კედელში ჩარჭობილ ლურსბანზე ჩამოჰკიდა.

— რისი გამოკვლევა?

— ზოგი რამის. — ტარიელმა ნაძაღველად ჩაახველა. ამკარად დელავდა და სათქმელს თავს ვერ უყრიდა.

— კეთილი. — კაიმაშიშვილმა დაეთარი დაკეცა და გვერდზე გასწია. — შენ ზოგი რამის გამოკვლევა გინდა. შენ, ჯიბრაილ? შენ რაღა გინდა?

— ჯიბრაილი აქ ჩვენ შემოვთყუვანეთ. პატიოსანი კაცია და ჩვენს ლაპარაკს დაესწროს-თქვა, ასე ვიფიქრეთ, დიხა!

— ბიჭოს! პატიოსანი ხალხი სამებარი გაეცინდა?!

— სახუმაროდ ნამდვილად აღარ გეცალა.

— ძალიან კარგი. მიბრძანე, რისი ვაგება გინდა?

კაიმაშიშვილი ისე თავდაჯერებულად და მზიარულადაც კი იქცეოდა, რომ

ჯიბრაილმა მაშინვე ვაიფიქრა, ეტყობა, ამას არავის ეშინია და თუ შართლა რაიმე ნაყალბაბანდვეი აქვს, ალბათ, ახლა იმის ვეალსაც ველარავინ, იპოვნისო.

— რისი, ჩემო ბატონო და... ტარიელი წამით შეჩქეიფდა, თითქოს სათქმელი შემოეღო. მაგრამ მაშინვე სხაბასხუბით მიიყარა. — სულ უბრალო რამის: რატომ დაეწერა ჩემი ხელით, აი, ამ მარჯვენით მოჭრილი ქვანახშირი შოთა წიფურიშვილს? აი, ეს გახაგებინე.

— ვინ მოგახსენა, შენი ქვანახშირი წიფურიშვილს მიეწერაო?

— მომახსენეს. აი, ეგ მაგ დაეთარმა მომახსენა.

— პირადად შენ მოგახსენა?

— მაგას რა მნიშვნელობა აქვს?

— აბა, აგერ ეს დაეთარი და ერთი მეც მაჩვენე. ვინ იცის, იქნებ, სიმართლესაც კი აზრობ. — კაიმაშიშვილმა მაგიდიდან დაეთარი აიღო და ტარიელს, გაუწოდა.

ტარიელმა გამოართვა, რამდენიმე გვერდი სწრაფად გადაშალა. საჭირო გვერდიც მალე იპოვნა. ჩაუკვირდა და... თვალეში გაკვირვებით აახამხამა, გაბურძვნილი თავი ასწია. ჯერ ჯიბრაილს მიაჩერდა, მერე კაიმაშიშვილს.

— აქ ასე რომ არ ეწერა?!

— აბა, როგორ ეწერა? — კაიმაშიშვილი ჯიბრაილისკენ მობრუნდა და ბირდაპირ თვალეში მიაჩერდა.

— ეს... ვიღაცას გადაუსწორებია. — დაბნეულმა ტარიელმა ისეც თავალეში აახამხამა.

— როგორ თუ გადაუსწორებია?! — კაიმაშიშვილმა წარბები შეიკრა.

— მიტუშა, ახლა... ა, ძმაო, ზედვე ეტყობა, რომ წაშლილი და ვადსწორებულა.

— კაცო, შენ აქ გამოძიებას ნუ ვიწყობ. — ავლებით შეუყვირა კაიმაშიშვილმა. — აი, ეს დაეთარი და აგერ, შენი ნამუშევარი. სწორად სწერაა? მიბასუხე?

— ახლა...ახლა სწორად წერია

— ზუსტად ამდენი გამოიღე?

— ზუსტად ამდენი გამოიღე.

— აბა, რაღა გინდა?!

— მე...

— აბა! გეყოფა! და კარგად მეყოლე! უკან აღარ მოიხედო!

საქციელწამხდარი ტარიელი დერეფანში მართლაც უკანმოუხედავად გაიძვრა.

— ინტრიგებს მიწყობენ აქ! — კაიმა-მიშვილმა დავითარი მაგიდაზე დააგდო, ჯიბრაილს გაალმასებული შხერა შეაგლო და დანარჩენებს მიუბრუნდა. — თქვენ რაღა გინდათ? თქვენც რამე დაგაქვს?

— არა, არა... — ერთად ალაპარაკდნენ მეშახტეები. — ჩვენ არაფერი.. ტარიელს შემოვყვეთ. აღარ მოგვასვენა და... რა მოვლანდება, კაცმა არ იცის. ბოდის ვიხდით, მიტუშა! ნაძვილად... ჩვენ არაფერი.

— ჰოდა, კარგათ! — კაიმა-მიშვილმა ხელი ამათაც აგდებით აუქნია და ჯიბრაილს მიუბრუნდა. — თქვენ კი, ჯიბრაილ, ერთი წუთით ჩემთან დარჩით.

როცა ყველანი გალაგდნენ, კაიმა-მიშვილი წამოდგა, კარი შეიგნიდან ჩაკეტა, ისევ მაგიდას მიუჭდა და ჯიბრაილს პირდაპირ თვალეშში შეხედა.

— ეს როგორ გავიგოთ?

ჯიბრაილმა არაფერი უბასუხა.

— სლუშხარ! შენი ნებაა, მაგრამ...

არა, ჰუკუსი დარიგებას არ გვიბრუნე, შენ თვითონ ჩემისთანას შეიძლება, ათსა და ოცს ასწავლო, მაგრამ... ხალხი ქრელია, ჩემო ძმაო! ამ უბანზე, სამასი კაცი მუშაობს და მე ყველას როგორ ვასიამოვნო? იქნება მეც რამე შეემშალოს, იქნება ზოგი ჩემი უკმაყოფილოც იყოს, მაგრამ... ამის გამოყენება... რა ვიცი... უბნის უფროსის ავტორიტეტის შელახვა... ერთი, შენ თვითონ ჩაუყვირდი.

— შენს ავტორიტეტთან მე რა ხელი მაქვს?

— ეგ მე თვითონაც მაინტერესებს. ამხანაგურად გითანაგრძნობ, ხელი გამოგიწოდებ... ასე არ იყო?

— გულახდილად გეუბნები, შენს ავტორიტეტთან არაფერი მესაქმება.

— კი!

— ასეა!

— არ ვიცი... მე შენ, ძმაო, დარბაისელ და გონებადამდარ კაცად გიტყობდი და... ამისთანები ვითომ გამოგვადგება? და აქ არც აპეკუნობა არავის სჭირდება. უწლოვანები არიან? აგერ. ეს დავითარი, როცა ნებავთ, მობრძანდნენ და ჩაიხედონ. შენ რატომ-ღა გრევენ?

— ეგ მე თვითონაც არ ვიცი. მაგათთან მე არ მივსულვარ. თვითონ ეგენი მოვიდნენ.

— ვთქვით, აგრეა, მაგრამ... ერთი ესეც ვიკითხოთ, რაღა შენ მოგაკითხეს? უბანზე ორი კვირის მოსული ხარ და უკვე ჩემზე უკეთ გაერკვევი? არა, ძმაო, მოიცა, არა! მაგისთანები არ იყოს! ამ უბანს შეიდი წელიწადი ვხელმძღვანელობ. აქ ჭერჭერობით მე ვარ უფროსი! ეს ნუ დაგავიწყდება.

— აღარ მათქმევინებ?

— არა! შენი სათქმელი შენ უკვე თქვი, როცა მაგ ინტრიგანებს შემომაყვევი.

— ესე იგი, მეც ინტრიგანი ვარ?

— არ ვიცი. ეგ შენვე იანგარიშე. სიკეთეს კი ეს კარგად იცოდებ — სიკეთეს დახსომება უნდა. ახლა ნახვამდის!

კაიმა-მიშვილი წამოდგა და ქული ათლო.

ასეთი შეურაცხყოფა ჯიბრაილისთვის ჭერ არავის მიუყენებია. ფერდაყარული იდგა და კაიმა-მიშვილს ხმაამოუღებლად თვალს აღევნებდა. იმან მაგიდის ყველა უჭრა გასაღებით ჩაპეტრა, მიხედ-მოიხედა, თავზე ქული გაისწორა და ჯიბრაილს აგრძნობინა, აქ აღარაფერი გესაქმება და მეც ტყუილად მაგვიანებო.

ჯიბრაილს აღარც კი ახსოვდა, ოთახადან როგორ გამოვიდა.

„ახია ჩემზე!“ — გამწარებით გაიფიქრა მან, როცა საშხაპეში სპეტანისამოსს იხდიდა.

ეს ამბავი ჯიბრაილს არავისათვის, ირინესათვისაც კი არ გაუხმელია.

ბევრი კი იფიქრა და ბოლოს ისევ საკუთარი თავი დაადანაშაულა, —



კაცს ჩემთვის სიკეთის მეტი არაფერი გაუყუებდია, მე კი ჯერ უბანზე არ მოვსულვარ და უკვე მის მტრებს მხარი აუღები, არადა, ხეირიანად არც კი ვიცი, იმ საქმეში მართალი კაიმაშიშვილია, თუ მისი მოწინააღმდეგეები. ის მაიმე შეუტრაცხმყოფელი გრძნობა ჯიბრაილმა გულში ჩაიკლა და მტკიცედ გადაწყვიტა, მხოლოდ ჩემს საქმეს შიებუდავ, სხვებმა კი საკუთარ თავს თვითონვე მოუარონო... ასე თვითონ ჯიბრაილიც უფრო მოსვენებული იქნებოდა და, ალბათ, კაიმაშიშვილიც. მაგრამ ჯიბრაილი მწარედ მოტყუვდა.

კაიმაშიშვილს ყოყმანი და უკანდახევა არა სჩვეოდა. იმ დღეს ჯიბრაილი საბოლოოდ ჩარიცხა თავის მტრების სიაში და, რაკი იცოდა, ჩემგან შევიწროებული მეშახტეები ამასიქით ჯიბრაილს შივარდებიანო, გადაწყვიტა უნდა დაეასწრო და ისეთ დღეში ჩავადო, რომ ან ახლავე უბნიდან გაიქცეს. ან, თუ წასასვლელი ვერსად მონახა, დარჩეს და ეგდოს, მაგრამ მაგის სიტყვას ძაღლის ყეფაზე მეტი ფასი აღარ უნდა ჰქონდესო.

მარტინ ჰარამიანი

გალადა მამონათვის ჯარისკაცზე

მგონი აკვანში?! ესოში? გზაში?
კარგად არ ვიცი, ზუსტად ვერ გეტყვით.
მე ჯარისკაცმა წითელი ფარჩის
შემომახვია კისერზე ლენტის.
ის მეომარი, ზარით ხმობილი,
გზებს მთარღვევდა ყიჟინ-ყიჟინით.
სოფელი, წითლად გამოწყობილი,
ელავდა დღე-ღამე ბასრი ხიშტივით.
მთას მოუვიდა სიცოცხლის ფერი,
მუხებზემ მუხლი ჩამოვასვენეთ,
და ჩვენი გმირნი თანასოფელნი
უნაგირს ხდიდნენ დაღალულ ცხენებს.
მალე სხვა ქარმა წამოუბერა,
სხვა საზრუნავის დაგვიდგა ჯერი.
გვჭამდა ბობოლა, სოფლის წურბელა,
ისევ ამხედრდა სოფელი ჩვენი.
ის მეომარი გულმხნე და გამრჯე,
შეჯახებული სუსხიან ქართან,

მაშინ სოფელში იბრძოდა მარჯვედ,
მის ნაფებურზე ყვავილი გაჩნდა,
გადაბიბინდა ვაზი და ყანა,
ეზოს შუქს ფენდა მაღალი ოდა.
უცებ ტყვიებმა სივრცე დაღარა
და ცას და მიწას სისხლი სდიოდა.
შემოვიფანტეთ ღრუბლები ძრწოლით,
ტყე აშრიალდა ნამნასხურები,
კვლავ ჩამოვიდა ჩემი მებრძოლი,
ველებს დაშვენდა ნაფებურები.
თითქოს დამშვიდდა ჩვენი გულები,
აპყვა ოცნება სხივების რხევას,
თუმცა ატომი შორს მიმალული,
მაინც გვაფიქრებს, გვაფიქრებს ყველას.
მხოლოდ კი ვიცი, ნამდვილად ვიცი,
ჩემამდე სხვა რამ ფიქრი არ დადის;
დედამიწაზე მტკიცე ნაბიჯით
ჩემი მებრძოლი ივლის მარადის.

თარგმანი სომხურიდან ზურაბ ლომთაძისა



ბედისკური

მოთხრობა

სულ ახლოს იდგნენ, მაგრამ ერთმანეთს ვერ ხედავდნენ.

ირაკლიც კიდევ მოჩანდნენ ნისლში გაბნეული მიმქრალი ლანდები. სადღაც იქით მდინარე მოქშუოდა, წყლის შორეულ ხმაურს ერთვოდა ქალის ჩურჩული..

„...ჩემს დღეში არავისთვის... სულ არავისთვის შემიხედავს იმრიგად, ჩემო მეზიგულავ. პირველად შენ შემოგბედე... გახსოვს?... შენ გიერთვულე, რომ არა ის... ბოლო დღეა. მაპატიე, ყველაფერი ჩემდაუნებურად მოხდა თორემ ხომ გჯერა, ასე იოლად ვერ მიგატოვებდი... შემინდე, მეზიგულ“.

სიბნელე თანდათან გაიცრია და ლანდებს ტანზე შემოაცვლიათ ნისლის ლილისფერი საბურველი. კაცმა თვალები დაბუჭა, არ უნდოდა ენახა, როგორ ეკარგებოდა მის წინ მდგარ ქალის სილუეტს ნისლში გაბნეული თმა და გულზე მიხუტებული ხელები. ახლა მის წინ ზეზეული საფლავის ქვა იდგა, მზვიარა ორნამენტითა და წარწერებით აჭრელებული.

იცოდა კაცმა, თვალი რომ გეხილა მატურებს, რკინის მოაჭირებს, საფლავის ლოდებს დაინახავდა. უძრავად იდგა და ყურს უგდებდა დილის სიჩუმეს, მაგრამ ქალის ხმა იღარ გამოერე-

ბულა. მდინარის შორეულ ხმაურში ერთხანს თითქოს მოეყურადა კიდევ მისი ჩურჩული, მაგრამ სიტყვები ვერ გააჩნია. კიდევ დიდხანს იდგა გაოგნებული, მერე გამობრუნდა და ნაპიან ბაღახებში ჩაკარგულ ბილიკს დაადგა. ცოტა რომ გაიარა, ისევ მოესმა ჩურჩული. ახლა უკვე სიტყვებიც გააჩნია:

„წადი, მეზიგულ, წადი, ოქახს მოუარე, ბავშვებს მიხედე.“

მიიხედა და კვლავ ის იასამნისფერი საფლავის ქვა დაინახა, სხვა ვერაფერა. თუმცა ცოტა იქით კარდია ეკლესიაც მოჩანდა, დაფხენილი ლორწინით გადახურული. იასამნისფერი ქვის სვეტი ეზოში გამოსულ დიასახლისს მიაგავდა იდგა და სადღაც შორს მიმავალი ჭიკაძე კაცის გზას გამოჰყურებდა. კაცმა იგრძნო ეს — ვედარც წინ მიდიოდა და ვედარც უკან.

„წადი, მეზიგულ, წადი,“ — ისევ დაიხურჩულა ქალმა.

სასაფლაო რკინიგზასა და მდინარის შუა რიყიან ქალაქში იყო ვაფანტული. კაცმა ბილიკი ჩაათვა, ხიდის თაღქვეშ გაიარა და სადგურისაკენ წავიდა. ბაქანზე ბლომად ხალხი ირეოდა, ხანში შესული მგზავრები ქვის მოაჭირთან გამწკრივებულ კრძელ სკამებზე ისხდნენ და ხმადაბლა საუბრობდნენ.

— მიხო პაპა, საით გაგიწევია, მაყრად ხომ არ მიჰყვები ნუფიანთა? — რკინიგზელის ფორმაში გამოწყობილმა დიდებულმა კაცმა გულდიად შესცინა მოხუცს და შექორწილებსაყენ გაახედა.

ლამაზად ეცვათ ახალგაზრდებს. გულისჯიბებში ვარდები ვერტოთ და ერთმანეთს შესცინოდნენ. მესამეს, დაბალ ჭირკა ბიჭს, ჭვრისპური ეჭირა ხელში.

„ნეტა ვინ არის ის ბედნიერი, ვისი ცხოვრების გორგალი ირთება?“ — ვაფიქრა და განაპირა სკამისაკენ წავიდა.

ისევ შეეხმინანენ, საით გაგიწევიაო. მიიხედა. ნაცნობები იყვნენ, მომუშავე პენსიონერები. ორ მათგანს ისევ ეხურა რკინიგზელის ქუდი ისევ ჭივლობდნენ, ისევ მოსდევდათ ფხა, მესამეს კი ვაეხადა ფორმა, მუცელიც მოეშვა და დიდი საბაზრო ჩანთა აეღო ხელში.

— ბავშვებს მინდა ჩაეხედო ქალაქში გულმა აღარ დამაყენა, ვიფიქრე, შაბათია, სახლში დამხვდებიან—შეთქი.

— ისინი რომ აქეთ წამოვიდნენ და გზაში ასცდეთ, რაღას იზამ მერე? — ჰკითხა ყვავის კვერცხებით სახედაქორფლილმა ცხვირგაქერქილმა წითურმა კაცმა ბეიტიამ.

მეზიგულამ შეიფერა კითხვა, მეც ეგ შეაფიქრებსო, უნდოდა ეთქვა, მაგრამ იქვე თავისი მეზობელი აბრამა შენიშნა და გაჩუმება არჩია. სხვამ თუ არაფინ, აბრამამ მაინც იცოდა, რომ შვილებმა გული გაიციეს მიხო პაპაზე. შვილებმა თუ გადაივიწყეს, აბა რძლები რაღას იზამდნენ, თუ სადმე წვეულებაში მიმავალნი გზად შევილიდნენ, ანდა მატარებელს ჩამორჩენილები დამეს გაათევენდნენ, თორემ სხვანაირად აღარ ეკარებოდნენ. ბიჭებმა—ფარნამ და ყარამანმა მოსავლის დასაბინავებლად და წასაღებად მაინც იცოდნენ ჩამოსვლა, ბავშვებს კი, ბევრიც რომ შეხვეწნოდა მიხო პაპა, არ ჩამოიყოლებდნენ. ჩუმიად ითმენდა ბერიკაცი, აბა ყველას ვულს როგორ გადაუხსნიდა. ხომ ვერ ეტყოდა. მოთმინება დამელია, გუშინ ვენახი მო-

ვრწყევ, სახლი მეზობელს შევბრუნებდი ახლა შევილიშვილების სანახავად მივდივარ ხალხისგანაც და სიყვდილისგანაც დავიწყებულაო.

ამას ან თავის თავს როგორ აკადრებდა ან შვილებს. თავმოყვარე კაცი იყო და აბა შვილების აუტს ვინ წამოაცდენინებდა!

წუხელისვე გაამზადა მცირე ძღვენი ბავშვებთან წასაღებად, დამე ძილ-ღვიძილში გაატარა, დილაღამიან გამოვიდა სახლიდან; იფიქრა, ბარემ დედაკაცს გავუვლი, იქნება შვილებთან რა დამიბაროსო; შორიდანვე უჯანა სადგურს, ხიდქვეშ გაიარა და მტკვრისპირა ბილიქს შეუყვია დაფიქრებული.

მამისგან ახსოვდა მიხო პაპას, იმერეთში ხარი რომ დაბერდებოდა, უღელში ტოლს უღებენ, ეშურებიანო. შეიძლება იმერეთში სულაც არ ჰქონდათ ასეთი ჩვეულება, მაგრამ თაფლს კი სწორედ ასე მოუვიდა. არა, მიხოს არ დაუღვია ტოლი თავისი მეუღლისათვის... დიდ საფიცარს დაიფიცებს, რომ არა. შეიძლება ახლაც გვერდით ჰყოლოდა თაფლო ქალი მეზიგულს, რომ არა შარშანწინდელი ბრმა შემთხვევა: ამ ზაფხულსაც, როგორც ყველთვის, რძლებმა დედათილთან დატოვეს ბავშვები. თვითონ კი სადღაც გადაიხვეწნენ დასასვენებლად. ბიჭებს შეეცოდათ დედა. ამდენ საქმლის მომზადებას როგორ შესძლებო და ერთი ნახმარი გაზქურა მოუტანეს ქალაქიდან. დიდხანს უარობდა თაფლო, ზედ არ ეკარებოდა, მაგრამ ვაჭირებამ აიძულა რომ შესჩვეოდა. ზაფხულის მიწურულს, როგორც იქნა რძლიან-შვილიანად ერთად მოიყარა თავი ოჯახმა. ჩაბარებებს აპირებდნენ და ხილის მოსარჩევად ვენახისკენ გასწიეს ძებმა და ცოლებიც თან წაიყვანეს. თაფლო ბებო მარტო დარჩა ბავშვებთან, შევილიშვილებით გარშემორტყმული გაზქურასთან ფუსფუსებდა, ბავშვები ქათმების გაბუტვაში ეხმარებოდნენ. მიხო პაპა მარანში ჩავიდა ქვევრის მოსახდელად. ქვევრის თავთან იჯდა და ქაფრით ფრთხილად აცლიდა მიწას. უც-

ბათ ყრუ აფეთქების ხმამ შეძრა, შეაქანა სახლი. აფეთქებას კურკლის მსხვერვისა და ბავშვების განწირული ხმები მოჰყვა. ბერიაცი მაშინვე გარეთ გავარდა. მეზობლის ქალებმა მისაწრეს, წიოკობით შეცვიოდნენ კვამლით სავსე ოთახში. როცა კვამლი გაიფანტა, მაშინდა მიხვდა მიხო პაპა, რაში იყო საქმე: ქალები ტანსაცმელდამწვარ და სახელანამულ ბავშვებს ეხვევენ. ეფერებოდნენ, ამშვიდებდნენ... თაფლო, როგორც დაცემულიყო, ისევე იჭდა იატაკზე; თავშალმობდილს და თეთრთმაგაწეწილს, კედლისთვის მიეყრდნო ზურგი და თვალდახუჭულს დაპაღუბით სცივოდა ცრემლი; ქმრის მიახლოება იგრძნო და დაიჩურჩულა, ბავშვებს მიხედეთო.

სად იყო და სად არა, ბიჭებიც გაჩნდნენ, ფარნამ მკლავებზე გადაისვენა კულულებგადატრუსული თავისი ბოლოლა ბიჭი, ყარამანი თავის გოგოს ეცა და გარეთ გაიტაცა, მერე რძლებიც მოცვიოდნენ და სახლშიც აღარ შემოუხედავთ, მანქანას ეცენენ...

მიხო პაპა ენაჩავარდნილივით იღგა შუა ეზოში, უყურებდა შეილების ფუს-ფუსს და ელოდა, ან ეხლა მოხედავენ დედას ან ეხლაო. აი ყარამანი ბავშვი ცოლს გადასცა, მაგრამ იმის მაგიერ, რომ სახლისკენ გამოქცეულიყო, მეორე მხრიდან მოუარა მანქანას, საქვს მიუჭდა და სწრაფად აძრა.

მანქანა წავიდა თუ არა, ხალხიც გაიკრიფა ეზოდან. გულდაამიმებული მიხო პაპა ოთახში შებრუნდა და გონწართმეული ცოლის გვერდით ჩამოჭდა. მეზობლის ქალებს საწოლში გადაეყვანათ თაფლო, სოდიან წყალში დასველებულ საფენებს ადებდნენ დამწვარ ხელებზე. მერე ქალებიც წავიდ-წამოვიდნენ და მაშინდა გაბედა მიხო პაპამ ახლოს მისულიყო და რიგიანიდ შეეხედა. მუცელზე კაბაც ამომწვარი ჰქონდა თაფლოს. რაღა არ ჰქონთა, მაგრამ ხმა ვერ ამოაღებინა, მხოლოდ ცრემლები სცივოდა.

უფრო გვიან ექთანი მოვიდა სოფლის

საექიმოდან, ხელები შეუხვია და დაადო მალამო. ნემსი გაუტეოთა, საგულე წვეთები დაუტოვა და წავიდა.

სამ დღეს ასე იწვა გაუნძრევლად, პირში არაფერი გაიკარა, მეოთხე დღით ვენახში ცოტახნით გასულ და შინმობრუნებულ მეზიგულს თაფლო ცოცხალი აღარ დახვედრია. ქალაქში კაცი აფრინეს, შეილებიც მაშინვე ჩამოვიდნენ და რძლებიც, მაგრამ საღსალამათი ბავშვები აღარ ჩამოიყოლეს, ხალხისა შერცხვათ... მერე შესაწევრის გაყოფაზე წავიდნენ მაზლის ცოლები და მას შემდეგ აღარც ერთი ჩამოღის სოფელში და აღარც მეორე.

აბა ამდენ რამეს სხვას როგორ ეტყვის მიხო პაპა.

• • •

ბაქანზე ზარს ჩამოჰკრეს. გრძელსკამზე მჭდარი თავჩაქინდრული მიხო პაპა ფიქრებიდან გამოერკვა და მიმოიხედა. მისი თანასოფლელები ისევე იქ ისხდნენ, რიკულებიან ბეტონის მოაჯირთან. სალაპარაკო შემოლოდათ და გაღმა მტკვრისპირას აყუდებულ მთებს გასცქეროდნენ.

— ეჰ, რა არის ეს დალოცვილი გაზაფხული. ხელდახელ არ გააჯიელა ბებერი მთები. საქონრეებიც აფშვანა და ზიზილ-პაიილებიც ჩააცვა, — თქვა აბრამამ.

— კაცსაც რომ ეგრე, წელიწადში ერთხელ უბრუნდებოდეს ძველებური პეწი, მაშინ იქნებოდა კარგი, — ამოიხრა ბეეიტამ, ქუდქვეშ ხელი შეაცურა და გლოპრილი თავი მოიფხანა.

— თუნდაც დროებითა, თუნდაც ერთი თვეცა, — აბრამა შემომჰკნარა კისერზე ისვამდა ხელს.

იქვე მოკუხული ქონდრისკაცი იჭდა, მასაც მთებისათვის მიეყროთ ძალღუტრძენასავით წვრილი წითლად ჩაშხებილი თვალები, მოლაფლაფებულ კბილებს იწვალებდა და მალიმალ აპურჰყებდა.

— არაფერი გამოგივათ, — გასძახა მეოცნებეებს და ღვარძლი გამოუტრია

ხმაში, — ერთ კაცს სოფელში აღარ აჩერებდნენ, იმან კი შამასახლისობა მოინდომა, ისეა თქვენი საქმე. მე კი ჩემდა თავით არ მინდა, გაჩივლებათ რაც თავი მახსოვს, სულ აცუცუნავს მეძახიან, რომ გავჩივლდე და ერთი ამდენი ხანი კიდევ ეგ სახელი ვათრიო, მე ჩემი დამემართება.

— მაშ კაცო, ერთბეწო კაცი ხარ და მაგბელა სახელი კი წამოუცილებიათ ზურგზე. ცოდო ხარ, აცუცუნაყო, ცოდო, — შეიბრალა აბრამამ.

ბებები კი მართლაც საოცრად შეეცვალა გაზაფხულს, აქამდე შიშველი თხემები კორდის ბალახით ამწვანებოდათ, ავშინის ხაოთი გადაფიქქული, წვრილი ყვავილებით კალთებნაქარგი მოსასხამი ჩაუცვათ, ფეხთით კი წითლად, სოსანისფრად თუ იისფრად მობზინე ორბაობები ეფინათ — დაბლა ხევთან ქალაქებში ყაყაჩოებისა და ღილილოების ყანები ჰყვოდა.

— მაგ ფრიალოებს ზემოთ გადავკებულზე რომ გახვალ, სანახაობა იქ იწყება. ჰაი დედანა! რამდენჯერ გვიკრფია სატაკური მაგ ხევიანებში, მერე მალა აესულვართ, ყვავილით აურელებულ კორულებში გვიბღღაუნია, — დანანებით ამბობდა აბრამა.

— მალა სახნავ-სათესია, ყანის მეტს რას ნახავ, — აცუცუნაკმა მზისგან გაფიცებული ყეფა მოიფხანა.

„გახსოვს, მეხიგულ?.. ჩვენც იქ ვიყავით, როცა მე ჩემი საიდუმლო პირველად გაგანდე... გახსოვს?“ — ჩაესმა ქალის ხმა.

მიზო პაპამ დანანებით დაქინია თავი.

* * *

მტკრიან გზას სამკაულებივით აჩნდა ქალიშვილების ნაფხურები.

მეხიგული ნელა მიდიოდა და ფაფუქ მტვერზე აღბეჭდილ ტერფებს აკვირდებოდა. ხუთ გოგოს გაველო. ალბათ ისინი იყვნენ, ლახარეზე რომ დადიოდნენ გუშინ და გუშინწინ... ფეხშიშველები და ტანდალორთხილები... მაგრამ

აქეთ რაღა უნდოდათ, მტკვრისკენ მიმავალ გზაზე?

მეხიგული ვალმა მიდიოდა ყანების დასათვალიერებლად, გულმოფედილი წითელი ბლუზა ეცვა და ბალთიანი წვრილი ქამარი ერთყა მხარბლივ. მიდიოდა და წუღებს ატოლებდა ქალიშვილების ნაფხურებს, თითქოს ამით უნდოდა გამოეცნო, რომელი იყო მისი შემფერო.

თაფლოც იმ გოგოებში ეგულებოდა და მისი ნაფხურების ამოცნობას ლამობდა. კვალმა რკინიგზის სადგურისაკენ წაიყვანა მეხიგული, მაგრამ დროზე გამოერკვა, გზიდან გადაუხვია და ხილისაკენ წავიდა.

ცხელოდა. მტკვარვალმა ბებები უკვე აელანა მოძალეებულ ქვენიქარს, მუსრი გაველო ყვავილებისათვის, ზოგი ჩაექრო, ზოგისათვის ფერი წაერთმია.

ხილზე გავლა გადაიფიქრა, მტკვარი გაცურა და ტანსაცმელი არ გაუწერავს, ისე შეუყვია აღმართს. მის წინ აყუდებული ციკამო კლდე კეცივით იყო გახურებული, აღმური ასდიოდა. შორს მოვლის დრო არ ჰქონდა მეხიგულს, კლდეზე ლამბივით გახლართულ საცალფეხოს ბილიკს დაუწყო ძებნა. ასეთი ბილიკი აქ ორი იყო, ერთი მოკლე და სახიფათო, ხვართქლასავით ჭიქურ შეცოცებული კლდეზე, მეორე კი კლდეზე გარდიგარდმო გაწეილი, რომელსაც მაქოსავით ქედის ერთი ბოლოდან მეორემდე გაჰყავდა კაცი და ისევ უკან აბრუნებდა და ასე გრძელდებოდა ქედის თხემამდე.

მოკლეზე წავიდა. ამ კლდეზე ნაკაწრ საცალფეხოს კეკელას ბილიკს ეძახდნენ რუსპირელები. კარგი დიასახლისი ყოფილა, გაღმამხრელი ქალი, რუსპირში გამოთხოვილი. თურმე ქმართან სადილი მიჰქონდა ყანაში და რაკი აგვიანდებოდა, ამ საწრიაპოს დასდგომა. გამოუცდეღს ნაშალ კლდეზე დაუდგამს ფეხი და ციკამოდან გაღმობანებულა...

ამ ფიქრებში ვართულმა აელო შეკიდულა აღმართი, გადაივია და შეისვერა, კლდის ქიმზე ჩამოჯდა, ნახევრად

შემშრალი ბლუზა გაიძრო და გაფლორდა ქვემოთ დაიწყო ცქერა. ველს სხვადასხვა ზომის საკერებლებად აჩნდა კერძო მიწები, უფრო ახლოს მტკვარს დანატრებულოვით გადმოჰყურებდნენ დასიხული საფლავის ქვები. ეკლესიასთან ლანდი გამოკრთა და ისევ მიიმალა, მერე ერთიმეორის მიყოლებით გოგონები გამოვიდნენ იქიდან და მდინარისაკენ გაეშურნენ. წყლის პირას ერთი დიდი ლოდი ეგდო, ქვის დედაკაცს ეძახდნენ მას რუსპირელები. გოგონები მასთან მივიდნენ, დიდხანს ევაჭვურნენ და, როგორც იქნა, მდინარისაკენ აქნევიან პირი; სველ ქვისაში პატარა ორმოები ამოთხარეს და შიგ ჩამდგარი წყლით ქვის დედაკაცს დაუწყეს გაწუწვა.

მიხვდა მეხიგული, ისინი იყვნენ, ლაზარეზე მოსიარულე გოგონები. წესი ასეთი იყო, სულ ბოლოს ამ ქვასთან უნდა მოსულიყვნენ, წყლისკენ ექნევიანებინათ პირი და ლაზარეზთან გაეწუწუათ.

გოგონები ქვასაც წუწვიდნენ და ერთმანეთსაც, მაღლა ფრიალომდე აღწევდა მათი მხიარული ტყარცალი. მერე სულაც თავი დაანებეს ქვას და მდინარეში შეეცურდნენ. გაუხდელად ბანაობდნენ, ყურყურებდნენ, ერთმანეთს ძირავდნენ და იცინოდნენ. ერთი გამოეყო ჯგუფს და მკლავებით მდინარის შუაგულისაკენ გამოეცურა, დანარჩენებზე მიბაძეს მას, მაგრამ გაბედულება აღარ ეყოთ, ბოლომდე გასდევნებოდნენ გაღმა ნაპირისაკენ მცურავ გრძელმკლავება გოგონს. წყლიდან რომ გამოვიდა, მაშინდა იცნო მეხიგულმა. გამოიწვევიდა იდგა, ტანზე შემოტმასნოლ სველ კაბას ისწორებდა და იქით ნაპირზე დარჩენილთ ვასძახოდა, გამოდიო, გვაგვიანდებაო.

— ზომ უნდა ავიდეთ ვაღმა ნიშთანაც. — წყრომით ვასძახა ბოლოს.

გოგონებმა ერთხელ კიდევ სცადეს, მაგრამ შუა წყალშიც არ იყვნენ მოსული, შეშინებულები გაბრუნდნენ უკან.

ყველას მაგიერ მე ავალო ნიშთან,

ვასძახა თავლომ და სწორედ იქ მჯდომ სახიფათო ბილიკით წამოვიდა, რომლის თავში მეხიგული იჯდა. გოგონები რაღაცას ეძახდნენ, ალბათ აფრთხილებდნენ, მაგ გზით ნუ წახვალ, მაგრამ თავლოს უკანაც არ მიუხედავს, ჯიუტად მოიწევდა აღმა, როცა კარგა შეიმაღლა, მაშინდა ვასძახა:

— რაც კეკელამ სიყვარულით ვერ გააკეთა, მე უნდა შევძლო უსიყვარულოდ.

მეხიგულს სულ ახლოდან ესმოდა ეს სიტყვები. შეშინდა, ვაითუ შეკრთეს ჩემს დანახვაზე და ფეხი მოეცაროსო, წამოდგა, კლდეს გართხმულმა გადაიარა ქედის თხემი და ველიანში გავიდა.

იმის ფიქრში იყო, როგორ მოქცეოდა თავლო, მეხიგულს რომ აქ დაინახვდა. ან თვითონ როგორ მოქცეულიყო, რა ეთქვა. დაძალევა არჩია. მაღალ ბალახებში ჩაწვა და გაიანაბა.

თავლო მაღე გამოჩნდა. აქაქანებულის შედგა ქედის თხემზე და მინდორს გახედა. კორკოტანას ყვავილები ეკეთა საყურეებად და თმაშიც დიდულოები ჰქონდა, ნელი ნაბიჯით გაუყვა ყანისპირა ყამირს, მიდოდა და თვალს არ აშორებდა ქარით აღელვებულ ყანებს.

— თავლო... აქ რა გინდა, თავლო, — მოესმა უკანიდან.

მიიხვდა მეხიგული მოდიოდა მისკენ გაუხედავი ნაბიჯით. დაელოდა.

— რაღაცით ვიცოდი, რომ აქ იქნებოდი... აქ დამხვდებოდი, თორემ მართო როგორ მივხედავდი ნიშთან მისვლას, ან აქ როგორ ამოვიდოდი... — თავლო სულ შეცვლილი ეჩვენა მეხიგულს, მის სიტყვებში აღარ იგრძნობოდა კვლავინდებური სუსხი, გულმოწყალებე უღიმოდა ქაბუცს.

— აქ რამ მოგიყვანა, გოგო, — მეხიგულს პაერი აღარ ჰყოფნიდა.

— გეტყვი... ყველაფერს გეტყვი, ოღონდ იქ... ნიშთან, — თავლოსაც შესამჩნევად უთრთოდა ხმა.

ტალღებად აგორებულ თავთავეების ზღვაში მიტოპავდნენ. ჭერ ისევ ნელე იყო ყანა. გრძელფეხიან თავთავეებს

მარცვლებით დაკბილულ თავთუნებიდან წელა სცივოდა ყვავილის ფერფლი. ჰყვავოდა მუხლში შესული ყანა და უმღეროდნენ მარცვლის დაბადებას ქარით დარწმუნული ველის ყვავილების ნაირფერი ზანზალაკები.

ყანებშია გაჭრილ ბილიცზე გავიდნენ, ბილიკი აღმა შეკიდებული ყანის თავში მთავრდებოდა, მერე კორდი იწყებოდა ოქროსოცებს ყვავილებით მოთვალულა, ცხვრისატეხელებით ალისფრად მოწინწყლული. უფრო მალა ავშნით გადაეთრებულ სერზე აღმართული, სანთლების ალით გამურული ნიში შორიდან გამხმარ ნარცეცხლას ჰგავდა.

თაფლო ყანის პირას გავიდა, ველის ყვავილები დაკრიფა და მოწინებით მიუახლოვდა ნიშს. თაიგული სასანთლესთან დადო, მუხლი მოიყარა და ჩუმად ილოცა.

— მოდი, განიწმინდე, — უთხრა უკან მობრუნებულმა შორიახლო მდგარ მეზიგულს და ისევ ყანისაკენ წავიდა.

— შენ ხომ რაღაცა უნდა გეთქვა.

— განიწმინდე და გეტყვი, — გასძახა უკან მოუხედავად.

მეზიგული ნიშთან მივიდა, დაიჩოქა და ისე გაიმეორა ნატვრა, ჩემს გარდა თაფლოს ნურავისთვის გაიმეტებო, უფლო.

რომ წამოდგა, გაღიმებული თაფლო აღდა თავს.

— სულ ეგ იყო შენი ლოცვა?.. წუხელ მაჰანკლები იყვნენ ჩვენსას...

— იქ ამის სათქმელად ამოხველ? — გაშმაგდა ვაჟი, — ლოცვით დაიწვიე, მაგრამ, თუ დამჭირდა, ხანჯლით დავამთავრებ.

— თუკი ერთმანეთისათვის არ ვართ გაჩენილი? სხვისი უბედურება რად გინდა, — თავი დახარა გოგომ.

— საიდან იცი, რომ არა ვართ, — ბიჭი ქორივით წამოეფოფრა გოგოს.

— დიდმარხვის წინა კვირძალს რომ ბედისპური გამოვაცხე, მსაქეთთა ვიცი, მთელ ღამეს ველოდი, მაგრამ ვერ გნახე სიზმარში...

— სხვა ნახე?

პირისპირ იდგნენ. მეზიგულს შეკრულნი აუღ-ჩაუდიოდა ხშირი სუნთქვისაგან. გოგო თავდახრილი იდგა, ის უფრო მეტად იყო იმედწართმეული.

— მოვკლავ იმ სხვას, — ამოიგმინა ბიჭმა.

— არა... არც სხვა მინახავს. გავბედე და ბაბოს შევჩვილე დილას. იცი რა მითხრა? — გოგოს გადიმა, — რომელი მინდვრის ხორბლითაც ის ბედისპური გამოვაცხე, იქ გადი და კიდევ ერთხელ ჰკითხეო ადგილის დედას...

— მერე და — როგორ უნდა ჰკითხო? — იმედი მოეცა ბიჭს.

— შუა მინდორში უნდა გავიდე თვალხუჭულა, როცა გული მეტყვის, მაშინ გავახილო და პირველსავე შემხვედრ ყაყაჩოს ჩავხედო გულში... იქ ვიპოვი პასუხს.

— ყაყაჩომ იცის?

— ყველა ყაყაჩოს თურმე ყვავილის ჯამზე შიგნიდან შავი ჯვარი აქვს გადახატული, მაგრამ ზოგ ქუდბედიანს იმ ჯვარზე თეთრი აშია აქვს მოვლებული... ის იქნება ჩვენი ბედნიერების ნიშანი... — თქვა და წელა, გაუბედავად შეტრია ყანაში, წამით შედგა, პირჯვარი გადაისახა და თვალეები დახუჭა.

მეზიგული იდგა და სუნთქვა შეკრული ელოდა.

თაფლო უკვე შუა ყანაში იყო, წინ გადაგდებული მსხვილი ნაწინავის ბოლო ეჭირა ხელში და თავაწეული მიდიოდა. ლამაზი იყო, თანაც შესაბრალისი, ბედის საძებრად ყვავილებით გადახატულ მინდორში მარტოდ მიმავალი გოგო...

აი, შეჩერდა ის, მკლავები გაშალა, წრე გააკეთა და მეზიგულისგან ზურგ-შექცევით დადგა. ბიჭი მიხვდა, რომ ახლა თვალეები ეხილა თაფლოს და გულანქორლებული წელა უახლოვდებოდა პირველ ყაყაჩოს...

წყნარად ხმაურობდა ველი. ტოროლები ეცვენებს ხსნიდნენ ციდან და ქვებოვით ცვიოდნენ ყორულეში. თეთრი პეპლები, როგორც გაცვნილი ყვავილის ფურცლები, აღმა მიჰქონდა ქვენაქარს.

აი თავლო ფრთხილად დაიხარა მღელვარე ყანაში მოტორტმანე აღისფერ ყვავილთან და თვალმიშტერებით დაუწყო ცქერა, მერე ხელი წაატანა, სინათლის ალივით მუქით გააქრო და მთელი ხმით შესძახა ცას:

— მეხიგუულ!

რა იყო ეს, ნუთუ განწირულის ყვირილი?

თითქოს ამ ვარაუდის დასტურად, მწვანე ტალღამ გადაუარა გოგოს. თავთავეების უნაპირო ზღვა დელავდა ირგვლივ, თავლო კი აღარასად ჩანდა...

მეხიგული იქით გაიქცა, სადაც წამის წინ თეორ სილუეტს ხედავდა...

თავლო ყანაში იჯდა, მუხლებზე ყაყაჩოს ყვავილი ედო და ზედ დაჰყურებდა, მეხიგულის ჩრდილმა შეაკრთო, მაშინვე ხელისგული დაიფარა ყაყაჩოს.

— მაჩვენე, — ცალ მუხლზე დაიჩოქა ბიჭმა.

გოგომ თავი გააქნია უარის ნიშნად.

მზე ჩაიწვერა, ჩრდილი შემოადგა ყანას.

— მაჩვენე, — მეხიგული მაჯაში სწვდა გოგოს, ხელი ააწვინა.

ჭერ ისევ სველი კაბის კალთაზე ყაყაჩო იდო. მეხიგულმა დახედა და სასიკეთოდ ენიშნა: ჯამფილაზე გადახატულ შავ ჯვარს, როგორც ნათელი, ევლო გარშემო თეთრი აშია...

• • •

— კაცო, მატარებელი წავიდა, აქ რალს უზიხარ? — თავს წამოადგა სადგურის მორიგე.

მოსუცი გაუნძრევლად იჯდა, თვალებს მალმალე ახამზამებდა, თითქოს ფიქრებიდან გამორკვევას ლამობდა. უაზროდ შეჰყურებდა მის წინ მდგარ წითელქუდა კაცს.

— გრადუსებში ზომ არა ხარ, მიზო პაპა, რა გაკვირვებული შემომყურებ, ველარ მიცანი? — გაეცინა მორიგეს, ერთხელ კიდევ ახედ-დახედა ბერიკაცს და თავისი გზით წავიდა.

ბაქნიდან პირწმინდად გაკრეფილყო ხალხი, ნუთუ ისე წავიდნენ, რომ არავინ შეეხმინა?..

გული დასწყდა მიზო პაპას, სინანულით გადააქნია თავი და უილაჯოდ გაედო თავის გულმავიწყობაზე. წამოდგა და ერთხელ კიდევ გახედა გლმა მთებს.. მზეზე თვალისმომკრულად ელავდნენ ისრებივით შორეთს გატყორცნილი რეღსები. მატარებელი ხიდს გასცდენოდა და უკვე თანდათან უჩინარდებოდა ნისლდაკრულ ველებში.

გული დასწყდა, კიდევ ერთ კვირას ბიჭებს ველარ ვნახავ და ვერც დედის დანაბარებს გადავცემო. ამ დღომამაფიქრში თანდათან გაუარა წყენამ. ის, რომ მატარებელმა ასე ცხვირწინ ჩაუარა და გაასწრო კიდევ, იქნება სულაც არ იყო გულდასაწყვეტი. ქალაქში რომ ჩასულიყო, განა ვის ნახავდა მოულოდნელი სტუმარი? იცოდა მიზო პაპამ, ვერც ფარნას და ვერც ყარამანს შინ ვერ მიუსწრებდა, საშოვარზე ათენალამებდნენ, კვირა მათთვის არ იყო და უქმე... რძლებთან კი ღირდა გამოჩენა?.. გულსგარეთ გაუცინებდნენ, შეიპატივებდნენ, ძვირფასი ავეჯითა და დოვლაითთ საგესე ოჯახში წუწუნით გამოუშქედდნენ ყურებს, მათი ცოდვით ლუქმას პირში ვერ ჩაიდებდა მიზო პაპა, ბავშვებსაც ვერ დაელოდებოდა, რომ სკოლიდან მოსულიყვნენ, მათს უნახავდ გამობრუნდებოდა.

ამ ფიქრებმა სახე დაუნადვლიანა, პაი დედასაო, ჩაიდუღუნა და შინისაკენ დააპირა გაბრუნება, მაგრამ ამითაც არ უგრძენია შეება, სულ არ იზიდავდა მის გულს გამოკეტილი სახლ-კარი.

ანაზღად რაღაცამ მიახედა უკან. თვალსაწიერზე არავინ ჩანდა, გაახალგაზრდავებული, გაზაფხულით ნირშეცვლილი მთები ეძახდნენ მეხიგულს...

ცთუნებას ველარ გაუძლო, მიბრუნდა, რეღსები ვადაიარა და ბერიკაცული დარბეული ნაბიჯით გასწია სიკვამლის ფერუხუნარ სამყაროში სამოგზაუროდ.

დალილა გელიანიძე

მომღერალი მიღის

ციკლიდან „მშვიდობიანი“

მშვიდობით, ჩემო დარბაზებო,
თქვენს სმენას და თქვენს ბინოკლებს სხვა გახედნის,
მე დამივიწყეთ!
მშვიდობით, ჩემო საკონცერტო კაბაჲ,
ვცადე შენც დამივიწყო!
შენ ალბათ დიდხანს გეშახსოვრება ჩემი სხეული
და რამდენჯერაც სხვა ჩაგიცვამს,
იმდენჯერ ურჩად უარყოფ სხვის ტანს,
მაგრამ შენც ალბათ დაგიმორჩილებს
ცხელი უთო და მკერავის ნემსი.
მშვიდობით, ჩემო სიმღერებო!
სხვისი ხმა თქვენთვის იგივეა.
რაც მათრახი და უნაგირი
პატრონის ხელს მოკლებული გაყიდული ულაყისათვის.
მშვიდობით, ჩემო ქუჩაჲ!
ახლა მკვეთრია ჩემი ფეხის ხმა,
როგორც ჩაძინებულ ბინაში ზარი,
როცა არავინ არ პასუხობს.
მე შინ ვბრუნდები
და ვამთავრებ ხანგრძლივ სტუმრობას დღესასწაულზე.
მშვიდობა ყველას!
ო, დამივიწყეთ!

• • •

ვათავისუფლებ ოთხ სტრიქონზე ჯვარცმულ რითმებს
და მარცვლებდათვლილ სიტყვებს ლექსში ვათავისუფლებ.
ვათავისუფლებ სიმღერაში დამწყვედველ მტრედებს,
შეყვარებულებს,

ბაგეშებს,

დედებს, მიცვალებულებს.

ვათავისუფლებ მხატვრის ფუნჯის ქვეშ ზღვის მორჩილ
ტალღას

წელში მოხრილ ხეებს და ქარებს,

ნატურმორტებს,

პორტრეტებს,

ფრესკებს...

ჯოკონდას ღიმილს ვათავისუფლებ,

ფოტოსურათზე გაყინულ მზერას.

ბაგეშებს, ხელებს ვათავისუფლებ.

დავ, გაცვალონ ხალიჩები, გობელენები

ირმებში, თხებში, ყვავილებში ტყეზე

და თვითონ ტყესაც ვათავისუფლებ პეიზაჟის ჩარჩოებისგან.

ვისაც ვუყვარვარ, ვისაც ვძულვარ და ვინც არ მიცნობს,

რაც კი მინახავს, რასაც ვნახავ და რასაც — ვერა,

ვათავისუფლებ ყველაფერს, ყველას.

ვათავისუფლებ ვიოლინოს, საღებავს, ფანქარს,

სახლებს და ქუჩებს და ყველა საგანს ვათავისუფლებ.

ვათავისუფლებ ზეიმით სხვეულს

და თვითონ სულსაც ვათავისუფლებ!

33

მე დაგიბადე ქვის ხელებში ქალაქისა.

ბალახები და ყვავილები.

ღია ბარათზე ან გობელენზე თუ დამინახავს.

გაქვავებული მხედები ყრია ზღვის ნაპირას.

რისი კენჭები!

გაქვავებული ცა ახურავს ქალაქს ქუდად.

გაქვავებული წვიმა დახტის ასკინკილათი

ჩემი ქალაქის ეზოებში გოგონას კაბით...

ჩემს განენამდე ამ ქალაქში, ამ ზღვის ნაპირას

მშვიერმა ძროხამ — გამყინვარებამ გადაიარა

და გადაძოვა ყველა მცენარე.

ჩემი მშობლები სოფლად წავიდნენ აგარაკზე,

სადაც ალუბლის ყვავილებია,

სადაც ბალახზე იზმორება ივლისის დილა...

მე არ მეცალა. ვერ წამიყვანეს.

ახლა მცალა და ვიდრე ბილეთს ვიშოვიდე

სოფლისაკენ გასამგზავრებლად,

სადგურის ქვებზე უნდა მეძინოს.

მე ნატები ვარ ქალაქის ლოდის

დაბადების თარიღის ხელით ჩამოტეხილი.

ჩაქეჩი და ურო შრომობენ გულმოდგინედ

და ნატყებები, ჩემი თანამოქალაქენი მრავლდებიან.
 ნისლი მტვერია ქუის სამტებლოსი.
 მაგრამ სოფლისკენ ხმაურით აღარ გვაცილებენ.
 მე ქუის ფესვებით ვდგავარ ქალაქში.
 მატარებელი გადაჭრის ფესვებს
 და ქუის ცრემლი ქუის იატაკზე გაიჩზრიალებს.
 სხვა ხმა არ ისმის გამგზავრებისას.
 მე უნატრობ: ნეტავ მატარებელმა დაიგვიანოს.
 მატარებელი გრაფიკით მოვა-
 ჩემი სურვილი ლიანდაგზე დაგდებული ცოცხალი ქვაა.



პოეზიის ძილი ანუ სევდა მავშალიათა ძვეყანაზე

თბილისიდან „ჩილი წაგზავილნი“

უცხო სიზმარი შუალამის: მზე და გიტარა,
გაოცებული მზის ჩურჩული, შემკრთალი მზერა:
— მაფშალიათა ქვეყნიდან ხარ? — ჰო, იქიდან ვარ,
— მერე, ამ მრუმე უსიერში რა გინდა შენა?

• • •

წიფლებო, ტირიფებო, დამიფარეთ.
მეწამული თრიმლის ჭალებო,
მზეო, მთვარე და ვარსკვლავებო,
თქვენი მწვანე, წითელი, თეთრი და ოქროვანი ფოთლები
გადამაფარეთ —

და მიხსენით.
ვითარცა ვუბ,
ნეკნისაგან გამოძერწილი,
თქვენს ფერად სბივებს მოგაშურებ — ჭრელ გამოჭებაულს,
მტერიან ჭალაქში —
ამ ნეილონის საუკუნეში,
— ქვის უდაბნოში,
მფრთხალი, განწირული შევლივით
ვიგრძენი დევნა...

სტუდარი უხო, კითილი

ო, რამდენ გრიგალს გადურჩა იგი,
ვარდის ბუჩქი აყვავებული,
ერთხელ, აპრილში რომ გაიშალა
და ჩემს მითრთოლგარე სულში ჩასახლდა;

და ღამეებში ვერძინობ მის შრიალს, მის სურნელს, ძახილს,
 ტკივილისა და სისარულის ძახილია, მე რომ მამფოთობს,
 უკვე რამდენი ხანია, ლევი,
 რაც იგი ჰყვავის —
 — ვარდის ბუჩქი უცხო, კეთილი...

აბუტალიზი

აბუტალიზი წასულა თურმე,
 წასულა უკვე ბრძენი მოხუცი.
 მე აბუ-ბაჭარს მოწყენით ვეტყვი —
 ახლა ვილასთან მიხვალთ ყველანი,
 რომელ სარკვეში ჩაიხედავთ, ნეტავ ვიცოდე?

აპრილი ბეთანიაში

აპრილის ცისფერ ვიოლინოზე როდენაც უკრავს სიო,
 ვილაცა ისევ ჩამწურჩულებს — საგალობელი თქვიო;

მიმოდის ცისფერ ვიოლინოზე თრთოლვით იშუდის ხემი,
 და საიდუმლო საგალობელს ისმენს სამშობლო ხემი;

ოღონდ გებილოს შენ მარადის ამაღლებული ჭურბი,
 წმინდა წიაღო მშობლიურო, აბა, სიცოცხლე ჩემი;

მიმოფენს სიო ბეთანიისა შენი იების სუნს,
 სულ სინათლე ხარ ჩაუმქრალი, სულ ზღაპარი ხარ, სულ;

ო, ამ ჯადოსნურ სინაზეში აღმოცენებულ სულს,
 მარად სიცისფრე სწყურია და თავისუფლება სურს;

გაცდება იგი შენს უკვდავ ჭალებს, შენი აპრილის მთებს
 და მშუპ ურვენებს ბეთანიავ, შენგან ნაჩუქარ ფრთებს.

...აპრილის ცისფერ ვიოლინოზე როდესაც უკრავს სიო
 ვილაცა ისევ ჩამწურჩულებს — საგალობელი თქვიო.

* აბუტალიზი გაფუროვი, დალესტნის სახალხო პოეტი. 1970 წელს
 მე იგი ვინახულე დალესტანში ყოფნის დროს.

არხეინად ღვას და იცინის

(თინა წავეციხელის გახსენება)

მე გაოცებით შევეყურებ იმ კაცს, ვეება კაცი წავეციხურ მიხაკებს
ყიდის, ათოვს მიხაკებს და ათოვს თბილისს, ხოლო ის კაცი
არხეინად ღვას და იცინის.

თოვს ამ საყვარელ ქალაქში მშვიდად,
შორს დარჩენილხარ დაო, შორს,
შენ ამ ზამთარში მოფრენა გინდა,
ხელებს გვიწვდი და... გზაზე თოვს.
მან ისტორიის სახელმძღვანელოს შემოახია ნელა ფურცლები
და სიცილით გაუწოდა ვიღაცა ყმაწვილს — აჰა, კრიტიკა
ქალაღღები გამითავდაო.

თოვს, დაგხრია თვალები შავი,
ველარ მოპყვები სხივთა ჩქერს
მიფრინავს შენი სვედის ნაეი,
დაღონებული გვიმწერ ჩვენ.
მწუხარე თოვლი წავეციხის გზაზე. თოვლზე წითელი მიხაკი
გდია.

თითქოს ქათქათა შენი სული დღეს ბაზარზე გამოიტანვს.
ხოლო ის კაცი არხეინად ღვას და იცინის.

თოვს,
შენს ლეგენდას ფიფქებში სძინავს,
არდავიწყებას ჩუმად გვთხოვს,
თოვს,
თინა,
თინა,
თინა,
თინა,
თოვს...

კატარა ღაპითი სოფელ ნაქალაქარის გზაზე

გზა
ბატონებო
გზა,
გზა ამ პაწია, საყვარელ ნინველს,
გზა ბატონებო,
აღმოსავლეთის,
დასავლეთის,
ჩრდილოეთის და სამხრეთისა.
გზა ამ პაწია, საყვარელ ნინველს,
ო, მას უკვდავი გენი მოაქვს
რუსთაველისა...

ააშრიალეზს ქარი წინამურს...

საქართველოს
საბავშვო ლიტერატურის
საქართველოს

შემოდის მთვარე შენს ღურჯ ევლებზე და იაენანის დგება
 ნათელი,
 ნატერფალები ჩანან ძვირფასნი და ფრთადახრილი შენი
 მართვენი,
 ააშრიალეზს ქარი წინამურს, ერიალებს სული ღამენათვევი,
 ნაღვლიანი ხარ, ნაღვლიანი ხარ, ნაღვლიანი ხარ შენ,
 სანატრელო...

სარუჰარი

ამოგიზგიზდა ჩემი სულიდან ლოცვა,
 ლექსს რომ ვეახით, სულში დიდხანს რომ მენთო,
 გმადლობ ამ ტკბილი საჩუქრისათვის, ღმერთო,
 გმადლობ ამ მწარე საჩუქრისათვის, ღმერთო!

ნიწო ჟუთათელაძე

შუშანიკის საგალობალი

პოემა

იქნებ შეითვლებს ხელაც არ აინტერესებს, როგორ დაიწერა „შუშანიკის საგალობელი“, მაგრამ შე შეიძლება შეითვლებს ისე გაიგოს, როგორც მე შესმის ის.

ათო-თორმეტი წელია, რაც ეს თემა მაწვალებს, ლიტერატურული და ისტორიული მასალების ნაკლებობას შეტად მტკივნეულად განვიცდიდი. მოგვანებით მუშაობა მომიბდა ვახტანგ გორგასალის პერიოდის, მისი გაშფოების, ვარსკენის დასჭის ისტორიულ თუ ლიტერატურულ თხზულებებზე, რათა გამერკვია თითოეული მათგანის სახე და ხასიათი, შევეცადე, ვარსკენში აღმო მეჩინა ადამიანური თვისებები და ნაწილობრივად შეიძენე დამერკვილა მისი მხეცობა. ამის შედეგია „რა გულსაკლავად ტარის მამა“. ფსიქოლოგიური გამართლება კი მის საკციებს ვერაფრით ვერ მოვუნახე. აქ იყო მხოლოდ ისტორიული სიმართლე — ვარსკენი საქართველოს მეფის ოპოზიციის მდგომარეობაში იყო, ის აბრძოდა ერთიანი საქართველოს წინააღმდეგ, რათა ხელში შექონოდა საქუთარი მცირე, მისხლისოღენა ძალაუფლება.

მაგრამ მთავარი მაინც შუშანიკი იყო. და აი აქ გაიღვა თითქმის ყველა ქალმა ჩვენი ისტორიიდან, თითოეული თავის სიტყვას ამზობდა შუშანიკის ხასიათის გამოკვეთაში. აქ იყვნენ ყველა — ანტიკური შედეგადან დაწვებული, სამამულო ომის მონაწილე ქალებით დამთავრებული.

შემდეგ, გადავწყვიტე, ძველი ქართულიდან ახალ ქართულზე სიტყვა-სიტყვით გადმოვქო ცნობილი ლიტერატურული ძეგლი. როცა დავამთავრე და ხელახლა გადავიკითხე, სიშარში ფილინვით ვნახე შუშანიკის გარდაცვალება. მეორე დღეს დაწერე „დატორება“. ეს იყო პირველი ლექსი ამ პოეშიდან.

„წამებებს“ წაეთხეხებთანავე ამეკიატა აზრი, რომ შუშანიკი თვითონ წერდა საგალობლებს, თუმცა ამის შესახებ არსად არაფერი არ არის ნათქვამი. ეს ამბავი იმდენად დავიწყრე, რომ პოემაში მისი გადმოტანა აუცილებლობად ჩავთვალე.

ჩემი შუშანიკი მხოლოდ ისტორიული პირი როდია, ის ქართველი ქალის ყველა კეთილი თვისების მატარებელი ადამიანია — შემოქმედო, სახელმწიფო საქმეებში ჩაბედული, განათლებული, კეთილშობილი... ამასთანავე, ის არის ხალხურად მოყვარული დედა, ერთგული მეუღლე და შეუღლებელი ხატოლო. შუშანიკისთვის უცხო არაა წუთიერი სისუბტიც. ის ჩვეულებრივი მოკლავია და არა წმინდანი, და თუ ლოცავს ყველას, იმდომ კი არა, რომ მისი ყველა ლოცვა ახდება, არამედ იმდომ, რომ კეთილია და სხვანაირად არ შეუძლია. არ იფიქროთ, რომ შუშანიკი მერყევია, რადგან ამზობს „რა იცის ღმერთმა, ღმერთი სუსტია...“ ჩემი შუშანიკი ღმერთის მხოლოდ ებღუტება, რომ იხსნას ტრი დარბევია და განადგურებისაგან.

შევეცადე, პოეზიისათვის ქართული საგალობლის მრავალხმიანობა მიმეცა. რამდენად შედეგული ეს, შეითხველი თვითონ განსაზღვრავს.

პოემაში ტყუილად არ ვდერხ სიტყვები: „თვისუფლება“, „მშვიდობა“, „ერთგულება“, „სამშობლო“. ეს არის პოემის მთავარი აზრიც და მისი დაწერის გამართლებაც.



რ რ მ მ ნ ა

სოფელი ახე მცირეა.
ერთ მუტა მიწაზე დატყული,
აფხებული
შვავით და ბარაქით,
მტრით აფხებული —
დიდი საქართველო —
ორივე ხელით ნაფერები
და ორივე ფეხით დაბუგული;
ყველა ვნებათა გამეტება,
ყველა სისხლ-ზორცის გამეტება,
ტყბილი სიმღერის გამეტება,
თვალშეუსწრები დახასრული...
რა ვიცით, როდის ავფეთქდებით,
რა ვიცით, როდის აგტირდებით,
რა ვიცით, ვის გულში გავიზრდებით,
აწ და მარადის!
... მაგრამ ცა არის ისეთი წმინდა,
მიწა, მიწა — ისეთი თბილი,
რომ სიფიქვა
წახვლა, გაქცევა
და არღათობა შენივე სულის
იმიხთვის,
რახაც სიმართლე ჰქვია,
სახატე ჰქვია
და ერთგულება!

წ ი ნ ა მ მ რ ძ ნ მ ბ ა

ნუთუ არ დარჩება ჩემთვის
სიმაღლე ჩემი წილი,
ნუთუ არ დამინდობს
ჩემთვის ღმერთი
და შენთვის მტერი,
რა გუნა, საუფლოვ,
მიჩვენე გზა,
ან ზღაპრის კვალი,
რომ თან გამოფყვე
სიცხეს და დაღლას...
გარემოს ისეთი ნისლის საზღვარი
შემოუბურავს,
რომ ჩემს სუსტ მხრებზე
ბედურაც კი გაიყინება.
თვით სატანაა შემოსული
სიჩუმეში,
სიმყუდროვეში.

ფრთხილი ნაბიჯით

სიმართლევი მიახლოვდება
და დადრვეილი ჩემი მუხლები,
აპყრობილი ჩემი ხელები
გვედრებიან არმოცილებას,
მართოსინათლევ,
მართოსინათლევ,
ჩემს მკერდში ჩაჩებილო
და აღმდგარო,
აღზევებულო!

შ მ მ მ დ რ მ მ ა

ვახად მაქციე...
და მტვენებით ხელდასხმული
ველოდები შენს დანდობას,
წმინდაო დედაც!
შენ აქციე მათ სიმდიდრედ
ჩემი სიმდიდრე
და ახლა უნდა გაიბზაროს
მათი ხატი,
სინათლე მათი...
შენს წამებულ შვილს შეგავედრებ!
წამების ლანდი
მგლის სახით მომდგეს.
ოღონდ მე შეგჩრე ორივე ხელში,
ოღონდ მე დამხრახ
და დამაქციოს,
ესენი იხსნახ —
ჩემი მტვენები,
ჯერ უმწიფები!
ყველა ტკივილს
და აღს გავუძლებ,
ყველა სევდას
და გზას გავუძლებ,
ყველა სიციხეს
და ქარს გავუძლებ!
შენს წამებულ შვილს შეგავედრებ,
წმინდაო დედაც,
შენ უღმობელი დრო აქციე
შენს შეიმჩმედად
და შენი სული ორ არსებაში
ჩადგა და დრტვინავს,
ყველა გალობა დამიბუგვ,
ყველა სიმღერა გამიკნესვ,
ოღონდ ეს ოთხი
ოთხი ლექსი

გაუნაპირე
წუთისოფლის მიძინვარე ხელებს!

ტ ა ძ რ ა დ მ ი ს ვ ლ ა

რად წამოვედი,
რად გამოვეყვი
კრძალვას და ლოდინს,
დათმობის ლოდი
გულს მიმიძიმებს
მწარე ტკივილით.

მე რა ვიცოდი,
რომ გასული ღამის სიმწვიდე
ღვარძლის და დარდის ამოფრქვევის
სიმწვიდე იყო.

სულ ტყუილია,
რასაც დანდობა ჰქვია სახელად,
თუ დასანდობად გაგიბდა საქმე,
არვინ დაგინდობს —
არც სიმწვიდე.

არც აღტაცება შენი სიმაღლით,
კაცი კი, აბა, რა დასათრგუნი
არსება არის...

და აუ ღალატო უცხოა შენთვის
ერთ სპარსულ ოქროდ
გაგყიდის ქმარიც,
თუკი სიბილწეს უჩვენა სითბო
ქარი

ვერ უშველის მის მობრუნებას
საამქვეყნიოდ.

აქ, ამ ტაძრიდან
სულ ანლოსაა
შვილების სუნთქვა,

მათი სინათლეც შედება თითქოს
ვარსკვლავის ღვარძლიდან ერთად,
და ვერ მივსულვარ,

ვერ გაემთბარვარ იმ სინათლესზე,
რად წამოვედი,
რად გამოვეყვი
კრძალვას და ლოდინს?..

წ ა მ მ მ ა პ ი რ მ მ ლ ი

ფილტვები მტკიავა,
სისხლის სარტყელი
მისუთავს სუნთქვას

და მაინც ესუნთქავ
ქაერს ტკბილსა
და დიდებით საესეს,
იმ ქვეყნისას,
რომელიც ჩემთვის ქცეულა ღმერთად,
ქცეულა ხატად...

კიდევ დამარტყი!
სველი ზუსუნი
სახეზე თბება
და ხმა მკრთალდება,
ჩუმდება
ქრება.

საფურავი გადასხმია სამყაროს ჩემსას,
თვალეშიც ცვეკავს
უკანასკნელი წითელი ცრემლი.
დედა!

კიდევ დამარტყი!
და ჩემს მოშვებულ ხხეულში ერთხმად
ბლავის და იბრძვის
ამქვეყნად მოხელის ნათელი წამი.
ძლიერება მიმიძღვება

მალა და მადლა,
ცივი ჭლარუნი
ორი ბორკელის —
რკინის და ვახის

მკლავებზე მაწვეს.
კიდევ დამარტყი!
დამარტყი, რადგან
ვერ ვისწავლი

ღალატს და დაღლას,
ვერ ვიწამებ საშობლოს აუტს,
ვერ ვიქნები ამაზე „კარგი“...
კიდევ დამარტყი!

გ ა ხ ს მ მ მ მ ა

ჩემი სინაზის გამჭვირვალე
უალში იყავ გახვეული,
გარეთ მზე იყო ისე მზრუნველი,
როგორც მამა განზორებისას,
მე კი ველოდი

შენს ხელებს და ცვეცლის დანთებას,
უცებ მოისპო ეს მოლთდინი.
შენ მოდიოდი ჩემთან სიზმარში
და შენი ხატი მაწვალებდა
უბნაურობით,

საქართველოს
საზოგადოებრივი

ძახილის სურვილს მიკარგავდა
რიდი და კრძალვა,
უცვებ მოისპო უზმანურობის
ტკბილი შეგრძნება.
შენთან, ტაძარში ვიყავი მარტო
აზნაურთა და ზეპურ დედათა
ღიმილის გვერდით,
მე მაინც მურგო
ჩემი წილი სითბო და ტრფობა,
რომელიც ახლა გაქრა უკვალოდ.

ს ა ს ო ვ ა რ კ ვ ე მ ა

ერთი ისარი დაუნანათ
ამ ქვეყნად ჩემთვის,
ერთი...
ერთი მოქნევა ხმალი მგყოფოდა
ჩემი მტრის ხელში,
ერთი...
ერთი ჩამუხლვა მგყოფოდა
სამშობლოს მტვერში.
ერთი...
ერთი აფრენა მგყოფოდა
ამ გულის — მტრადის,
ერთი...
ერთი დაქცევა მგყოფოდა
ღეჭის და ღმერთის,
ერთი...
ერთი ისარი მგყოფოდა
ჩემი მტრის ხელში
ერთი!

ჯ ო ჯ ი კ ი ს ო მ ლ ს ა დ ა ქ ა ლ მ ა
ს ხ ვ ა მ ა

წმინდა გაიყო —
ერთი — გულში,
ერთი — გულსგარეთ.
რას ეუბნება საკუთარ სიზმარს,
ბავშვობის ნათელს?
გარეთ ვიყვირის
შენი აწმყო,
შიგნით კი ბღავის
წარსული შენი,
სიცოცხლე მთელი
როგორ იქნება
ასე უმართლოდ!

გადამწვარ ველებს
თავთავი დიდხანს არ ვკიდებ.
ურის მყოფადი
ქალში ბორგავს
და ქალში დრტვინავს,
ღედით იწყება
ღმერთიკა და ადამიანიც...
შენმა სულმა უნდა იღინოს
ათასწლოებით
შენი მოდგმის და ჯიშის სხეულში
და დარბეული,
აკლებული სული
ვის უნდა მისცე?
იმას, რომელმაც უკვე გაყიდა
შობელი და
სამშობლო მიწა,
იმას, რომელიც გაყიდის
და არ შეიბრალებს.
მაშ, რაღა იცავს
საქართველოს ამდენი ხანი?
ალბათ ვალი —
ვალი მიწის
და ვალი ზეცის,
ვალი დედის
და ერის ვალი...
და შენც ივალე!

ს ი მ ხ ი ა ნ ი ბ ა ნ წ ყ მ ბ ი ლ ე მ ა

„უამა ზაფხულისასა ცეცხლებრ შემწუ-
ელი იგი მხურვალეებაა მზისაჲ, ქარნი
ზორმაკნი და წყალნი მავნებელნი, რომ-
ლისა მკვიდრნიცა მის ადგილისაჲსა საე-
სენი სენითა, წყლითა განსივებულნი და
განჯვითლებულნი...“

ამოდის ცეცხლის არწივი,
უნდომად კოცნის მიწას,
ღამე მოწყდება დაღლილი
და დაეცემა პირქვე.
არცა იხე მარტოვი,
მსოლოდ ორ ფერში ჩნდება
ღამე და ცეცხლის არწივი,
ღამე და მოთეთრო გზენება.
მერე გადამწვარ მინდვრების
და მოლიბული ქარის
გადასლართული თითები

დღისგან იფარვენ მგზავრებს.
მგზავრი ვარ მეც და მომგვი
უცებ გადაკრული დღეღე,
უკან დამიბრუნე ბორცვები,
სიცოცხლის მწვანე ფვრით.
ქარი ამღვრდა ღრუბლიდან
და მთელი კვირა მღერის,
დაუბრუნებელს ვუცდი და
ცეცხლს ვუბრუნდები მერე.

წ ა მ მ მ ა მ მ მ რ მ

„წმიდა შუშანიკ თრევით შოითრია
თივთა შიგან და ეკალთა ზედა, ეკლესი-
ით ვიდრე ტაძრამდე...“

გარკვევით ვხედავ
ციხფერის ღიმილს
და ხმამაღალი სიცილი მიკრავს
ფვირილისთვის დაძრულ გონებას,
სინათლე თბილი
მხებათუთება
ნუთუ გათავდა?
მძაფრი სუსხი ბეჭებზე დნება...
ო, როგორ უცებ შეიკრა გზები
აქეთ და იქით —
აქეთ წარმართი,
თუ უკულმართი
მეუღლეა,
იქით წარმართი
თუ უკულმართი
შვილები ჩემი...
მიყურებს ვრი.
ფართო თვალებით მიყურებს ვრი,
მე მათთვის ახლა
დედოფალი ვარ
და არა ქალი...
(არა,
ფვირილი არ შეიძლება)
თუ მე შევქელი,
ისინიც შესძლებენ
უმეცრების დათრგუნვას აღმათ,
და ჩემი კალთა
დგდის კალთასავით თბილი იქნება,
შვილებისგან გახუნებული,
მათთვის თბილი იქნება მაინც.
წყალი —

არა, ეს ჩემთვის იყო ნათქვამი
ფვირილისთვის დაძრულ გონებას
ხმამაღალი სიცილი მიკრავს.

ველებს და მიწას
ვეპოტინები ორივე ხელით
და ვხედავ,
როგორ მიიწევს მალლა
თეთრი აღმართი...
გაწყდა,
გათავდა!..

უ გ მ ნ მ დ ყ მ ფ ნ ა

მე საღამური
სიგრილვე მფარავს...
არავის ესმის,
არავინ იცის,
რატომ ამოდის ქალების მოდგმა,
როგორც
ზაფხულის ცხელი ბალახი,
რომელიც მაინც უნდა დაიწვას
ადრე თუ გვიან
და შეუკურთხოს
მაღალზე მაღალს გაჩენისათვის...
საწყალი ღმერთი!
ლექსებს უგზავნის.
რომ ქალობისკენ შემოაბრუნოს
წამით და წუთით,
მაგრამ უფრო შორს
რჩებათ ქალობა
ლექსიან ქალებს...
და მერე ღმერთმაც აღარ იცის,
რატომ ამოდის ქალების მოდგმა,
როგორც
ზაფხულის ცხელი ბალახი,
რომელიც მაინც უნდა დაიწვას
უკმაყოფილების ვეება კოცონზე.
როცა აღერსიც არაფრად უღირთ,
როცა სიცილით ამბობენ „ბნელს“ და
როცა ტირილით ამბობენ „დილას“,
ნიავს კი მიაქვს
ძალიან შორი,
შორი ვედრება
გადაურჩენელ ამორძალების,
რა იცის ღმერთმა,
ღმერთი სუსტია...

დაგვიანებული პასუხი
 ვარსკენს

„ეს ვერა, არა ვერა შენ გვლესიაა
 შენი და არც ზურგნი ეგრე შენი კრის-
 ტიანენი, და უფალი იგი მათი.“

მე „სამშობლო „მერგება“ ჩემი —
 რწმენა ჩემი
 და ჩემი ხატი,
 დამიამებს წყლულს და ტკივილებს
 სინათლე ხალხის,
 სიმშვიდე მათი
 და არმოსპობა ქალის და კაცის!
 მე ღმერთად ჩემად მიგიღე შენ და
 შენ განმიდექი
 ბილწი ზრახვით.
 (კაცი რომ კვდება
 უნდა დარჩეს
 კვალი ხინათლის)
 შენ არ მოკვდები,
 შენ მოგკლავენ
 მდილივით სახლში,
 რადგან შიში
 არ მოგცემს ძალას
 გარეთ შესვდე მტერს და მოყვარეს...
 შენ ჩემი ლანდი
 არ მოგასვენებს.
 დაგაძაბუნებს,
 დაგდლოს,
 ძალღივით გაემუელებს —
 და ეს იქნება ჩემი ღმერთი
 და ჩემი ხატი,
 რომელსაც მაინც დაუნთვებ ხანთელს,
 რომ მოგცილდეს და მოგასვენოს...
 ჩემი სამარე ბაგი
 შენი სარგელის გვერდით იქნება
 და ყოველ ღამე
 სიცივეს დალევ მისი შესებით.
 ერი
 მტერი
 გახდება შენთვის,
 რადგან შენ გაძარცვე ისიც,
 წაართვი რწმენა,
 პური და ბავშვი,
 ხარკად უკცივე სიცოცხლე მთელი...
 საპიტახში შენი

შეგარევენებს,
 ძირფესვიანად დაგთბრის.

საკვირობილე

ირველიც მიწაა
 და მიწას უდის
 გაზაფხულის მძაფრი სურნელი,
 ბნელი ულვეად
 აწყდება კედლებს...
 გარეთ ცურტავი
 ალბათ ბორგავს,
 საგაზაფხულოდ ემზადება
 და ჩემი ლოცვა
 ყველა კარის წინ იღანდება,
 ყველას თავის სიკეთეს აძლევს —
 ზოგს — შეილის მზერას,
 ზოგს — სიცოცხლეს,
 ზოგს — მიწის ზრუნვას...
 დარდას და ურვას
 ადამიანს კი რა გამოულებს?
 მე კი სიმღერას ვემატებოლებში
 და ჩემს საკანში
 შემოხიზნული პატარა დარდი
 კუთხიდან კუთხეში დადის,
 ხან ვის მაგონებს,
 ხან ვის —
 ზოგჯერ — დუდას,
 ზოგჯერ — შეილებს,
 ზოგჯერ — სამშობლოს
 და უხაშველოდ მტკიავ
 მისი მშვიდი ფერება.

შვილის სიკვდილი

„შეშანიის წამების“ სომხური რედაქციის მიხედვით, მისი ერთ-ერთი შვილი წყალში იხრახობა. (აღტორი).

რა გულსაკლავად
 ტირის მამა!
 ო, ღმერთო ჩემო,
 ის თუ დასაჯე,
 მე რას მჭრჩოდი?
 მე შეგავედრე ოთხივე ერთად,

ოთხი მტევანი
ჯერ უმწიფები.
ალბათ მეძახდა უკანასკნელად —
დედა!
დედა!
გადასარჩენად
ვამტვრევდი კედლებს, გადასარჩენად,
მაგრამ თვალები —
ჯერ მარჯვენა,
მერე — მარცხენა
ველარ ხედავდნენ
სინათლის ნამცეცს...
მე მაპატიე
შენი დედობა,
შენი დათმობა
და გამეტება
და შენ გაყოფილ რწმენას
ორივე მხარით მე შევეუდგები...
ღმერთო!
მე ვზიდავ ოთხივეს ცოდვას,
ოთხივეს დალატს
რადგან მე ვზარდვ მათში დალატი.
მიწათ ჩემო,
ქართველობა გადაკურჩინე
და თბილ პერანგს
ნუ მოაკლებ,
შენ დაუტირე
და გაუცინე,
ორი ბილაკი ჩემი ცრემლის
გადაუდინე,
სამარეზე გადაუდინე! —
იქნებ იმ სამს
ექცეს სინათლედ
სავალი გზები...
„ბ უ ლ ი თ ა დ ხ ი კ უ დ ი ლ დ გ ი ვ ა ლ“
ჩემმა სიკვდილმა
უნდა გადავლოს გულების ზღუდე
და აამღეროს
ქვეყნის დიდზე დიდი ტკივილი —
თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა !
რომ ჩემი შვილის
ობოლ ბორცვსა და
საქართველოს ყველა ბორცვს ერთად
ჰქონდეს საფლავის წმინდა უფლება,
არ მოიშალოს მათი ფეთქვა,

არ დაიხოს მიწის პერანგი
მტრის კურანის
მსახერალი ტორით...
ზამთარს მოჰქონდეს თეთრი თოვლი,
გაზაფხულს — შრომა,
ზაფხულს — ღოდინი,
შემოდგომას — ხაფხუ ბეღელი
და არა ომი...
პეფთალების დარი მახვილი
ჩემი გეარის და ტომის
კაცს ჰქონდეს ხელში...
ბოლოსდაბოლოს,
მე ქალი ვარ
და ჩემი ბრძოლა
თავეანწირვია.
სიკვდილია,
სხვა არაფერი...
ქალის ხელებზე
მუდამ ზრუნვა და სიმშვიდე იწვა,
ჩვილის ღიმილი
მშვიდობას ჰგავდა
მაშინაც, დღესაც —
ჩემი ხელებით
ხვალის მშვიდობის
ერთი წვეთი მომიტანია
და ჩემს არყოფნას
დედა ჰქვია სახელად,
დედა!

დ ა ლ მ ც მ ა

ნათულო ცაო,
ქართულო მიწავ,
ნუ მოაკლებ
რწმენას და იმედს
ტრფობას და ბრძოლას,
კაცურ ტკივილს,
შრომას და გარჯას
ჩემს სადედოფლოს!
ნუ მოაკლებ
მშვიდობის ძახილს,
თოვლიან მწვერვალს,
ნაწვიმარ ხეცებს,
ზევასა და ლელვას
ჩემს ერს და მამულს
ნუ მოუხპობ
ძმას და მეგობარს.

სურვილს ფრენის
და კიდევ ენას
შეილივით გაზრდილს,
დედად მიღებულს
ნუ დაუბნელებ
გზებსა და მღერას,
მოხუც დედას,
სიმრავლის ნაყოფს,
ქორწილს და მყრულს
მთელ საქართველოს!

ახმედი

საკუთარ დემრთებს ვეძებდი მუდამ,
რომლებსაც მერე ცეცხლზე მიწვავდნენ,
ვემგავსებოდი ჩაფერფლილ გულკანს
და ღრმად ემარსავდი ურგებ სიცოცხლეს.
მე ჩემს საბუღარს ხატებით ვრთავდი
და მენგრეოდა ეს საბუღარიც.
ვერძობოდი, მეწვეოდა ცბიერი მარტი,
ვრჩებოდი ლოცვად გულგაუმტყდარი.
ვეტმანებოდი მშობლიურ მიწას,
ფეხქვეშ მეცლებოდა ჩემი ტრფიალი,
არ შემინებდავს ზეცისთვის ბილწად
და თავზე მედგა შეხის გრთალი.
მე ხალხს ვეძებდი,
ბრბო მაწამებდა,
ქუძუებიდან სისხლი ჟონავდა,
ჩემი კოშკები გაუსარებლად
განაცარტუტდა,
ერთად მოთავდა.

და მე ორივე ხელი ავღმართე,
და დავითხარე ორივე თვალი,
რომ არ მენახა არც ჩემი მიწა,
არც ზურგთან მიფარილი „ნაკები ხმალი“.
ვიკივლე, როგორც კივის არწივი,
როცა ბარტყს ჰქარავს სუსტს და უგონოს,
გადაარჩინე ჩემი ქვეყანა,
ვიწვი და ვბორგავ,
ვერაფერს ვხედავ —
თვალები არ მაქვს
და ასე ბრმად მიყვარს ჩემი საუფლო,
გადაარჩინე!

დატირებდა

წასულო-ო,
წასულო-ო,

მარადიულ სასუფეველში,
სანთლებს დაგინთვებ
მზესავით თავთან,
შენი გულივით დაუღვეველი
ხალხის ტალღა...
მიკეცხარ მაღლა.
ო-ო! შენი ვეება
თვალეში ბზინავენ,
რამ დაგიშვიდა
სიმღერა მტრედის?
შავი ჯაჭვების
სიმძიმეს, სიაცეს
სუფთა ხელებით სწყევტდი.
დედოფალო
და დედავ ქართველთა,
სიხარულით რომ გვტოვებ,
რომ შენ სიწმინდეს
ვსუნთქავდეთ ჰაერთან
წირვის ქამს ყოველს.
გაუსარელო!
რა არის იმქვეყნად
არავინ იცის,
ჩვენ გვეჭრა შენი სიწმინდის მსოლოდ,
შენს ლამაზ ქალურ სიამაყესთან
მოვიდა მსახერალი ბოლო.
ო-ო-ო-ო-ო-ო-ო
დედოფალო-ო-ო-ო-ო-
ო-ო-ო-ო-ო-ო-ო
ტირის ქვეყანა შენი!..

მკილოზი

თუ დაიწყები,
უნდა დაიწყო ძალიან სივიდი
და შენს რეგისტრში
უნდა ეღვრდეს მაღალი ნოტა,
თუკი ვაცურდა,
უნდა აიღო სიმაღლე დიდი,
თუკი დაგვირდა,
უნდა დაემხო ქვეყნისთვის ლოცვად.
კრძალვით და რიდით
უნდა შეადო სიცოცხლის კარი,
თუკი დავეცი.
უნდა ადგე ბრძოლით და გრგვინვით,
თუკი მოკვდები,
რომ არ ეგონო არავის მკვდარი,
უნდა დაბრუნდე
და წაშალო სიკვდილის ბინდი.

პურამ გიორგობიანი

• • •

დღეს ქაერში ჰკიდია აპრილი; თუკი რამ იშვა — აპრილში იშვა.
და ჩემი თავისქალის სატრაპეზოც მოიქარგა იდუმალი ფრესკებით.
თუ ამოიცინობთ, თქვენ შეიგრძნობთ, რომ არა ვარ ჩიტი გარინდული,
საუფლოს კართან როცა ვიდგები, მხოლოდ მაშინ გავირინდები
და გავიფიქრებ — ჩემი თავისქალა ან ტაძარია, ან გამოქვაბული.

• • •

ღვთაებრივმა მიქელანჯელომ
გული დაითმინა, სული განაფინა,
თავად საუკუნის იწო მორჩილი...
გულო, დაითმინე, სულო, განეფინე!

• • •

ოი, ნათელო, ოი, ნათელო,
ნეტარს მინდობილს
მძინავს მშვენივრად, —
ბავშვობაში გაშვებული საპნის ბუშტები
დაბრუნდნენ ჩემში,
ნუ გამალევიძებთ!

• • •

მოდე მუხობზე და შექმენი,
სვედის და სიცილის კომპოზიცია:
ადამიანი მოწყენილია, ადამიანი მომღიმარეა,
შემკობილია ორთავ გაგება.
მოწყენილობა ნეტარ დღეთა მოგონებაა,

ხოლო სიცილში გვეხახება მომავალ ქამის მოწყენილობა,
 მე ვამბობ ამას და ვილოცები,
 დე. ვიყოთ შენადონები ტბასაგვით,
 დე. ვიყოთ აუმღვრველნი წყაროს წყალივით.

• • •

ეი, გენიაჲ, მდუმარების მოჩანს ტრამალი,
 შეიფრდომე, გაღვივებული გზად მიმავალნი,
 მზესთან საუბრით ათენე ღამე.

ეი, გენიაჲ, დილის მზის მსგავსო,
 შენით იწყება ჩვენი სამყარო,
 ნატიფი დილა შენს გარეშე უკმად მშვენია.

ეი, გენიაჲ, უავადო, ნათელმოსილო,
 ფილტვნი დაკვესე, სხივნი შენი სრულად გაინთხა,
 განსახოვანდა, გაღმობიერდა ყოველი ესე.

ეი, გენიაჲ, ყველა ჩანგზე მელოდიურო,
 ხულს უტკბეს სულად მოეგლინე,
 უუპირველეს მშვენიერება შენ დაამშვენე.



სადილი შუალამისას

მოთხრობა

მან ზუსტად ხუთ საათზე დარეკა, როგორც მოილაპარაკეს. ქალი მოიღუშა.

— ერთად ვისადილოთ, — შესთავაზა ვაჟმა. ქალმა კი გაიფიქრა, არც მამაკაცს შეენის ასეთი ბუნქტულობა, აქ არის რაღაც შიშისმაგვარიო. შემდეგ კი, როდესაც გავიდა ქუჩაში, დაინახა ვაჟი წახრილიყო და მანქანას წმენდდა, რათა ლაბადის კიდესაღ მტვერი არ მოსცებოდა. ამ ქცევაშიც იყო რაღაც არავეყვეცური. მაგრამ, როდესაც მანქანაში ჩასხდნენ და წავიდნენ, ქალი ისევ მოიხიბლა მისი მოკრძალებულობით და ყურადღებით. ვაჟი თავს ევლებოდა, თავმდაბლად ემსახურებოდა, თუმცა ზორბა ტანის ვაჟაკი იყო, თავის თავშიც დაჯერებული ჩანდა, რომ ქალს თავისი ჭეშმარიტი სიამოვნებისათვის ემსახურებოდა. ვაჟმა თქვა, გასაოცარი ამბავი შემემთხვაო — მუხრუჭებმა მილატესო, და ძლივს გაუჩერებია მანქანა. მთელი დღე გადაყვევიო მანქანას, ხელოსანს ვეძებდიო, რათა არ ჩაშლილიყო მათი შეხვედრა, ქალმა კი უპასუხა, ამაშიც არისო რაღაც მშვენიერება — გიმტყუნებს მუხრუჭები და შენ მიფრინავ, არც კი იცი საით, იქ-

მნება საშიშროება, გაურკვეველობა. სცილდები ჩვეულებრივ მოსაწყენ ყოფას, ადამიანი კი თითქოს ახლად დაიზიდაო ამქვეყნად. ამაზე ვაჟმა უპასუხა, ყველაფერი ეს, რასაკვირველია, ძალზე საინტერესოა, მაგრამ მუხრუჭების მოშლას საფრთხეც მოსდევს. რაიმეს რომ არ შეასკდე, თუ მხოლოდ ხე შეგხვდა კიდევ არაფერი, მაგრამ ვინმე რომ გაიტანო ან თავად იქვე ნაჯუწ ნაჯუწად, მაშინ? ქალი თავს უქნევდა, ლაპარაკის დროს, შემდეგ მანაც ასე თქვა, უმუხრუჭებოდ გაფრენა მინც მშვენიერიაო.

— მიუშვი მუხრუჭები! — მოითხოვა ქალმა, მაგრამ ვაჟმა უპასუხა, აეტონისპექციის წესდების მიხედვით ეს აკრძალულიაო.

— მუხრუჭების მოშვება და გაფრენა უფრო ადვილია. ძნელია მისი დოკება და შენი სურვილების შეზღუდვა. ვაჟმა შესთავაზა ქალაქგარეთა რესტორანში წასვლა. ქალი დაეთანხმა.

— მინც სად გინდა წასვლა? —

ქალმა თქვა, დილომშიო, მაგრამ ვაჟმა უხერხულად ჩათვალა. იქ ქალის სტუმრობა არ უყვარდათ, მაგრამ ქალისთვის ეს არ უთქვამს, უთხრა

მხოლოდ, რომ იქ ჰქონდა ფეხდგომელა მოგვიხდებოდა.

— მაშინ თუთ დუქანში წავიდეთ!

— წავიდეთ! — დაეთანხმა ქალი. როდესაც იქ ავიდნენ, მზე უფრო მაღლა იდგა, თბილისი საღვთო ქვემოთ ბინდში ჩანდა. მაგრამ შემდეგ, მზე აუჩქარებლად, მაგრამ თანაბრად ჩადიოდა ჰორიზონტის იქით, ვაჟი მოუსვენრად შეჰყურებდა ქალს, ქალი კი მწუხარე სახით შესცქეროდა ჩამავალ მნათობს, ჩაფიქრებული და ხალვლიანად გამოიყურებოდა.

— როგორ მოხდა, აქამდე უცოლოდ რომ ხარ? ოდესმე გყვარებია ვინმე? — ჰკითხა ქალმა.

— ეს რთული კითხვაა, — უპასუხა ვაჟმა.

— თუ უყვარდი ვინმეს?

ვაჟი ცოტა ხანს გაჩუმდა.

— მიაბზე! — მოითხოვა ქალმა.

— ეს დიდი ხნის წინათ იყო — ყოყმანით წარმოთქვა ვაჟმა — მაშინ მე ოცი წლისა ვიყავი, ის ქალი კი ჩვიდმეტისა. მაშინ მე მისი გრძნობები არ მჭირდებოდა.

— მისი გრძნობები?... ხომ შეიძლება შემეცდარიყავი.

— არა ნამდვილად ვიცოდი.

— საიდან?

— თავად მისგან. გამომიტყდა.

— როგორ? თავად?

— იგი არჩვეულებრივად კარგი იყო, იმ მომენტში, — თქვა ვაჟმა ჩაფიქრებით...

— და რა მოხდა?

— მე ვუპასუხე, მეც მომწონხარ-მეთქი. მაგრამ ეს ხუმრობასავით ვთქვი. ვავრძობინე, რომ სერიოზულად არ მივიჩინე მისი ნათქვამი.

— ესაა ყველაფერი?

— მან მითხრა, ხომ არ მსურს, ჩემი სიტყვები ხმამაღლა, ყველას გასაგონად გავიმეორო. სტუმრად ვიყავით, ბევრი ხალხი იყო... იგი მშვიდი ჩანდა, მხოლოდ თვალები უბრწყინავდა, — დაუმატა ვაჟმა.

— მერე, შენ რა უპასუხე?

— ეს მე არ მომეწონია. არც მაშინ მესმოდა არც ახლა, რატომ უნდა ჩაერიოს სხვები შენს ურთიერთობებში.

— რა შეუშია აქ სხვები? — ვუთხარი მე. საკმარისია ჩვენ ორმა ვიცოდეთ ეს ამბავი.

— შენ არსებითად მაინც რა უპასუხე?

— არსებითად?... ალბათ უნდა მეოქვია, არ მომწონხარ-მეთქი, უფრო სწორად, არ მიყვარხარ-მეთქი, მაგრამ ეს უტაქტობად ჩავთვალე. როგორ უნდა უთხრა გოგოს, რომ გულგრილად უყურებ? სხვათა შორის, როგორც შემდეგმა მოვლენებმა დამანახა, მაინც არაფერს შეცვლიდა კიდევ რომ მეთქვა.

— მაინც რა მოვლენა იყო შემდეგ? ამ დროს ოფიციალტი მოვიდა, დაიხარა და ვაჟს უთხრა:

— ჩვენები სამით ერთზე იგებენ!

— მართლა?... ძალიან კარგი!

— ჩვენ სამზარეულოში ვუსმენთ გადაცემას. მხოლოდ ოცი წუთი გავიდა და უკვე ასეთი ანგარიშია.

— საკვირველია!... დიდი მაღლობა! — უთხრა ვაჟმა.

— შენი ნაცნობია?

— არა.

— აბა რატომ ვადაწყვიტა, რომ ანგარიში ვაინტერესებდა?

— წარმოდგენა არა მაქვს. ალბათ, მიტომ, ასეთი აღნაგობის რომ ვარ.

ქალმა მზეს გახედა, რომელიც უახლოვდებოდა თემს და შეეკითხა:

— რა მოხდა შემდეგ?

— შემდეგ? მე მალე წავიდი. აღარ მახსოვს, შევხვდით თუ არა ერთმანეთს, მაგრამ ამაზე ლაპარაკი აღარ გვქონია. წინანდალში წავიდი პრაქტიკაზე, იქ დღინის ქარხანაში, პირველად შევხვდი ჩემს პროფესიას. ეს შემოდგომის პირზე მოხდა... წარმოიდგინეთ კახეთი, მზით გაბრწყინებული, უხვი, ხილით დახუნძული ხეები; მზით დამტკბარი ვენახები, რომლებიც ელიან მკრეფავებს. მცხუნვარე ოქროსფერ

დღეს. დაფრინავენ ტანშიმე ბზიკები, დააფრინდებიან ყვავილებს და გამარჯვებულის ყიყინით აფრინდებიან, სადმე ჩრდილში გაუჩინარდებიან. კახეთის ღამე, მოკაშაშე ვარსკვლავებიანი ცა, ისმის კისისხვევის ჩხრიალი, ჰეპკავაძის სახლ-მუზეუმის პარკიდან ფარშევანგის ვამყიანი ხმა, სახლის კედლებზე კიბარისების წაგრძელებული ჩრდილები წვინან. სრული სიჩუმეა. მხოლოდ თელავის მატარებლის ხმა თუ დარღვევს ამ სიჩუმეს. ხანდახან ხევიდან ბაღლების ყფის ხმა შემოგვესმება.

გაჩუმდნენ .

— და რა მოხდა ასეთ ღამეს? — ჰკითხა ქალმა.

— რამდენიმე კაცი ვიყავით პრაქტიკაზე. ვისხედით ვერანდაზე და ეტკებობით საღამოს სიგრილით. გზაზე შევამჩნიეთ ადგილობრივი მცხოვრები გლეხი, რომელიც ჩვენს კიშკარს მოადგა და მე მიკითხა. გამოვედი. „თქვენ გიცდიან იქ, გზის პირას“, მითხრა მან. ქუჩაში ჩემოდნით ხელში იდგა ის გოგონა.

— იცი, რა გითხრა? — შეაწყვეტივნა თხრობა ქალმა — გთხოვ, წავიდეთ კიდევ მაღლა სადმე. ხედავ, მზე ისევ ეფარება თხემს.

ვაჟმა გაკვირვებით შეხედა ქალს, მაგრამ მაშინვე მობრუნდა და ოფიციანტს დაუწყო ძებნა, მან კი ხელი გაუქნია, რომ ანგარიში არ შეეცვლილა. ვაჟმა ანიშნა, წასვლა გვინდაო. შეწყუბებული ოფიციანტი მათკენ გამოეშურა.

— იქ, ზემოთ, რესტორანი მუშაობს? — ჰკითხა ვაჟმა ოფიციანტს, თან მთბისკენ გაიშვირა ხელი.

— კი.

— ჩვენ იქ წავალთ. იქედანაც კარგი ხელია.

— როგორც გინებოთ! — უპასუხა ოფიციანტმა. იგი გაოცებული იყო მათი ფორიაჟით.

„გაუყვინნ გზატყვილის მადლიანად ვაფი ათასგვარ სისულელეებზე უკლები რაკებოდა, ერთი სიტყვით, არაფერი იყო უჩვეულო, რომ ამ ერთი საღამოს განმავლობაში უკვე მესამე ადგილს იცვლიდნენ, და ეს აღიზიანებდა ქალს.

— რა შესანიშნავი ჰაერია! — წარმოთქვა ვაჟმა. — ასე თუ ვიარეთ ჩვენ, ალბათ, ვერსად ვერაფერს შევქამთ, მადა კი მგელისა გამიხდა!

რესტორანი მთის წვერზე იდგა და იქედან ყოველი მხრიდან მოჩანდა გაშლილი სივრცე. ველზე ბინდი წვებოდა, თბილისის თავზე ბოლავდა ნისლი, აქ კი მზე ისევ ბრწყინავდა და მოგრძო ჩრდილები გაწოლილიყვნენ მწვანე ხავერდის ფერდობებზე. ქალი კმაყოფილებით ათვლიერებდა გარემოს, შემდეგ კი თქვა:

— როგორი ჰაერული ვარ, არა? — ვაჟმა კი უპასუხა:

— რას ამბობი მაგრამ საქმე ისაა, რომ ეს მზე ხომ მაინც ჩავა, სულერთია.

— ოდესმე — კი! — ჩაილაპარაკა ქალმა.

— ყველაფერი შემოძლია მაგრამ მზესთან ბრძოლას ვერ შევძლებ, — უთხრა ვაჟმა ხუმრობით.

— ტყუილად ფიქრობ ასე! — თქვა ქალმა.

მოვიდა ოფიციანტი.

— ჩვენ ღორმუცელებად გვთვლიან, — თქვა ოფიციანტმა, თან ჩვეულებრივი ქაღალდი ამოიღო — შეხედეთ, რა სანოვავე მოამზადეს ვინმე ვილჰელმ როზენბერგ კრუმჰაუს ქორწილზე: 498 ღორი, 113 ირემი, 370 ხარი, 1579 ხბო, 2687 ცხვარი, 2292 კურდღელი, 5690 დიდი კალმახი, 12887 სპეციალურად ნასუქი ქათამი და ასე შემდეგ. 1745 წლის 8 სექტემბერს ლუდოვიკო XV-ს მიღებაზე მიართვეს 246 თავი საქმელი, მათ შორის 44 სახის სუპი, 36 სახის ცხელი საქმელი, 48 — მსუბუქად მომზადებული ხორცი... მისი ჩვეულებრივი ვახშამი 56 თავისაგან

შესდგებოდა, დესერტი არ ითვლება.

— რა მოხდა შემდეგ? — ჰკითხა ქალმა მოუთმენლად, როგორც კი ოფიცინატი წავიდა.

— სად გავჩერდი?

— ქუჩაში ის გოგონა იდგა ჩემოდნით ხელში. ვავოცდი. „აქ როგორ გაჩნდი-მეთქი“ — ვკითხე მას. „სამი ამხანაგი რთველზე წამოვედიო გურჯაანში ამხანაგის ნათესავთან“. „მაგრამ ეს ხომ წინანდალია?“, „ამხანაგები გურჯაანში ჩავიდნენ, მე კი ვზა განვაგრძე... ისინი არ გამეცემენ“. „არ გავცემენ? ჰო, მაგრამ, ვისთან ჩამოხვედი?“ „შენთან“. ჩემს ყურებს არ ეუჯეროდი. „როგორ თუ ჩემთან? გესმის, რას ნიშნავს ეს? შენ ჭეჭაზე ხარ? არ გესმის, ვინ არ გავცემს?“ „მეგობრები“. „მათი ნათესავები?“. „მათ ხომ არ იციან, რომ მე მათთან ერთად ჩამოვედი“. „შენი მშობლები, მათ არაფერს კითხავენ?“ „ისინი ერთმანეთს არ იცნობენ, თანაც...“ „რა თანაც?“ „ჩემს მშობლებს ჩემი უსიტყვოდ სჯერათ“. ეს მან ამბუად წარმოსთქვა! რასაკვირველია, არაჩვეულებრივი გოგონა იყო! — სთქვა ვაჟმა აღფრთოვანებით.

ვაჟმა ქალს შეხედა, ჩემი მონათხრობით თავი ხომ არ მოვაწყინეო, მაგრამ ქალი დიდი ინტერესით უსმენდა.

— მერე? — ჰკითხა ქალმა.

— ჩვენ სახლის ახლოს ვიდექით ქუჩაში. გარშემო ბნელოდა. ამ ხნის განმავლობაში ერთ მანქანასაც კი არ გამოუვლია. თორმეტის ნახევარი იყო. ჩემთან მისი წაყვანა არ შემეძლო. ჩემი თანაკურსელებისათვის კი არა. საერთოთა თვისათვისაც ვერ ამეხსნა, რა იყო ეს გოგო. ჩემი და რატომ ჩამოვიდა ჩემთან. ხომ იცო, როგორც ხდება ჩვენში? ვერავითარი უმწიკვლობა ვერ დაიცავს ქალიშვილს ბოროტი ენებისა და ჭორებისაგან. ნაცნობი გლეხის ოჯახში მომეწყო?... ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ ცხადი იქნებოდა — ჩვენს შორის არაფერი არ იყო და გამოვიდოდა კი, რომ იყო.

— ერთი სიტყვით, შენ როგორ მოხსენებ?

— გავდივარ ნაცნობი შოფერი და სადგურში წავეყვანე. სადგურამდე რამდენიმე კილომეტრი იყო. საბარგო მანქანა იყო და სამივენი კაბინაში ჩავსხედით. მიუჭროდით შარაზე. მატარებელი უკვე მოჩანდა. იგი სადგურს უახლოვდებოდა. უცერად მანქანა გაფუქდა. დარჩენილი ვზა სიბილით გავიარეთ, თან დადევნებულ ძაღლებს ვიგერიებდით ჩემოდნით. საიდან გაჩნდნენ, არ ვიცი. როგორც კი ვავონში შევევარდით, მატარებელი დაიძრა. გამცილებულ ქალს რაც ფული გამაჩნდა, ხელში შევაჩეჩე და ვთხოვე ბილეთი ეყიდა და გურჯაანამდე ჩაეყვანა, იმას ლოყაზე ვაკოცე და ჩამოვხტე. ეს იყო ჩვენი პირველი კოცნი. ძაღლები ჩასაფრებულნი მივდიოდნენ და მანქანასთან მოსვლამდე იმის ცდაში იყვნენ, როგორმე კანკში მცემოდნენ... ასე ვაგებუა იგი. როდესაც თბილისში დავბრუნდი შევხვდით ერთმანეთს. წავედიო კუკიის სასახლაზე. ჩვენი შეხვედრის მიზანი იყო დამეშოშმინებინა იგი. ეუხსნიდა მას, ჯერ ძალიან ახალგაზრდა ხარ, ძალზე ადვილად შეიძლება სახელი გაგიტყდეს-მეთქი, ქალს ყველაფერს აპატიებენ, გარდა ცუდი სახელისა-მეთქი. თითქოს ყველაფერი ვაიგო... შესაძლოა, ეს ამბები სულაც არ აწუხებდა, როგორც შემდგომმა ამბებმა ცხადყვეს. ყოველშემთხვევაში, თავს მიჭნედა და მეთანხმებოდა, რათა შემდეგ ყველაფერი პირუტყვ ვაეყეთებინა.

— რა მოხდა შემდეგ?

— მე მოსკოვში წავედი კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე და სამჯერ ჩამოვიდა ჩემთან. ირეკება ხარი და ის ჩემოდნით ხელში ღდას. მე ხადლაე ვაწყობ ღამის გასათევად. ყოველთვის ხალხში ვტრიალებდით. მივააცილებდი სახლამდე ამხანაგებთან ერთად, სადმე წავიდოდით ისევე ამხანაგებთან ერთად, ისევე ამხანაგებთან ერთად ვხვდებოდით ერთმანეთს. არ ვიცი, მოსწონდა თუ არა ეს ამბავი, ყოველ

შემთხვევაში ვფიქრობ, მისთვის ეს სულ ერთი იყო, ალბათ, საერთოდ ჩემთან უნდოდა ყოფნა.

— რას გელაპარაკებოდა ამის გამო?

— არაფერს. თვალები უბრაწყინავდა. ამბობდა რომ ცეკვებს თავს შეესწირავო, თუ ჩემი ოცნება არ განხორციელდაო.

— შენ რას ეუბნებოდი?

— ისე მეჭირა თავი, თითქოს ვერ ვხვდებოდი რა ოცნებაზე იყო ლაპარაკი.

— ოი, მამაკაცებო, მამაკაცებო! — წარმოთქვა ქალმა.

ვაფი ჩაფიქრდა.

— ყველა სამიჯნურო საიდუმლოებები რომ გამოვაცქეყნოთ, მაშინ რამდენი შესანიშნავი და ახალი რამ გიხსნება ადამიანების შესახებ. სამიჯნურო საიდუმლოება — ეს ყველაზე მშვენიერი საიდუმლოებაა — დაუმატა ვაჟმა.

— საოცარია, შენ რომ ეს გესმის, — გესლიანად უთხრა ქალმა.

— ეს არაჩვეულებრივი ამბის წყაროა.

— დიახ, წყაროა, — თქვა ქალმა.

ვაჟმა გულყეთილად გაიღიმა.

— და ამით დამთავრდა ყველაფერი?

— არა. იგი ისევე ჩამოვიდა მოსკოვში, მე კი იმ დამეს თბილისში მივდიოდი. „მაშინ მეც წამოვალე, მითხრა მან მე ხომ შენი გულისთვის ჩამოვდიო“.

ეურჩიე დაეთვალე რებინა მუზეუმები, წასტულიყო თეატრში და თითქმის დაეთამაშებე, მაგრამ... მაგრამ მეორე დღით თბილისში შევხვდი. ეტყობა, ჩემი გაოცება უნდოდა, აი ის უკვე აქ არის, მე კი მგონია, მოსკოვში მუზეუმებს ათვალე რებს, სახეზე წყენა გამომებატა. გვერდით ჩაბიარა. თვალებით გამომეთხოვა, რომელშიც გამოკრთოდა დამარცხების შეგნება. მან იმედი დაჰარგა. მეც შეება ვფარქენი. შემდეგ

აღარასდროს უწყენინებია ჩემთვის. მერე შეეიტყე, მოცეკვავეთა ანსამბლში მოწყობილა... მაგრამ იმ შემთხვევაში ბევრი რამ იყო. არა, ამის აღწერა არ შემიძლია!

ჩაბნელებული ვზით ბრუნდებოდნენ უკან. თბილისი სადღაც ქვემოთ ციმციმებდა. ფანჯარაში იჭრებოდა თბილისისა და წიწვის მწყლარტე, მძაფრბი სუნნი.

— მიფუშვით მუხრუქები? — კითხა ვაჟმა ხუპრობით, ისინი ხრამს მიყვებოდნენ.

— არა, ახლა აღარაა საჭირო.

ისინი კიდევ დიდხანს მიდიოდნენ მღუმარედ, ფრთხილად ამუხრუქებდა მოსახევეებში, შემდეგ ვაჟმა თქვა:

— რასაკვირველია, ჩანს, არ მიყვარდა, თორემ სხვაგვარად მოვიქცეოდი.

— ვასაოცარი ეს კი არ არის, არამედ სულ სხვა.

— მაინც რა?

— ვასაოცარია, რატომ არ შეგიყვარდა იგი შემდეგ... ყოველივე ამის გამო.

— შენ? როგორ მოხდა, რომ არ ვაუთხოვდი? — ჰკითხა ვაჟმა ცოტახნის დუმბლის შემდეგ.

— მე მხოლოდ მეცნიერების ერთგული ვიყავი. დანარჩენი ყველაფერი წვრილმანად მიმჩანდა... ახლა კი ვხვდები, რომ ვცდებოდი...

როდესაც ქალის სახლთან მივიდნენ, ვაჟმა უთხრა:

— დღეს დაგვიანებულნი სადილი გამოგვევიდა!

— ჰო, — გულვრილად უპასუხა ქალმა, — უკვე შუალამეა.

— ხვალ წავიდეთ ისევ მზის საყურებლად? — ჰკითხა ვაჟმა.

— არა! შენ, ალბათ, სახეზე ისევ წყენა გამოგებატება. ვინმე სხვას გავყვები. მას, ვისაც არაფრით არ უნდა, რომ მზე ჩადიოდეს.

ბავშვ მხატვრობა

ჩვენა პირი ძეგლი...

ჩვენს სტუმრებს — საბავშვო ლიტერატურის დღესასწაულის მონაწილეებს საჭიროდ ვთვლით.

მგონებს ბრძოლის და
მარადიულ ლტოლვის თავდებად
ტანზე ქარები უნდა გვეცვას:
ზენა და ქვენა;
ახალი ფიჭვი
ჯეჯილივით რომ ამწვანდება,
ჩვენ დავემადლებთ
წვიმად მოხულ
დარდას და ლხენას.
რომელი ერის სიტკივარის
ანდა ზეიმის
ღრუბლიდან მოდის,
არ გკითხულობთ,
წვიმა — სათქმელი...
მუდამ ცრემლში და
სიხარულში გვაქვს მოხელილი
სიტყვა —
თვეობით,
წლობით გულში დამენათვევი.
ცთუნებებს,
როგორც ურიცხვ მომხდურს.
ყოველთვის ვძლევდით,
გულზე გვეწერა წმინდა მცნება —
მეგობრის შეგლა.
ბუბუბუ ვერვინ ვერ დაგვარქმევს,
რადგან ვართ ძმები
და დუდაბიწის
ერთი ბუბუ

გვაპურებს ყველას.
ფიცის გატეხვა
არასოდეს არ მოგვდის ფიჭვად
და ძმათა შორის
სიყვარულის არის სუფევა...
ჩვენ ჩვენი ერის
ღრუბებს გულში შეილივით ვიკრავთ,
მკერდზე ვიხუტებთ
ჩვენი ქვეყნის თავისუფლებას.
ჩვენ ვგავართ ოქროს მამიებლებს,
მაგრამ ბაჯალღოს
დავეძებთ არა სადღაც მთებში,
არამედ კაცის
სულში და გულში,
რომ ვიპოვოთ
და ავამადლოთ
სიკეთე — ოქრო,
ყველა განძზე ძვირფასი განძი.
ჩვენი ხელები
დაეძებენ ჩასაჭიდებლად
ერთმანეთს;
თითქოს ბავშვები ვართ
და ვიდგამთ ახლა
ფეხს,
მაგრამ ვიცით,
მეგობარი ისე გვეჭირდება,
როგორც ძაღვი,
დაბლა — მიწა

და ზეცა — მაღლა.
ბევრი თქვენგანია მამულივით,
არ ვამზობ კვებნით,
ჩემს სამშობლოსაც
ურდოები ეხვივნენ გუნდად.
მაგრამ გადავრჩით...
და ამ მიწას
მოყვასის ფეხის
მკერდზე შევება

დაყვავება ჭკონია მუდამ.
მოზრძანდით!
ზეცა ეჯიბრება
თქვენს ნათელ მიზანს,
ქართული ზეცა
სიმაღლით და იდუმალებით...
საკუთარივით დაუყვავეთ
ჩემს შშობელ მიწას
და დზაცხუნეთ
სიყვარულით სავსე თვალები.

სურათი

მიწით ამოქუხს
არსმენილი მუსიკა ფერთა,
ციციანათლობენ
შზეზე ცვართა ათინათები,
აქ ბროწეულის
ყვავილისფერ სინათლედ ფუთქავს
ათქვირებული დმანისური განთიადები.
მთები,
რა მთები!
ტყენი — ფიჭვის,

უთხოვრის,
წაბლის..
წამხდარ გუნებას
მჭლე იმედი მიუკეთებს...
ჩემი ოცნება
მიმუღია მირიად საბლით
ქართულ ბუზრების
ლურჯი კვამლის
მაღალ სვეტებზე.



მასალა ერთი გვაქვს —
სიტყვები ქართული
და ვართ დღენიადავ
შენებით გართული.

სიტყვებით, ასე რომ
ბრწყინავს და ჩახჩახებს,
ზოგი ქობს ვაშენებთ
და ზოგიც — სასახლეს.

მირზა ვალოვანს

გვათრობს,
გვაბრუნებს
შენი ლექსის სიტკბო თაფლური
და ჩვენი დიდი სიყვარულით
ხარ დადაფნული.
ჰგავს ხმლის მოჭნევას
შენეული სიტყვის მოჭნევა,

შენს სულს ბაძავდა
თვით აპრილის ამობოქრება.
ოცი წლის ჭაბუკს
საუკუნე შორებით მიგჭონდა,
ომი არასდროს წაგივია
ჯიუტ სტრიქონთან;

ომი თვით წყვეულ სიკვდილთანაც
არ წაგივია...
ერთს წუხარ მხოლოდ,
რომ ლეიბად ქვეშ არ გიგია

ქართული მიწა —
ჭრილობებით ასი ათასით, —
თავი რომ გვეგრძნო
მონატრებულ დედის კალთაში.

დავით აღმაშენებლისადმი

ცხადია.
შენებრ ვერ ვიქცევი ლეგენდად, მითად,
მაგრამ შენ, უკვდავს,
ერთ რამეში მოგბაძო მინდა —
ოღონდ მონასტრის,
ანდა ტაძრის ბჭესთან კი არა,
დამმარხონ სადმე გზაბოძალთან
და ზედ იაროს

უკუნისამდე უკუნისით —
მშობელმა ხალხმა...
სორს სორი ერქვას,
უღეს — უღეს,
სახმატი — სახმატს.
რეგდეს თვისტომთა ნაბიჯის ხმა
ჩემს მკურდრზე ზარად,
ეს ხმა მამულის გულისძგერად
მესმოდეს მარად.



პასუხი თანასოფლელი გიჟავისადმი


ჩემი გული — პასპორტია ჩემი,
ვარ ქართველი თუ არა ვარ იგი!
ჩემი საჭმე — ნამუსია ჩემი,
პატიოსნად სუნთქავს თუ არ იგი!
ჩემი ფიქრი — სანთელია ჩემი,
მამულისთვის იწვის თუ არ იგი!

ჩემი შვილი — მომავალი ათი,
„დედა ენას“ მიიხუტებს ყველა,
და თუ არა ქეთევან და ტატო,
მწამს იქნება კვირია და ლელა!
მწამს, ათივე გაზრდის შვილებს ათ-ათს,
ის ათ-ათი ას-ასს გამოახელს...
შეინახავს ქართულ წესს და ადათს,
გარდახული ჭრილობების ძახილს!
მწამს, რომ დილა გათენდება ბევრი,
ამ დილებზე მილიონჯერ ლურჯი!
ამოხეტქავს მზევი ჩალისფერი
ფიქრების და წლების შარიშურში...
ჰეი, სულო! ავარდება მაშინ
ის მერცხალი ღამეების მიღმა —
საითკენაც გაფრენილან რაშნი,
საითკენაც თავგანწირვა გვიხმობს!
მწამს, რომ აღარ მიგვატოვებს შინც,
ის დიადი, ის საწყისი ყოვლის...
ისევე გავგვრავთ რიკს ბიჭები, ფაინს,
ისევე გაწმენდს გულს პირველი თოვლი!
ისევე ისე, ისევე ისე წავა
ცისკენ ბუხრის ჭონგურიდან კვამლი,
ცა ფირუზზე იგალობებს კვლავაც

ცხენოსანი სალამოის დამღევს,
 ისევ ისე იჭრიალებს კარი
 ჭიშკრისა და ბოსლის, ოდა სახლის,
 გზად ჩაივლის ღამეული მგზავრი,
 ისევ მწარედ აყუფდება ძალი,
 შორეული „ჩელას“ სევდა-ნაღველს,
 ხით ისევ ჩამაწვევთებს ყურში,
 მერე ნელა გადასუდრავს სოფელს
 ნისლი — გრილი, უსიერი, ურჩი...
 ჩემი გული — პასპორტია ჩემი!
 ჩემი ხაქმე — ნამუსია ჩემი!
 ჩემი ფიქრი — სანთელია ჩემი!

* * *

მახსოვს: შველივით აიღე თავი!
 ხოლო ქუჩაში ჭერ კიდევ იდგა
 სუნთქვა მიწურვილ ზაფხულის, ცით-და
 ჩანდა — იისფერს ვით სვამდა შავი.
 მახსოვს: შველივით აიღე თავი
 ბრბო მიიწვედა სალამოსაკენ,
 ჩიტე ჩიტს ძმურად უთმობდა ხაკენკს,
 ამბორს უყოფდა ყვავილი ყვავილს...
 მახსოვს: შველივით აიღე თავი!
 უცხოდ, მსუბუქად აღფლვებული
 ჩემი დიდი და ბავშვური გული
 განათდა შენი ხილვისთანავე!
 მახსოვს: შველივით აიღე თავი!
 და მივხვდი — იყავ, შენ იყავ ისი,
 ვისთვისაც მოველ ამ ქვეყანაზე.



საქართველოს უბიძგი

ს. მ. მ. მ.

საქართველოს გზა

კვირაზე მეტი იყო, რაც ყველანი, ვისაც იარაღის ტარება არ შეგუებოდა, უბიძგი ცამეტი დასახლების მოხუცები, ქალები და ბავშვები გზას ვადექით ჩვენი ავლადიდებით. სახლკარ დაშვარებას, ბოშებსა და ფრონტის ხაზიდან გამოქვეყნებებს ვგავდით. სამი ათასი ეზო აიყარა. აიყარა, მართალია არა მამა-პაპისეულ, მაგრამ მაინც შეჩვეული ადგილებიდან. მერედა, სამი ათასი განა ცოტაა? მშრალი, ხორშაკიანი ზაფხული იდგა. დღე ისე ცხელია, რომ ტვინი გვიღუღდა. ღამე კი სიცხისაგან გვაძაგძაგებდა. ზუსტად ისე იყო, როგორც აფრიკის უდაბნოში ისმაილ საბახის მექარავნებდ რომ ვიყავი, ერთ ვაივაგლ-ხსა და ჰაბანწყვეტაში, არც მეტი და არც ნაკლები. იმ ქვეყნადაც ნუ მოუშალოს ღმერთმა ისმაილ საბახს ჯოჯოხეთის ცეცხლზე დადაგვა.

თითქოს განსვენებული ტაპირის სურვილს ვასრულებდით, გეზი კავკასიისკენ გვეკირა. ვინ იცის, სირიის, ან არაბეთის გზას რომ დავდგომოდით, იქნებ ალი ხაზრეთ-ფაშას ზელი ჩაქ-

ნია და ეთქვა: „უბიძგის გარდაც ყელამდე მაქვს საქმეო“, მაგრამ ჩვენ სამშობლოსაკენ გავემართეთ, სადაც ახლა ქემალ-ფაშასთან მეგობრულად განწყობილი ხელისუფლება იყო. გვეული გვეოლია ამდენხას უბეში, ბრაზობდა ალი ხაზრეთ-ფაშა, — ყველა ეს კავკასიელი მაპაჩირი მოლაღატე, გამცემელი, სულთანის მტერია. დამაცადონ, მე მაგათ ვუჩვენებ სეირს!“ და სიტყვებს საქმეც მოაყოლა; ამ სულთანის დამქაშის დამსჯელი რაზმები მგლების ბროვასავით გვესმოდნენ თავს და ახალ და ახალ სიცოცხლეს წირავდნენ თავის საშველად გაქცეული ხალხიდან.

იქნებ ვცდებით. მაგრამ მჭერა უფრო მეტი ძალა და იარაღი რომ გვექონოდა, ალი ხაზრეთის მიურიდებლაც დავალწვედით თავს და ბერძენებსაც, ხან რომ გამოჩნდებოდნენ ამ ადგილებში და ხან მიიმალებოდნენ. და ბოლოს და ბოლოს, ჩვენს სიჭიუტეს და იღბალს იქნებ კავკასიაში დაბრუნება ეღირსებინა ჩვენთვის. მაგრამ არც ძალა გვაქანდა და არც იარაღი. ცოტა მაინც თუ მოგვეძვეებოდა, ისიც იმითომ, რომ გზადაგზა ჩვენი ბიჭები გვიერთდებოდნენ, ხან აქეთ მხარეს რომ

იბრძოდნენ და ხან იქით, ან უბრალოდ მთებში იყვნენ დამალულები. ისინი შეიარაღებული იყვნენ და, როგორც შეეძლოთ გვიცავდნენ.

გამარცხვული მკეცარივით შიშველ კონიის დაბლობზე მივიდიოდით. ათეული ვერსის მანძილზე არც ხე ჩანდა, და არც ქა. ტყუილა კი არ ამბობდნენ თვითონ თურქები: „აქაურობას აქლუ-მიოაც ვერ მოერევო.“

ძლივს მიათრევდნენ ფეხებს. თითქოს ძვლებს გაუღის ხრჭილიო, ისე ჭრიალებდნენ ურმები, ბავშვები და ავადმყოფი და დაუძლურებული მოხუცები რომ იწვნენ ზელ. ჩვენ ვჩქარობდით, დახოცილებს სასწრაფოდ ვმარხავდით და გზადაგზა ვტიროდით. დაჭრილებს ვონება უბნელდებოდით სიმწრისაგან. მაგრამ რაკი ფეხზე დგომა შეეძლოთ, ურემზე დაწვენას არ თხოულობდნენ. მარტო ისინი მიჰყავდათ ურმებითა და საყაყებით. ვინც სიკვდილ-სიცოცხლის შუა ქანაობდა, ხან წინ და ხან უკან ისევ გაისმოდა სროლის ხმა. უიარალო ხალხისთვის ტყვიის დაშენა ვაქცაობა არაა, მაგრამ ერთი რამ ნაღდი იყო: თვითუღლი ბრმა ტყვია მსხვერპლს მიაგნებდა. ჩვენს ბიჭებს კი თუმცა მიზანში სროლა თან ჰქონდათ დაყოლილი, უჭირდათ — მღევრები ცხენებზე ისხდნენ და შაითნებივით დაქროდნენ აქეთ-იქით, დაცლიდნენ თოფებს და გაიფანტებოდნენ.

ალი ხაზრეთ-ფაშა მოგზაუნილებს ბირით გვემუქრებოდა:

— თუ არ გინდათ, სათითაოდ რომ ამოგწვიტოთ, იარაღი დაჰყარეთ და უკან დაბრუნდით, სანამ გვიანი არ არის! ვფიცავარ ალაშს, ვინც სულთანის მტრებთან აპირებს გადახვევას, ჩემი წყალობით უმალ სიკვდილს გადაეხვევა. ჩვენ არა რა მუჭარის არ გვეშინოდა. მდინარე ზღვისკენ ილტვის, რკინა მაგნიტისკენ და ალამიანი მშობლიური მიწისკენ. რაკი წავედით, დაბრუნება აღარ გვინდოდა, რადგან

საშშობლოს ძახილს, როგორც ზღვისკენ რიტების ძახილს ვერსად წაუხვალ. სულიერად დაცემულები რომ გაგვემხნევებინა, მოხუცები ხანდახან ძველებურ ლაშქრულს წამოვიწყებდით ხოლმე:

ღე ჭრილობიდან გვლიოდეს სისხლი,
სისხლი სისხლისა წილ!
წინ! მტერს დაგატყუეთ მეზად და რისხვად,
წინ, მამაცობა წინ..

ახალგაზრდებს უკვე აღარ ესმოდა ამ სიმღერის სიტყვები, მაგრამ მაინც მოსწონდათ, რომ ვმღეროდით. დამდუბველი დაბლობის ნახევარი უკან მოვიტოვეთ და ახალ-ახალი უბედურება დაგვატყდა თავს: სურსათის ღარიბული მარაგი გამოგველია. შიმშილობა ბავშვების ტირილით დაიწყო. სხვა გამოსავალი არ იყო: ჯერ ხარები დაკვალით, მერე ცხენებს დაფუშინეთ ტყვია. გავიგონია როდესმე, ძვირფასო შარახ, მომავკვდავი ცხენების ჭიხვინი? ოთხთვალეები რომ დავწვით შეშად, ახლა აკვნებს მივადექით. სხვა აღარაფერი გავაჩნდა ხის, თოფის კონდახების გარდა, მაგრამ ისინი ჯერ კიდევ გვეპირდებოდა...

„ღე ჭრილობიდან გვლიოდეს სისხლი...“ ეს სიმღერა სელის საბუჩენი კვერთხივით იყო, მაგრამ შიმშილის გარდა წყურვილიც გვიპირდა ყელში ხელს. შიმშილი და წყურვილი ორი ცოფიანი მგელივით გვეცა ერთად და ვერც ვერაფრით ვუშველიდით თავს: გარშემო არც წყარო იყო და არც ქა.

— წყალი, დედა, წყალი! — ჩანახშირებული ტუჩებით ჩურჩულებდა ბავშვი.

დედას კი ცრემლები გაშრობოდა. სისხლიც კი არ სდიოდათ დაჭრილებს, მაშინვე შავად მიაკვებოდა ჭრილობას. წყლის საძებნელად წასული რაზმი აღარ დაბრუნდა. ხალხის ნაკადი კი არ მიდიოდა, მიხოხავდა. შიმშილი ბურის ერთი ნატეხისთვის, ერთი ყლუბი წყლისთვის ტეხდა ჩხუბს. გზადა-



გზა იშვიათად გამოჩენილ ბალახს ედებოდა ხალხი საქმელად თავის დაქვარას თუ მოახერხებდა ვინმე, ბედნიერი იყო.

გულს ნუ გაიტყუო, ცა ევოლია
და აბაღვე დაუშვებს წემა.

გმღეროდით მოხუცები, იმედი რომ მიგვეცა ხალხისთვის, მაგრამ ეს სიმღერა კი არა, ვოდება იყო.

და უცბად თითქოს ზეცამ ჩამოგვძახა:

— აქ ახლოს ჭაობია, ჭაობი! — მთვრალივით ბანცალებდა და ხრიალებდა ღმერთმა იცის საიდან გამოჩენილი კაცი. თითქოს მკვდრებიც კი წამოდგნენ ამ სიტყვების გასაგონად.

ვინ სირბილით, ვინ ნაბიჯით და ვინ ხოხვით წავიდა იქითგან, საითაც ეს კაცი გვიჩვენებდა. დიდებმა პატარა ბავშვები აიტაცეს ხელში, ცოტა მოზრდილებმა კი უფროსებს გაუსწრეს. ზოგმა გონება დაკარგა და გადამწიფებულ ნესვის ქერქივით დახეთქილ, გავარჯარებულ მიწაზე მოაღინა ზღართანი. ნაპირზე ამოგდებული თევზებივით პირდაღებული ეყარნენ ძირს. ყურადღებაც არავის მიუქცევია მათთვის. მალე ფეხქვეშ კოლბოხები აქვაბუნდა. ჭაობი ვრცელი იყო. მოლიბულ ნაპირებზე ლერწმები აშოლტილიყო. ჭენჭყოს საშინელი მყარალი სუნი ადგა თავს. მიწასა და ბალახს თითქოს მარბილი ჰქონდა მოფრქვეული. ვიღაც ყვიროდა!

— მოერიდეთ ამ წყალს, მოერიდეთ! რას ამბობ, ვინ დაგიდევდა, ერთმანეთის ჭიკაჭიკავით, ჰქმნით ეცემოდა ხალხი მუხლებზე და მღვრიე და ამყარლებულ წყალს ეწაფებოდა. წყალი თბილი და წებოვანი იყო. შიგ ლიფსიტები, თავკომბალები და წურბელები ფუთფუთებდნენ. მაგრამ ჩვენ ისე ხარბად ვსვამდით, მშობლიური შთის წყაროა წყალიც კი არ დაგვიღვევია არასოდეს. რომ იტყვიან, ყელამდე ავიხსეთ წყლით, მაგრამ მაინც ვერ ვმორიდებოდით ჭაობს.

საშინელი ხორშაკის მოხუცდავად, ნალხი ცახცახებდა, წყურვილის შიშს ჰყავდა ატანილი, როგორც ცოფიან ძაღლებს აქვთ ხოლმე წყლის შიში. სული მოითქვეს და მერე მოიძიეს ახლობლები. ეცნენ, ვისაც წყლამდე ვერ მოედწია, მაგრამ ზოგი მათგანი უკვე მკვდარი იყო.

ვაის გავეყარეთ და ვუის შევეყარეთ, წყურვილი მოვიკალით და ახლა ისევ შიმშილი დაგვატყდა თავს. მეორე დღეს ბედმა გაგვიღიმა: ჩვენმა ორმა მშვერავმა რამდენიმე ვერსით რომ გვისწრებდნენ წინ, ცხენების რემას მოპკრა თვალი. ბიჭები არ დაიბნენ და მთელი რემა ჩვენსკენ მორევს თოფის სროლით. გაგიგონია, ძვირფასო შარაბ, აღამიანებსა და ცხენებს შორის ომი? თუ არ გაგიგონია, მე მომისმინე: ეს ომი იმ დაწყველილი ჭაობის ნაპირებზე მოხდა. ვისაც თოფი ჰქონდა, ტყვია დაუშინეს ცხენებს, ვისაც ზანჯალი — ხელჩართული ბრძოლა გაუმართა ცხენებს ნაჯახიანები ისე შევარდნენ ცხენების არეულ-დარეულ რემაში, თითქოს ტყეში არიანო. ერთმანეთში აირია დასისხლიანებული ცხენების შეშლილი ჭიხვინი და ხრიალი, გაცოფებული ცხენებით გათქერილი აღამიანების კვნესა და გოდება. ეცემოდნენ თავგაჩხილი, მუცელგამოფატრული ცხენები და ქვეშ იტანიებდნენ ფლოქვებით დაბეგვილ აღამიანებს. დაჭრილ ცხენებს სიკვდილს არ აცდიდნენ, ცოცხლად ზდიდნენ ტყავს და ნაჭრებად ჰკრიდნენ. მოჭრილი და დამტვრეული ლერწმებისაგან მყარალი ცეცხლი დაანთეს და შემწვარი ცხენის ხორცის სუნი დატრიალდა. ნახევრად უწავი ხორციით სული რომ მოიბრუნეს, ისევ მოწყურდით და ისევ ჭაობს მიაშურეს. მუკებით ხერხბდნენ ლუყურტ წყალს. მერე ცხენებთან ბრძოლაში დაღუპულები დავმარბეთ და ჭაობის გარშემო ხშირ ლერწმოვანს წავეუკიდეთ ცეცხლი. „დაე მტერმა იცოდეს, რომ ჩვენ კიდევ ვანთებთ კოცონებს.“

კოცონებიდან აღმოცენებულმა იმედმა ისევ დაგვიბრუნა ძალა, ოღონდ მცირე ხნით. როგორც იქნა ორ უბედურებას დაეღწიეთ თავი და მესამეს გადაეყარათ: ქოლერამ იფეთქა. პირველად სამი შვილის დედა გახდა ავად. ხელები მუცელზე შემოეჭირა, ტუჩები და ქუთუთოები ჩაღურჯებოდა, ციებ-ციხელებიანივით კანკალებდა და გავარვარებულ ქეიშაზე გორაობდა. მერე კრუნჩხვები დაეწყო და რამდენიმე საათში გათავდა კიდევ. სენი მის შვილებსაც გადაედო. ხალხი საშინელებამ მოიკცა. ზოგი შველას შესთხოვდა ღმერთს და ზოგი წყევლა-კრულვას უთვლიდა. მე მინდოდა თუ არა, მე-საფლავედ ვიქეცი. მალე ჩემი ორი უახლოესი ადამიანი მივაბარე მიწას: მამიდა ხიმეაქი და სითი. ხიმეაქი რომ მოკვდა, სითმა მითხრა:

— მეც ავად ვარ, ზაურყან. ხიმეაქის გვერდით დამასაფლავე: არ მინდა მართო დავტოვო ამ წყველ მიწაში.

თვითონ ამოთხარა საფლავი ცოლის გვერდით. სიკვდილის წინ დიდხანს არ უტანჯია. თავზე ვადექი მათ ძვირფას საფლავებს და თუმცა თვალები რა ხანა ამომშრალი მქონდა, ლაწკებზე მაინც დამიგორდა ცრემლი. ასე გაჩნდება ხოლმე კლდეებზე ცივი წვეთები, მიუხედავად იმისა, რომ ცა მოკრიალებულია. მეც ამ კლდეებივით ვტირიოდი და ცრემლები დანაოქებული ლაწკებიდან ეონავდა

უცხათ ჩვენში ყველაზე ხნიერი თათლასტანის ხმა გავიგონე:

— ჯერ არ დაგხოცილვართ და საფლავში ვწვებით. აბა, ასწიეთ ჩაქინდრული თავები! ახაირა, ხაირა! დაუკარიოთ ტაში! საცეკვაოდ გამოდით, საცეკვაოდ! — და თათლასტანმა საცეკვაო სიმღერა წამოიწყო, თითქოს ჩვენში ყველაზე უფრო ჯანსაღი ყოფილიყოს, უცხათ ჩამოიბერტყა მხრებიდან ნახვარი საუკუნე. მე გაოცებული ვიყავი: „ხომ არ შეიშალა?“ მაგრამ თათლასტანს გონებაც სალი ჰქონდა და მეხსიერებაც.

— განა არ გინახავთ, სწორედ ჩაქრობის წინ უფრო ძლიერად რომ აპარბალდება სანთელი? მოდით მოწყვეტილი ვარსკვლავივით, არა, ვარსკვლავივით კი არა ელვასავით აგვაშკაშდეთ სიკვდილის წინ!

თათლასტანი ხან ერთთან მიდიოდა, ხან მეორესთან და უფრო და უფრო ძლიერად ურტყამდა ერთმანეთს ხელისგულებს:

— ახაირა, ახაირა!

და მართლა სასწაული მოხდა: არავის არ დაუძახნია „ჰკუაზე ხომ არ შეიშალე, გონს მოდიო!“ პირიქით, ღონე გამოცლილმა ხალხმა ფეხზე ძლივს რომ იდგნენ ამ გასაავათებელი ეყარნენ ძირს, ჯერ ჩურჩულით ააყოლეს ხმა, მერე თანდათან აუწიეს და ბოლოს მთელი ხმით შემოსძახეს მამა-პაპური საცეკვაო და ტაშიც დასცხეს.

— ეს მიწა დაყრუვდა და ჩვენი შვილების ტირილი არ ესმის, დაბრმავდა და ვერ ხედავს. როგორ ვიღუბებით. მაშ მოდი და ვიცეკვოთ, ისე ვიცეკვოთ, რომ ჩვენი ფეხის ხმა გუფუნად ჩაესმას. დაე იცოდეს, რომ ჩვენ კვლავაც ვცოცხლობთ და დანებებას არ ვაპირებთ, — მოგვიწოდებდა თათლასტანი.

ნელ-ნელა წრე შეიკრა. ოპ, შვილო, იმ წრეში მღვარი ადამიანების სახეები რომ დაგენახა... წარმოგიდგენია ვალიმებული მკვდრები? თათლასტანი კი საკუთარ თავს შეუძახებდა ხოლმე ხანდახან:

— ეპ, თათლასტან, თათლასტან, სად გაქრა შენი სიმკვირცხლე? აბა დაამტკიცე, რომ საპირისწამლეში ჯერ თოფის წამალი არ გამოგლევი. ოდეს-ღაც, უბიხეთში ხომ პატარა სუფრაზეც შემეძლო ცეკვა. თავბრუსხვევამდე ვცეკვავდი ცერულს, ახაირა! ახაირა! არც სუფრა იხუროდა და წვეთიც კი არ იღვრებოდა ღვინით სავსე ჭიქებიდან. აბა ერთი ახალგაზრდობა გაიხსენე!

თათლასტანმა დონინჯი შემოართყა და ცეკვა დაიწყო.

ყველაფერი ერთმანეთში აირია: „ახა-

ირას“ ვაჟაკური შეძახილი, ცრემლი და ღიმილი. ლამის გაგაყდა ხალხი. მეც პაშიშმონაწივევით თავგამოდებით ვუტრავდი ტაშს.

— ახარა, ახარა!

თათლასტანმა კი ცალ მუხლზე ჩაბუქვნაც სცადა, მაგრამ არ გამოუვიდა.

„ბებერი ძვლები აღარ ემორჩილებიან“, — გავიფიქრე მე. ყველა ცეკვას თავისი ასაკი აქვს, მაგრამ მაინც საიდან მოიკრიბა ამხელა ძალა? ჭეშმარიტად, ქალის ასაკს მისი სახე გასცემს და კაცისას ხასიათი. უდაბნოში მომხდარმა ამ ამბავმა ერთი ნათქვამი გამახსენა, ეს ჩემს წინაპრებს უთქვამთ დიდი ხნის წინათ, ჩემს დაბადებამდე: „გარდაცვლილებსაც მოვიწვევთ მეჭლისში და მკვდრებსაც კი ავაცეკვებთ!“ გამახსენდა და შევკრთი: „ნუთუ წინასწარ განსჭვრიტეს თავიანთი შთამომავლობის საშინელი აღსასრული?“

უცბათ თათლასტანი ცეკვის შეუწყვეტლად გამოვიდა წრიდან და ყველანი ტაშისცემით გაგვიყოლია. საცაა სული გაეყრებოდა მოხუცს. დადლილობისაგან ენას ვეღარ აბრუნებდა და მხოლოდ თავის ქნევით ანიშნებდა ხალხს უკან მომყვებით. ხალხიც დაემორჩილა. თითქოს თოკი გამოებას. თათლასტანს მათთვის, ისე ექაჩებოდა იმ მხარისაკენ, საიდანაც უცბათ მამლის ყივილი მოისმა. სულ ახლოს, ჩვენს გვერდით, სოფელი იყო.

• • •

შემდეგში რა მოხდა, ზურყანს ცუდად ახსოვდა. ვერც ის გაიხსენა, რამდენ ხანს იყვნენ უბიხები გზაში, არც იმ ჭაობის სახელი ახსოვდა, სადამდეც მიადწიეს, არც ის, რამდენი გადარჩნენ ცოცხალი, დღეს ერთს ჰყვება და ზეალ მეორეს, ყველაფერს ერთმანეთში ურევდა.

იმ დღეებში თვითონ შეყროდა ქოლერა და ალბათ ამის ბრალიც იყო მისი მეხსიერების დაღატი. ერთი რამ კი

ცხადი იყო: მოხუცს კომშირული რამ გადაეტანა. თბრობის დროს შეაერთლებდა ხოლმე, სახე ეჭუფრებოდა და ხმა უწყდებოდა. ნეტავ მაინც სად მოხდა ეს?

თურქეთის რუკა ავიღე და მოხუცს მივუჩქეი. თითოთ ვუჩვენე კონიის დაბლობი და ჭაობები მწვანე წერტილებით რომ იყო აღნიშნული, მაგრამ მოხუცმა ვერაფერი ახალი ვერ წაუმატა თავის ნაამბობს.

რუკაზე ეს წერტილები ახლოს იყო იმ ადგილთან, სადაც ამჟამად ვიმყოფებოდით მე და მოხუცი. როგორც ჩანს, სანამ აქ მოვიდოდი, ის ადგილები გამოვიარე, სადაც ქოლერით დახოცილი უბიხების ძვლები განისვენებენ. ეს სადღაც სულ ახლოსაა, აქვეა. და ზურყანის წარმოდგენა, რომ ისინი ძალიან დიდხანს მოდიოდნენ და გზას დასასრული არ უჩანდა, ჭეშმარიტებისაგან შორს არის. სინამდვილეში უბიხებს სამოცი — ოთხმოცი ვერსი თუ ექნებოდით გავლილი, მაგრამ აბა, ვინ დაადანაშაულებს მოხუცს, რომ საშინელმა მწუხარებამ დღეებიც დააგრძელა და ვერსებიც მის მეხსიერებაში?

ჩვენ ისევ ერთად ვსტუმბოდით და მოხუცი წვლებით აკოწიწებდა დაფანტულ მოგონებებს.

• • •

რომ იტყვიან ორ ცეცხლ შუა აღმოვჩნდით: წინაც მოჭრილი გვქონდა გზა და უკანაც. გარშემო სოფლების მცხოვრებნი მთებში გაურბოდნენ ქოლერას და თან სურსათის მარაგი მიჭკონდათ, პირუტყვისაც მიერეკებოდნენ. შინ მხოლოდ ისინი რჩებოდნენ, ვისაც უკვე შეყროდა სენი. საცა არ უნდა ყოფილიყო ჭეჭა-ჭუხილი, მეზი მაინც უბიხებს მოგვინახავდა ხოლმე. ქოლერის გავრცელებაში ოსმალოებმა ჩვენ დაგვდეს ბრალი. ვინც ავადმყოფების მოსავლელად დარჩენილიყვნენ, ან ვისაც უკვე გადაეტანა მძიმე სენი, იარაღით ხელში გადაგვიდგნენ გზაზე.

პოლიციელებს მყავრი ბრძანება ჰქონდათ მიღებული სტამბოლიდან: „გადაუღობეთ უბიხებს ყველა გზა. ნუ მოერიდებით იარაღის ხმარებას. მკვდრები დაწიეთ!“

სოფელს რომ მივუახლოვდით და განაირა სახლებთან მივედით, ვიაც გლეხი გამოვიდა და ყველაზე წინ მიმავალ თათლასტანს თოფ-ესროლა. თათლასტანი დაცვა, მკვლელო კი გაუჩინარდა.

— იი, მეც გამომასალმეს წუთისოფელს, ზაურყანი ვაჟაკი თუ ხარ ისე დამმარტე, რომ თავი უბიხების მიწისკენ მქონდეს.

თათლასტანი მოკვდა, მე კი ტანში შემაძეცვნა. ძველი სიმღერის სიტყვები გაიხსენდა: „ქოლერის ქაშს მერცხლებიც კი არ დაფრინავენ“, ცას ავხედე და მართლა არ ჩანდნენ მერცხლები. შორეთი ბინდში ჩაიძირა. შებლზე ხელისგული გადავისვი, ცოტახნით გაიფანტა ნისლი. მაგრამ ისევ ჩამოწვა. თათლასტანს ვადექი თავზე და ვერაფრით ვერ მომესაზრებინა საითკენ იყო უბიხეთი. მისი დამარტვა ვერ შევძელი — ღონე აღარ მქონდა. ხის ქვეშ დავასვენე და თვალები დავუხუჭე, ეს იყო და ეს. უარესად და უარესად ვხდებოდი, მუცელი მტკიოდა. ხევის პირას მდგარი საზღისაკენ წავბანცალდი. თავზე ტყვიებმა გადამიარეს სტეინით, მაგრამ ყურიც არ მითხოვებია.

თათლასტანის ძმისშვილმა და კიდევ რომელიღაც ქაბუკმა შიშველი ხანჯლებით ჩამირბინეს, მოხუცი თათლასტანის მკვლელს ეძებდნენ.

— მიწაში ხომ ვერ ჩაძვრებოდა! — ყვიროდა ერთ-ერთი მათგანი.

— ალბათ რომელიმე სახლში დაიმალა.

ქიშკარს რომ მივუახლოვდი, ქალის გულსგამგვირავი კიცილი გავიგონე. უკანასკნელი ძალა მოვიკრიბე და შინ შევედი. შეშინებული ქალი თათლასტანის ძმისშვილს კუთხეში მიემწყვდია და მკერდზე ხანჯალი მიეხრია:

— თქვი, სად დაიმალა მკვლელო? ვიცი ამ სახლში რომ შემოვიდა. რას ავაწყებ კბილებს? მიზასუხე-მეთქი გეუბნები, თორემ შენსა და შენს შვილსაც ახლავე გამოვიყვანო წირვას! მე ავადმყოფ ბიჭს გადავხედე საწოლში რომ ბორგავდა.

— ვფიცავ ალაშს, აქ არავინ შემოსულა. თუ ვინდა სასლი გაჩხრიკეთ, ნუ დაგებოცავთ უღანაშულოებს. ობოლი ბიჭი მყავს. მამამისი ოთხი წელია, რაც მოკვდა, — პასუხობდა შეშინებული ქალი და საბრალო ბიჭისკენ გაძვრომას ცდილობდა.

— აქედან მოწყდით! — დავიღრიალე მე.

ჩემი ხმა ალბათ მომაკვდავი მხეცის დრიალს ჰგავდა.

გაშმაგებულმა ბიჭებმა ხანჯლები ჩაიგეს. ამ დროს ქუჩაში სროლის ხმა გაისმა, ერთს მეორე მოჰყვა და ისინიც ქუჩაში გავარდნენ მეც უნდა გადამეხივებინა ზღურბლისათვის, მაგრამ ქალი ორივე ხელით ჩამაფრინდა:

— ნუ წახვალთ, გევედრებით ნუ წახვალთ. მარტო თუ დავარჩით, ისინი მობრუნდებიან და ამოგვხოცავენ. შეგვიბრალებთ! — ქალმა ბიჭისკენ მიმიოთითა.

ამ ქალსაც რომ არ შევეჩერებინე, შორს მაინც ვერ წავიდოდი. მალე თვალებში ყველაფერი ამერია, ქალმა ტახტზე მიმაწვინა და გონებაც დაგეარგე.

რამდენ ხანს ვბორგავდი და ვბოდავდი, რამდენ ხანს ვიყავი უგონოდ, თვითონაც არ ვიცი. გონება რომ დამიბრუნდა, დავინახე, რომ უცხო სახლში ვიწვიქი.

— სადა ვარ? — ეს იყო ჩემი პირველი სიტყვები, საიქიოს შუა გზიდან რომ მოვბრუნდი. თავთან ქალი მედგა.

— საკუთარ სახლში იგულებთ თავი.

— თქვენ ვინა ხართ, ხანუმ?

— კარგად თუ შემომხედავთ, იქნებ გაიხსენოთ?

მომეჩვენა, რომ ქალმა გაიღიმა. მივაჩერდი. პირმრგვალი იყო, დიდი შავი

თვალეზი ღიმილის მიუხედავად ნაღვლიანი ჰქონდა, თმაში ქაღარა გარეოდა. მეტსიერება დაეძაბე: — ვინ უნდა იყოს? »

ისევე ქალმა მიკარნახა:

— გახსოვთ, ორ თქვენებურ ახალგაზრდას ჩემი და ჩემი ბიჭის მოკვლარომ უნდოდათ? თქვენ გადაგვარჩინეთ. მერე წასვლა გინდოდათ, შეგახვეწეთ, დარჩით-მეთქი. უკვე ავად იყავით და ტახტზე დაგაწვინეთ. დღევანდლამდე სამარის პირას იყავით, მაგრამ მძღობა ალაპს, გადარჩით.

თანდათან გამინათდა გონება და ერთიმეორის მიყოლებით ჩამიარეს უბიხების უკანასკნელი გზის ჩვენებებმა. მკვდრები... მკვდრები... მკვდრები... მოცუკვავე თათლასტანი... და ბოლოს გამახსენდა, როგორ მოვხვდი ამ სახლში. სიმხნევე დავიბრუნე და საწოლში წამოვდომა ვცადე.

— დაწვიეთ, დაწვიეთ, ჭერ საშინლად სუსტადა ხართ. — ქალმა მზრუნველად მომწმინდა გაოფლიანებული სახე და ბალიშზე დამადებინა თავი. მერე ჩაი მოიტანა და დამალევინა.

— ესე იგი ამ ხელებმა გამომტაცეს სიკვდილს? — ხელი გადავუსვი ხელზე.

— თქვენ თვითონა ხართ ჩვენი მხსნელი. მართალია, მიკირდა ორის მოვლა: აქეთ თქვენი და იქით ბიჭის, მაგრამ ალაპის წყალობით ორივენი გადარჩით. — ის კართან მივიდა, გამოაღო და დაიძახა: — ბირამ, შემოდი შევილო, მინი ჩრდილივით ჩუმად შემოვიდა და წინ დამიდგა თხუთმეტოდე წლის ბიჭუნა. სახე ისე გატეტკვილი ჰქონდა, ალბათ სისხლის ნატამალიც არ გააჩნდა.

— აი, ბირამ, ჩვენმა მხსნელმა ძიამაც მოიკეთა. — სიყვარულით სავსე მზერა არ მოუწერებია, ისე უთხრა დედამ. — მიდი, შევიდი, დაელაპარაკე, ოღონდ ცოტა ხნით არ დაღალო.

ბიჭი ტახტთან მოვიდა, შველის კეთილი თვალეზით შემომხედა და ჩაიხურჩულა.

— დიდება ალაპს, დიდება დედამ თავზე ხელი დაადო შეილს და იმედიანად ამოიოხრა:

— იქნებ ჩვენც ვაგვიოთენდეს ბედნიერი დღე.

ძვირფასო, შარახ, ეს იმ სახლში მოხდა, სადაც ჩვენ ვზივართ ახლა. მე სწორედ ამ ადგილას ვიწვექი, სადაც ახლა მიდგას საწოლი. ის კი იქ იჯდა, სადაც შენ ზიხარ. და მიცქეროდა...

ვიცი, რომ მისი სახელის თქმა არ შემფერის. უბიხებიც ხომ აფხაზებივით ცოლის სახელს არ ახსენებენ, მაგრამ შენ უნდა იცოდე იმ თურქი ქალის სახელი, ვინც გადამარჩინა: სალიმა ერქვა.

ჩემო ძვირფასო, ჩემო მომთმენო, გაგაწვალე ჩემი ნაამბობით, თითოეულ სიტყვას სისხლისა თუ მწუხარების დალი რომ ამჩნევია. საშობლოში დაბრუნების მსურველი ყველა უბიხი დაიღუპა, ზოგი ქოლერით და ზოგი — ტყვიით. ვინც გადარჩა, უბიხობას თავი დაანება. თუმცა ასეთები ცოტანი იყვნენ.

მეკითხები: სალიმას რა მოუვიდაო? იშვიათი გულის ქალი გამოდგა. სიკვდილის ანგელოსს რომ გამომტაცა ბრჭყალებიდან, მაშინ ოთხმოციას ვიყავი, მაგრამ სალიმამ მოიხრა: „დაარჩი, სად უნდა წახვიდე, დღეიდან ეს იქნება შენი სახლი“. მიუხედავად ასაკისა, მაინც მხნედ ვიყავი. დაერჩი და ვცხოვრობდით როგორც ცოლ-ქმარი.

გავიდა რამდენიმე თვე. ქოლერაზე უკვე აღარ ლაპარაკობდნენ სოფელში. მთებში გახიზნულები დაბრუნდნენ. ოღონდ საფლავის ქვები მომრავლდა იმ წელიწადს სოფლის სასაფლაოზე. ათ წელიწადსაც არ გაჩნდებოდა ამდენი საფლავი შვეილობიანი ცხოვრების დროს.

მოულოდნელად სალიმა გახდა ავად. მკერდს იტკიებდა. რას არ ვაყეთებდი მის გადასარჩენად, მაგრამ ვერაფერს გავხედი. სიკვდილის წინ ეს მოხოვა:

— ბირამს ნუ მიატოვებ, მამობა ვი-
უწი.

მეორე დღეს დაეკრძალე სალიმა. აქედან ახლოსაა, გორაკის ფერდობზე. გარეთ რომ გავალ ხოლმე, იქითკენ ვა-
მიწიფეს გული. ასე მგონია, მარტო ის
კი არა, ყველა ჩემი ახლობლები იქ
არიან. უკვე დიდი ხანია, გავაფრთხილე
ბირამი, რომ მეც იქ დამკრძალოს, მის
გვერდით!

სანამ გაიზრდებოდა, ბირამი განუ-
ყრელად ჩემთან იყო, ჩემი შეთვალუქუ-
რეობის ქვეშ. მამაც მე ვიყავი და ჰუკუს
დამრიგებელიც. ცოლი რომ შეირთო,
ცალკე დასახლდა თავის ოჯახით, ხალ-
ხში კარგი ხმა დადის ბირამზე: პატიო-
ნანი და შრომისმოყვარე კაცია. მარჯვე
მჭედელიაო. ღმერთთა მოწამე და შენც
ხედავ, რომ შეილი არ მივიწყებს. თე-
თეული დღე ახლა შეიძლება ჩემი უკა-
ნასკნელი დღე იყოს ამ უცხო მხარეში,
სახლში, რომელიც საკუთარი ხელებით
არ ამიშენებია. მე, ზაურყან ზოლაკი
უკანასკნელი უბიბი ვარ ამ დაწყვეტილ
ქვეყანაზე და მრცხვენია კიდევ, ამდენ-
ხანს რომ შემოვრჩი.

• • •

ი, ყველაფერი, რაც ზაურყან ზოლა-
კისაგან მოვისმინე. თვალს ვაკლებ ჩემს
ჩანაწერებს და ისევ და ისევ მოაცებს
ამ კაცის სიციცხლის უნარიანობა. თა-
ვისი ხალხის მიწის პირისაგან აღგვის
მოწმე გახდა და მაინც ეყო ძალა ხმა-
მალა გაეხსენებინა თვითეული დღე
ჩემი თანდასწრებით.

— შეგილო შარახ, ნუ გამკიცხავ და
უნდა დაეწვე, თვებრე მესხმის, — მითხ-
რა მან იმ უკანასკნელ საღამოს, ადგა
და გამომემშვიდობა.

მე კი ჩემ ოთახში შევედი, სანთელი
აუანთე, ხელნაწერები გავშალე და ჩაე-
ფიქრდი. თვალწინ ისევ უბიბების უკა-
ნასკნელი გზა მდგა. ისევ მესმოდა
სროლისა და ყვირილის ხმა. მეჩვენებო-

და, თითქოს ჩემი ხელნაწერები აცლებოდა
და სისხლისა და ცრემლებისაგან.

ისტორიამ ცოტა მავალითი როლი
იციის უბიბებზე გაცილებით დიდი ერე-
ბის უკვალოდ გაქრობისა, მაგრამ უბი-
ბები ხომ სულ ახლახან აღიგავნენ პირი-
საგან მიწისა. ყოველივე ეს ერთი კა-
ცის მეხსიერებამ აღბეჭდა. თუმცა,
ცხადია, ეს ამბავი არც ერთ დღეში
მომხდარა და არც ერთ წელიწადში.

უბიბებმა იმ დღიდან ვაწირეს თავი
დასაღუბად, როცა სამოთხის მიწის
ხილვის იმედით თურქეთს გაემგზავ-
რნენ გემებით.

ასიმილაციის პოლიტიკა იყო და დარ-
ჩა კიდევ თურქეთის სახელმწიფო პო-
ლიტიკად აბდულ ჰამიდის მეფობის
დროსაც და „მლადოთურქების“ ძალა-
უფლების დროსაც.

ასიმილაციის ძლიერმა და მღვრივ
მდინარემ მრავალი სხვა ეროვნებებიც
ჩაითრია უბიბები. „მლადოთურქები“
ოცნებობდნენ მთელ დედამიწაზე მუ-
სულმანების დასახლებას. რა თქმა უნ-
და, კავკასიაზეც ოცნებობდნენ. ისინი
ფიქრობდნენ, რომ მათ შექმნილ ოსმა-
ლეთის დიდ იმპერიაში სახელმწიფო
რელიგიად ისლამი იქნებოდა, სერთა-
შორისო ენად — თურქული ენა. პა-
ტარა ხალხს ისღა დარჩენოდათ, ამ ერ-
თთან მდინარეში ჩანთქმულიყვნენ. იმათ
კი, ვინც ამის მომზრენი არ იყვნენ, ტა-
პირის ბედი არ აცდებოდათ.

რუსეთში ოქტომბრის რევოლუციის
გამარჯვებამ მთელი მსოფლიო შესძრა,
მათ შორის თურქეთში მცხოვრები მთი-
ელი მავაჩირებიც, ვისაც გულის სიღრ-
მეში ისევ ჰქონდა შემონახული შშობ-
ლიური ქვეყნის სიყვარული. როცა ვა-
იგეს ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ
კავკასიაში მცხოვრები თანამოქმენი წი-
ნაპართა მიწების სრული ბატონპატ-
რონი გახდნენ, მავაჩირები აღელდნენ
და ბევრმა მათგანმა მიტოვებულ კერებ-
თან დაბრუნება გადაწყვიტა. ეს მათ
მიხეილ ვასილისძე ფრუნზეს მოახსენეს,

რომელიც 1921 წელს თურქეთში მოგზაურობდა.

აქტივში, მაინც და მაინც არ გამკვირვებია ზაურყან ზოლაყის ნაამბობი ტაპირზე, მიუხედავად საშინელი სახატაო გზისა, ანკარამდე მიღწევას რომ ცდილობდა, რათა საბჭოთა კავშირის რომელიმე წარმომადგენელს შეხვედროდა.

არქივის მასალები მოწმობენ, რომ თურქეთში მცხოვრები ბევრი მთელი მონაწილეობდა რევოლუციურ მოძრაობაში. თუმცა იმ დროის არეულ-ღარეული პოლიტიკა მათ ერთი უბედურებინდნეო მეთოდში აგდებდა.

ტაპირის მსგავსად, ვისი ოცნებებიც აუხდენელი დარჩა, თურქეთში მცხოვრები მაჰაჯირების სხვა მოწინავე ადამიანებიც ცდილობდნენ რაღაც მაინც გაეკეთებინათ თავიანთი ენის, თავიანთი ზნე-ჩვეულებებისა და ეროვნული არსებობისათვის. ისინი ხსნას განათლებას იმ ეძებდნენ: ადგენდნენ ანბანს, სკიმდნენ პაწაწინტელა ვაზეთებს მშობლიურ ენაზე, აარსებდნენ კლუბებს ხალხის გასანათლებლად.

1919 წელს მუსტაფა ბუტბამ — აფხაზი მაჰაჯირების შთამომავალმა, სტამბოლში გამოსცა აფხაზური ანბანი ლათინურ ენაზე დაყრდნობით. აქა-იქ აფხაზური სკოლებიც კი გაიხსნა, სადაც ამ ანბანით სწავლობდნენ...

მაგრამ ეს პირველი და სუსტი ღივები ასიმილაციამ წალკა. ამოწვევასაც ვერ ასწრებდნენ და ასიმილაცია ისევ მიწაში მარხავდა მათ.

ომით გამოწვეულმა არეულ-ღარეულობამ, ბოლოს, აფხაზების ერთი ნაწილი თურქეთიდან საბერძნეთის ტერიტორიაზე გადახვეწა. ჩემი თვალთ წავიკითხე საბერძნეთიდან სოხუმში გამოგზავნილი სასოწარკვეთილი წერილი აფხაზეთის მთავრობისადმი: „სამი წელიც ცხოვრობთ მაცედონიაში, უსაშინელეს განსაცდელსა და ვაჭირებებაში, ჩვენთვის აუტანელ კლიმატურ პირობებში, ყოველთვის, ჯერ კიდევ თურ-

ქეთში ცხოვრებისას, ჩვენი მშობლიური აფხაზეთის აულებისაგან იყო მიპყრობილი, მაგრამ მაშინ სხვა დრო იყო: ძველ წესწყობილებას არ სურდა ჩვენი დაბრუნება მშობლიურ მთებთან... ახლა აფხაზეთი თავისუფალია, თავისი ცხოვრებით ცხოვრობს და ჩვენ — ბედისწერით უცხოეთში გადაკარგულ აფხაზებს ყველაზე მეტად ახლა მოგვიწევს გული თავისუფალი მთებისა და მშობლიური ოჯახებისკენ — ჩვენი ძმებისკენ, აფხაზებისკენ. ჩვენ ყველანი ერთი იდეითა და ოცნებითა ვართ გამხნეებული და აღფრთოვანებული: ვეშაახროთ რავისუფალ აფხაზეთს. შევიკრიბეთ რა საერთო კრებაზე, ერთმან დავედგინეთ: ვითხოვთ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახალხო კომისიარიატს: ნება დაგვართოს საბერძნეთში მცხოვრებ შვიდას აფხაზს, ოჯახებიანად დაეპრუნდეთ თავისუფალ აფხაზეთში“.

ვიჩქეი ზაურყან ზოლაყის სახლში მარტოდმარტო და ფიქრობდი. ამ წერილზეც ფიქრობდი, რომლის უკან მარტო აფხაზების კი არა, ბევრი სხვა ხალხის მწარე ისტორიული ბედიც იდგა. ფიქრობდი და შენიშვნები შემქონდა ჩემ ზელნაწერში.

ვიწრო სარკმელთან შორეული აციკებული ვარსკვლავი მოჩანდა. და უცბად ჩემი აფხაზეთი გამახსენდა, ჩემი სახლი, სადაც დავიბადე და სადაც ახლა დედაჩემი ცხოვრობს, ვინ იცის, იქნებ დედასაც არ ეძინება ახლა, ზის და ფიქრობს...

მომიჩნავე ოთახიდან მთელ ღამეს ისმოდა ზაურყანის ხველა და ყრუ კენესა. გამთენიისას ჩამეძინა. რომ ავდექი, ზაურყანი ავად დამხვდა, ლოგინიდან ადგომა არ შეეძლო. თავს იკავებდა, არ კენესოდა, მაგრამ ეტყობოდა უპირდა ტოვილის მორევა, ჩაცვინული თვალები ტანჯვით ჰქონდა სავე. ჰამა არ შეეძლო, წყალს წრუპავდა ხანგამოშვებით და თამბაქოს ეწეოდა. სამ დღეს არ მოეშორებოდა მუ და ბიარამი

ფეადმყოფს, ვცდილობდით როგორმე შეგვემსუბუქებინა მისი მდგომარეობა, მაგრამ აბა ისეთ სენთან რას ვავხდებოდით, რომელსაც სიბერე ჰქვია.

მე უკვე აღარ შემეძლო აქ დარჩენა; ჩემს უცხოურ პასპორტს ვადა გაუვიდა.

ჩემი გამგზავრების დღეს დილიდანვე მიმიხმო ზაურყანმა:

— ჩემო ძვირფასო შარახ, შეგიძლია დამწვიდებელი წახვიდე: ალბათ მოვრჩები... თუ არა და, რომ დავინახავ სააქაოს პირი აღარა მაქვს, აუღელვებლად შევხვდები სიკვდილს. მე შევხვდი აფხაზს, ნათესავს დედანიემის მხრიდან, იმ ხალხის შვილს, რომლის სხეულიდანაც წარმოშობილი ვარ და მოვასწარი შეამბნა ყველაფერი, რაც ვადავიტანე. შენ კი ბედნიერი ამბავი მომიტანე: მითხარი, რომ აფხაზეთი და აფხაზები თავისუფალნი არიან.

მოხუცმა ბირამს დაუძახა და რალაც ჩაუჩურჩულა. ბირამი წაივია და სპილენძის ბუკითა და დიდი კავკასიური ხანჭლით დაბრუნდა. მოხუცს აცხცახებელი ხელებით ეჭირა ისინი და დიდხანს ათვალიერებდა.

— ძვირფასო შარახ, ვადაშენებულ უბიხებისაგან ესლა დარჩა. წაიდე ისინი აფხაზეთში! ბირამისათვის ისინი უტყვნი არიან: შენ კი ბევრ რამეს გიამბობენ. ვინ იცის, ჩემი სიკვდილის შემდეგ ვის ჩაუვარდებიან ხელში. შენი წყალობით კი მშობლიურ მიწას დაუბრუნდებიან.

მალლობა გადაეუხადე და საჩუქარი ჩამოვართვი. რა არ ვიღონე ზაურყანი ლოგინში რომ გამეჩერებინა, მაგრამ ყური არ მათხოვა და წამოდგა. თავისი ძველი ჩოხა-ახალუხი ჩაიცვა, ბოხობი დაიხურა, კვერთხი დაიკირა და ქიშკრამდე მიმაცილა. ვადამეხვია, ვადამკოცნა და ბედნიერი მგზავრობა მისურვა.

ბირამმა გზამდე მიმატანინა ბარგი. ნელა მივეუყვებოდით დაბლობს. უკან რომ მივიხედე, გორაკზე ძველი ციხე-სიმაგრის უკანასკნელი ნანგრევებით მღვარი ზაურყან ზოლავი დავინახე...

მერე აღარ მიმიხედავს. დაე, ასე ჩამჩნეს მესსიერებაში. წარსულის უკანასკნელ ამაყ ნანგრევად იხილავენ მას სხვებიც ჩემს წიგნში, რომელსაც უსათუოდ დავწერ ზაურყან ზოლავზე მისივე ნაამბობის მიხედვით.

ბოლოსიტყვაობა

ამ სიტყვებით მთავრდებოდა ახალგაზრდა ენათმეცნიერის შარახ ქვაძბას ხელნაწერი. მას არც სათათური ჰქონდა და არც თავებად იყო დაყოფილი. გამოსაცემად რომ ვავამზადე, მე თვითონ დავყავი თავებად და დევასათურე კიდეც. წაყითხულის შთაბეჭდილებით წიგნს „უკანასკნელი უბიხი“ გუწოდე.

1966—1973

თარგმნა თამარ ნიჭაძემ



ო შ ო რ ა

I

იმ ავბედითი დღის, ოცდაორი ივნისის წინა დამეს ჩვენს ოჯახში უჩვეულო მზიარულება იყო. ჩემმა ძმამ შალვამ ცოლი შეირთო და მშობლებმა დიდი ქორწილი გადაუხადეს.

ქორწილში მოწვეული გყავდა უამრავი სტუმარი, როგორც თბილისიდან, ისე სოფლიდან. გარდა მრავალრიცხოვანი ნათესაობისა და მახლობლებისა, აქ იყვნენ ჩემი თანაქურსელი მეგობრები უნივერსიტეტიდან, აგრეთვე შალვას ამხანაგები იურიდიულ ინსტიტუტიდან. ერთი სიტყვით, იმდენმა სტუმარმა მოიყარა თავი, აღარ ვიცოდით სად მოგვეთავსებინა. ოთახებში ადგილი რომ არ იყო, სუფრა ეზოშიც გაიშალა.

ასეთი დიდი ქორწილის გადახდა არ იყო შემთხვევითი ამბავი. ჩემს მშობლებს ექვსი შვილი ვყავდით — ოთხი ქალი და ორი ვაჟი. დები უფროსები იყვნენ. როგორც ჩემი მშობლები იტყობდნენ ხოლმე, ენატრებოდათ ვაჟიროგორც იქნა, გატყდა ბოლოს ნავსი და მეზუთე ჩემი ძმა შეეძინათ.

მათ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა თურმე. ექვსი წლის შემდეგ, ბოლოს, მეც შევემატე მათ და სიხარულისაგან

სულ გადაირიყნენ მშობლები. მაგრამ შვილებში გამორჩეულად მაინც ჩემი ძმა უყვარდათ. ნანი-ნანატრ შვილს ეძახდნენ და აქი იმიტომაც ტრაბახობდა მამაჩემი:

— ისეთი ქორწილი უნდა გადაეფხადო, ჩემს ნათესაებში სამაგალითოდ დარჩესო. და აი, დადგა ეს ნანატრი დღეც. მამამ თამადად ჩემი ბიძაშვილი გიგუშა დააყენა: მოსწრებული სიტყვა-პასუხი გაქვს, შენზე უკეთესად სხვა ვერავინ ითამაშდება. შენ იცი და შენმა ვაჟაკობამო. მერე სუფრაზე შეკრებილ ხალხს გადახედა და ასე მიმართა:

— მე ყველა შვილი ერთნაირად მიყვარს, მაგრამ ბიჭი მაინც სხვა არის. ქალი ხოხობს ჰგავს, გაიზრდება და გაფრინდება, სხვის ბუდეში მოიკალათებს, სხვის ფუძეზე დაფუძნდება, სხვის ოჯახს გააზარებს, ბიჭი კი თავის მამა-პაპურ კერაზე რჩება და თავის გვარს აგრძელებსო. ზოდა, რა გასაკვირია, ბიჭი გამორჩეულად უყვარდეს მშობელსო. ამიტომ მე ვაფრთხილებ ყველას: დღეს ჩემი ნანი-ნანატრი შვილის — შალვას ქორწილია, ეს ქორწილი ერთ კვირას გაგრძელდება და ოჯახიდან ფეხი არავინ მოიცივალსო.

ამ სიტყვებს მექორწილეთა დაუსრულებელი მზიარულება მოჰყვა. მამაჩემის შექებით შეთამამებულმა გიგუშამ ხალ-

* ერთი თავი წიგნიდან „ოთხი წელი ჰემატხილში“.

ხი დააწყნარა, ლეინით სავსე ყანწი პიერში შეათამაშა და ნეფე-დედოფლის სადღეგრძელო ისეთი რიხით, თანაც ისეთი ლამაზი, მოზღენილი და იუმორით შეზავებული სიტყვებით შესვა, მთელმა მექორწილეებმა გაკვირვებით ერთმანეთს შეხედეს.

გიგუშა ბიძაშვილებში ყველაზე უფროსი იყო. ჩემზე ათი წლით დიდი მანც იქნებოდა. სოფელში ცხოვრობდა ცოლშვილით. კაი მუშაკაცის სახელი ჰქონდა გავარდნილი ოშორაში. მართალია უსწავლელი იყო, მაგრამ თავისი გლახური ქუთით, სიტყვა-პასუხით და მოქცევით არავის ჩამოუვარდებოდა.

ჩვენ, ბიძაშვილებს, ყველაზე უფრო მეტად გიგუშა გვიყვარდა. ამას ჰქონდა თავისი მიზეზი. იგი მეტად კეთილი და სათნო გულის ადამიანი იყო. სულს არ დაიშურებდა ჩვენთვის. თბილისში სასწავლებლად გაუანტული ჩვენი ბიძაშვილობა როგორც კი კვირაობით ოშორაში მოვიყრიდით თავს, გიგუშა ცას ეწეოდა სიხარულით.

— თქვენ გენაცვალეთ ბიძაშვილებო, — შემოგვძახებდა დანახვისთანავე. მეც მეყოფა გლეხი რომ ვარ, აბა თქვენ იცით, როგორი ნასწავლები გამოხვალთო, — მერე თავისავით სათნო და კეთილ მარინეს მიუბრუნდებოდა და ეტყოდა: ახლა შენებურად დატრიალდი, სუფრა გააწყეო. შემოგვიკერებდა გარშემო, თვითონ შუაში ჩაგვიჯდებოდა და ისეთ სადღეგრძელოებს წამოიწყებდა, თანაც ისეთ სიმღერას შემოსძახებდა, ძალაუნებურად ქეიფის ხასიათზე ნოკიყვანდა.

მუშაობაში ხომ ბადალი არა ჰყავდა გიგუშას. მარტო ჩვენ კი არა, მთელს სოფელს უყვარდა.

აი, ასეთი იყო გიგუშა და ამიტომაც მამამ მას მიანდო თამადობა.

ლეინომ მალე ეშხზე მოიყვანა მექორწილენი. გიგუშამ მრავალკამიერი შემოსძახა და სუფრაც თან აიყოლა.

ეს მხიარულება დილაამდე არ შენელებულა ჩვენს ოჯახში.

ვინ იფიქრებდა მამინ, ზაფხულის იმ

ლამაზ დილით კაცობრიობის ისტორიაში ჯერ არნახული ომის შავი ღრუბელი ჩამოაწვებოდა ჩვენს ქვეყანას. მთა მთას დაეჯახებოდა, ბარი ბარს და წლების მანძილზე დიდი შრომითა და ბრძოლით დაწყობილი ცხოვრება ერთ წამს აიშლებოდა და აიწვებოდა.

იმ დილით რადიომ ომის დაწყების ამბავი აუწყა მთელს ქვეყნიერებას. მისი ტალღა ჩვენს მხიარულ ოჯახშიც შემოიჭრა და მექორწილენი ფეხზე წამოყარა.

წამწარდა ლხინი, ჩაშხამდა ქორწილი. ვერც კი გავიგეთ გაფითრებული და გაოგნებული ხალხი როგორ გაიკრიფა სუფრიდან. გონზე რომ მოვედით, შინ მხოლოდ ოჯახის წევრები, გიგუშა თავისი მარინეთი და სოფლიდან ჩამოსული რამდენიმე სტუმარიდა დარჩენილიყო. იმათაც მალე აიკრიფეს გულდა-ნაბადი და იმავე დილით გაჰყვნენ ბორჯომის მატარებელს სოფელში.

დავრჩით მარტონი. რომ იტყვიან, მაჩემს დანა პირს არ უხსნიდა, ბოლთას არტყამდა და ღრმად ჩაფიქრებული ათას უსიამო ფიქრს მისცემოდა.

მან ყველაზე უკეთ იცოდა რას ნიშნავდა ომი. ბირველ მსოფლიო წარდენას პაპაჩემის ოჯახზეც გადავიყო. ხუთნი ძმანი იყვნენ ჩემი მამა-ბიძები და, გარდა უფროსისა, ოთხი ძმა მაშინვე გაეწვიათ ომში. ორი ბიძა ნიკო და იაგორი ტყვედ ჩაეარდნილიყვნენ და ომის დამთავრების რვა თუ ცხრა წლის შემდეგ დაუბრუნდნენ თვითონ ოჯახებს. მამა და ბიძაჩემი დათა კი, მართალია ტყვეობაში არ მოხვედრილან, მაგრამ ისე იყვნენ დაცხრილული ტყვეებით, რომ იარები სიკვდილამდე მოჰყვათ. ბრძოლებში თავის გამოჩენისათვის მამაჩემი წმინდა გიორგის ერთი ჯვრით იყო დაჯილდოებული, დათა კი ორი ჯვრით. ეს ჯვრები დღესაც ინახება ჩვენს ოჯახებში ძვირფას რელიქვიად.

ისინი ხშირად გვიყვებოდნენ ხოლმე ბავშვებს თავიანთ ბრძოლების ამბებს. განსაკუთრებით გვიყვარდა ნიკოს და იაგორის თავგადასავლის მოსმენა. ზამ-

თრის გრძელ ღამეებში შემოვეუსხდებოდით ხოლმე თბილ ბუხარს მთელი ჩვენი ბიძაშვილობა და შუალამემდე ვუსმენდით იმ ათასნაირი ხიფათით სავსე ცხოვრების ამბებს, გერმანიაში რომ გადახდენოდით ტყვეობის დროს.

ახლა კი, ჩვენ, მათ შვილებს უნდა გვებრძოლა ისევ გერმანელების წინააღმდეგ. ახლა ჩვენ უნდა დაგვეცვა სამშობლო იმ ვანდალებივსაგან, ამ ოცდახუთიოდე წლის წინათ ჩვენმა მამებმა და ბიძებმა რომ არ დაანებეს; ახლა ჩვენ უნდა გავგველო ის მძიმე, ათასნაირი ხიფათითა და განსაცდელით სავსე ცხოვრება, მათ რომ გაიარეს.

მამაჩემი იმასაც კარგად გრძნობდა რომ ის ომი მონაგონი იქნებოდა დღევანდელ ომთან და ამიტომაც არ უხსნიდა დანა პირს.

არც დედა იყო მამაზე ნაკლებ დღეში უაზროდ წრიალებდა სახლში, არ იცოდა რა გაეკეთებინა.

— ვაიმე შვილებო, ვაიმე შვილებო... — ვიშვიშებდა ერთთავად. ყველაზე მეტად უფრო ის აწუხებდა, რომ ჩემი ერთი და, ლილი სამხედრო მფრინავის ცოლი იყო და იმჟამად პოლონეთის საზღვართან, ქალაქ ლოვოში ცხოვრობდა.

— ვინ იცის როგორ უჭირს, დედა ენაცვალოს, ვინ იცის რა დღეშია!.. — არ ცბრებოდა იგი და წარმარა მუხლებზე ხელს ირტყამდა. მამა კი შუბლშეჭმუნხილი იდგა და ხმას არ იღებდა. როგორც იტყვიან, დანა პირს არ უხსნიდა.

ლილი დებში უმცროსი იყო. სიყვარულით ვაპყევა თომა კარგარეთელს, იმხანად პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტს, იგი ოცნებობდა მშენებელი ინჟინერი გამოსულიყო, მაგრამ სხვანაირად შეტრიალდა მისი ცხოვრების ბედი. პირველი კურსი არც კი დაესრულებინა, რომ სამხედრო საავიაციო სასწავლებელში წაიყვანეს და თავისი ოცნება ასეულ კილომეტრებით დაიწა უკან.

თომა მფრინავი გახდა. საავიაციო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ თან

წაიყვანა ლილი რუსეთში. ეტყობა, რომ ქალაქ ვოლსკში ცხოვრობდნენ. იქ შეეძინათ ქალ-ვაგი — ტატო და ეკა. 1939 წელს, როდესაც ფაშისტური გერმანია თავს დაესხა პოლონეთს, თომა თავისი ავიამანადგურებლით იბრძოდა დასავლეთ უკრაინის განთავისუფლებისათვის და ომის დამთავრების შემდეგ იქვე დაიღო ბინა, ქალაქ ლოვოში.

სამამულო ომის დაწყებისას ტატო ხუთი წლისა იყო, ეკა კი — სამისა. უკანასკნელად ომის წინა წელს მოინახულეს საქართველო. თომამ შეგებულეობა ჩვენთან გაატარა სოფელში ლილი კი ბავშვებით მთელ ზაფხულს დარჩა და შემოდგომით გაემგზავრა ლოვოში.

დედა არ უშვებდა ლილის. ვხვეწებოდა, მომავალ შემოდგომამდე ჩვენთან დარჩენილიყვენ.

— ხომ ხედავ ზამთარს როგორი პირი უჩანს, ბავშვები არ გაგიცივდნენ, ვისადა, თომა რომ ჩამოვა შეგებულეობით, მამინ წაყვიო.

არც მამას ეთმობოდა ისინი.
— რა მიგეჩქარებათ დასავლეთ უკრაინაში, არ მოგწყინდით? — ეუბნებოდა, პატარა ტატოსა და ეკას დაცილებას ძლიერ განიცდიდა.

შეეჩვია მამა ბავშვებს. განსაკუთრებით გვერდიდან არ იცილებდა ტატოს. არ ვიცო, იმიტომ რომ ბიჭი იყო, თუ მართლა თავის მსგავსებას ხედავდა მასში.

— აბა შეხედეთ, ხალხო, სულ მე მგავს, არა გჭერთ? შეხედეთ!

მამის ამ სიტყვებს შინაურების სიცილ-ხარხარი მოჰყვებოდა. ტატო არაფერშიც არ ჰგავდა პაპას. მამაჩემი ჩაფსკენილი, ჯმუხი, ძლიერი აღნაგობის კაცი იყო, ტატო კი თავისი მეტრისმეტრი სინაზით ვაზაფხულის ყვავილს ჰგავდა, თოვლში რომ იცის ხოლმე ამოსვლა.

— ტატო კი არა, ეკა უფრო ჩამოგვავს! — დაცინვით ეტყოდა ხოლმე დედა. პატარა ეკას ხვეულ თმებში წაგლეზბდა ხელს, გულში ჩაიკრავდა, მოფეფრებოდა, მერე მიუბრუნდებოდა მამას და სერიოზულად ეტყოდა:

— აი, მეც ისეთი ზუკუჭი თმები მქონდა თურმე ბავშვობისას.

და იჩემებდნენ პაპა და ბებია შვილიშვილებს. მაგრამ როგორც ტატო არა ჰგავდა არაფრით მამაჩემს, ისე არც ეკა ჰგავდა დედაჩემს. ტატო მამის ასლი იყო, ეკა კი დედისა.

ერთი სიტყვით, ბავშვებიც ისე შეგვეჩვივნენ, რომ არც მათ ვეთმობოდით.

— როგორ უნდა გავძლო უამართლო! — სწუხდა დედა.

— მომავალ ზაფხულამდე სული ზომ დამელია ამით ლოდინშიო, — კვრის უკრავდა მამაჩემი.

რამდენი ეხვეწნენ ლილის: ნუ წახვალ, მაგრამ მოგესხენებათ, სადაც ქმარი, იქაც ცოლიო. ველარ აღუდგენ წინ მის სურვილს და შემოდგომის ერთ ქინქლიან, ცუდ საღამოს გავისტუმრეთ ისინი შორეულ უკრაინისაკენ.

რა იცოდნენ მამინ ჩემმა მშობლებმა, რომ ველარასოდეს ნახავდნენ თავიანთ შვილიშვილებს, თავიანთ პატარა ტატოს და ეკას, თავიანთ სიცოცხლის ყვეაილებს. თითქოს გული უკვებდათ, მოსალოდნელ უბედურებას, აკი იმიტომაც ეხვეწებოდნენ. დარჩენას.

II

იმ დღით აღარც მე ვაჩვენებულვარ შინ. რა გული მომითმენდა კარში არ გავსულიყავ და უნივერსიტეტისაკენ არ გამეველო. მით უმეტეს, ერთი სავანი მქონდა დარჩენილი და იმ დღეს უნდა ჩამებარებინა.

მართალია უძინარი ვიყავ, მაგრამ ეს სულაც არ მიშლიდა ხელს. სამაგიეროდ ერთი წვეთი ღვინო არ დამილევიდა იმ დამეს. ღვინო ჭირის დღესავით მძულდა. ასეც რომ არ ყოფილიყო, სად მეცალა სუფრაზე დასაჯდომად. მთელ ღამეს უფროსებთან ერთად ფეხზე ვტრიალებდი და სუფრის თადარიგს ვიჭერდი. ვცდილობდით მამაჩემის ტრამპი ტრამპად არ დარჩენილიყო და ყველა კმაყოფილი გავგესტუმრებინა.

თერთმეტი საათი იქნებოდა, ქალაქში

რომ გამოვედი. არ ვიცი მე შეჩვეულია და თუ ნამდვილად ისე იყო, მთელი სამყარო სულ სხვანაირი გამოჩნდა ჩემს თვალში, ყველაფერს სხვა ელფერი დასდებოდა: ქალაქსაც, ქუჩებსაც, შენობებსაც. ზეცაც კი, ჩვენი ფირუზისფერი ზეცაც თითქოს დაღვრემილიყო, გამუქებულიყო, შუბლი შეეკრა, წარბები შეეკუმუნა და მოღუშული დაგვეყურებდა ზემოდან.

ამბობენ: ბუნებაც გრძნობსო როგორც დიდ სიზარულს, ისე დიდ უბედურებას.

ველარც აღმიაწმის სახეებზე ვკითხულობდი იმ მხიარულ განწყობილებას, დღემდე რომ სჩვეოდათ მათ. პირქუში გამხდარიყო ყველა: ქალიც და კაციც.

დიდიც და პატარაც. ყველა გაფაციცებული მიზანძებდა, ყველას სადღაც მიეჩქარებოდა, ერთმანეთთან დასალაპარაკებლად თითქოს აღარ ეცალა არავის.

დარღვეულიყო ტრანსპორტის მოძრაობის რიტმიც. ტრამვაი და ტროლეიბუსები ახლა უფრო მომეტებული ხმაურით დაშლივინებდნენ ქუჩებში. მძღოლები გიყებოვით დააქროლებდნენ მანქანებს. რკინიგზის მთავარი სადგურიდან ახლა უფრო ხშირად გაისმოდა ორთქმავლების კივილი.

ფეხით ჩავათავე საბჭოს ქუჩა, სადგურის მოედანზე ტრამვაიზე დავეჭქი, გმირთა მოედანზე ჩამოვედი და ვარაზის ხევის საცალფეხო ბილკს დავადექი. ერთი სული მქონდა როდის მივიდოდი უნივერსიტეტში. ომამდე ხშირად ამ გზით დავდიოდით ხოლმე დიდუბეში და ნაძალდეგში მცხოვრები სტუდენტები, როცა ლექციებზე გვაგვიანდებოდა.

როგორც კი ავათავე ვარაზის ხევი, ჩემს წინ უჩვეულო სანახაობა გადაიშალა. უნივერსიტეტის წინ, ბაღში სახელდახელო მიტინგი მოეწყობო. მიტინგზე იმდენ სტუდენტობას მოეყარა თავი, რომ იტყვიან, ნემსი არ ჩავარდებოდა. ისე მომეჩვენა, თითქოს ყველა იქ იყო ჩემს გარდა.

ვინაწე, რატომ დავიგვიანე-მეთქი. ნაბიჯს მოუეჩქარე და თითქმის სიბრძნით

მივეხლოვდი მთავარ შესასვლელს. ახლა შევნიშნე, ზღვა სტუდენტებს შუა, ფილაქნის საფეხურებთან წითელმადუღადაფარებული მაგიდა იდგა. მაგიდის ჩასწვრივ, პროფესორ-მასწავლებლებს შუა, ტრიბუნაზე იდგა ქაღალა მოსილი პროფესორი და სიტყვას ამბობდა.

სტუდენტების კედელი, როგორც იყო, დიდის გაჭირვებით გავარდევე და მივეხლოვდი ტრიბუნას. ახლა შევიცანი პროფესორი კორნელი კეკელიძე.

— ფაშისტური გერმანია სიკვდილით ემუქრება ჩვენს წმიდათა-წმიდა სამშობლოს, — ამბობდა ის დინჯად, გულში ჩაშვდომი ხმით, — ვინ უნდა აღუდგეს მტერს წინ, თუ არა თქვენი ვინ უნდა გაანადგუროს იგი, თუ არა თქვენი!

მერე ხელი მადლა აღმართა, შენობას შეავლო მზერა და განვრძო:

— ვინ უნდა დაიცვას ეს წმიდა ტაძარი, თუ არა თქვენი..

კეკელიძის მზოლოდ ეს სიტყვები შეჩინა ჩემს მეხსიერებას. მას დიდხანს აღარც ულაპარაკია. მაშინვე დაამთავრა სიტყვა და ტრიბუნა ახლა სხვას დაუთმო.

პროფესორები რიგრიგობით აღიოდნენ ტრიბუნაზე, ასინი ლაპარაკობდნენ სულის შემძვრელი ხმით იმ საფრთხის შესახებ, რომელიც ემუქრებოდა ჩვენს ქვეყანას. მოგვიწოდებდნენ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე გვებრძოლა ვერაგი მტრის წინააღმდეგ და გვეხსნა სამშობლო მიხაკისფერი ჭირისაგან.

სტუდენტთა მრავალათასიანი არმია სულგანაბული უსმენდა მათ გამოსვლებს. ყოველ ჩვენთაგანს შეგნებული გვექონდა ერთი რამ, უნდა გადაგვედო სწავლა გვერდით, უნდა ვამოვმშვიდობებოდით სტუდენტობის პედნიერ ხანას, ყველაზე საუკეთესო და ძვირფას ხანას აღმიაინის ცხოვრებაში. უნდა დაგვეხურა წიგნი, ჩაგვეცვა ჯარისკაცის ფარაჯა, კონსპექტის ნაცვლად შაშვანი დაგვეჭირა ხელში და წინ აღვდგომოდით ფაშისმს, პირისსხლიან ფაშისმს, რომელიც ცეცხლითა და მახვილით მოდიოდა ჩვენი სამშობლოს დასამონებლად.

აღარც გამხსენებია საგნის უმჯობესად ან ვის ეცალა ამისათვის. მიტინგი დამთავრდა თუ არა, მე და ჩემი ამხნაგები ვარაზის ზევის გადასახედზე დავსხედით და დავიწყეთ საუბარი, იმის თობაზე თუ როგორ მოვეცულოყავით.

უნივერსიტეტში ბევრი ამხანაგი მყავდა, მაგრამ ყველაზე უფრო ახლოს ლუტუ ბორისაშვილთან, თედო ვეშაგურთან, სარგის შერშიდინთან და კარლო კობახიძესთან ვმეგობრობდი. ჩვენი მეგობრობა არ იყო შემთხვევითი ნაძალადევი ერთ სკოლაში ვსწავლობდით და შემდეგ უნივერსიტეტშიც ერთად შევედით. ლუტუ და თედო იურიდიულ ფაკულტეტზე ჩაირიცხნენ. მე, სარგისი და კარლო — ფილოლოგიურზე.

ლუტუ მცხეთელი იყო თბილისში ბინა არ ჰქონდა და როგორც ადრე, საშუალო სკოლაში სწავლის დროს, ახლაც ლექციებზე მცხეთიდან დადიოდა.

მაღალი, წარმოსადგვი ბიჭი იყო ლუტუ. შეაგრემანს, შეათვალწარბას ისეთი მოხდენილი, ეშხიანი სახე ჰქონდა. ისეთი ღიმილი იცოდა, ქალიშვილების ყურადღებას გაცნობისთანავე იპყრობდა.

განსაკუთრებით გვხიბლავდა იგი თავისი სისპეტაკითა და გულკეთილობით, იშვიათი ხასიათით. ამხანაგებისადმი ერთგული დამოკიდებულებით, რასაც უნებურად ამეღავნებდა ჩვენს ყოველდღიურ დამოკიდებულებაში. ერთი დღე რომ არ გვენახა ბიჭებს, თვალში გვაკლდა.

ერთხელ მეგობრები მცხეთაში დაგვაპატიყა ლუტუმ. მისი ორსართულიანი ქვითკირის სახლი ზედ მტკვრის პირას იდგა, სვეტიცხოვლის ტაძრის წინ. ღია აივანიდან საუცხოოდ მოჩანდა მტკვრისა და არაგვის შესართავი და ვაღმა, მთაზე ატყორცნილი ჯვარი.

რა დავვაფიწყებს ლუტუს დედან, საკუთარ შეილებივით მიგვიღო ბიჭები; სამ დღეს დაფრჩით მათთან და იმ სამი დღის განმავლობაში ვაგვაოცა ამ ქალმა თავისი დედური გრძნობით, რომელსაც იჩენდა იგი ლუტუს მიმართ. რომელ დედან არ ეყვარს თავისი შვილი, მაგ-

რამ ეს სიყვარული სულ სხვა იყო. არც შეიძლება და სხვადასხვა. მას ღუტუს გარდა არავინ დაჩენოდა ამ ქვეყნად, ქმარი აღიღებულ არაგვი დახრჩობოდა ღუტუს დაბადებამდე ორა თვით აღრე და მთელი თავისი სიცოცხლე ბიჭის აღზრდისათვის შეელოა. შემდეგშიაც ხშირად ჩავდიოდით ხოლმე მცხეთაში მათთან და მისი საოცრად თბილი, სიკეთითა და სიყვარულით სავსე გული ღუტუსთან ერთად ჩვენც გვათბობდა და გვაშენებდა.

ზუსტად ღუტუსნაირი ტიპი იყო თედო ვეშაგური. როგორც ხასიათით, ისე გარეგნობით შუაზე გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა მას, მაგრამ ახოვნებით და შინაგანი სიძლიერით ღუტუს ბევრად აღემატებოდა.

ერთხელ, მარჯანიშვილის თეატრიდან გამოსვლისას, ქუჩაში ხელიდან ბიჭებს გადავეყარეთ და უმიზეზოდ ჩხუბი აგვიტეხეს.

თედომ გაგვაფრთხილა ხელი არავინ გაანძროთ, მე გავუმასპინძლდებიო. მართო ჩაუხტა მოჩხუბრებს და ისეთი დღე აყარა, ერთმანეთს ვედარ სცნობდნენ.

თედო მთიული იყო, ქსნის ხეობიდან. ხშირად გვაბატყებდა ხოლმე თავის მშობლიურ ლარგვისში. ერთხელ სანადიროდ ყელის ტბაზე აგვიყვანა (აქედან იღებს სათავეს მდინარე ქსანი) და მთელი ცენტრალური კავკასიონი შემოგვატარა. ჩემს სიცოცხლეში არ დამაიფიქუნდა ის მოგზაურობა.

სარგისი და კარლო კი თბილისელები იყვნენ, თბილისში დაბადებულნი და გაზრდილნი. ორივე ჩემს ქუჩაზე ცხოვრობდა და თედოზე და ღუტუსზე უფრო აღრე მათ ვემგობრობდი. ჩემსავით ისინიც ლიტერატურით იყვნენ გატაცებული, ერთმანეთს ვეჩიბრებოდით ლექსების წერაში და პოეზიის სიყვარულში. ეს სიყვარული შემდეგ უნივერსიტეტში შესვლისას უფრო ვაღვივდა, გაიფურჩქნა. ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაზე სამივემ ერთად დაუწერეთ იუმორისტული

პოემა და ერთ საღამოს ჩვენი კურსის სტუდენტებს წავეუთხეთ.

დიდი მოწონება და მიტყმა-მოთქმა გამოიწვია ამ პოემამ სტუდენტებში და პროფესორ-მასწავლებლებში, ისე გახმაურდა, მთელმა უნივერსიტეტმა გაიგო და ხელიდან ხელში გადადიოდა.

— ჰა ბიჭებო, როგორ მოვიქცეთ ახლა? — თქვა თედომ მთიულური დიალექტით, როცა ვარაზის ხევის გადასახედზე, მწვანე კორღზე ჩამოვსხედით.

— განა ამაზე ფიქრია საქმრო? — თავისთვის ჩაიბურტყუნა ღრმად ჩაფიქრებულმა ღუტუმ და სათითაოდ ყველა შეგვათვალიერა.

— ბარემ თქვი და გაათავე, რა შორიდან უვლი? — მოთმინება არ ეყო თედოს.

— ბიჭო, მტერი დაგვესხა თავზე, ამას რაღა ფიქრი უნდა?

— მაშ არ უნდა ფიქრი? — იხტიბარი არ გაიტეხა თედომ.

— როგორც გეტყობა, ჩემო თედო. შენ იქამდე იფიქრებ, სანამ გერმანელები კავკასიონს არ გადმოლაზავენ და ბომბს თავში არ ჩაგორახუნებენ.

ბიჭებს სიცილი აუტყდათ. თედოსაც გაეცინა კეთილი სიცილით.

— როგორც უნდა მოვიქცეთ და, — განაგრძო ისევ ღუტუმ, — ახლავ უნდა წავიდეთ სამხედრო კომისარიატში და ვთხოვოთ, დღესვე გაგვაგზავნონ ფრონტზე.

— აგაშენა ღმერთმა, სწორედ ეგ მინდოდა მეთქვა, — წამოიძახა თედომ.

— მაგრამ შენ ნუ აჩქარდები, დედა მაინც შეიბრაღე, ხმის გამცემი არავინ რჩება შინ.

— სამშობლოს დაცვა ყველა ღირსეული დედის უპირველესი მოვალეობაა, ჩემო თედო. ამ საქმეში არც დედაჩემი დაიხვეს უკან. წავიდეთ, რაღას ვუყურებთ, კიდევ ვიფიქროთ?

წამოვიშალენით.

— მაგრამ მე რომ თქვენს კომისარიატში არა ვარ აღრიცხვას! — დაუმატა ბოლოს დიმილით ღუტუმ. მერე ისევ ხელი ჩაიქნია და განაგრძო, — არაფე-

რია! რა მნიშვნელობა აქვს აქ ვიქნები აღრიცხვაზე თუ მცხეთაში. სადაც თქვენ, იქაც მე!

ალარ დაგვიყოვნებია, სირბილით დავშვეით ვარაზის ხევზე და მაშინვე ლენინის რაიონის სამხედრო კომისარიატს მივაშურეთ.

კომისარიატი ჩოდრიშვილის ქუჩაზე, პლენანოვის სახელობის კინოთეატრის გვერდით, ერთსართულიან დაბალ შენობაში იყო მოთავსებული; ჭერ არ დავახლოებოდით ამ შენობას, რომ შორიდანვე შევნიშნეთ, კინოთეატრის წინ, ჩოდრიშვილის ქუჩა ხალხით იყო გაჰყვდილი. შიგნით რაღა იქნება-მეთქი, გავიფიქრე და ხალხი შევათვალაოერე. მრავალ ნაცნობს მოვკარი თვალი, მაგრამ ჩემდაუნებურად ისე ჩაუჯარე გვერდით, ყურადღება არ მიამიქცევია.

როგორც კი ფეხი შევდგი კომისარიატის ეზოში, გულზე შემომეყარა. გინახვთ სკანაყარი ფუტკარი? სწორედ ასეთი სურათი გადამეშალა თვალწინ. ამდენი ერთად თავშეყრილი ტალიკტალიკი ვაჟაკები ჩემს სიცოცხლეში არ მინახა. ამ ფართო, ვეებერთელა ეზოში ნემსი არ ჩავარდებოდა.

მათ თან წამოყოლოდათ ახლობლები, ზოგს ცოლი, ზოგს საცოლე, ზოგს შშობლები, ზოგს დები და ძმები.

იყო ერთი ფუსფუსი და ხმაური.

მუდამ მყუდრო სამუშაოს მიჩვეულ კომისარიატის მუშაკებს ამჯერად იმდენი თავსატეხი სამუშაო ვასჩენოდათ, რომ თავგზადაბნეულებმა ალარ იცოდნენ რა გაეკეთებინათ. გაფაციცებით დარბოდნენ დერეფნებში, ოთახიდან ოთახებში, ეძებდნენ საბუთებს, ამოწმებდნენ, აზუსტებდნენ, რეგისტრაცი-აში ატარებდნენ, ადგენდნენ სიებს. სიის მიხედვით მერე ჭკუფებად აწყობდნენ ბიკებს და პირდაპირ ნაწილებში ან განმანაწილებელ ბუნქტებში ისტუმრებდნენ.

მათ ერთი წუთითაც არ ეცალათ, ვინმესთვის ყური მიეპყროთ და პასუხი გაეცათ.

ჩვენ რამდენჯერმე ვცადეთ კომისარ-

თან შევსულიყავით, მაგრამ ვერ მოვახერხეთ. ბოლოს როგორც იყო, ვიხელთეთ მომენტში, თითქმის ძალის-ძალით შევადეთ კარი და ხუთივენი დავუკითხავად შევიქცით მის კაბინეტში.

— ამხანაგო კომისარო, — მივმართე მე შესვლისთანავე, — ჩვენ, სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა, გადავწყვიტეთ წავიდეთ ფრონტზე და ვიბრძოლოთ ჩვენი სამშობლოს მტრების წინააღმდეგ. გთხოვთ დღესვე დააკმაყოფილოთ ჩვენი თხოვნა.

კომისარი თავის საქმეებით იყო ვართული და ჩვენთვის არც შემოუხედავს. ბოლოს თვითონვე იგრძნო უხერხულობა, ქაღალდები გვერდზე გადასდო და როგორც იყო, გვადირსა პასუხი.

— რომელ რაიონში ცხოვრობთ?

— ლენინის რაიონში, ამხანაგო კომისარო!

— ხუთივე?

— დიახ, ხუთივე!

— აღრიცხვაზე ჩვენთან ხართ?

— დიახ, თქვენთან ვართ!

— ძალიან კარგი!.. წაბრძანდით სახლში და როცა გამოვიძახებთ, მაშინ მოდით!

— სახლში?!

— როცა გამოვიძახებთ?! — თითქმის ერთხმად წამოვიძახეთ ხუთივემ.

— დიახ, როცა გამოვიძახებთ!. მე მომწონს თქვენი ახალგაზრდული შემართება, მაგრამ თქვენს სურვილს ვერ დავაკმაყოფილებ. ჩვენ პირველ რიგში ვაგზავნით იმათ, ვინც ჭარში ნამსახურია და იცნობს ბრძოლის ტაქტიკას. თქვენ კი ცოტახანს მოგიხდებათ დაცდა.

— არაერთარ შემთხვევაში, ამხანაგო კომისარო. ჩვენ მტკიცედ მოვითხოვთ, ახლავე, დღესვე გადაგზავნოთ ფრონტზე.

— თოფის ხელში დაქერას რა დიდი ცოდნა უნდა! — დაიბუხუნა თედომ.

— ნუ გვიშლით ხელს, — ხმას აუწია კომისარმა, — აბა შემოგვხედეთ რა დღეში ვართ. ჩვენ ისედაც თავგზა გვაქვს დაბნეული ამდენი მოძალებუდი საქმით,

მოგვეცით მუშაობის საშუალება. ხომ გითხარით, როცა დაგვეპირდებით, ჩვენ თვითონ გამოვიძახებთ!...

— არავითარ შემთხვევაში ჩვენ მოვითხოვთ დღესვე გაგვაგზავნოთ ფრონტზე, ან ამ წუთას! — ხმა აღიმადლა ლტუმ.

კომისარი უხერხულად შეწრიალდა ადგილზე.

— მე მგონი თქვენ უფრო უნდა გამოგოთ, ვინემ სხვამ, — ტონს დაუწია ისევ კომისარმა, — ხომ გითხარით, მე მომწონს თქვენი ვაკეატური შემართება... ყოველი საბჭოთა ახალგაზრდა, რომელსაც სამშობლო უყვარს, ისევე მოიქცევა, როგორც ახლა თქვენ იქცევით, მაგრამ ომის ვითარება მოითხოვს სამშობლოს სადაც უფრო მეტად გამოადგებით, იქ წახვიდეთ. ისე რომ თქვენს სურვილზე არ არის დამოკიდებული.

— მაშ ვის სურვილზეა? — მაინც არ დაეხიებით უკან, რადგან დაგრწმუნდით კომისარი სადღაც მართალი იყო.

— არავის სურვილზე არაა როგორც სჯობს, ისე უნდა მოვიქცეთ. ახლა თქვენი ფრონტზე გაგზავნა დანაშაული იქნება, რადგან საქმე თქვენს ფრონტზე გაგზავნას არ მოითხოვს. ფრონტი ვისაც ითხოვს, ჩვენც იმათ ვაგზავნით. ამიტომ ვთხოვთ წაბრძანდეთ შინ და როცა გამოვიძახებთ, მაშინ გამოცხადდეთ!

ჩვენ ერთმანეთს ცივად გადახედდით. კომისარმა ეს სიტყვები ისეთი მტკიცე და დამაჯერებელი ხმით წარმოთქვა, რომ ხმა ჯღღარ ამოვიდეთ. ძალაუვნებურად დავმორჩილდით ბრძანებას და უხომდ დავტოვეთ კაბინეტი.

ეზოში ისევ ზიპშიმებდა ხალხი, ღელავდა, ბობოქრობდა. სახელდახელოდ დგებოდა ჭგუფები ორმოცი, ორმოცდაათი კაცის შემადგენლობით და დანიშნული მიმართულებით მიჰყავსათ. იყო ხმაური, ხევენა, კოცნა, გამომშვიდობების შეძახილები, ცრემლი...

უცბად ერთ მხარეს ჩოჩქოლი შეიქნა. ვიღაც ხანშიშესულ ქალს გულში ჩაეკრა შეილი და ხმამაღლა ქვითინებდა. ახლოს რომ მივედი, დედაჩემი შემ-

რჩა ხელში. ვაჟი კი, რა თქმაობისა, შეშინდა. იქვე იდგა გამშრალი, შუბლშეკმუნხილი და პირქუშადტყუელი მამაჩემი, რომელიც ქანდაკებას უფრო ჰგავდა, ვიდრე ხორციელ ადამიანს.

შემდეგ ნაზისაც შეგველე თვალი. იგი მამაჩემს ამოფარებოდა, კეშანი გადაპკროდა მის ლამაზ სახეს, მთელი მისი არსება სასოწარკვეთილ სევდას შეებუროს და ამ მოულოდნელი ამბისაგან გაფითრებულს, თვალებიდან დაპაღუპით ცრემლები ჩამოსდიოდა.

შემეცოდა ნაზი. მშობლები ხომ შემეცოდნენ და შემეცოდნენ, მაგრამ ნაზის ამ მდგომარეობაში დანახვამ სულ სხვანაირად იმოქმედა ჩემზე. ლამის მეც ავტირდი. ალბათ შინიდან ჩემი გამოსვლის შემდეგ თუ მიიღეს უწყება — ვფიქრობდი გულში და მიკვირდა, ასე უცბად რომ მიყავდათ შალვა.

შალვა კი სულ არაფერს იმჩნევდა, მხიარულ ხასიათზე იყო. ასეთი მხიარული ჭერ არ მენახა შალვა. ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებდა, თითქმის ომში კი არ მიდიოდა, თავის საქორწილო სუფრას უნდა დაბრუნებოდა ამ ხალხით. მასტრობდა, ოხუნჯობდა, ღელდა ამშვიდებდა, ნაზის ულიმოდა. ხან მამაჩემს გადაუტრავდა გულის ვასამაგრებელ სიტყვას, უნდოდა გაეცინებინა, გაემხნეებინა, გულიდან ჭავრი გადაეყრევიებინა, მაგრამ პირქუშადტყუელ მამაჩემზე არაფერი არ მოქმედებდა. ისევ ისე იდგა ქანდაკებასავით, ხმის არ იღებდა.

კომისარიატის მუშაკმა, დაბალდაბალმა, ჩასუქებულმა კაპიტანმა, რომელსაც ხელში ერთმანეთზე დაწყობილი ქაღალდები ეჭირა, იმ ვასავაგნითა ჭგუფის ხმა წაიკითხა, რომელსაც შალვა შედიოდა. კითხვას რომ შორჩა, ქაღალდებიანი ხელი მადლა ასწია და მკაცრი ხმით დაიძახა:

— კმარა, შეწყვიტეთ მახლობლებთან საუბარი და მოეწყეთ ოთხრიგად!

ბიჭები უხალისოდ შეიშმუნენ, წამოავლეს ხელი თავიანთ მცირე ბარჯს და დაიწყეს ერთმანეთის გვერდით რიგში ჩადგომა.

შალვა ერთხელ კიდევ გადაეხვია დედას, მერე მამას მიუბრუნდა: რა დაგე-მართა, სახე ვახსენიო, უთხრა: მაგრამ მამას არც სახე ვაუხსენია, არც ვაუღიმიო, უსიტყვოდ გადაეხვია თავის ნანი-ნანატრ შვილს, გადაკოცნა, მერე თვალე-ში ჩააქცქერდა, რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ ენა რომ ვერ დასძრა, შეტრიალდა და თავისთვის რაღაც ჩაიბურტყუნა.

სულ ბოლოს ნაზის გაუწოდა ხელი შალვამ. სითამამე არ ეყო გადახვეოდა. საოცრად მორცხვი იყო და, მით უმეტეს, ამდენ ხალხში როგორ ვაბედავდა.

სამაგიეროდ ნაზის აღმოაჩნდა ამ შე-მთხვევაში სითამამე. შალვას მივარდა, კისერზე ჩამოეკონწილა, თავი მკერდზე მიაყრდნო და ველარ შეიკავა მოზღვავე-ბული ცრემლები, აქვითინდა.

— თქვე დალოცვილებო, ღმერთი აღარა გწამთ? სად ვაგონილა შუა ქორ-წილიდან ნეფე ააყენონ და ოპში ვაგ-ზავნონ, ერთი-ორი დღე მაინც გველი-თე ე ვოგო და ბიჭი ერთმანეთის ცქერით დამტკბარიყვენო — მწარედ დაიგმინა, ამ სურათის შემყურე მამამ და თვალე-ზე კურცხალი ჩამოევიდა. თან ჩუმიდ მოიწმინდა, არავინ დამინახოსო. ჩემს სიცოცხლეში პირველად ვნახე მამა აც-რემლებული.

შალვა არ მოელოდა აღზათ ამას არ ვიცი განშორების უკანასკნელმა წუთმა თუ ნაზის გულიდან მოხეთქილმა გრძნო-ბამ ეს მხიარული ვაჟაკი უცერად ისეთ ხასიათზე დააყენა, ისე შეიცვალა, რომ ვეღარ იცნობდით. შეგვეცოდებოდით. ნაზის მკლავებში მომწყვდეულს თვა-ლები უაზროდ გაშტერებოდა, სახე ვა-ფერმკრთალებოდა, სევდა კორეოდა, სიტყვის თქმას ვერ ახერხებდა.

იდგა გაოგნებული და ვინ იცის ამ დროს რა სევდას შეეპყრო მისი არსება.

კაპიტანმა ხელახლა ასწია ქალაღდე-ბიანი ხელი და ხმამაღლა დაიძახა — ყურადღებაო.

შემდეგ ისევ ხელახლა დაიწყო სიის მიხედვით ვგარების ამოკითხვა, რომ უკანასკნელად კიდევ დაეზუსტებინა,

ადგილზე იყო თუ არა ყველა. რაიმე ცვრანა წმუნდა ადგილზე იყენენ, ბრძანა-სმენაზე დამდგარიყო ჩვეუდი.

შალვა სწორედ ამდროს გამოერკვა ფიჭრებიდან, გონზე მოვიდა, ნაზის მკ-ლავებისაგან, როგორც იყო, ვაითავი-სუფლა თავი და ოთხმწკრიად მოწყო-ბილ ჩვეუს უკან ამოუდგა.

ახლა შეენიშნე, თვალეები ცრემლით ჰქონდა სავსე.

— აბა, წავედით, ნაბიჯით იარ! — ვასცა განკარგულება კაპიტანმა და ჩვეუს წინ გაუძღვა.

- კარგად იყავით!.
- შტერს დედას ვუტირებთ!.
- სულ შალე დაგობრუნდებით!.
- შალე გადაგვხვევით!.

ვასისა ბიჭების შეძახილები. შალვა სულ ბოლოს მიაბიჯებდა მტეი-ცე ვაჟაკური ნაბიჯით, როგორც სჩე-ოდა საერთოდ სიარული. აღარ ეტყო-ბოდა მოწყენილობა. თავის ჩვეულ ხა-სიათზე დამდგარიყო, სიმხნევე მომა-ტებოდა. თავი ნახევრად ჩვენსკენ ჰქონ-და მობრუნებული, გვილიმოდა და თან ხელს გვიჩვენდა.

111

შალვა მომდევნო წელს ამთავრებდა მოსკოვის იურიდიული ინსტიტუტის თბილისის ფილიალს. იქ ვაიცნო პარვე-ლად ნაზი, ამავე ინსტიტუტის სტუდენ-ტი. ნაზიმ პირველ ნახვისთანავე მოხიბ-ლა შალვა თავისი მოხდენილი გარეგნო-ბით. ნაზისაც შეუყვარდა შალვა. და აბ, ერთ მშვენიერ დღეს მათ სამუდამო სიყ-ვარული შეფიცეს ერთმანეთს.

შალვა მეტისმეტად მორცხვი იყო, იმ-დენად მორცხვი, რომ ჩემიც კი ერთი-ბოდა.

მათ ხშირად ვხედავდი ხოლმე კინო-ში ან თეატრში. როგორც კი დამინახავ-და, სახეზე წამოწითლდებოდა, მორც-ხვად გაეღიმებოდა და ზურგს შემაქცეფ-და. მე კარგად ვიციოდი ამის ბუნება და ყოველთვის ვარიდებდი თვალს. მა-გრამ არც ისეთი მიაპიტი იყო შალვა, არ ვაეგო, მე ვგრძნობდი თუ არა ყო-

ველივე ამას. მან კარგად იცოდა, რომ მე ყველაფერს მიხვედრილი ვიყავი, მაგრამ ამ საკითხზე ლაბარაკს ყოველთვის გაურბოდა.

ასე იარა ნაზისთან მთელი საში წელი. ბოლოს, როგორც იყო, დასძლია თავისი სიმორცხვე და სანამ სათქმელს მერტყოდა, ერთი სიტყვებზე გაათავა.

— ვაჟა, — მითხრა მან სიტყვების ყლაპვით, — მე რაღა ვითხრა, შენ ყველაფერი იცი... მინდა ნაზი შევიბროთ ცოლად და იქნებ მამის ჩაწვეთო ყურში ამის შესახებ.

უნებურად გამეცინა.

— შენ რატომ არ გინდა უთხრა?

— კარგი ახლა, ვითომც არ იცოდე ჩემი ხასიათი! — ეს რომ თქვა, იმასაც გაეღიმა, მაგრამ ვაი ამ ღიმილს, ყურებაშივე გაწითლდა, კარში გაეარდა და მთელი ის დღე არ გამოჩენილა.

შინ გვიან დაბრუნდა. ოთახებში უაზროდ დაიწყო ბორიალი.

— მოდი აქ, შე ვირიშვილო, შენა, — დაიბუხუნა მამამ და თან უღვაშებში ჩაეცინა, — თუ ასეა საქმე, რატომ არაფერს არ ამბობდი? — მერე დედას მიუბრუნდა, თან მე შემომხედა და თქვა, — რა ვქნათ ახლა, როგორ მოვიქცეთ?

— შემოდგომისთვის აჯობებს! — თქვა დედამ.

— რა შემოდგომა, რის შემოდგომა, — ხელი აუქნია მამამ, — შემოდგომა რას მოგიტანს. ახლაც უნდა გადაეუხადოთ ქორწილი.

— რას ამბობ, ადამიანო?! — შეიცხადა დედამ.

— რას ვამბობ და რაც გესმის. შენ რომ არ გეჩქარება, ახლა მათ ჰკითხე...

— ხიხრიკობის დროს ქორწილი ვის გაუგია, ადამიანო!

— თუ არ გაგიგია, ახლა გაიგებ! შენ რომ სიყვარული არ გამოგიცდია, იმიტომაც სჭრი და კერავ ასე.

— შენ ხომ გამოგიცდია! — გამოაჯავრა დედამ.

— რომ გამოგიცდია, იმიტომაც გადადებდა არ შეიძლება, შემოდგომა არაფერს მოგიტანს. ახლა ამ საკითხზე დავას თა-

ვი დავანებოთ და გადავწყვიტოთ ქორწილი.

დედამ კიდევ იუარა, მაგრამ ბოლოს დაჰყვა მამის ნებას.

ნეტავი ან აღრე დაგვენიშნა ქორწილი ან სულ...

და განა ეს კი მოუტანდა შეღავათს შალვას ან ჩემს მშობლებს?

IV

კომისარიატიდან ძლივს მივიყვანეთ დედა სახლამდე, კენესოდა, ოხრავდა. მე და ნაზი ათასნაირი სიტყვებით ვანუგეშებდით მას. ვარწმუნებდით, რომ ომი ღიღხანს არ გაგრძელდებოდა, წითელი არმია მალე მოუღებდა ბოლოს მტერს, საღალატოთი შალვა ისევე უკან დაგვიბრუნდებოდა, მაგრამ ჩვენი ლაბარაკი მას არც ესმოდა, ტყვილებს ვერ უყუჩებდა.

გარდა იმისა, რომ დღეს უფროსი ვაჟი ააგლიჯეს გულიდან და ზვალ თუ ზეგ მეორე იდგა რიგში, ლილის ამბავი ყველაზე უფრო მეტად აწუხებდა. დედამ კარგად იცოდა, რომ ლეოვი — ეს ის ქალაქი იყო, რომლის თავზეც მტრის პირველი ცეცხლი უნდა დანთებულიყო. რომელი ერთი ელონა ახლა, თვითონაც არ იცოდა.

— ვაიმე შეილებო, ვაიმე... — ვიშვიშებდა გზადაგზა და მკერდზე მჯიღს ირტყამდა. ნაზი გვერდიდან არ შორდებოდა მას.

— ყველაფერს ვიფიქრებდი, მაგრამ თუ ასე უცებ, ასე მოულოდნელად მომტაცებდნენ ჩემს ნანი-ნანატრ შვილს, ამას კი არა. წიწილასავით მომგლიჯეს გულიდან, ხალხო... ქორი რომ წიწილას მოიტაცებს ხოლმე, ისე მომტაცეს, დედა ენაცვალის... — ტიროდა ის და თვალებიდან ღაბა-ღუბით ჩამოსდიოდა ცრემლები.

— სიხმარში მგონია თავი... — ბურღულუნებდა მამა.

— დაწყნარდით, ნუ დეღავთ, ყველაფერი სიკეთით დამთავრდება ასე ამბობენ: ორ-სამ თვეზე მეტს ვერ გასტან-

სო ეს ომი, — ამშვიდებდა ნაზი.

— როგორ არ ვიღვლეო, — განაგრძობდა დედა, — არც კი დაგვაცადეს ქორწილი ჩაგვეტარებინა, ისე მოულოდნელად გააქანეს, საგზალიც ვერ გავატანეთ, დედა ენაცვალოს... აქ ამოდენა ხორავი ფუჭდება და ცარიელი გავისტუმრეთ..

— ჩემმა მზემ, სიხმარში მგონია თავი, ჰქუაზე აღარა ვარ... — ცვლავ ბოლშინად სცემდა ბოლთას მამა და ხან ერთსკამს წამოდებოდა, ხან მეორეს..

— ჰქუაზე როდის ყოფილხარ, ახლა იყო... სულ შენი ბრალია ყველაფერი, შენ რომ არ აგებინებინა ქორწილი, ასეც არ წაგვიდოდა საქმე. — მამაზე გადაქონდა ჯავრი დედას.

მამა კი ვაეკაცუროს დუმილით იტანდა დედის კენწვლას. იცოდა, რომ გული დედას ზამბარასავით ჰქონდა დაკვიპული და ბოლმა რომ არ დაეცალა, ალბათ გაუსკდებოდა. ამიტომაც პასუხს არ აძლევდა. მის სიტყვებზე საქორწინს მოიფხანდა და ოდნავ მოკუტუღული თვალით შემოშხედდა. ამით მაგრძობინებდა: მე რა შუაში ვარო.

ამ ყოფაში დავადამეთ ის დღე თავი აღარავის გვექონდა სახლი მიგველაგებინა. ისეც ისე იყო გაშლილი და აშარავებული სუფრა. დილით შევედქეთ საქმეს. მეზობლებიც დაგვეხმარენ და ოჯახი როგორც კი მოვიყვანეთ წესრიგში, მოულოდნელად ვიდაც უცხო კაცაც მოგვადგა კარზე. მან შალეს გამოტანებული ბარათი გადმოგვცა; გვეწერდა, რომ იწყებებოდა თბილისის გამანაწილებელ პუნქტში და გვენახა, ცოტაოდენი საქმელიც მიგვეტანა.

მაშინვე დატრიალდა დედა. მას ნაზიც მიეხმარა და ორი დიდი ჩანთა ხორავით გაავსეს.

მცირე ხნის შემდეგ მე და ნაზი თბილისის გამანაწილებელ პუნქტს მივადექით ძველ სამხედრო ფორმაში გამოწყობილი შალვა შესასვლელში დაგვხვდა. ეტყობა ჩვენ გველოდებოდა. რომ დაგვინახა, ისე გაეხარდა, თითქოს ორი დღე კი არა, ორი წელი არ ვენახეთ.

იგი გამხდარი მეჩვენა. სახე დასაწყისად ჰქონდა, თვალები მოთენთილი, რომ იტყვიან ამოღამებულნი. ფერიც დაკარგვოდა. ალბათ უძილობა აწუხებდა, თავისი მდგომარეობით გამოწვეული უძილობა მას ხომ ქორწილის დამესაც არ მოუხუჭავს ერთი წუთით თვალი.

ძველ, გახუნებულ და საღებავგადასულ ტანსაცმელში ისეთნაირად გამოიყურებოდა, სიმართლე გითხრათ, შემეცოდა. ნაზის ცრემლები მოადგა თვალებზე.

— დედა და მამა როგორ არიან, არ დამშვიდდნენ? — შემოგვძახა შორიდანვე.

— კარგად არიან, დაწყნარდნენ. წამოსვლა უნდოდათ, მაგრამ არ წამოვიყვანეთ.. ხელახლა აეშლებოდა დედას სატკივარი და სად გვექონდა მისი ვიშვიშის თავი, — ვუთხარი თ მისკლისთანავე.

— კარგი გქვიათ! მომიტანეთ საქმელი? — გკითხა და გაბერილ ჩანთებს დააქტერდა — ეს რამდენი წამოგიღიათ, ქორწილი აქ ხომ არ უნდა გადამიხადოთ? — თქვა და ნაძალადევად გაიღიმა.

— გადავიხადოთ მერე, ცოტა ამხანაგები გყავს? — ვუთხარი მე.

— რამდენიც გინდა! ამა შეხედე რა ტალიკ-ტალიკი ბიჭები არიან, უმეტესობა ქართველებია.. ღვინო ხომ არ დაგავიწყდათ?

— რატო დაგვაფიწყებოდა, ღვინოც წამოვიღეთ და არაყიც.

— სიმართლე გითხრათ, არც ქორწილში და არც აქ ლუკმა არ გამიღეჭია. — ეს სიტყვები ისეთნაირად თქვა, სახეზე ისეთნაირი გამომეტყველება მიიღო, გული დამეწვა. ნაზის ხელახლა აუწყლიანდა თვალის უბეები.

— რატომ მერე?

— რა ვიცი..

შალვამ ცვლავ ნაძალადევად გამიღიმა და მერე ნაზის მიუბრუნდა:

— როგორ ხარ, ნაზი... რა დავაშავეთ ღმერთის წინაშე, რომ ასე დაგვსაჯა, ქორწილიც კი არ დაგვაცალა.

ნაზის გული ამოუდუღდა.

— მაგრამ არაფერია, — განაგრძო შალვამ მცირე ფიქრის შემდეგ. — გული არ გაიტეხო, მტერს დაეპარეცხებთ, ჩამოვალ და მაშინ გადავიხადოთ გესმის, მაშინ გადავიხადოთ, უფრო დიდი ქორწილი...

მერე მე მომიბრუნდა, განზე გამიყვანა, მხარზე ხელი დამადო და ჩუმად მიბრუნდა:

— ხომ იცი, ომია! ომში ბევრი წავა, მაგრამ უკან ყველა ვერ დაბრუნდება. რა ვიცი, ვაქნი ვართ, იქნებ... უთხარი დედას და მამას, ჩემი მოფერება თუ მოენატრებათ, ნახის მოფერონ, არაფერი აწყენინონ... კი არაფერს აწყენინებენ, მაგრამ... მაინც, ყოველ შემთხვევისათვის ვამბობ...

შალვა ჩაფიქრდა, თვალები გაუშტერდა, მერე ასევე შემომხედდა და მიბრუნდა:

— შენც შალე წაგიყვანენ, ალბათ...

გუშინწინდელი ამბავი ვუამბე, თუ როგორ შევიჭურით ბიჭები კომისარის კაბინეტში და ფრონტზე წასვლა ვთხოვეთ.

— ნუ აჩქარდები, ცოდონი არიან მშობლები... მათი მდგომარეობაც ხომ უნდა გაითვალისწინო.

ახლა ნახის მიუბრუნდა.

— აბა შენ იცი, როგორ ამოუღებები დედასა და მამას მხარში. ჩვენი მაგიერობა ახლა შენ უნდა გასწიო, შენ უნდა იყო მათი ნუგეშისმცემელი...

შალვამ მხარზე ხელი დააყრდნო ქალს. ეტყობა მოფერება სურდა, მაგრამ ჩემი მოერიდა.

— ჩემო ნახი, მაინც რა ბედისანი ვყოფილვართ, არც შენ გქონია ოღბალი, არც მე. ან ცოტა ადრე დაწყებულყო ეს ვერანი ომი, ან გვიან. რაღა მაინც და მაინც ჩვენს ქორწილს დაემთხვა. ახლა შენი ფიქრი მიმყვება თან.

მორიგე მსაუბრის გავრძელების ნებართვა აღარ მოგვცა, გეყოფათო და შალვაც მოეშადა წასასვლელად.

— კარგად იყავით, ნულარ მომაკითხავთ აჟ, დღეს თუ ხვალ გავგვავზავნიან, არ ვიცი საით... ელოდეთ ჩემს წერილს...

შალვა ორივეს გადაგვეხედა და წაშორდით.

მეორე დღესაც მივადექით მე და ნახი ორთაქალის გამანაწილებელ პუნქტს ხორავით გატენილი ჩანთებით, მაგრამ შალვა იქ აღარ დაგვეხვდა. გუშაგებმა გვითხრეს: წუხელ წაიყვანეს ბიჭები გაურკვეველი მიმართულებით.

რას ვიხამდით, ის ხორავი ისევე დავუტოვეთ გუშაგებს და იმდგომარეობულნი უკან გამოვბრუნდით. დედას კი ვუთხარი, რომ ვნახეთ შალვა და საქმელი გადავეცი.

დედამ გაიხარა. ტყვილები მოეშვა და აღარ კენესოდა, მაგრამ გული მაინც მძიმედ ჰქონდა. შვილების ჯავრი მოსვენებას არ აძლევდა, არც დღე, არც ღამე.

ერთი კვირის შემდეგ ფოსტალიონმა ლილის წერილი მოგვიტანა. დედა ცას ეწვია სიხარულით, მაგრამ წუთიერი გამოდგა ეს სიხარული. წერილი ომის დაწყებამდე სამი-ოთხი დღით ადრე იყო გამოგზავნილი. ლილი ულოცავდა შალვას და ნახის გაბედნიერებას და გვეწერდა: ქორწილისთვის უნდა ჩამოვსულიყავით, საამისოდ მომზადებულნი ვიყავით, მაგრამ თომა არ გამოუშვეს და ვეღარ ჩამოვედითო.

ბოლოს ვვთხოვდა: დაწვრილებით მიგვეწერა თუ როგორ ჩაიარა ქორწილმა.

დედა კვლავ ფიქრებს მიეცა

V

ომი თანდათან შედიოდა ძალაში. გერმანელები ვაფთრებით მოიწყედნენ წინ, ჩვენი სამშობლოს სიღრმისაკენ. რადიო ყოველ დილა-საღამოს გადმოსცემდა სინფონიებიცო ცნობებს, რომელი ახალი დასახლებული პუნქტი, სოფელი თუ ქალაქი დასტოვეს ჩვენმა ჯარებმა. შემდეგ დიდი რუკებიც გამოაკრეს მოედნებსა და თავშესაყარ ადგილებზე. რუკებზე ფერადი ხაზით იყო აღნიშნული მტრის მიერ დაკავებული საბჭოთა ტერიტორია. ეს ხაზი ყოველდღიურად იცვლებოდა, დიდდებოდა,

ფართოვდებოდა და უკრაინის დედაქალაქისაკენ მოიწევდა.

სერიოზული საფრთხე ემუქრებოდა ჩვენი ქვეყანას, დიდი საფრთხე მტერი ძლიერი და ვერაფე აღმოჩნდა. არ ერიდებოდა არავითარ მსხვერპლს და ელვისებური დარტყმით უნდოდა მოკლედროში დაეჩოქებინა ჩვენი ქვეყანა.

ხალხი აზვირთდა, აზავთდა, ყალუხე დადგა. ისე როგორც მთელი ქვეყანა, ჩვენი დედაქალაქიც სამხედრო ყაიდაზე გარდაიქმნა. სამხედრო კომისარიატებს უფრო და უფრო მეტი ხალხი მიაწყდა. თბილისის სადგურიდან ქართველი მეომრების ეშელონები თითქმის ყოველდღიურად ვადიოდა ფრონტისაკენ. ვაკეისათვის შინ დარჩენა სამარცხვინო ამბად გადაიქცა.

მე და ჩემმა მეგობრებმა კიდევ რამდენჯერმე ჩავაკითხეთ სამხედრო კომისარიატს, მაგრამ კომისარი ყოველთვის უკან გვისტუმრებდა იმ იმედით, რომ მალე გამოვვიძახებდნენ, ამ „ვალეს“ კი არ ადგებოდა საშველი.

რამდენჯერმე უნივერსიტეტშიც შევიარე. ჩავაბარე დარჩენილი საგანი. მოვიკითხე ბიჭები. მრავალი მათგანი უკვე წასულიყო ფრონტზე. ჩემს წასვლას კი აღარ დაადგა საშველი.

შინ გული აღარ მიჩერდებოდა. სულ კომისარიატის სიახლოვეს ვტრიალებდი. ვეღარც სოფელში მივდიოდი. გაგიყვებით მიყვარდა ჩემი მშობლიური ოშარა; რა გამაჩერებდა ამ გავანია სიცხეში აქ, ომი რომ არ დაწყებულიყო. ლექციები დამთავრდებოდა თუ არა, მაშინვე ოშარაში მივბრუნდი ახლა კი, გამოძახების მოლოდინში, თბილისიდან ფეხი ვეღარ გადამდგა.

— ვინ იცის, სულ გატიალდა იქაურობა, — კვნესოდა დედაჩემი დღენიადავ და თუმცა მთელი გულითა და სულით უნდოდა სოფელში წასვლა, არ მიდიოდა იმის გამო, რომ მეც დღე-ღამეზე ვიყავი წისაყვანი.

აღარ ეყო დედას მოთმინება, ცალკე 7. „მნათობა“ № 9.

ლილის ჯავრი ჰკლავდა, ცალკე მხოლოდ და ჩემი, ცალკე სოფლისა.

— ვენახი სულ გაგვიოხრდებო! — წამოიძახებდა უნებურად და მერე თვითონვე იტყუოდა:

— ოხრადაც დარჩენილა იქაურობა, ახლა ჩემი სადარდებელი შვილები არიანო.

ბოლოს მაინც ვერ მოუთმინა გულმა.

— ერთი-ორი დღით მაინც რომ წავსულიყავით კარგი იქნებოდა. უწყება თუ მოგვივა მამაშენი შეგატყობინებს, — მითხრა მორიდებით.

მამა რკინიგზელი იყო. მთელი თავისი დღე და მოსწრება ორთქლმავალ-ვაგონ-შემკეთებელ ქარხანაში მიუშაობდა. ყველა იცნობდა მას როგორც პატიოსან და ალალ მუშას. ამიტომაც უყვარდათ ქარხანაში.

დედა კი სოფელს დასტრიალებდა თავს, მარჯვე მაჰაყაცი ვერ აჯობებდა საქმეში. სანამ კოლმეურნეობაში შევიდოდი, მთელ მამულს დედა ამუშავებდა. ადრეულ ვაზაფხულზე რომ ჩაებმებოდა შრომაში, გვიან შემოდგომაზე მუხლს არ ჩაიხრიდა. მოხვნა, მოთესვა, დაფარცხვა, მკა, ლეწვა, ჭირნახულის დაბინავება, საქონლის, ვენახის, ფუტკრის, ფრინველისა და სხვათა მოვლა-პატრონობა და გაძლოლა — დედას მხრებზე გადადიოდა. ამას დაუმატეთ ისიც, რომ ექვს შვილს ზრდიდა.

გათენებისას რომ ადგებოდა ლოგინიდან, ცოტას წაიხმესგოდა, ერთ ჭიქა ჩვენებურ, ერთნახად არაყს დაყოლებდა, მერე ჯარასავით დატრიალდებოდა და შუალაქემდე არ შეეშვებოდა საქმეს.

მთელი მეურნეობა დედას აწვა კისერზე. მამა კვირა და უქმე დღეებში თუ იცლიდა სოფლისათვის.

ზამთრობით დედა მხოლოდ ორი-სამი თვით ჩამოდიოდა ჩვენთან, თბილისში, მაშინაც ვერა სძლებდა, გაქცევაზე იყო, თითებზე ითვლიდა დღეებს, როდის ჩათავდებოდა იანვარი. როგორც კი თებერვალი დადგებოდა და ხეში წყალი ჩადგებოდა, თოკით რომ დაგებათ, არ გაჩე-

რდებოდა. აიკრავდა გულა-ნაბადს და ჰაიდა, მირბოდა ოშარაში.

სოფელში დაბადებულს, სოფელში გაზრდილს და სოფლის საქმიანობაში ჩამწვარ ქალს, მიუხედავად იმ დიდი ჯავრისა, რომელიც შემოსწოლოდა მთელს მის არსებას, მაინც სოფლისაკენ გაუწია ახლაც გულმა. უარს როგორ ვეტყვოდი და გადავწყვიტეთ მეორე დღესვე გავმგზავრებულიყავით ოშარაში.

თბილისის ვაგზალი რაღაც უჩვეულო სანახაობას მოეცემა. ეს მუდამ მშვეიდი და წყნარი სადგური ახლა ისე გადატვირთულიყო მატარებლებით და მგზავრებით ისეთი ხმაურ-გნისას იდგა, ვეღარ იცნობდით.

უმრავლესობა სამხედრო ეშელონები იყო. ტანკებითა და სხვა საბრძოლო მანქანა-იარაღებით დატვირთულ შემადგენლობებს ზოგს ბაქოს მიმართულებით აედო გეზი, ზოგს ბათუმისაკენ.

ბაქანიც საესე იყო სხვადასხვა სახეობის ჯარისკაცებით, ოფიცრებით, სამოქალაქო მგზავრებით.

იყო ერთი ზორზოცი და ღრიანცელი, რომელსაც შიგადაშიგ ორთქლმავლების შემაზრუნენი კვილი, ელმავლების გაბმული ზეშული და ბუფერების ერთმანეთთან შეჯახების ყურის წამლები ხმაური უერთდებოდა და საომარი მდგომარეობის საშინელ სურათს ქმნიდა.

ძლივს გავარღვიეთ ხალხის ნაკადი და ჩიხში ჩამოყენებული გორის მატარებლის დია ვაგონში როგორც იყო ჩავსხედით (ომამდე დია ვაგონები ება ზოლმე გორისა და ბორჯომის მატარებლებს).

ახლა უფრო მთელი სიცხადით გავმოხნდა ეშელონის ვაგონებებზე შეყენებული შორსმსროლელი ქვემეხები, ტანკები, სამოცდაათქვესმეტ მილიმეტრიანი ზარბაზნები, რომელთაც ლულები ზეცისკენ მიეშვირა.

დედა გაოცებით შეჰყურებდა ირგვლივ ყველაფერს და ამ მრისხანე იარაღს თვალს არ ამორებდა. მას არასოდეს ენახა თბილისის სადგურზე ამდენი სამხედრო ეშელონი, ამდენი ჯარის-

კაცი, ასეთი იარაღი და ასეთი ვეგებელი, ერთმანეთში აზელებდნენ. სი, რომელიც მძიმედ მოქმედებდა ადამიანის ფსიქიურ განწყობაზე.

დედა თავისებურად აღიქვამდა ყოველივე ამას. მან კარგად იცოდა, რომ ეს მომავდინებული იარაღი ჩვენი, საბჭოური იყო და დღეს თუ ხვალ მტერს მუსრს გაავლებდა. მაგრამ დედა იმასაც კარგად გრძნობდა, რომ ასეთი იარაღი მტერსაც ჰქონდა და მისი შვილების წინააღმდეგ უნდა გამოეყენებინა.

სახეზე დაეცქერდი. მარჯვეხა თვალთან ერთადერთი გამქვირვალე ცრემლი უბრწყინავდა. მივხვდი, ეს ცრემლი მისი დიდი სულიერი დამაბულობის გამოხატონი იყო, რომელიც ვერ დატეულიყო შიგნით და ქვედა ქუთუთოს წამწამს მარგალიტივით შეეხინვოდა.

უცხად ჩვენს წინ, ახლად განთავი-სუფლებულ ლიანდაგზე დასავლეთიდან მომავალი ეშელონი შემოქოთქოთდა ხმაურით და თან მოიტანა ფრონტზე მიმავალი ქართველი ვაჟკაცების გულში ჩამწვდომი მხედრული სიმღერის გუგუნე.

ეშელონმა სადგურის ხედი თანდათან დაფარა და ჩვენს წინ ჯარისკაცებით საესე ვაგონი ჩამოღდა.

ბიჭებმა სიმღერა შეწყვიტეს და ყველანი კარებს მოაწყდნენ.

— ბიჭო ვაჟა, გამარჯობა შენი! — ხმაშალა იყვირა ერთმა ჯარისკაცმა, რომელიც ყველაზე უკან იდგა და ფეხის ცერებზე აწეული ჩვენსკენ იყურებოდა.

დაეცქერდი. ჩემი ბიძაშვილი გიგუშა ვიცანი. უცხად თვალწინ წარმომიდგა შალვას ქორწილი. რა მზიარულად მიყავდა სუფრა დილამდე, სანამ ავადხსენებული ომის დაწყების ამბავი შემოიჭრებოდა ჩვენს ოჯახში. რამდენი იცეკვა, რამდენი იმღერა, რამდენი იხუმრა, დაწყებდა ხალხი სიცილით. ეს ვინ ყოფილაო, გაიძახოდნენ სტუმრები.

რას იფიქრებდა მაშინ ან გიგუშა, ან

ჩვენ, ასე უცხად შეიცვლებოდა ცხოვრება და ზუსტად ერთი თვის შემდეგ ასეთ ვითარებაში შევხვდებოდით ერთმანეთს.

ამ მოულოდნელი დანახვით აღტაცებული მა გიგუშამ კარებში ჩახერგილი ჭარისკაცები მხრით გამოარღვია, ბაქანზე გადმონტა და ჩვენსკენ გამოექანა.

დღემამ მხოლოდ ახლა იცნო ივრ. სკამიდან წამოვარდა, ვაგონის ღია მოაჯირს გადაეყუდა და გიგუშაო, ისე ხმაშლიდა იყვირა, მთელმა ხალხმა ჩვენ დაგვიწყო მზერა.

გიგუშამ არც აცია, არც აცხელა. კიბიდან რომ ავიდო ვაგონში, ამის დროსადა მაქვსო, პირდაპირ შემოახტა ვაგონს, თვალის დახამხამების უმალ მოაჯირს გადმოეცლო და ჭერ ღუდა ჩაიკრა გულში, მერე მე.

— ხალხო, როგორა ხართ, — შემოგვძახა და სეტყუასავით დაგვაყარა კითხვები — ძია ალექსი როგორ არის, ლილის წერილი თუ მიიღეთ, ნაზი რას საქმიანობს, შეგეთვისათ თუ არა, შალვა ხომ არ წაუყვანიათ...

— შენ აქ საიდან გაჩნდი ბიჭო!.. — თითქმის ერთდროულად აღმოგვხდა მე და დედას.

— როგორ თუ საიდან. თვე ხდება, ჯარში ვარ. თქვენგან რომ წავედი სოფელში, მეორე დღესვე გამოვიყიეს. ჭერ ახლოს ვიყავით, ტაქტიკური მეცადინეობა გავიარეთ, მერე შეგვიაარადეს და ახლა პირდაპირ ფრონტზე მივდივართ. შალვა როგორ არის, ხომ არ წაუწყვანიათ?

— წაიყვანეს. იმ დღესვე წაიყვანეს... — დამასწრო დედამ, თან ოხვრა ამოატანა ამ სიტყვებს გულიდან.

— ნუ სწუხარ, ძალუა ქეოვეან. დედას ვუტრებთ შტერს, ისეთი დღე ვაყაროთ, თქვენ რომ გავხარდებათ!

მერე მე შემომხედა და მითხრა:

— მიკვირს შენ არ გამოგიძახეს!

— ალბათ რალაც დიდი საქმისათვის ვპირდები და იმიტომ, — უნებურად გაშეცინა ჩემს თავზე.

— ახლა საით გაგიწევიათ, რომელია ში?

— კი, ოშორაში მივდივართ!

— დამიკოცნეთ ჩვენები. სადგურზე რომ ჩამოვიარეთ, ჩვენებურებს მოკვარი თვალი და წერილი გადაეუფდე, შინ მიუტანეთ-მეთქი. რა ვიცოდი შეხვდებოდით, თორემ თქვენ გაატანდით...

გიგუშას კიდევ რალაც უნდა ეთქვა, მაგრამ სწორედ ამ დროს მატარებელმა შეჰკვივლა და ბუფერების ჭახანმა სათქმელი პირზე შეაყინა. ორთქლმავალმა მძიმედ დასძრა ვაგონები.

— მაგრად იყავით, ჩვენებს მოკითხვა გადაეცით, უთხარით ნუ იდარდებენ. არ დაავიწყდეს მარინეს: ამ ვაზაფხულზე ვაშლებშუა რომ მსხლის ნამყენები ჩავრგე, შემოდგომით ამოილოს და ღობის მზარეს გადავრგოს...

ეს რომ თქვა, ერთხელ კიდევ გადაგვიხვია, დაგვეკოცნა და როგორი სისწრაფითაც ამოხტა ვაგონზე, ისეთივე სისწრაფით ჩახტა დაბლა. სირბილით მიიჭრა დამარულ ვაგონთან, ზემოდან ბიჭებმა ხელები ჩამოუწოდეს და სწრაფად აიტაცეს მალა. მერე ჩვენსკენ შემობრუნდა, გაგვიცინა, ხელი დაგვიქნია და მოგვძახა:

— ბიჭებს კარგად მიმიხედონ!..

თან სიმღერა შემოსძახა და ჭარისკაცებიც აიყოლია.

— რა დაუდგრომელი ბიჭია გიგუშა, გეგონება ფრონტზე კი არა, ქორწილში მიდისო... — თქვა დედამ და თავი გვერდზე მიაბრუნა. მივხედი, რატომ მიაბრუნა დედამ თავი. გიგუშაც დედას კალთაში აყო ვაზრდილი, ისე როგორც ჩვენ, ძალუაჩვენების კალთაში ვიზრდებოდით და მის ფრონტზე წასვლასაც ისევე განიცდიდა, როგორც საკუთარი შეილისა. ამიტომაც დაბა-ღუბით ჩამოსდიოდა ცრემლები და ცდილობდა ხალხისათვის არ ეჩვენებინა.

ემელონმა ქოთქოთითა და ხმაურით დატოვა თბილისის სადგური.

მალე ჩვენი მატარებელიც დაიძრა და

ათსანიერი უსიამოვნო ფიქრებში ჩაძირულებმა ვერც კი გავიგეთ, როგორ გავცდით კასპს.

VI

ოშორა... ჩემი ლამაზი ოშორა, ჩემი აკვანი.

აქ დავიბადე, აქ გავიზარდე, აქ გავახილე პირველად თვალი.

ოშორა ჩემი სულის ნაწილია და სადაც არ უნდა წავიდე, ანდამატივით მეწევა თავისკენ.

ოშორა თრიალეთის მთის იმ კალთაზე მდებარეობს, სადაც თვედორე მღვდელმა კლდეკარიდან შემოსულ, შიდა ქართლისაკენ მომავალ ოსმალთ ჯარს გზა დაუბნია.

აქედან შიის ამოსავალზე მშვენივრად მოსჩანს ცხირეთის ნანგრევები, ქართლის მეფეთა რეზიდენცია, გიორგი სააკაძის კოშკი და სხერტის სახელწოდებით ცნობილი ის ქალა, სადაც დიდმა მოურავმა მუსარი ვაავლო მტერს.

ამ ფერდობზევე აღმართულა ერთაწმინდის ტაძარი, რომელიც რაღაც სასწაულებრავ ვადაურჩა დანგრევას, ირანის მრისხანე შაჰაბასს და ხალხმა მას სასწაულმოქმედი უწოდა.

მის ჩრდილოეთს კედლის კუთხეში მარხია მოკვეთილი თავი წამებული პაატასი — ზეარაკად რომ შეეწირა საქართველოს.

დასავლეთით, ერთი ზელის გაშლაზე ზოდღით გაწოლილა ზედაველა, ასპარეზი უთანასწორო ბრძოლისა, სადაც 1724 წელს ერთმანეთს შეასკდნენ ჩვენი და ოსმალთ ჯარები. ამ სისხლისმღვრელ ომში მონაწილეობა მიიღო ახალგაზრდა დავით გურამიშვილმა.

ზედაველადან მონაბერ ნიავს ახლაც მოაქვს მოთქმითა და გოდებით აღსავსე სიტყვები, მაშინ რომ აღმოხდა პოეტ-მეომარს:

ვაიმე ამის სათქმელად
ენა გამოხდა მწყალტვეით,
ვერ იმართოდა ლაშქარი

ზედაველაზე დატვითო,
მათ ჩვენმა ჯარმა აკონა
პირველ მისვლაზე შატვეით,
შაგრამ ბოლოს კი დამარცხდა
შინათვე ნაღალტვეით.

ერეკლე II
გენერალი

ოშორას გვერდით მოუმღერის ზოგჯერ წყნარი, ზოგჯერ თავზებულაღებულა, გიქმაყი თეძამი, რომელიც სათავეს იღებს ჰევარებისა და თორის მთებიდან, ჩამოუქროლებს დედა-ციხეს, რკონს, დრისს და თავექუდმოგლეჯილი მიისწრაფვის მტკვართან შესაერთებლად.

მის კალბში ჰევარებია ნადირობა ვახტანგ მეფეს. ერთხელ თურმე ნადირობისას მეფე თეძამს აპყოლია თავისი ამალით და სოფელ ზემო ხანდაკში გოგებუდამვილებს სწევვია. მის ამალიში დავით გურამიშვილიც ყოფილა.

მეფეს წყალი მოსწყურებია. სანამ მასპინძელი წყალს მიაწვდიდა, მეფეს შეუნიშნავს დარბაზში დოს დღევაბდნენ და წყლის მაგივრად დო დაუღევი.

დავით გურამიშვილს ექსპრომატად ლექსი უთქვამს:

კარგისა მასპინძლისასა
მეფე ჩამოხტა ხანდაკსა,
აჩარას უჯადობობდა,
ხან მაწონს სეამდა, ხან დოსა..

მე ვამაყობ ჩემი სოფლით, ჩემი ოშორათი. ვამაყობ იმიტომ, რომ აქ, ოშორის ველმინდვრებზე არა ერთხელ ვადაწყვეტილა საქართველოს ბედი. აქ ყოველი გოჯი მიწა ვაყენთილია ჩემი სახელოვანი წინაპრების სისხლით. აბა დაუგდე ყური: მათ თავდადებაზე, იმ გარდასულ დროზე, დღესაც სევდიანად ჰყვებიან ლეგენდებს ის ბებერი, ბრძოლებში დაღლილი, ქონგურებმორღვეული კოშკები და ციხეები, ყოველ ნაბიჯზე რომ ვაფანტულან ირავლივ.

დაბ, ასეთია ჩემი სოფელი, ჩემი ოშორა, ჩემი აკვანი... სადაც დავიბადე, სადაც გავიზარდე, სადაც პირველად

გვახილეთ თვალი, პოეტის თქმისა არ იყოს, ვცანი ქვეყანა და თავი.

ახლაც ამ გრძნობით წამოვედი სოფელში. ფრონტზე წასვლის წინ გული როგორ მომიტმენდა ერთხელ კიდევ არ მენახა ჩემი გიჟმაჟი თეძამი: ერთხელ კიდევ არ შემივლო თვალი იმ ბებერი ციხე-კოშკებისათვის, იმ ვალაყენებისა და ტაძრებისათვის, ჩემი მამა-პაპის გმირობაზე და თავდადებაზე რომ მეტყველებენ.

VII

მატარებლიდან რომ გადმოვდგი ფეხი და იქაურობას ვაგებდე, ტანში ისეთმა ყრუანტელმა დამიარა, მეგონა ახლა დავიბადე-მეთქი.

მთელი არემარე მწვანეში იყო ჩაფლული, ქსილისისა და ვოსტების ვადმოსახედეზე ცხრათვალა მზე ვადმომდგარიყო და თქროსფერ ნათელში გაეხვია ქართლის ველებზე ვაბნეული სოფლები.

ეტლი მსუბუქად მიგვაქროლებდა სუფთა ვზატყვილზე, სამხრეთის მიმართულებით. გზა დაბურული იყო ასწლიანი კაკლისა და თუთის ხეებით. ბაღებიდან შიგადაშიგ გამოანათებდა ჭერმისფერი კრამიტით ვადანურული ორსართულიანი ქვიტიკრის სახლები.

მიპქროდა ეტლი სამხრეთისაკენ და საითაც არ უნდა ვაგებდათ, გზის აქეთა თუ იქეთა მხარეს, თვალს გტაცებდათ წალკოტად ქვეული საკოლმეურნეო თუ საკარმიდამო ბაღჩა-ბაღები, ვენახები. ბაღებიდან მორცხვად იჭყიტებოდნენ თიბათვის შეწათლებული ატმები, ვულაბი მსხლები, ჩაყვითლებული ხეჭეჭურები, თაფლივით ჩაშაქრული ლენკოტები, ბლები, ალუბლები... ხოლო მეორე მხრიდან გილიმოდათ წითელი თურაშაული, შაფრანი, კეხურა, ხანდაკურა, და რომელი ჯიშის ვაშლს ინატრებდით, აქ არ ყოფილიყო.

მსმობიარობისაგან ხეებს ტოტები დაეხარათ და ისეთი შთაბეჭდილება

რჩებოდა, თითქოს საცაა ჩამოტყდებოდა და მიწაზე ზღართანს მოიღებოდა.

ჩვენს გარდა ეტლში კიდევ სამი მგზავრი იჭდა. შუახნის თმაშევერცხლილი ქალი და ორიც კაცი. ერთი ოთხმოც წლამდე იქნებოდა მიტანებული, მეორე უფრო ჭარმაგი ჩანდა.

მოხუცი ჩემს წინ იჭდა და თვალს არ მაშორებდა. თითქოს უყვირდა, ომში რომ არ ვიყავი წასული.

— ბარაქიანი წელი დაგვიდგა!.. — დაარღვია სიჩუმე ჭარმაგმა.

— ბარაქიანიო?! — ირიბად შეხედა მოხუციმა, — ოთხმოცის ვხდები და ასეთი მოსავალი არ მახსოვს. ამა ვახედეთ ამ ვაშლებს, როგორ მიჯაგნულა.

— შენ ვენახი ნახე, ფოთოლი არ უჩანს, ისე ასხია, — თქვა ისევ ჭარმაგმა.

— ახლა სიმინდსა და ხორბალს აღარ იკითხავთ? — ჩაერია საუბარში მეეტლეს. — სულ მკლავის სივრცე ტართაყრია. ბურის ყანები ისეა აღლელებული, ცხენიანი კაცი დამალეება. მტკაველზე აქვს თავთავი. თუ ღროზე არ აიღეს, მოსავალი ჩაწეება და მერე ველარც კომბაინი უშველის, ველარც ნამგალი.

— ასე იცის წვიმიანმა ვახაფხულმა, — თქვა ისევ ჭარმაგმა.

— ძველი ხალხისაგან ვამიგონია ომში იცისო ასეთი დიდი მოსავალი, — აღაბარაყდა თმაშევერცხლილი ქალიც. მოხუცი ჭარმაგს მიუბრუნდა: — ახლა რომ თქვი, მოსავალი დროზე თუ არ აიღეს, ჩაწეებაო...

— მე კი არა, მეეტლემ თქვა... — სიტყვა შეაწყვეტინა ჭარმაგმა.

— შენა თქვი, თუ მეეტლემ, სულერთია. მაგრამ ვინც მოსავალი უნდა აიღოს, ისინი ფრონტზე მიჰყავთ ჩვენისთანა დაჯანდაგებულებმა რა უნდა ვავაყოთო.

— შენ ეგა თქვი, და!.. — დაეთანხმა ჭარმაგი.

— სამი ვაგი მყავს, — ვანაგრძო მოხუციმა, — სამივენი წამართვეს. ისინი რომ მხარი-მხარს აუბამდნენ და ნამ-

გლებს ააწკრივებდნენ, იმათ ყურებას არაფერი სჯობდა. რამდენი კიდეც სხვა წაიყვანეს. სოფლები განახვევრდა. რომელი ერთი უნდა იდარდოს კაცმა, აღარ ვიცი.

— ჩემს დღეში ყოფილხარ, შენცა. — ამოთქვა ისევ ჭარბაგმა, — ორი ბიჭი ამას წინათ გავისტუმრე ომში, შინ ერთიღა დამარჩა. იმასაც აღბათ მალე წაიყვანენ!

— არც მე ვარ თქვენზე, ნაკლებ დღეში, — ამოიყენესა ჭადარამოსილმა ქალმა, თვალუბზე მომდგარი ცრემლი ცხვირსახოციით მოიწმინდა და განაგრძო — ჩემი ძმა კი ომის მეორე დღესვე გააქანეს ფრონტზე. ნეტავ თუ დარჩა ისეთი ოჯახი, რომელსაც ეს დარდი არ აწუხებდეს! — ეს რომ თქვა ქალმა, თან დედას გადახედა. აღბათ მისგან უნდოდა მიეღო პასუხი.

დედა დადუმებული იჯდა, ხმას არ იღებდა. აღარ უნდოდა ამ საკითხზე ლაპარაკი.

— ჩვენ კიდეც რა გვიშავს, — განაგრძო ისევ თმაშევერცხილმა ქალმა, შიოლას თუ იცნობთ, ომორეღ შიოლას?

— იმას ვინ არ იცნობს! — ერთხმად წამოიძახეს ბერიკაცებმა.

— ხოდა, ექვსი ბიჭი ჰყავდა, ექვსივე წაუყვანიათ!.. — დედამ მხოლოდ ახლა ასწია თავი. ჭერ მე შემომხედა, მერე ქალს მიუბრუნდა.

— სადაური ბრძანდებით?

— ატენელი ვარ, ხანდაკში გამოთხოვილი.

— მართალია ეგ ამბავი?

— მართალია. შიოლას ერთი ქალიშვილი ჩემი მეზობელია და იმისგან ვიცი.

— საწყალი შიოლა... — ღრმად ამოიხრა დედამ.

შიოლა ჩვენი მეზობელი იყო. მისი უმცროსი ბიჭი დათიკო და მე ამხანაგები ვიყავით. ერთად ვსწავლობდით ომთრის ოთხწლიან სასწავლებელში, ერთ მერხზე ვისხედით. მე რომ თბილისში წამიყვანეს მშობლებმა სწავლის

გასაგრძელებლად. დათიკომ კვლავ სოფლის საშუალო სკოლაში განაგრძო სწავლა. მერე თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ჩაერთო, სადაც მისი ორი ძმა — ვაზო და ზაქრო სწავლობდნენ. უფროსი ძმები კი სოფელში ცხოვრობდნენ და კოლმეურნობაში მუშაობდნენ.

ბიჭების გარდა, შიოლას და ტასოს კიდეც ოთხი ქალი ჰყავდათ. ერთი ომთრის იყო გათხოვილი, სამიც მეზობელ სოფლებში. სიმეტიეც კარგი ვაჟკაცები იყვნენ. ისინი რომ ერთად შეიყრებოდნენ შიოლას ოჯახში და სუფრას შემოუხსნებოდნენ, მათი სიმღერის გუგუნით ჭერი მაღლა აიწეოდა და კედლები განზე გაიწეოდა. მუშაობაში ხომ ბადალი არა ჰყავდათ. მათ ნახვას არაფერი სჯობდა. ბედნიერად სთვლიდნენ შიოლას ოჯახს სოფელში და ყველა პატივისცემით იხსენიებდა.

საუბარში ნელ-ნელა ჩათავდა საკოლმეურნეო თუ საკარმიდამო ბაღები და ჩვენს წინ პურის ყანების ზღვა გადაიშალა. გოსტიბის ვადმოსახედეზე ვადმომდგარი მზე ბლუჯა-ბლუჯა სხივებს პირდაპირ ამ მიწის ორს აფრქვევდა და სიმწიფისაგან თავდახრილ, გაფიცებულ ყანას ოქროსფრად აელვარებდა.

ნიავის წამოჭროლებაზე ყანა ზოგჯერ წელში გასწორდებოდა, თავთავებს შეარხებდა. ტალღებივით აიჭორებოდა და ზღვასავით დაიწყებდა დღევას.

ყანებიდან ისმოდა ჩასუქებული ქედებისა და მტრედების განუწყვეტელი ლულუნი, დედამწყურების „ქვით-კიროს“ ძახილი, ფრინველთა ყრიაშული, რომლებიც ეტლისა თუ მანქანის ჩაჭროლებზე დაფეთებულნი ააშლებოდნენ გზის ნაპირებიდან, თავზე შხუილით გადაგვიქროლებდნენ და ისევ მალე ჩაეშებოდნენ ყანაში.

წუთით ჭადრების რიგმა დაფარა მიწის ხედი და როცა ეტლმა ეს რიგიც ჩათავა, ახლა უფრო მთელი სილამაზით გამოჩნდა ტრიპლი მიწისორი. მიწის დარღვივების შედეგად, პატარაძალივით გამობრწყინდა ჭადრების

სიმწვანეში ჩამჯდარი ოზორა, მადლო-
ბზე წამომდგარი წმინდა გიორგის თეთ-
რი ეკლესიით, რომელსაც გვერდით
თეძამი მოკუთამაშებდა, მისა თეთრი
ქვებით მოჭედლილი ხეობა მწვანე ფონ-
ზე ზოლივით გასდევდა მთელ ამ მინ-
დორს და საღაჯე თრიალეთის მთების
ხვეულბში უჩინარდებოდა.

მინდვრის დასასრულს, შეფერდების
ძირში კოლმეურნეები გაშლილიყვნენ
და მკა გაეჩაღებინათ.

— მოსავლის აღება უკვე დაუწყე-
ათ ოზორელებს! — გაკვირვებით წა-
მოიძახა მეეტლემ, — დილას რომ ჩა-
მოვიარე, ბაიბური არ ისმოდა.

ყველამ იქით მიიპყრო მხერა.

— ქალებს დარჩენილი ბურთი და
მოედანი! — შეუბანა ჰარმაგმა, — ნა-
ხევარზე მეტი ისინი არიან.

— იმ ნახევარსაც რომ წაიყვანენ,
მაშინ ნახეთ! — თქვა ისევ მეეტლემ.

— აფსუს ბიჭებო... — ამოიკენესა
ისევ თმაშევერცხლილმა ქალმა, თან
დაუმატა, — ნეტა როდის მოედება
ბოლო ამ ომს.

მაღე კოლმეურნეებს გაეუსწორდით
და გვერდით გაეუარეთ. უპრავლესო-
ბა მართლაც ქალები იყვნენ. სკოლის
მოსწავლეებიც გამოეყვანათ დასახმა-
რებლად. კაცებს ნამგლები ეჭირათ
ხელში და მკიდნენ. ქალები ძნებსა
კრავდნენ, მოსწავლეებს კა შეკრული
ძნები ერთ ადგილას მიჰქონდ-თ და ურ-
მეულებად სდგამდნენ.

იყო ერთი ფუსფუსი და გაწამაწია.

ქალებს შორის თვალი მოკარი მარი-
ნეს, გიგუშას მეუღლეს, ულოს ერთი
წვერისათვის ფეხი დაებჯინა, მეორე
ხელში ეჭირა და ისე ოსტატურად
გრეხდა, გაგვიკვირდებოდათ.

მარინეს არც სხვა ქალები ჩამორჩე-
ბოდნენ. ვინ ულოს გრეხდა, ვინ ძნას
კრავდა, ვინ ფოცხავდა. ზოგიერთ
ქალს ნამგალიც კი აედო ხელში და მა-
მაკაცს გვერდში უდგა, ერთად გაჰქონ-
დათ ლელა.

— ყოჩად ქალებო, ყოჩად! — აღ-

ტაცებით ამოიძახა თმაშევერცხლილ-
მა ქალმა და დედას გადახედა.

— აბა შეხედე, როგორ შრომობენ!

დედა ხმას არ იღებდა. ფართოდ გა-
ხელილი თვალებით მისჩერებოდა შრო-
მის ფერხულში ჩაბმულ თანასოფლე-
ლებს. ვამჩნევდი სწუხნდა, რადგან თვი-
თონ არ მონაწილეობდა ამ ფერხულ-
ში, გვერდში არ ედგა მათ.

— ესეც შენი ოზორა! — წამოიძახა
მეეტლემ, როცა ეტლმა გორაკი აათა-
ვა.

— აი, იქ გააჩერეთ! — უთხრა დედამ
მეეტლეს და იმ ვიწრო ორღობეზე მი-
უთითა. რომელიც ჩვენი უბნისაყენ მო-
კლეზე სჭრიდა გზას. თანაც ჩვენი ვენა-
ხის თავზე ვადიოდა.

— სწორი გზით უნდა წაესულიყა-
ვით, ის ბალ-ვენახები მორწყული იქნე-
ბა და ტალახში ამოვითხვრებით, —
ვეთხარი დედას.

— არ იქნება მორწყული. სანამ შინ
მივალთ, ბარემ ვენახიც დავათვალიე-
როთ!.. — თვეზე მეტია არ მიგვიხე-
დავს! — ნაღვლიანად თქვა მან.

ეტლიდან გადმოვედით. მეეტლეს მა-
დლობა გადაეუხადეთ, მგზავრებს და-
ვემშვიდობეთ და ორღობეს გავეყვით.

ვენახები მართლაც მორწყული აღმო-
ჩნდა. წყალს ორღობეში გამოეყონა
და გუბეები დამდგარიყო... დედა ისე
თავისუფლად და თამამად მიიბიჯებდა,
თითქოს ასფალტი გებულიყოს. მისთ-
თვის ახლა არც გუბეები არსებობდა,
არც ტალახი, ერთი სული ჰქონდა, რო-
დის შევიდოდა ვენახში.

ორღობეში ხანშიშესული კაცი გამო-
ჩნდა. ხელში ნამგალი ეჭირა და ჩვენ-
სკენ მოდიოდა. დაეცქერდი, შიოლა
ვიცანი. შარშანდელს აქეთ აღარ მენა-
ხა მოხუცი და შეცვლილი მეჩვენა, წე-
ლში მოხრილიყო.

— გამარჯობა, ძია შიოლა! — მივე-
სალმე ახლოს მოსვლისას და ხელი გა-
ვეუწოდე.

შიოლა დამაცქერდა, ეტყობა უცბად
ვერ მიცნო.

— ღმერთმა გაგიმარჯოს, შვილო, ვა-

ქა არა ხარ? ეს თხერი, ამ ბოლო დროს თვალთ დამაკლდა და თუ ახლოს არა, შორიდან ვეღარ ვცნობ კაცსა. ეს ქალი ქეთევანია?

— ქეთევანი ვარ, შიოლა, ქეთევანი!.. როგორ ხართ, ბიჭები როგორ არიან?

— როგორ ვიქნებით... — მხრები აიწურა შიოლამ, — კაცს რომ ექვსი ვაჟი ეყოლება და ექვსივეს თმში, წაიყვანეს, ის კაცი როგორ იქნება?

— მერე და ექვსივე წაიყვანეს?!

— მაშა, ექვსივე წაიყვანეს! სიძეებიც წამართვეს, თორემა...

— სიძეებიც?

— მაშა, ოთხივენი, ახლა მე უნდა ვიზრუნო იმით ცოლშვილზეც და ჩემი ბიჭების ცოლშვილზეც.

— რას მეუბნები... შე საწყალო, შენა... — დედას სახე მოედუნა.

— ალექსი როგორ არის? — იკითხა შიოლამ.

— არა უშავს, რაც შალვა წაიყვანეს, დადარდიანდა. ჭორწილი არ აცალეს იმ საწყალო ბიჭსა, სუფრიდან ააყენეს და წაიყვანეს.

— სუფრიდან რაღა იყო, ერთი თვე მაინც დაეცლიათ.

— თვეს ვინა ჩივის...

— ეე... რა ვიცი... — ამოიოხრა შიოლამ და მერე მე მომიბრუნდა, — ნასწავლი კაცი ხარ და გეცოდინება, დიდხანს გასტანს ეს ომი?

— შემოდგომამდე დამთავრდებაო, ძია შიოლ. ყოველ შემთხვევაში ამ წელს არ ვადასცილდება — ვანუგეშე მოხუცი.

— შენს პირს შეჭარი, შეილო. ნეტავი მშვიდობიანად დაგვიბრუნდებოდნენ ი ბიჭები და როგორმე ვაეუძლებდი ჩემი შვილიშვილების შენახვასა. — თქვა შიოლამ და გზა განაგრძო.

— საცოდავი... — ამოიკენესა დედამ.

საუბარში ნელ-ნელა მოვიტოვეთ უკან ტალახიანი ორღობე და მშრალზე გავედით, მალე თემის პირას ჩვენს ენახსაც მივადექით.

ვენახს სამი მხრიდან მაყვლისა და ასკილის ცოცხალი ღობე ჰქონდა შემოვლებული. ღობის გაყოლებაზე ბუნებრივად იყო ამოსული ალუბლის, თუთის, კანჭურის, ქლიავის, შინდის, ტყემლის, ფშატის, ღონწიშისა და სხვათა ხეები და ისეთ შეუვალ ზღუდეს ქმნიდნენ, უბატონოდ ჩიტიც ვერ შეფრინდებოდა შიგ.

გარდა იმისა, რომ ეს ზეხილი ღობეს ამაგრებდა და იცავდა ვენახს ქარისაგან, უმირავ ნაყოფს გვაძლევდა და მთელი ზაფხულის განმავლობაში ხილი თავზე საყრელი გვქონდა. ზამთრისათვის კერკსა და ჩირსაც აკეთებდა დედაჩემი.

უწინ, სანამ საჯარმიდამო ნაკეთების ნორმები დადგინდებოდა და კუთვნილ თხუთმეტ მესაედს დაგვიტოვებდნენ, ვენახი და ბაღი ერთად გვქონდა. ერთ მხარეს ვაზი იყო ჩაყრილი, მეორე მხარეს ზეხილი. რომელი ჯიშის ვაშლს ინატრებდით, აქ არ მდგარიყო: ზაფხულის გინდოდათ, შემოდგომის თუ ზამთრის: ტყბილ შეჭარ-ვაშლას ქაშა კალოს ვაშლი სცელიდა, კალოს ვაშლს — კიტრა ვაშლი, კიტრა ვაშლს — მსხვილი ბორა ვაშლი, ბორა ვაშლს — შაფრანი; შემდეგ მოყვებოდა შემოდგომის ანტონოვკა, ბანანი, თურამაული, ბოლოს ზამთრის ბროდსკი, ხანდაკურა, კეხურა, გოგიაანთ კრინკა და ვინ მოსთვლის რა ჯიშის ვაშლი არ იდგა აქ.

ასევე იყო შერჩეული მსხლის ჯიშებიც; ჯერ თიბათვის მსხალი შემოვიღოდა, მერე კალოს მსხალი, შემდეგ სანთელივით ჩაყვითლებული გულაბი, წყლიანი ზეჭეჭური, ალექსანდროული და ბოლოს ზამთრის მსხლები მოყვებოდა.

ნულარ იკითხავთ ატმებს, საერთოდ ხილი და განსაკუთრებით კი ისეთი გემრიელი ატამი, როგორიც ჩვენს დამლოცვილ ქართლში იცის, არა მგონია ქვეყნად სადმე იყოს. თიბათვიდან რომ დაიწყებდა მწიფობას, გვიან შემოდგომამდე არ მორჩებოდა. თვითეულ ხის ნაყოფს თავისი საკუთარი გემო და სურნელი ჰქონდა და სულ განსხვავ-

დებოდა მეორისაგან. ზაფხულის მთვარის ღამეებში ვათენებამდე ისხდნენ ხოლმე ქალები და ჩირადნენ ატამს, რომ მათ შვილებს ზამთრის საზრდო ჰქონოდათ.

ახლა აიღეთ ბლები და ალუბლები. მაისის ბალი რომ წითლად ღვივილს დაიწყებდა, ნაზამთრალი შოშიები ბუზებივით ეხეოდნენ. არც ბავშვები ვიყავით შოშიებზე და ბელურებზე ნაკლები. რაც ფრინველებს გადაურჩებოდით, იმას ჩვენა ვჭამდით. მაისის ბალს შემდეგ ქართული და სამურაბე გოგრა ბლები მოყვებოდა, შემდეგ ალუბალი. და იყო ფერთა ლიგოვი, ნაყოფთა სურნელი, გემოთა სხვადასხვაობა; ყველაფერი ეს ერთმანეთს ენაცვლებოდა და ადამიანის თვალსა და გულს ერთნაირად ატბობდა და ახარებდა.

ბალს სამი მხრიდან მყავლისა და ასკილის ღობე თუ იცავდა, მეოთხე მხარეს, თემის მხრივ, უზარმაზარი კაკლის ხეების რიგი ჩასდევდა. ეს ხეები მამაჩემის პაპას ჩაუყრია ამ საუკუნენახევრის წინ იმ მიზნით, რომ თემამს არ გადაეტანა ბალი. თემამი მთის მდინარეა და საოცარი ადიდება იცის ვაზაფხულობით, როცა თრიალეთის მთებში დნობას იწყებს თოვლი. თუ ამ დროს წვიმებიც ზედ დაერთო, ნიაღვრები ისე ერთბაშად მოსდებდა და ისეთი გრუხუნ-გრუხუნით, ქუხილით წამოვა, რომ წყალი ჭერ დრისის ციხესთან არაა მოსული, მისი ხმა იშორაში რომ ისმის.

ხშირად ყოფილა ისეთი შემთხვევაც, როცა ადიდებული წყალი ვერ დატეულა კალაპოტში და ვენახებზე გადაუვლია, მაგრამ ნათესის მეტი ვერაფერი გაუფუჭებია. კაკლის ხეების წყალობით ნიადაგი ვერ გადაუტანია და რიყედ ვერ უშკევიო. გარდა ამისა, იმდენი ნიგოზი მოგვიდოდა, დედა ებრაელებს ფართალზე უცვლიდა და შვილებს ტანსაცმელს უკერავდა.

ღიბს, ასეთი იყო ჩვენი ბალი, მაგრამ როცა საკარმიდამო ნაკვეთების ნორმები დადგინდა და თხუთმეტი მესაგდის

მეტის უფლება კანონით უკვე აღარ შეიძლებოდა, ვენახი დაგვიტოვეს, ეს ბალი კი მთლიანად ჩამოგვჭირეს და სხვას მისცეს. იმ სხვამ, იმის შიშით, რომ მერე იქნებ მეც ჩამომართვანო, ერთიანად გაჩება ეს საუკუნოვანი კაკლის ხეები და სამასალეთ გაყიდა. ბლის, მსხლისა და სხვა მსხვილი ხეებიც თან მიყიდა, შეშალ გამოიყენა. ამას ის ამბავი მოჰყვა, რომ თეძამმა მთლიანად გადაიტანა ის ადგილი, სადაც ეს შესანიშნავი ბალი იყო გაშენებული და რიყედ აქცია. ჩვენს ნაკვეთსაც დაემუქრა საფრთხე, მაგრამ მამამ დროზე იღონა. სწრაფადმზარდი ტირიფები ჩაყარა და დროთა განმავლობაში გაამაგრა.

ისე იქცა წყლის კალაპოტად არა მართო წალკოტად ქცეული ჩვენი ბალი, არამედ სხვა ბალებიც, რომლებიც თემის პირზე იყვნენ გაშენებული. ეს იყო იმ დროის ვაუგებრობა, რომელსაც ვერ გაართვეს თავი მაშინდელმა მესვეურებმა.

გულამგერებული მივუხატოვდი ვენახის კარს, დედამ მავთული შეხსნა, კარი ფართოდ შეაღო და შიგნით შევიდი.

ისე მომეჩვენა, თითქოს ვენახმა გაუცინა დედას. ნიაგის ოდნავ წამოქროლებზე ქიგოვს აკრული შედედებული ყლორტები უცბად შეირხნენ, ფოთლები შეათამაშეს და აქეთ-იქით ჭანობა დაიწყეს, თითქოს ამით გამოხატეს უსაზღვრო სიხარული თავიანთი მოამაგე ადამიანისადმი.

სასიამოვნო სანახავი იყო ჩვენი ვენახი. ვაზები მწკრივ და მწკრივ მიყვებოდნენ ერთიმეორეს და მტევნებით ისე იყო შეხუნძლული, ჩემს სიცოცხლეში არ მენახა. ყურძენი უფრო ჩრდილავდა ფოთოლს, ვიდრე ფოთოლი ყურძენს, მტერსაც რომ დაენახა, იმასაც კი აუტგერდებოდა სიხარულით გული.

მაგრამ მაინც ეტყობოდა ვენახს ერთგვარი უყურადღებობა. დედას მზრუნველი ზელი აკლდა აქაურობას. სქლად

გამონაყარი ნამზრევი გაზრდილიყო, ერთმანეთში გაბმულიყო, გახლართულიყო და მზის სხივებს მტევნებისკენ არ უშვებდა.

ხვართქლსაც ერთიანად გადაეცლო ნათესზე, ლობიოს შემოხვეოდა, ზემოდან მოქცეოდა და მოეხრჩო, გაზრდის საშუალება არ მიეცა.

როგორც ეტყობა, დედამ არაფრად ჩააგდო ლობიოს მოცდენა. თვალუბგაბრწყინებული ისევ ვაზებს შესცქეროდა. მერე ჩემსკენ შემობრუნდა და წამოიძახა:

— უყურე ერთი, როგორ ასხია!...

ეს რომ თქვა, მერე ისევ ვაზებს შეხედა და განაგრძო:

— სულზე მოვეუსწარი. ხვალ რომ არ გავფურჩქნოთ და არ მოვწამლოთ, გაფუჭდება.

— შაბიამანი გვაქვს? — ციოხე დედას.

— შაბიამანიც გვაქვს და კირიც.

დედა ახლა იმ ადგილისაკენ გაემართა, სადაც წიწიკა, კომბოსტო, პამიდორი, ხახვი და მწვანილეული ეთესა.

იქაც ისეთივე სურათი დაგვხვდა. ძურწა ბალახში აღარც წიწიკა ჩანდა, აღარც კომბოსტო და აღარც პამიდორი. ხახვი და მწვანილეულობა სულ ერთიანად მოცდენილიყო.

— უი მომიკვდა თავი! უი, უი, უი, — თავი გადააქნია დედამ, — ხახვს აღარაფერი ეშველება, პამიდორისა და წიწიკის ჩითილს მეზობლებს გამოვართმევ და ხელმოვრედ დავრგავ. კომბოსტო ჯანდაბას აღარ გამოვეკიდები, არც მაქვს ამის გული. ან ამდენ ყურძენს რა თავში ვიზლი, ჩემი შვილები აქ არ იქნებიან და ღვინოს ვინ დამილეგს... — კვლავ ძველებურად მოსტქვამდა დედა.

აღარ დაგვიყოვნებია. თუთის ქვეშ ჩრდილში ჩამოვსხედით, ტკბილი ხართუთით პირი ჩავიგემრიელებთ, ცოტა შევისვენეთ და ვაზის გაფურჩქნას შევუდექით..

გვინდოდა საქმე წინ წაგვეგდო და მეორე დღეს ვაზის შეწამლვა მოგვესწრო. მესამე დღეს კი ხელახლა უნდა

მოგვეთოსნა გაცდენილი მერე და მერე კისა და პამიდორის ჩითილი დაგვერგო.

მზის ჩასვლამდე ვენახი უკვე გაფურჩხული გვქონდა. წამლის დასაყენებლად წყალიც მოვიმარაგეთ კასრში, მერე ცოტა შევისვენეთ და შინისაკენ გავეწიეთ.

VIII

ჩვენი სახლი მდინარე თემშის ხეობას ზემოდან გადაჰყურებს. ეს სახლი მაშინ აღუშენებიათ მამას და ბიძაჩემს, როცა მე დავბადებულვარ. მანამდე რიყის პირად ჰქონიათ ერთი მიწური დარბაზი და იქ უცხოვრიათ.

მე არ ვიცი ჩემი წინაპარი როდის ჩამოსახლდა ქართლში, არც ის ვიცი რაკიდან წამოსულა თუ მესხეთიდან. ამას ორნახევარი საუკუნის ისტორია მაინც აქვს, დაახლოებით ვახტანგ მეექვსის დროის ამბავია.

დაწვრილებით აბა ვინ იცის, მაგრამ გადმოცემა ასეთია: ორნი ძმანი წამოსულან აქეთ, ერთი ნოსტეში დასახლებულა, მეორე ჩვენს სოფელში. ჩემს საწყალ წინაპარს ოშორაში ფეხის დასადგმელი ადგილი რომ ვერ უშოვია, წერაქვი ზედ თემშის პირას დაუკრავს და ნახევრად მიწური დარბაზი გაუკეთებია. შემდეგ თანდათან გამრავლებულან, გაფართოებულან, დარბაზი დარბაზისათვის მიუმატებიათ და ჩემს ბავშვობას ერთი კალოსოდენა ადგილზე მთელი ჩვენი საგვარეულო ცხოვრობდა, დაახლოებით თხუთმეტამდე ოჯახი.

პაპაჩემი შაქარა ძმებს რომ გაყრია, იმასაც ამ ადგილზე გაუკეთებია საკუთრივ ნახევრად მიწური დარბაზი. მერე ერთაწმინდელი კორკოტაშვილების ქალი — ტასო ცოლად შეურთავს და შვიდი შვილი გასჩენია: ხუთი ვაჟი და ორი ქალი. გაზაფხულობით, როცა თრი-ალეთის მთებში თოვლი დადნებოდა ან დიდი წვიმა მოვიდოდა, უნდა გენახათ რა დღეში იყვნენ საწყლები. ადიდებულნი თემში პირდაპირ მიწურებში უჯარდებოდათ და აკენიან ბავშვებს, ტახტს,

ამბარს, თუ რამე ედგათ სახლში, მალე ატივტივებდა. იყვნენ თურმე ერთ ვაწამაწიაში.

მერე მამაჩემი წამოზრდილა (უფროსის მომდევნო იყო). პაპაჩემის ძმის ვაბოს, ვაგლენიან მეტივეს, უფრო სწორად მეტივეების უსტაბაშს, თხუთმეტი წლის მამა ტივით თბილისში ჩამოუყვანია, ხეტყის სახერხი ქარხნის მეპატრონე ვილაც სომეხ კაპიტალისტისათვის მიუბარებია და უთქვამს: ჩემი ძმისწულია, ყოჩაღი ბიჭია, ამუშავე, მხოლოდ მძიმე საქმეს ნუ დაავალებ, ჯერ პატარააო.

ამ ქარხანაში დავაყვავებულა მამა, მხერხავის ხელობა შეუსწავლია და ისეთი მუშაკაცი დამდგარა, მთელს ქარხანაში ბადალი არ მოეპოვებოდა თურმე. დაზგაზე მორის დადებას თუ ოთხი-ხუთი კაცი სჭირდებოდა, მამა ხელის ერთი ამოკვრით შეაგდებდა.

მამასაც უთქვამს და სხვებისაგანაც ბევრჯერ გამიგია ასეთი ამბავი: ერთხელ თურმე ჩვენებურები კავთისხევში წასულან დღეობაში. იქ დიდი ქართული ჭიდაობა გამართულა. კავთისხევის თავადს მალალაშვილს თავისი ფალავანი გადმოუყვანია და ხოვლეს თავად ჭავახიშვილისათვის უთქვამს: შენი ბიჭებიდან ვინც გინდა დასჭიდებო (თეძამის მარცხენა მხარე ჭავახიშვილების სამფლობელოში შედიოდა).

ჭავახიშვილს თავისი ფალავანი გადაუყვანია, მაგრამ კავთისხეველს იმ წუთას დაუგდია ზურგზე. მეორე გადაუყვანია და ისიც ლავაშივით გაუკრავს მიწაზე. გათამამებული და გათავზედებული კავთისხეველი თურმე ჩოხას არ იხდიდა. წრეს ცეკვით უვლიდა გარშემო და ხმამაღლა გაიძახოდა: სანამ კიდევ სხვას არ გადმომიყვანთ, ჩოხას არ გავიხდითო.

შეწუხებულა ჭავახიშვილი და თავის მხრივ ბიჭებისათვის მიუმართავს: ვინა ხართ ვაჟკაცი, ამ სირცხვილისაგან ვინ მიხსნითო.

ყველა გაჩუმებულა. მაშინ მამა წა-

მომდგარა წინ და უთქვამს: მე დავადებთო.

— ვისი ბიჭი ხარო? — უკითხავს თავადს.

— ჩემი ძმა არის — უთქვამს ბიძაჩემ აბრამას, მამაჩემის უფროს ძმას, რომელიც კარგად იცნობდა ჭავახიშვილს.

თავადს აუწონ-დაუწონია მამა, მოსწონებია და დათანხმებულა.

კავთისხეველმა ცეკვით ჩამოუქროლა თურმე, საყელოში სტაცა ხელი, რომ კისრულით წამოედო, მაგრამ მოტყუვდა: მამამ მაგნიტევით მიიტაცა ახლოს, ასწია და თავლის დახამხამების უმაღლურგზე ზღართანი მოადენინა.

ხალხის ყრიაბულმა იქაურობა შესძრა თურმე.

— არ არის! — იყვირა შეწუხებულმა მალალაშვილმა.

— არის! — დაიძახა ჭავახიშვილმა და შეიქმნა ერთი აყალ-მაყალი, მაგრამ ხალხმა მხარი თავიანთ თავადს დაუჭირა და ჭიდაობა ხელახლა გაიმართა. ნირწამხდარ კავთისხეველს საცეკვაოდ უკვე აღარ ჰქონდა საქმე და ფრთხილად დაიჭირა თავი. შორიდან ჩამოუქროლა მამას, კვლავ საყელოში უნდა ჩაეკლხო ხელი, მაგრამ ვერ შეებედა, განზე გაუხსლტა და ჩოხის კალთები ამაოდ შეისწორა.

ხელახლა ჩამოუქროლა კავთისხეველმა მაგრამ ამჯერად ვეღარ დაუხსლტა მის მარწუხებს. მამამ წწელივით დაგრიხა, დაფუყულ ტომარასავით მიწაზე ათრია, რომ ხალხს კარგად დაენახა, რა ვაუკაციც იყო კავთისხეველების ფალავანი, მერე ზურგზე მოიგდო ბატკანივით, კისერზე გადმოატარა და მიწაზე ზურგივით დასცა.

— არც ახლა არის? — იყვირა გაბარებულმა ჭავახიშვილმა.

— არის, არის! — იგრგვინა ხალხმა.

მამამ ჩოხა არ გაიხადა, კიდევ გამომიყვანეთო, მაგრამ ჭავახიშვილს არ გაუშვია საჭიდაოდ: მჯობზე მჯობი ქვეყანაზე არ დაიღვეა, იქნებ შენზე ძლიერი სხვა გამოჩნდეს და შევრცხვით, ასე

სჯობია, გამარჯვებულები დავრჩეთ, და ჩოხა გაუხდევინებია.

იმავე წუთს უხშია ბიძაჩემი აბრამა, ბართი მიუცია და უთქვამს: რახან შენმა ძმამ ჭავრი ამოყარა, წადი და ჩემი ტყიდან რამდენი შეშა და ფიჩხიც გინდა, რამდენი სამას-ლე ხე-ტყეც გჭირდება გამოიტანო.

ასე დაუსაჩუქრებია მამა ჭავახიშვილს.

ხე-ტყის სახერხე ქარხანაში ფულსაც კარგად აკეთებდა თურმე მამა. დღიურად სხვას რასაც აძლევდნენ, ორჯერ იმაზე მეტს მამა ლებულობდა.

ჩაქმაც ჰყვარებია. ყარაბაღელის ჩოხა-ახალუხში იყო მუდამ გამოწყობილი და წილზე ვერცხლის როკიანი ქაშარი ერტყა. თითებს ბაჯაღლო ოქროს ბეჭედები უმშვენებდა. ის რომ სოფელში ჩავიდოდა, ყველა მას მისჩერებოდა.

მიუხედავად ამისა, მაინც ვერ გაუმართლა ბედმა მამას. ვერც ჩაქმულობამ, ვერც ვეჯაკობამ და ვერც მისმა გარეგნულმა მოხდენილობამ მაინც ვერ მოიგო იმ ერთი ლამაზი გოგოს მშობლების გული, რომლის სიყვარული მოსვენებას არ აძლევდა არც დღე, არც ღამე.

მამას თურმე თავისი მეზობელი სალომე უყვარდა. სალომესაც ჰყვარებია მამა. ეს სიყვარული იმდენად ძლიერი ყოფილა, რომ მიუხედავად თავისი ოჯახური მდგომარეობისა, მაინც გაუბეღია და მაჭანკალი მიუგზავნია სალომეს მშობლებსათვის.

მათ ცივი უარი უტკეციათ მაჭანკლისათვის და ხელცარიელი უკან გამოუსტუმრებიათ.

ბევრი უფიქრია მამას და გამოსავალი უპოვია. აღდგომა დღეს, როცა მთელი სოფელი ეკლესიაში ყოფილა რიტუალზე, მამა სალომეს საჭაროდ მოხვევია, უკოცნია, თავიდან მანდილი მიუხეზია და თან წამოუღია. ზუსტად ისე, როგორც „სურამის ციხის“ პერსონაჟმა ღურმიშხანმა გააკეთა.

ასე იმიტომ მოქცეულა, რომ სალომეს აღარავინ ითხოვდა და ძალაუნებურად მას გააყოლებდნენ.

მაგრამ, მამა მოტყუედა.

წინათ თურმე ოშორელი ვაჭრი არასოდეს დაქორწინდებოდა ოშორელ ქალზე და პირუტყუ, ოშორელი ქალი არასოდეს გათხოვდებოდა ოშორელ ვაჭზე. ყველა შინაურებად ითვლებოდნენ. დღეს ეს ასე აღარ არის, რადგან სოფელი საქმათად გაიზარდა, მაგრამ მაშინ ეს იყო დაუწერელი კანონი. ვინც ამ კანონს დაარღვევდა, იგი ისჯებოდა.

ამიტომ ყალუხზე დადგა მთელი სოფელი, ყველა მამას წინააღმდეგ ამხედრდა, ყველა გადაუდგა თვით ბიძაშვილები და ძალოებიც კი ხმას აღარ სცემდნენ, კიცხადნენ: ეს რა გააკეთა ამ უსინდისოზო.

ქალის მშობლებისთვის რა თქმა უნდა თავის მოჭრა იყო ეს ამბავი და გორში, სასამართლოში იჩიულეს (მაშინ გორის მაზრაში შედიოდა ოშორა).

და იი, დღინიშნა სასამართლოც. თითქმის მთელი სოფელი დაიძრა გორისაკენ. მოწმეთა შორის მამას ძალებიც იყვნენ. მამა კი მართლ წარსდგა სასამართლოში, კაცი არ ამოსდგომია მხარეში.

— ბა დავიწყეთ სასამართლო! — ბრძანა მოსამართლემ და ქალის მშობლებს მიმართა, — გვითხარით, რას უჩივით ამ ვაქს?

— საქვეყნოდ თავი მოგვეჭრა, თავს ლაფი დაგვასხა, შინიდან თავი ვეღარ გამოგვიყვია გარეთ. ჩვენს ქალს აყოცა!...

— მართლა აყოცე, ბიჭო? — მიუბრუნდა მოსამართლე მამას და თავით ფეხამდე შეათვალიერა.

— ვაკოცე ბატონო და თუ ეს დანაშაულია, დამსაჯეთ!

— რატომ აყოცე, მერე?

— მიყვარს და იმიტომ ვაკოცე!

— ცოლად გინდა შეირთო?

— დიხ, ცოლად მინდა შევირთო და არ მაძლევენ!

— რატომ არ გაძლევენ?

— რა ვიცი, მის მშობლებს ჰკითხეთ!

— რატომ არ აძლევთ? — მიუბრუნდა მოსამართლე სალომეს მშობლებს, — ამ ბიჭს კაცი დაიწუნებს?

— ჩვენ არ ვწუნობთ, ბატონო!

— აბა რა არის მიზეზი?

— ვერ არ მომხდარა ომორელ ვაქს თავისი სოფლის ქალი შეერთოს ცოლად, მითუმეტეს ისეთი ახლო მეზობლის, როგორც ჩვენა ვართ.

— ეს დრომოკმული ადათია და მიზეზად არ გამოდგება. დიდი ამბავი, მეზობლის ქალი შეერთოს ცოლად. თუ კი უყვართ ერთმანეთი, რატომ არ უნდა შეერთონ, ქვეყანა დაინგრევა?

— საქმეც მაგაშია, რომ არც ჩვენ ქალს უყვარს.

— რა იცით, რომ არ უყვარს, აბა გვითხით? — სთქვა მოსამართლემ და სალომეს მიუბრუნდა, — სიმართლე გვითხარი გოგო, გიყვარს თუ არა ეს ბიჭი?

ქალმა თავი ჩაღუნა და ატირდა.

— თქვი, თუ არ გინდა, ძალას არაფერ დაგატანს, თუ გინდა, არც ეგაა სარცხელი!

ქალი სდუმდა.

— იცოდე, თუ სიმართლეს არ იტყვი, ამით შენ თავს დააზიანებ.

ქალი კვლავ სდუმდა და ცრემლები ჩამოსდიოდა.

— უთხარი, გოგო, რომ არ გინდა. რა თავი ჩაგიღუნია?.. — მუქლუგუნი წაპკრა დედამ.

— არ გინდა, ხომ? — ჰკითხა საბოლოოდ მოსამართლემ სალომეს და რადგან მისგან პასუხი ვერ მიიღო, მშობლებს უთხრა:

— იი, ხომ გითხარით ქალსაც ჰყვარებია თქვენ კი ამბობთ, არ უყვარსო. რატომ იღებთ კისერზე ამათ ცოდვას?

— არ უყვარს, ბატონო! ხომ გეუბნებით, არ უყვარს, რცხენიან და არ ამბობს!

— რომ არ ამბობს, ეგ იმის ნიშანია, უყვარს. აბა გეტყვის, მიყვარსო?

— არ უყვარს, ბატონო! ხომ გეუბნებით არ უყვარს-მეთქი! — გაკაპასდა სალომეს დედა, — და გინდაც უყვარდეს, მაინც არ მივცემ, ჩემი ნებაა და არ მივცემ!

— რატომ არ მისცემ, რა აქვს ბიჭს თქვენი დასაწუნი?

— არაფერი, ბატონო, ბიჭი კარგია, მაგრამ არ რატომ არ მივცემ, — ზეზე წამოვარდა ქალი, რაც ძალა და ღონე ჰქონდა იატაკს ფეხი დაჰკრა და თქვა: — იმიტომ არ მივცემ, რომ საქალამნე მიწა არ აბადიანთ, რა ვუყოთ რომ ბიჭი კარგია!

— აა... ვასგებია ყველაფერი... — თქვა მოსამართლემ, ზეზე წამოდგა და განაცხადა, — სასამართლო დამთავრებულია, წაბრძანდით!

— განაჩენი? — იყვირეს დარბაზიდან ქალის ნათესავებმა.

— ერთი კოცნის გულისათვის ამ ბიჭს ციხეში ვერ ჩავსვამთ, სადაც გინდათ, იქ იჩივლეთ!

— გორიდან რომ წამოვედით და ჩვენს სადგურზე ჩამოვედით, — იგონებდა ხოლმე ხშირად მამა, — ყველანი ეტლებში ჩასხდნენ და გზას გაუდგნენ-სულ ბოლოს მეც დავიკავე ეტლი.

— ახლა შენთან ერთი სათხოვარი მაქვს, — ვუთხარი მეეტლეს და თითოთ ვანიშნე იმ ეტლზე, რომლითაც ქალის მშობლები, ძმები, ბიძაშვილები ომორისაკენ მიჰქროდნენ, — თუ იმათ გაუსწრებ, ომორამდე რაცა ღირს, ზუთ იმდენს მოგცემ, ოღონდ აქცივისას კოფო კოფოს უნდა გაურტყა.

— ეგვეც რომ არ იყოს, ჩემი თავი შენ გენაცვალოს! — თქვა მეეტლემ და ცხენებს მათრახი გადაუჭირა.

ეტლი უცბად მოწყდა ადგილს და რამდენიმე წუთში სამი თუ ოთხი ეტლი ჩამოვიტოვეთ უკან.

ახლა იმ მეხუთესათვის უნდა გაგვესწრო, რომელშიაც ჩემი მომიხენები ისხდნენ.

მეეტლემ ლაგამი მოსწია მარჯვნივ, ცხენებს ხელახლა გადაუჭირა მათრახი და აქცივისას ისე მაგრად გააქრევინა კოფო კოფოს, რომ ეტლი კინალამ გადაბრუნდა. შეშინებულებმა ყველამ ჩვენსკენ მოიხედეს. მე ამ დროს ვიხელთე მომენტით და ერთი ისეთი მაგარი შეგუქურთხე, ჩემი ბოლმა და ვარამიც თან

გავაყოლე. ამითლა ამოვიყარე ჭაერი.

იმის შიშით, რომ მამას კიდევ სხვა ხათბალა არ აეტეხა, ქალი სასწრაფოდ გაუთხოვებიათ გორის რაიონში, სოფელ კარალეთში, შეძლებულ, მაგრამ თავისზე ბევრად ხნირ კაცზე და მამაჩემსაც აღარ დაუხანებია, მათს გამოჯავრებით იმავე შემოდგომაზე შეურთავს დედა. გაბრაზებულ და გამწარებულ მამას შემდეგ გენერალ მახნიაშვილისგან ნაკვეთი უყიდია იქვე ახლოს, სადაც ახლა ჩვენი სახლი დგას, და ძმებთან ერთად ხუთოთახიანი სახლი აუშენებიათ. ბოლოს იმდენი მამული შეუქენიათ, რომ ვეღარც კი ვერეოდით მის დამუშავებას.

მამა ამაყობდა თავისი საკუთარი შრომით რომ ჰქონდა შეძენილი..

— ეს მამული რომ მქონოდა მაშინ, იმ გოგოს ხომ არ დამიჭერდნენო, — იტყოდა ხოლმე ხშირად და უხაროდა, რომ ამიერიდან უმიწაწყლოდ აღარ იწოდებოდნენ სოფელში, რომ სხვაზე მეტი მიწაწყალი ახლა მას დ: მის ძმებს ჰქონდათ.

როცა ოშორაში კოლმეურნეობა ჩამოყალიბდა, მამაჩემს საკუთარი ხელით დაუწერია განცხადება და თანაც უთქვამს:

— აჰა, ჩემი მამული ჩემი სურვილით ჩამიბარებია თქვენთვისო.

IX

სამ დღეს დავრჩით ოშორაში. არასოდეს შემხვედრია იგი ისე ვულჩათხრობილი, როგორც ახლა, არ ვიცი მე მეჩვენებოდა, თუ ეს სევდა მისი საუკეთესო ვაჟაკების ფრონტზე წასვლით იყო გამოწვეული. ნახევრად დაცარიელებული დამხვდა სოფელი.

ფრონტზე წასულიყვნენ ჩემი ბიძაშვილები, მამიდაშვილები, მეზობლები, ნათესავები, ჩემთან თანშეზრდილი ბიჭები. ნაწილი დღე-დღეზე აპირებდა გამგზავრებას. ქალების, ბავშვებისა და მოხუცების ამარა რჩებოდა ოშორა.

თბილისში იმდენად არ იგრძნობოდა ეს დანაკლისი, მაგრამ სოფლად მაშინვე

თვალში გეცემოდათ. ჩემი ბიძაჩემს ნიდან თითქმის ყველა გახვეტილიყო. მე რომ დამინახეს, კიდევაც გაუკვირდათ. აღბათ იმიტომაც შემომხედავდა ხოლმე ხშირ-ხშირად ის ბერიკაცი, ეტლთ რომ ვიმგზავრეთ ერთად.

მე უკვე მრცხვენოდა შინიდან თავის გამოყოფა. რას იტყოდა ხალხი: ომში ქალებიც კი მიდიან, ეს ვირგლა კი სახლში ზისო. ერთი სული მქონდა როდის ჩავიდოდი თბილისში, მივსულიყავი კომისარიატში და მანამდე არ მომეცვალა იქიდან ფეხი, სანამ არ გამაგზავნიდნენ.

სამი დღის განმავლობაში, თუ რაიმე საქმე გვექონდა გასაქეთებელი, მოგათავეთ. პირველ რიგში ვაზი შევწამლე შაბიანის ხსნარით, მერე დედამ და მე გაცდენილი კვლები ხალახლა გავთოხნეთ, მაშიდორისა და წიწკის ჩითილი დავრგვეთ და მოვრწყეთ. მეოთხე დღეს აფიკარით გულდანაბადი და თბილისისაკენ გამოვწიეთ.

მატარებელიდან სიმწვანეში გაფანტულ სოფლებს, რომ გავხედე, გულმა ისევ დამიწყო ჩქოლოვა, როგორც ჩასვლისას მემართებოდა ხოლმე.

სულის შეძვრამდე მიყვარს ეს მრავალგზის გადამწვარი და იავრაქნილი, მაგრამ ისევ მრავალგზის მკვდრეთით აღმდგარი კუთხე, თავისი ბებერი კოშკებითა და ქონგურებმორღვეული ციხე-გალავნებით, ტაძრებით, მამაპაპათა სალოცავებით, დიდგორით, ერთაწმინდით, ცხირეთით, ნოსტიო, მეტეხით, რკონით, იკვით, ღრისით, კლკლეკარით, თედორეს ნიშით.

გამახსენდა შალვას სიტყვები, ორთაჭალის გამნაწილებელ პუნქტში ნახვისას ნაზის ჩუმად რომ მითხრა: ომში ბევრი მიდის, მაგრამ უკან ყველა ვერ დაბრუნდება. რა ვიცით, კაცი ვართ, იქნებ...

მართლაც იქნებ... იქნებ უკანასკნელად ვხედავდი მათ, უკანასკნელად შევეცქეროდი ჩემი ადგილის დედას... რა ვიცი, რა ვიცი...

ისე მეჩვენებოდა, თითქოს ისინი ხელს მიქნევდნენ. ომში მიმავალს, მაცილებდნენ, მამხნევედნენ, ლოცვა-კურ-

თხევას მატანდნენ თავიანთ სისხლსა და ხორცს, ვერაფერ მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

შევეყრებდი თრიალეთის ტყეებს და თედორეს აჩრდილი არ მცილდებოდა თვალთაგან. თითქოს ცხადად ვხედავდი ეს ანაფორიანი ქართველი კაცი როგორ დააწოწიალებდა გზადაბნეულ ოსმალთა ჯარს ვოსტიბის უღრანებში.

ათასიანი ფიქრები ირეოდნენ ჩემს თავში. განსაცდელში ჩავარდნილ ჩემს სამშობლოს სწორედ რომ თევდორესთანა თავდადებული ადამიანები სჭირდებოდა დღეს. ვეკითხებოდი ჩემს თავს, შევძლებდი თუ არა ჩემი დიდი პაპის ტოლობას, მეყოფოდა თუ არა ნებისყოფა, რომ მეც ისე რაინდულად და ვაჟკაცურად მიმეტანა ჩემი სიცოცხლე სამშობლოს სამსხვერპლოზე, როგორც მან მიიტანა.

თბილისში რომ ჩამოვედი, ნაზიმ ამხანაგების წერილი გადმომცა. ისინი მწერდნენ: რამდენჯერმე მოგაკითხეთ შენ და თედოს, მაგრამ სოფელში იყავით წასულიო. შემთხვევით შევიარეთ კომისარიატში ამბის გასაგებად. თბილისის საავიაციო სასწავლებლიდან მოთხოვნა მიეღოთ და მაშინვე იქ გვიკრეს თავიო. თან სწუხდნენ, მათთან ერთად არ ვიყავით მე და თედო.

ამ ამბავმა გული მატყინა. ნეტავ სულაც არ წავეყოლოდი დედას სოფელშიმეტქი, ვამბობდი და ძლიერ განვიცდიდი მათ დაშორებას.

მაშინვე თედოს გავუარე ბინაზე, მინდოდა ერთად მივსულიყავით კომისარიატში და იქნებ რამეს გავმხდარიყავით, ჩვენც გავეგზავნეთ საავიაციო სასწავლებელში, მაგრამ თედო შინ არ დამხვდა. ჯერ არ ჩამოსულა სოფლიდანო, მითხრეს მეზობლებმა.

უკან გამოვბრუნდი, ფიქრებში გაძეძილმა ვერც კი გავიგე, როგორ მივუახლოვედი ჩოდრიშვილის ქუჩას. კომისარიატის წინ ისევ ისევ მოქარებულიყო ხალხი, ისევ ისე დგებოდა ჯგუფები ორმოცი, ორმოცდაათი კაცის შემადგენ-

ლობით და მიჰყავდათ ზოგი საით, ზოგი საით.

კვლავინდებურად იყო ერთი გნიასი და ალიაქოთი.

უცხად ხალხით გაჭედულ ეზოს შესასვლელში რაღაც ჩოჩქოლი შეიქნა.

— გზა მიეციო, გზა მიეციო! — ატყდა ყვირილი.

ხალხი გაირღვა და გამოჩნდა ომში მიმავალი ბიჭების ჯგუფი, რომელსაც წინ ის დაბალ-დაბალი, ჩასუქებული კაპიტანი მიუძღოდა, ამას წინათ შალვას ჯგუფი რომ წაიყვანა ორთაქალის გამანაწილებელ პუნქტში.

კაპიტანს მარცხენა ხელში ისევ ისევ ეჭირა ერთმანეთზე დაწყობილი ქაღალდები, მარჯვენა მძლავრ აეწია და ხალხს მოუწოდებდა გზა დაეთმოთ მათთვის.

ომში მიმავალი ბიჭები მხიარულად იცინოდნენ, მასხრობდნენ. ზოგი რას იძახდა, ზოგი რას.

— არ დაიდარდოთ, ხალხო! — ხმამაღლა ამბობდა ერთი მაღალ-მაღალი, წარმოსადგევი ახალგაზრდა მუშა და ცალი თვალთ თან იმ ლამაზ ქალიშვილებს გასცქეროდა, იქვე, მოპირდაპირე მხარეს, ტროტუარის ჩასწვრივ, დიდი ვერხვის ჩრდილქვეშ ჯგროდ რომ იყვნენ შეკრებილი.

მუშამ ახლა მათ აუქნია ხელი.

— გოგოებო, არ დაიდარდოთ, უჩვენოდ არ მოიწყინოთ, მტერს დედას ვუტირებთ, ჩამოვალთ და ისეთი ქორწილები უნდა გავაჩაღოთ, თქვენ რომ გავგებარდებათ.

ხალხში სიცილი ატყდა. გოგოებსაც გაეცინათ. ერთმა მათგანმა, ყველაზე თამამი რომ ჩანდა, ბიჭს ყვავილი ესროლა და მოხდენილი კისკისით თან მიადახა:

— ოღონდაც გამარჯვებული დაგვიბრუნდით და გაძლევეთ პირობას, სიყვარულში არ გავაწუხილებთ!

— ოი შენ გენაცვალე, გოგო! — წამოიძახა ბიჭმა, ქალისაგან ნასროლი ყვავილი მარჯვედ დაიჭირა, სამჯერ აკოცა და მერე სევდიანად ჩაიღიღინა:

ჩვენს ეზოში წვიმა მოდის,
 თქვენს ეზოში დარია
 მე და შენი დაშორება,
 სულ ჰიტლერის ბრალია.

ხალხი ზოგი იცინოდა ამ სიტყვებზე,
 ზოგი ტიროდა.

— გოგოებო, — წამოიძახა ახლა მეორე ბიჭმა, პირველს მხარს რომ უმშვენიებდა, — თუ ვერ დაგიბრუნდით უკან, თალხებს ნუ ჩაიცმევთ. ცოცხლებად გვივლეთ, სამშობლოს სადარაჯოზე გვივლეთ!..

ჯგუფს უკან ფეხდაფეხ მოჰყვებოდა ფართო მხარბეჭიანი რკინიგზელი, რომელსაც ხელში ტყუბისცალეები ატარებინა. ბავშვები სამი წლისანი იქნებოდნენ. მამას მკერდში ჩაკვროდნენ და თან კისერზე ხელი გადაეხვიათ.

მამა ვადაკრულში იყო. შვილებს კოცნიდა და თან ხმამაღლა გაიძახოდა:

— ხალხო, ჩემი ბიჭებით მივდივარ ომში. დედას ვუტირებ ჰიტლერს, თუ იმისი თავი საქართველოში არ ჩამოვიტანოთ.

კაპიტანმა ჯგუფი შეაჩერა და რკინიგზელს მოუწოდა ბავშვები დედისთვის გადაეცა.

რკინიგზელი დაჟვია კაპიტანის ნება. ბავშვები ერთხელ კიდევ ჩაიკრა გულში, მაგრად დაკოცნა, მერე შეუღლეს მიუბრუნდა, რომელიც იქვე იდგა და უთხრა: გამომართვიო.

ბავშვებმა ტირილი დაიწყეს, მამას კისერზე ჩამოეკონწილნენ, თითქოს გრძნობდნენ, სადაც მიდიოდა მათი მამა.

— ამხანაგო კაპიტანო, ხომ ხედავთ, ბიჭებსაც უნდა ფრონტზე წამოსვლა, — მიმართა რკინიგზელმა მეთაურს, — წავიყვანოთ, გაძლევთ სიტყვას, არ შეგვარცხვენენ!

კაპიტანს გაეცინა და თან ხელით ანიშნა, ნუ გვაყოვნებო.

რკინიგზელმა ერთხელ კიდევ დაკოცნა ტყუბები.

— ამა შვილებო, — უთხრა მოფერებით, — ძია კაპიტანი ნებას არ გაძლევთ ომში წამოხვიდეთ, ჯერ ბატარები არიანო. მიდით დედიკოსთან, მე მალე ჩა-

მოვალ და კანფეტებს ჩამოგიტანთ, მიდით გენაცვალეთ.

ბავშვების დედამ ძლივს ააგლიჯა ისინი მამის ფართო მკერდს.

რკინიგზელი შეუღლეს მიუბრუნდა.

— ჯერ არაფერი მითხოვნია შენთვის. რაც ჩემი ცოლი ხარ, ახლა უნდა გთხოვო, კარგად მოუარე ამ ლომა ბიჭებს. თუ ცოცხალი ჩამოვედი, მე ვიცა და ჩემმა კაცობამ, თუ არა და მაპატიე რომ მარტოს მოგიხდება უღლის წევა. ჩემი საპალნის გაწევაც შენ მოგიხდება მართო, გაგიკირდება, მაგრამ თუ ყოჩაღად მოიქცევი, გაიტან ცხოვრებას, მერე ეს ლომგულებიც წამოგეწევიან და შენ აღარ გაგაწევიანებენ უღელს, ჩემს მაგივრად გადაგიხდინა სიკეთეს.

რკინიგზელი სიტყვებს ისეთი გრძნობით ამბობდა, ქვის გული რომ ჰქონოდა ადამიანს, მაინც ააცრემლებდა. ასე დაემართა ყველას, ვინც ამ სურათს უყურებდა.

რკინიგზელის გვერდით იდგა ახალგაზრდა, მხრებში გაშლილი ქერა სახის ვეკაცი. ჩალისფერი ხვეული თმები ლამაზად ჩამოშლოდა შუბლზე და თავისი მოხდენილი ჯარჯვანობით უნებურად იპყრობდა ყველა იქ დამსწრის ყურადღებას. იგი ოცდაერთ-ოცდაორი წლისა იქნებოდა, დიდი ცისფერი თვალები, მუქი ჩალისფერი თმა, გადაკალმული, მოშვილდული წარბები და საოცრად მიმზიდველი, კოლორიტული სახე ყოველ ადამიანში ცნობისმოყვარეობას ბადებდა.

სხვას თუ მრავლი გამცილებელი გამოეყოლოდა თვახიდან, ამ რუს ახალგაზრდას არავინ აცილებდა ერთი სიმბატიური მოხუცი ქალის გარდა, რომელიც გვერდიდან არ შორდებოდა მას. ეტყობა ბებია იყო. თვალცრემლიანი შეყურებდა ცხოვრებაში ჯერ კიდევ გამოუცდელ, მიაშიტ ყმაწვილს და ლოცვა-ვედრებას ატანდა თან.

როცა რკინიგზელი საბოლოოდ დაემორჩილა კაპიტანის ბრძანებას და კაპიტანმა კი მისი მიზეზით შეჩერებული ჯგუფი ხელახლა დაძრა იდგილიდან,

მოხუცს თითქოს მაშინ გაახსენდა რა-
ღაც.

— ვიტალი! — შეჰყვირა მან და შეი-
ლოშვილისავე გაექანა, რომელიც აღარ
აპირებდა მწყობრიდან გამოსვლას,
მაგრამ იძულებული გახდა ერთი წუ-
თით შეჩერებულიყო.

მოხუცი ახლოს მიიჭრა. სამჯერ გადა-
სახა პირჯვარი, მერე ერთხელ კიდევ
ჩაიკრა გულში და ატრეებული უკან გა-
მობრუნდა.

— დედას ვუტრებთ მტერს, თუ ჰი-
ტლერის თავი საქართველოში არ ჩა-
მოვიტანოთ! — კვლავ გაისმოდა შე-
ზარხოშებული რკინიგზელის ომახიანი
სიტყვები.

აღარ გაეჩერებულვარ იქ და აღარც
შემეძლო ამისთანა ამბების მოსმენა.
როგორც იყო, ხალხი გავარდევე და
ჭიქურ შევიჭერი კომისარიატის შენო-
ბაში.

კომისარიატის მუშაკები ისევ ისეთ
გაწამაწიაში იყვნენ, როგორც ომის დაწყ-
ების პირველ დღეს ვნახე. გარბოდნენ
და გამობრბოდნენ გრძელ დერეფნებში,
ოთახიდან ოთახებში. ეძებდნენ საბუ-
თებს და აღვენდნენ გასაგზავნთა სიებს.
მათ სახეზე ამოკითხავდით იმ მომქან-
ცველი შრომის ანაბეჭდს, რომელსაც
ეწეოდნენ ისინი გათენებებიდან დაღამე-
ბამდე ამ შეხუთული შენობის ნახევრად
ჩაბნელებულ დარბაზებში.

ღრო ვიხელთე. როგორც კი ფეხი შე-
ვდგი კომისარის კაბინეტში, მაშინვე
გლახასავით დავეღრიჯე და ვთხოვე გი-
ვეგზავნე საავიაციო სასწავლებელში,
სადაც ჩემი ამხანაგები ჩაირიცხნენ.

კომისარი უკმეხად შემხვდა.

— ხომ არ გგონიათ თქვენს ვარდა, მე
სხვა საქმე არ მქონდეს? — თითქმის მი-
ყვირა მან, — აბა შეხედე რა ამბავია.
წაბრძანდი და დაელოდე გამოძახებას.

— ძალიან ვთხოვთ, ამხანაგო კომისა-
რო...

— ნურაფერს ნუ მოხოვ. ახლა გვი-
ანია ყველაფერი. წაბრძანდი!

ეს სიტყვები ისე მკვახედ მომახალა
მან, შეურაცხყოფილად ვიგრძენი თავი.

უსიტყვოდ გამოვბრუნდი უკან და
დავწყვიტე არასდროს მივსულიყავი
მათთან, სანამ თვითონ არ გამოძახებ-
დნენ.

იქიდან საავიაციო სასწავლებლისა-
კენ გავწიე. მინდოდა მენახა ჩემი მეგო-
ბრები და შემეტყო, როგორ შეეგუენ
სამხედრო ცხოვრებას. თანაც საყვედუ-
რი შეთქვა, ჩემს გარეშე რომ გადადგეს
ეს ნაბიჯი და არ დამელოდნენ.

როგორც კი დავუახლოვედი საავი-
აციო სასწავლებელს, მის ეიწრო ეზოში
კურსანტები გამოეფინენ. ეტყობა, შე-
სვენება ჰქონდათ. ახალ-ახალ ფორმა-
ში იყვნენ გამოწყობილი და თამბაქოს
აბოლებდნენ.

შორიდანვე მოვკარი თვალი ლუტუს.
აქეთ-იქიდან სარგისი და კაოლო ამოს-
დგომოდნენ და რალაცაზე გულიანად
იციროდნენ. ძალზე უხედბოლად ავიაცი-
ის ფორმა, ამ ტანსაცმელში ერთი-ორად
დამშვენებულიყვნენ, ვაჟაკური რიზი
მისცემოდათ.

— ლუტუ! — შეექაბე შორიდან და
ხელი ავუქნიე.

დამინახეს თუ არა მაშინვე ჩემსკენ
გამოქანნენ.

— იმ თქვე უსინდისობო, — მი-
ვაძახე საყვედურით, — ეგაა მეგობრო-
ბა? ჩემს მტერს მისცა თქვენი იმედი.

ბიჭები აქეთ-იქიდან მეცნენ და კოცნა
დამიწყეს.

— გადმოგცეს წერილი? — მკითხა
ბოლოს ლუტუმ.

— მერე ის წერილი უშველის საქმეს?

— ჩვენი ბრალი არ არის, მოულოდ-
ნელად მოხდა, — განაგრძო ლუტუმ. —
კომისარიატში შემთხვევით შევიარეთ.
გვინდოდა კომისარს მოვლაპარაკებო-
დით, რომ უახლოეს დღეებში მაინც გი-
ვეგზავნეთ ფრონტზე. მას საავიაციო სა-
სწავლებლიდან მოთხოვნა მიეღო ერთი
საათით ადრე. არც დაუყოვნებია. ორ-
მოცდათ კაცამდე სასწრაფოდ მოგვიყა-
რეს თავი და აქ წამოგვიყვანეს, ისე რომ
შინაც არაფერი იცოდნენ ამის შესახებ.
ის წერილი ერთ ნაცნობს გამოვატანეთ
თქვენთან.

— კომისარიატში რომ გაგველო და გეტხოვრა, იქნებ გამოეშვი ჩვენთან!

— დაუმატა სარგისმა.

— ახლა იქიდან მოვდივარ, თელეთის გლახასავეთ დაველრივე კომისარს და ვუთხარა: სადაც ჩემი ამხანაგები, მეც იქ გამოეშვი-მეთქი, მაგრამ უარი მტკიცა. გვიან არისო. რას ვიზამ, უნდა დავმორჩილდე ბედს, სადაც მომიწევს, მეც იქ წავალ!

— სამწუხაროა, ჩემო ვაჟა, ბარემ კარგი იქნებოდა ერთად გყოფილიყავით, მაგრამ რა ვქნათ... — დანანებით თქვა ლუტუმ, — რაღა მაინც და მაინც იმ დღეს წახვედით სოფელში. არც თედო დაგვხვდა შინ. ხომ არ წაუყვანიათ?

— არა მგონია. დღეს ვიყავი მასთან და მეზობლებმა მითხრეს სოფლიდან არ ჩამოსულაო... რამდენ ხანს უნდა ისწავლოთ ამ სკოლაში?

— ექვს თვეს. ექვსი თვის შემდეგ უკვე მფრინავები ვიქნებით და ალბათ მტერსაც შევერკინებით.

— სწავლა ხომ არ გიჭირთ?

— არ გვიჭირს. სწავლა იმათ უჭირთ, ვინც მცირე მცოდნეა და არ გაუვლია მათემატიკის საშუალო კურსი.

— ისეთებიც არიან?

— რამდენიც გინდა! ახლა ვხვდები, რატომ არ გვაგზავნიდა კომისარი ფრონტზე. გახსოვს რომ გვეუბნებოდა? სამშობლოს სადაც უფრო მეტად გამოადგებით, იქ უნდა წახვიდეთო. ჩვენნიარი ახალგაზრდები უფრო სკოლებში მიჰყავთ. შენც სკოლაში მოგიწევს სწავლა, ჩემო ვაჟა. ამ ომს ისეთი პირი უჩანს, დიდხანს ვაგრძელებდა. ისე რომ, დამთავრდა ჩვენი სამოქალაქო ცხოვრება, ჩვენი სტუდენტური, სიხარულით სავსე ცხოვრება. უკვე ვგრძნობ, ბევრჯერ ვინატრებთ ამ ცხოვრებას და მიუწვდომელ ოცნებად გადაგვიქცევა იგი.

შენობის სიღრმიდან ზარის წკრიალი გაისმა.

— წავედით! — სევდიანად გამოიმოწოდა ხელი ლუტუმ და გადაიხეზია, — შეიძლება ჩვენ ვეღარასოდეს შევხვდეთ ერთმანეთს, ძმაო, ანდა შეიძლება შევ-

ხვდეთ, ოღონდ გვიან, ომის დამთავრების შემდეგ, თუ კი ცოცხლები გადავრჩებით. ვისურვებ ომის მსახვრალი ხელი არასოდეს შეგხებოდეს შენ და ბერლინის თავზე წითელი დროშის აღმართვის შემდეგ ისევ ისეთი მენახე, როგორსაც ახლა გხედავ. დაგვიოცნე ჩვენი თედო.

ლუტუმს ცრემლები მოერია. ერთხელ კიდევ გადაიხეზია და ჭერი ახლა სარგისსა და კარლოს დაუთმო.

XI

დაღონებულმა გამოეწიე შინისაკენ. მეგობრების ნახვამ ერთი-ორად აძინა და შორებით გამოწვეული სატყვივარი. ვინ იცის, სად მიკრავდნენ თავს, რა ნაწილში მოგხვდებოდი. მათ გვერდით კი ყოველთვის ადვილად ავიტანდი ქირსა და ლხინსაც.

ასე რომ არ ყოფილიყო, ივიაცა ყველაზე უფრო მეტად მიტაცებდა, ვიდრე სხვა რომელიმე დარგი. მფრინავობას ბავშვობიდანვე ვეტრფოდი და რამდენჯერ მიფიქრია საფრენისნო სკოლაში შეესულიყავი. მაგრამ ვერ ვულალატე ჩემი დიდხანს ოცნების იდეალს და ამიტომაც გულმა უნივერსიტეტისაკენ გამიწია.

ახლა კი, რა კარგი საშუალება მქონდა და ხელიდან გავუშვი. რაღა მაინც და მაინც იმ დღეს წავედით სოფელში, როცა ეს ამბავი მოხდა, ბრაზი მომდიოდა ჩემ თავზე.

სახლისაკენ აღარ გამიწია გულმა. მთელი დღე ხეტილში დავალამე. შინ გვიან მივედი. მეგონა ჩვენებს ეძინებათ მეთქი, მაგრამ ფეხზე ტრიალებდნენ. ახალციხიდან შალვას წერილი მიეღოთ და მზიარულ ხასიათზე დამდგარიყვნენ.

— კარგ ადგილას მოხვედრილ! — ვანუთემე დედა, — ფრონტზე წასვლა არ მოუწევს.

— მეც მგას ვეუბნებოდი, ამ წუთის, — ხმა ამოიღო მამამ, — ახალციხე სამხრეთის საზღვარია და იქიდან ჭარს არ მოხსნიან, ფრონტზე არ გავაგზავნიან.

— რა თქმა უნდა, არ მოხსნიან! — კვერს უკრავდა ნაზი.

დღეა მაინც ვიშვიშებდა. ამ ბოლო დღეებში ცუდ სიზმრებს ნახულობდა და ლამე კარგად არ ეძინა. შუალამემდეგ ფეხზე ტრიალებდა, საქმე რომ არაფერი ჰქონოდა, მაინც საიდანღაც გამოჩხრეკდა. შრომაში პოულობდა იგი შვებას, უფრო მეტად შრომაში იქარვებდა დარდს, ჭიასავით რომ უჯდა გულში და ღარღინდა, მოსვენებას არ აძლევდა.

დილით კი ადრე დგებოდა. გათენებული არ იყო, რომ ტანსაცმელს ჩაიცვამდა და საქმეს შეუდგებოდა. ფიქრებში ჩაძირული ხან სკამს წამოედებოდა, ხან მაგიდას და არც ჩვენ გვაძინებდა.

— მოისვენე ადამიანო, ჩვენც მოგვასვენე! — ლოგინიდან მძიმედ წამოპყოფდა მამა თავს და საყვედურით ეტყოდა.

— შენ სულ მოსვენებაზე გიჭირავს თვალი, — მკვახედ შეუბრუნებდა დედა სიტყვას, — დარდი შენ არ იცი და ვარამი. ახლა ჩემს გულში ჩაიხედე, რა ცეცხლი მიკილია.

— ოხერა რას გიშველის მერე, რას აპყოლიხარ ამ სიზმრებს. მეც კი ვხედავ, მაგრამ მნიშვნელობას არ ვაძლევ. ასე უნდა მოიქცე შენც.

— კარგია შენნაირი გული მქონდეს, მაგრამ რომ არა მაქვს?

ვერ ვიტყვი დედას და მამას ერთმანეთი არ ჰყვარებოდათ. ძალიანაც უყვარდათ და კიდევაც სცემდნენ პატივს, მაგრამ როცა რაიმე ოჯახური საკითხი წამოიჭრებოდა მათ წინაშე, სულ სხვადასხვა, ერთმანეთის საწინააღმდეგო შეხედულებისანი იყვნენ და ამაზე მოსდოდათ კამათი.

ბუნებით მამა უფრო ღიანი იყო, დედა კი ფიცხი. მამას არ შეეძლო არც სიყვარულის გამომჟღავნება, არც, როცა დედა იტყოდა ხოლმე, დარდსა და ვარამზე ოხერა. მართლია ოჯახური სიძნელეების გარშემო მამა ყოველთვის თავის აზრს გამოთქვამდა და კიდევაც შეეკამათებოდა ხოლმე დედას, მაგრამ ამ დავაში მაინც ყოველთვის მამა უთმობდა.

ასე იყო ახლაც...

იმ დღეს დედას თითქმის არ უძინია და არც ჩვენ დაეუძინებიათ. შფოთავდა, კენესოდა, მალ-მალე დგებოდა, სინათლეს ანთებდა და ვალერიანის წვეთებს სვამდა.

გათენებისას ჩაგვეძინა მხოლოდ. თვალები რომ გავახილეთ, თერთმეტი სდებოდა.

დედა კვლავინდებურად ზეზე დაძებდა, მამას ბაზარშიც მოესწრო წასვლა. (დღეს მეორე ცვლაში გადიოდა). ნაზის საუბრე გავმზადებინა და მე მელოდებოდნენ.

სასწრაფოდ ჩავიცივი, პირი დავებანე და სუფრას შემოვუსხედით.

— რა დაგემართა, ადამიანო, წუხელის კიდევ ცუდი სიზმარი ნახე? — ჯკითხე მე.

— სიზმარი კი არა, მაგრამ გული მიკენისის, მძიმედ მაქვს. — დედამ მკერდზე მიიღო ხელი.

— იქნებ გული გტკივა, ექიმთან წაგიყვან დღეს.

— რა თეში ვიხლი ექიმს. იმან რა უნდა მიშველოს. მე სხვანაირად გტკივა გული, ის ვერასოდეს გაიგებს ამ ტკივილს.

— ყოველ შემთხვევაში გაგსინჯოს, ვნახოთ რას იტყვის!

— წაიყვანე! — თქვა მამამ, — იქნებ სხვა რამე აწუხებს და გულს აბრლებს.

დედამ მამას გადახედა.

— შენ რომ არ იცი გული სადა გაქვს, სხვაც ეგრე გგონია. მე რომ ვამბობ გული მტკივა-მეთქი — გული მტკივა და არა სხვა რამე.

მამას გაეციხა და მე და ნაზის გადმოგვხედა.

— წაიყვანეთ, წაიყვანეთ, იქნებ უშველოს რამე, მომკლა მაგისმა ვიშვიშმა, — თქვა ისევ მამამ.

— შენ გული არა გაქვს და რა გეტკინება! — არ დაუთმო დედამ.

— შენ ხომ გაქვს?

— იმიტომაც მტკივა, რომ მაქვს. ყველას გაგვეცინა, გარდა დედისა.

ის იყო ვისაუზმეთ, სუფრიდან უნდა ავმდგარიყავით, რომ ეზოდან რკინის ტიშკრის მძლავრი ჭრიალი და შემდეგ კედელზე კარის მიხეთქების ჭახანი გაისმა.

ღედა უსიამოვნოდ შეიშმუშნა მხრებში, თან მამას გადახედა.

ამ ბოლო დროს ტიშკარს რაღაც გაუფუქდა და როცა ვინმე შემოდოდა ეზოში, კარი ყოველთვის ხმაურით იღებოდა. მამამ რამდენჯერმე სცადა მისი შეკეთება, მაგრამ არ გამოუვიდა იმიტომ, რომ ტიშკარი მძიმე იყო და მის გაწყობას ხელოსნის ხელი სჭირდებოდა.

— ეს კარი ხომ ვერ გადაკეთებინე... — მამას მისამართით ბუზღუნით თქვა ღედამ. თან ზეზე წამოდგა.

ჩვენც წამოვდექით ზეზე, ფანჯრის ფარდა გავწიე და თი საოცრებავ... თვალებს არ დავუჭერე.

ტიშკრის ზღურბლთან, ჰუჭყხა და მტვერში ამოვანგლული ლილი იდგა. დაუვარცხნელი თმები უწყსივროდ ჩამოშლოდა გამშრალ, გაშვეებულ სახეზე და თვალები არ უჩანდა. მას უკან მოჰყვებოდა შუახნის იეზიდი, რომელსაც ზურგზე ვეებერთელა ბოღია მოეგდო, ცალხელში ჩემოდანი ეჭირა და ხვნეშით მოჰქონდა.

ლილის თავი ჩამოვარდნოდა დაბლა, სახეზე ცხვირსახოცი მიეფარებინა და ქვითინებდა, მთელი ტანით ძაგძაგებდა.

— ლილი! — იწვილა ღედამ და ცოტა გაწყდა კარებში არ ჩაიკეცა, ძაღლონე მოიკრიფა, თავს ძალა დაატანა და პირველი გავარდა კარში.

ჩვენც მიყვებით უკან. ლილიმ ერთი კი შემოაკვებდა, სახე გამოაჩინა, მერე ისევ აიფარა თვალუბზე ცხვირსახოცი და ხმაოდლა აქვითინდა.

ნეტავ არ შემეხებდა. აჩრდილი იდგა ჩვენს წინ, ჩემი დის აჩრდილი, ჩემი ლამაზი ლილის აჩრდილი, მთელს ტანში რაღაც საშინელმა ურუანტელმა დამიარა და ფეხის თითებამდე გამსჭვალა. ცხადი იყო, რაღაც დიდი უბედურება ტრიალებდა ჩვენს თავზე.

ღედამ მეორედ ისეთი იწვილა, მთელი მეზობლები თავზე დაგვეხვა.

— ბავშვები... ბავშვები სად არიან?... — იძახდა ის, — მითხარო... სად არიან ბავშვები?...

ლილი ხმას არ იღებდა, უძრავად იდგა, დამუნჯებული, დადუმებული, გულჩამკვდარი. თავი ისევ დაბლა ჰქონდა ჩამოვარდნილი და სახიდან ცხვირსახოცს არ იშორებდა, თითქოს რცხვენოდა, როგორ უნდა შეეხებლო მშობლებს უბავშვებოდო.

— მითხარი, სად არიან ბავშვები?... — გაჰკიოდა ღედა, — სად არიან ჩემი ტატო და ევა?...

ლილი კვლავ დუმდა, ქვითინებდა. ბოლოს როგორც იყო, მოიკრიბა ძალა, თავი ასწია მაღლა, უკან შეტრიალდა და იეზიდის წინ დაგდებულ ბოხჩისაკენ ხელი გაიშვირა.

— იქ... იქ...

— სად იქ?! — იწვილა ღედამ.

— იქ...

— ბავშვებზე გეკითხები... სად არიან მეთქი ბავშვები?...

— ხო... ბავშვები... იქ... — ეს რომ თქვა, მუხლებში ჩაიკეცა და ის იყო, უნდა დაცემულიყო დაბლა, რომ მეზობელმა ქალებმა ხელი შეაშველეს.

— წყალი — ვაისმა შეძახილა.

ნახიმ წყალი მოუბრუნინა ქალებს. ქალებმა პეშვით შეასხეს სახეზე, რამდენიმე ყლუბი კიდევაც გადააყლაქეს, მერე ასწიეს და სახლში შეიყვანეს.

ახლა ღედას შეულონდა გული.

— წყალი... — კვლავ ვაისმა ქალების წამოძახილები. ნახიმ იმათაც მიუბრუნინა დოქით. ქალებმა ღედასაც შეასხეს პეშვით წყალი, თანაც დააღვეინეს, მერე სახე დაუსრისეს და რომ მოიხებდა, ისიც თავის საწოლზე დააწვიანეს.

XII

ომის დაწყების პირველსავე დღეს საზღვრისპირა ლვოვი ცეცხლის ალში გაეხვია. მტრის ავიაცია განუწყვეტლივ ბომბავდა ქალაქს. შენობებს ცეცხლი ეკიდა. იწვოდა იქაურობა. თავზარდაცე-

მული ხალხი ქალაქგარეთ სივრცედაც
პუნქტისაკენ გარბოდა. ყველა ცდილო-
ბდა როგორმე თავი დაეღწია ამ ჯოჯო-
ხეთური მდგომარეობისათვის, რომ გე-
რმანელებს ხელში არ ჩაეარდნოდნენ.

სივრცედაც მანქანაზე დაჯდომა და
სამშვიდობოზე გამოსვლა არც ისეთი
იოლი საქმე იყო. ჯერ ერთი, მანქანები
არ იყო საკმარისი და როგორც კი გამო-
ჩნდებოდა, იმდენი ხალხი ესეოდა, წე-
წვა-გულეჭვა იმართებოდა. მეორეც, კაც-
მა არ იცოდა ის მანქანა გამოაღწევდა
თუ არა სამშვიდობოს, გზაში მტრის
თვითმფრინავები აედევნებოდნენ და
უმოწყალოდ ბომბავდნენ, ტყვიამფრ-
ქვევების ცეცხლს უშენდნენ.

ლილი სამ დღეს ვერაფერს გაბდა.
ნახევრად მშვიერ-მწყურვალნი ღია ცის
ქვეშ ათენებდა და აღამებდა ბავშვებ-
თან ერთად. მეთოთხე დღეს კეთილი აღ-
ამიანები ამოუდგნენ მხარში და ღილი
წვალების შემდეგ, როგორც იყო, მოა-
თავსეს მანქანაზე.

კვირამდე ღილი წვალებითა და წამე-
ბით იმგზავრეს. გზაში თვითმფრინავებ-
მა რამდენჯერმე გადაუჭრეს გზა და
ცეცხლი დაუშინეს. ბევრი დაიხოცა.
ლილი და ბავშვები რაღაც სასწაულებ-
